20

The KARTVELOLOGIST

JOURNAL OF GEORGIAN STUDIES

ქართველოლოგი

ქართველოლოგი

THE KARTVELOLOGIST

JOURNAL OF
GEORGIAN STUDIES

20 (5)

SPRING
2014

ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

PUBLISHED BIANNUALLY BY THE CENTRE
FOR KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY

In a broad sense Kartvelology embraces study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, source study.

"The Kartvelologist" is a bilingual (Georgian and English) academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularization of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

"The Kartvelologist" is issued both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" (TSU), financially supported by the "Fund for Kartvelian Studies". In 2011-2013 the journal is financed by the Shota Rustaveli National Science Foundation.

The Editorial Board: Foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizers in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Editor-in-Chief: Elguja Khintibidze

Bakhtadze Michael (History) – Georgia; Beynen Bert (Rustvelology) - Philadelphia, USA; Boeder Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze Nino (History of Georgian Art) – Georgia; Chotiwary-Jünger Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze Nino (Linguistics) – Georgia; Enoch Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich Heinz (Georgian linguistics) – Germany; Kojima Yasuhiro (Kartvelian languages) – Japan; Kudava Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili (Georgian literature) – Georgia; Nocun Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaia Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite Kevin (Ethnography and folklore) – Canada.

Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze Elguja, Rusieshvili Manana, Melikidze Tamar, Javakhadze Irina, Guliashvili Sophio, Vardosanidze Tsira.

In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.

CONTENTS

GEORGIAN LITERATURE IN ENGLISH TRANSLATIONS

Georgian Hymnographers: Ioane-Zosime, *The Praise and Magnification of the Georgian Language*; Phillip of Bethlehem, *Praise of Bethlehem, the Virgin and the Son*; Borena, *"O Virgin who..."* (English translation by D. Rayfield) ---------- 5

STUDIES: GEORGIAN-EUROPEAN PHILOLOGY

Elguja Khintibidze: *The Man in the Panther Skin* and *Cymbeline* ----------47

Steffi Chotiwari-Jünger: Existing German Translations of the Epic by Rustaveli ----------87

STUDIES: HISTORIOGRAPHY

Peter Skinner: The "Lost" Country (Why is Georgian History and Culture so Little Known in the English-speaking World?) ---------- 107

Levan Gordeziani: Donald Rayfield's "A History of Georgia" -----120

STUDIES: CULTUROLOGY

Nana Gonjilashvili: The Name of a Saint Disclosed and Established through Iconography ----------141

STUDIES: GEORGIAN LITERATURE

Lela Khachidze: Ioane Minchkhi – Georgian Hymnographer of the 10th Century ----------166

STUDIES: LEXICOGRAPHY

Tinatin Margalitadze: English-Georgian Dictionary ----------193

KARTVELOLOGISTS AND CHRONICLE OF EVENTS:

Nino Aptsiauri: A German Monograph on Ancient Georgian Inscriptions ----------212

Gvantsa Tcholikauri, Elguja Khintibidze: The Book by an American Scholar on *The Man in the Panther Skin* ----------225

სარჩევი

ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში

ქართველი ჰიმნოგრაფები: *იოანე ზოსიმე, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ; ფილიპე ზეთლემი, ქებაჲ ზეთლემისაჲ, ესლწულისაჲ და ძისაჲ;* ბორენა დედოფალი, *"რომელმან-ეგე..."* (ქართულად და ინგლისურად. ინგლისური თარგმანი დონალდ რეიფილდისა)---------- 5

კვლევები: ქართულ-ევროპული ფილოლოგია

ელგუჯა ხინთიბიძე, *რუსთველის ვეფხისტყაოსანი* და *შექსპირის ციმბელინი* ----------10

შტეფი ხოტივარი-იუნგერი, *რუსთველის თხზულების* *დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები* ---------- 76

კვლევები: ისტორიოგრაფია

პიტერ სკინერი, "დაკარგული სამოთხე" (რატომ არის საქართველოს ისტორია და კულტურა ასე ნაკლებ ცნობილი ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოში?)----------96

ლევან გორდეზიანი, დონალდ რეიფილდის "საქართველოს ისტორია" ----------114

კვლევები: კულტურის ისტორია

ნანა ფონჯილაშვილი, *იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და* *დამკვიდრებული წმინდანის სახელი*----------126

კვლევები: ქართული ლიტერატურა

ლელა ხაჩიძე, *იოანე მინრხი - X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი* ----------154

კვლევები: ლექსიკოგრაფია

თინათინ მარგალიტაძე, *ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია* ----------176

საჩლვარგარეთული ქართველოლოგია

ნინო აფციაური, *გერმანულენოვანი მონოგრაფია უძველესი* *ქართული წარწერების შესახებ* ----------207

გვანცა ჭოლიკაური, ელგუჯა ხინთიბიძე, *ამერიკელი მკვლევარის* *წიგნი ვეფხისტყაოსანზე* ----------216

ქართველი ჰიმნოგრაფები:

იოანე ზოსიმე, *ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ*; ფილიპე ბეთლემი, *ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისაჲ და ძისაჲ*; ბორენა დედოფალი, *"რომელმან-ეგე ..."*

"ქართველოლოგის" ამ ნომერში დაბეჭდილია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფების ორიგინალური ქართული ჰიმნები ინგლისელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის თარგმანითურთ. ჰიმნების თარგმანები ჩართულია დონალდ რეიფილდის მონოგრაფიაში - *The Literature of Georgia: A History* (London, 2000). ქვეყნდება მთარგმნელის თანხმობით.

რედაქტორი

Georgian Hymnographers:

Ioane-Zosime, *The Praise and Magnification of the Georgian Language*; Phillip of Bethlehem, *Praise of Bethlehem, the Virgin and the Son*; Borena, *"O Virgin who..."*

In the current issue of *The Kartvelologist* original hymns by Georgian hymnographers of 10th century are presented in Georgian with English translation by English Kartvelologist Donald Rayfield (first published in *D. Rayfield, The Literature of Georgian: A History*, London, 2000). Consented by the Translator.

The Editor

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა საუამებელად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე.
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.
და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ.
და მეგობრობაჲ
ამისთვის თქვა,
რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.
და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან,
რამეთუ „ათასი წელი -
ვითარცა ერთი დღეჲ".
და სახარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავსა მათეასსა,
წილი ზის, რომელ ასოჲ არს.
და იტყვის ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა, -
და ესე არს ოთხი დღეჲ,
და ოთხისა დღისა მკვდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.
და ესე ენაჲ,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,
მდაბალი და დაწუნებული -
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.
და სასწაულად ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტეს სხვათა ენათა
ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
ას ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისაჲ.

Ioane-Zosime

The Praise and Magnification of the Georgian Language

Buried is the Georgian language
As a witness until the day of the second coming,
So that God may examine every language
Through this language.
And so the language
Is sleeping to this day
And in the Gospels this language
Is called Lazarus.
And, on her arrival, Saint Nino converted it
And so did Queen Helen.
So they are two sisters
Like Mary and Martha.
And 'Friendship,'
He [Jesus] said, because
Every secret
Is buried in this language.
And [like Lazarus], lain in the grave four days already.
Therefore David the Prophet spoke,
Saying: 'A thousand years in the sight
Are but as yesterday.'
And in the Georgian Gospels, namely in Matthew,
Is *ts 'ili*, which is a letter,
And it generally means
The number four thousand, -
And these are also the four days
And the man who was dead for four days,
Therefore buried with him
By baptism into death.
And this language,
Beautified and blessed by the name of the Lord,
Humble and afflicted,
Awaits the day of the second coming of the Lord.
And it has this wondrous thing:
Ninety four years
More than other languages
From Christ's coming to this day.
And all this which is written
I have told you as a witness,
This letter, which is the letter *ts 'ili* of the alphabet.

ფილიპე

ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისაჲ და ძისაჲ
(თავნი იტყჳან „ფილიპე ბეთლემი“)

ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმთისმშობლო,
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებვით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებაჲ ბრალთა ჩვენთაჲ, დიდებულო!
პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო,
ეკლესიაჲ ბეთლემისაჲ ცათა მსგავს არს, უბიწოო,
ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, ჰოი, ბეთლემო,
ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ჰოი, წმიდაო,
თაყვანის ვსცემთ ქვაბსა მაგას დიდებულსა, ჰოი, უხრწნელო.
ლოცვაჲ ჩვენი შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო,
ეც მოსავთა შენთა პოვნაჲ წყალობისაჲ, სახიერო,
მადლი შენი მფარველ მეყავნ მე, უღირსსა, მოწყალეო,
ითხოვე დღეს თხოვაჲ ჩემი ცოდვილისაჲ, მწყალობელო!

Philip of Bethlehem

Praise of Bethlehem, the Virgin and the Son'

Thou art adorned by the golden roots, O Virgin
Thou hast sapphires and porphyry for thy raiment, mother of God,
By his shining light we greet thee, Queen,
Ask for forgiveness of our sins, O thou whom we magnify.
Respected and pure is thy house, beloved Woman,
The church of Bethlehem is like the heavens, O immaculate one,
We know the creator of nature through thee, hail, Bethlehem,
We pay tribute to the glorious cradle, hail, O thou without corruption.
Consecrate our prayer, child that lies in the manger,
Let those that believe in thee find mercy, O gracious one,
Give me, the unworthy, thy protective grace, O merciful one,
Ask this day for forgiveness of my sins, O giver of mercy.
Grant me, a sinner, today my request, O benefactor.

ბორენა დედოფალი

რომელმან-ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქვი რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი“.
მაშინ ისტუმრე ქვეყნად მოუვალი, -
დაემხო ძალი, პირველვე სისხლდამთრვალი,
ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი!

Hymn by Borena

O Virgin who took away Eve's guilt, saying to Gabriel:
'I am the maid of the Lord', rescue me, thy sentinel,
The much-troubled Borena who wanders on earth.
Let the force that was drunk with the first blood collapse.

რუსთველის ვეფხისტყაოსანი და შექსპირის *ციმბელინი*

ელგუჯა ხინთიბიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რეზიუმე: წინამდებარე სტატია უშუალო გაგრძელებაა ჟურნალ „ქართველოლოგის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული გამოკვლევისა „*ვეფხისტყაოსანი* - შექსპირის ლიტერატურული წყარო“. სტატიაში გაანალიზებულია შექსპირის *ციმბელინის* სიუჟეტის თემატური და კომპოზიციური შეხვედრები ნესტანისა და ტარიელის *ვეფხისტყაოსნისეულ* ამბავთან. სტატიის ერთი ნაწილი ეძღვნება ვარაუდებს *ციმბელინის* შექმნის და თეატრალურ სცენაზე გამოჩენის თაობაზე; ვარაუდებს იმ საკითხზე, რომელიც შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში ბუნდოვნადაა მიჩნეული.

საკვანძო სიტყვები: *რუსთველი, შექსპირი, ბომონტი და ფლეტჩერი, ვეფხისტყაოსანი, ციმბელინი, ფილასტერი.*

საკითხის დასმისათვის

ჩემი გამოკვლევა, რომელიც ჟურნალ „ქართველოლოგის“ წინა ნომერში დაიბეჭდა კომპარატიული ლიტერატურათმცოდნეობისთვის მოულოდნელ (უმჯობესი იქნებოდა მეთქვა - სენსაციურ) სიახლეს სთავაზობდა როგორც რუსთველოლოგიას, ასევე შექსპიროლოგიას: შექსპირის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის თხზულებად მიჩნეულ პიესათაგან ერთ-ერთი - *ციმბელინი* - სიუჟეტურად *რუსთველის ვეფხისტყაოსნისეულ* ტარიელისა და ნესტანის თავგადასავლის ციკლს ეყრდნობა. ჩემი კვლევა-ძიება ამ საკითხზე განპირობებული იყო უფრო ადრინდელი გამოკვლევებით იმის თაობაზე, რომ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის მიხედვითაა შექმნილი შექსპირის უმცროსი თანამედროვეების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის

ორი პიესა მეფე და არა მეფე და *ფილასტერი*. თავისთავად ამ სიახლეზე მე მიმანიშნა ინგლისელ ავტორთა მიერ *მეფე და არა მეფის* ამბის საქართველოში ლოკალიზებამ და მთავარი მოქმედი პირის, თავის ძმაზე (სინამდვილეში მშობლების მიერ შვილად აყვანილ დიდებულის შვილზე) შეყვარებული ტახტის მემკვიდრე ქალის სახელის მინიშნებამ (ჰომოფონურ-ჰომოგრაფული ზმური მეტყველებით, ანუ სიტყვათ თამაშით) ნესტანის სიმბოლურ სახეზე. კვლევა-ძიებამ კი დაამტკიცა, რომ ბომონტი და ფლეტჩერი დასახელებულ პიესებში *ვეფხისტყაოსნისგან* იღებენ მითითებული ციკლის (ნესტან-ტარიელის თავგადასავლის) ნარატივს. ინგლისური პიესების ძირითადი ქარგა *ვეფხისტყაოსნის* მითითებული ამბავია. *ვეფხისტყაოსნის* შექსპირის *ციმბელინთან* მიმართების კვლევისთვის სტიმული კი ინგლისურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მომცა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იქნა შენიშნული, რომ *ფილასტერი* შემთხვევითზე უფრო მეტ მსგავსებას წარმოაჩენს შექსპირის *ციმბელინთან*. ამ გარემოებას მკვლევართა ერთი ნაწილი იმით ხსნის, რომ *ფილასტერი* ესესხება *ციმბელინს*. სხვა მკვლევარები პირიქით ფიქრობენ: *ციმბელინი* ესესხება *ფილასტერსო*. ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის შემდგომი დროის კვლევები კი მიუთითებს, რომ მსგავსება ამ ორ პიესას შორის აშკარაა, თუმცა ისინი ერთმანეთს არ უნდა ესესხებოდნენ; უფრო სავარუდო საერთო წყაროს არსებობაა. ეს დასკვნა ქრონოლოგიურად მანამდელია, სანამ ჩემი კვლევით *ფილასტერის* სიუჟეტურ წყაროდ *ვეფხისტყაოსნისეული* ნესტანისა და ტარიელის ამბავი გამოვლინდებოდა. ამის საფუძველზე გამიჩნდა ეჭვი, რომ შესაძლებელია *ფილასტერისა* და *ციმბელინის* ეს საერთო წყარო სწორედ *ვეფხისტყაოსანი* ყოფილიყო. საკითხის კვლევამ კი დაადასტურა, რომ არა მხოლოდ *ფილასტერი*, არამედ *ციმბელინიც* ნესტანისა და ტარიელის ამბავს იყენებს სიუჟეტურ წყაროდ. ყველა ის სიუჟეტური პარალელი *ფილასტერსა* და *ციმბელინს* შორის, რაც შენიშნულია ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში, *ვეფხისტყაოსნის* ტარიელისა და ნესტანის ამბავთან ამყარებს კავშირს. უფრო

მეტიც, ნიუანსური გადახრები, რომლებიც ჩანს ამ საერთო პარალელების შემთხვევებში თითოეულში ამ ორ პიესათაგან, ისევ *ვეფხისტყაოსნის* დასახელებულ ამბავს ეფუძნება. ეს დასკვნა მაძლევს მე საფუძველს, *ციმბელინის* მიმართება *ვეფხისტყაოსანთან* ვიკვლიო უშუალოდ, *ფილასტერთან* მიმართებების გარეშე.

ციმბელინის უშუალო მიმართებისათვის *ვეფხისტყაოსანთან* როგორც ჩატარებული კვლევა–ძიებიდან ჩანს, *ციმბელინის* დამოკიდებულებას *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტზე მე ვიკვლევ ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის კვალდაკვალ. ვეყრდნობი ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის იმ ფაქტებს და იმ დასკვნებს, რაც შექსპირის *ციმბელინისა* და ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერის* ურთიერთკავშირით და საზოგადოდ XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ინგლისური დრამატურგიის ახალ სტილთან მიმართებით ამ ორ პიესაში გამოჩნდა. რა თქმა უნდა, კვლევის ეს გზა მე ავირჩიე მას შემდეგ, რაც გამოვლინდა, რომ ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერის,* ისევე როგორც *მეფე და არა მეფის,* ძირითადი სიუჟეტური ღერძი *ვეფხისტყაოსნის* ამბავს ეყრდნობა; ხოლო საკუთრივ ეს ამბავი, სარწმუნო ვარაუდის დონეზე, ინგლისში იმ ინტელექტუალთა წრესთან უნდა მისულიყო, რომელთანაც კავშირი ჰქონდა შექსპირს. კვლევის ეს მეთოდი მე იმიტომ ავირჩიე, რომ მაქსიმალურად დამეზღვია თავი *ციმბელინის ვეფხისტყაოსანთან* მიმართების თაობაზე ჩემი სუბიექტური წარმოდგენებისაგან (უმჯობესი იქნებოდა, მეთქვა: მოჩვენებებისგან), რომლებიც შეიძლებოდა მე გამჩენოდა. მას შემდეგ, რაც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის კვალდაკვალ კვლევის მეთოდით ჩემთვის სარწმუნო გახდა, რომ *ციმბელინში* ჩანს *ვეფხისტყაოსნის* ამბავთან სიუჟეტური და იდეურ–თემატური მიმართება, მე ვაძლევ თავს უფლებას ამ ორ ნაწარმოებს შორის ჩემ მიერ შენიშნული პარალელების წრე გავაფართოვო და დამატებით კიდევ რამდენიმე პარალელზე მივუთითო, რომლებიც ჩემი აზრით, ამ ორ თხზულებას შორის უშუალოდ ჩანს.

ჩატარებულმა კვლევა–ძიებამ ისიც უჩვენა, რომ *ფილასტერისა* და *ციმბელინის* მიმართება *ვეფხისტყაოსნისადმი* არ არის ერთგვაროვანი. *ფილასტერში ვეფხისტყაოსნის* ფაბულის ერთი უმთავრესი ხაზი გამოყენებულია სიუჟეტის ძირითად ქარგად. იგივე ხდება *მეგე* და *არა მეგეში*. *ციმბელინის* სიუჟეტური ქარგა კი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად *დეკამერონის* ერთ ამბავს მისდევს. *ვეფხისტყაოსანთან* იგი მიმართებებს ამყარებს უმთავრესად სიუჟეტის სტრუქტურით, იდეურ–თემატური პრობლემატიკით და ცალკეული სიუჟეტური ეპიზოდებით. ამ მიმართებათა შორის ერთი ნაწილი საერთოა *ფილასტერთან* და ისინი იმდენად არსებითია, რომ, როგორც ზემოთ მომივიხილეთ, მათი მიზეზების კვლევა, ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის საგანი იყო მთელი საუკუნის მანძილზე. ამასთან ერთად, ჩემი აზრით, შექსპირის პიესაში ჩანს რუსთველის პოემასთან მიმართების სხვა დეტალებიც, რომლებსაც *ფილასტერთან* კავშირი ნაკლებადა აქვთ და ამდენად მათი გამოვლენა შესაძლებელია *ვეფხისტყაოსანთან* მხოლოდ უშუალო შეპირისპირებით.

1. დავიწყოთ საზოგადოდ აღიარებული დებულებით: *ციმბელინის* სიუჟეტური ქარგა ძირითადად *დეკამერონის* ერთ ამბავს მისდევსო. დიახ, როგორც მიმოვიხილეთ, იმოჯენისა და პოსტუმუსის თავგადასავალი ამ უკანასკნელის სასახლიდან გაძევების შემდეგ და ორივეს ბრიტანეთის სამეფო კარზე რომაელ ტყვეებად დაბრუნებამდე აშკარად *დეკამერონისეულ* ვაჭარ ბერნაბოსა და მისი ცოლის მინდვრას ამბის საფუძველზეა მოაზრებული. მაგრამ ეს ეპიზოდი მხოლოდ ერთი, თუმცა მნიშვნელოვანი, ნაწილია *ციმბელინის* სიუჟეტისა. როცა *ციმბელინის* ბოკაჩოს *დეკამერონისეულ* ამბავთან მიმართებაზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც შენიშულია, შექსპირი იმოჯენის პატიოსნებაზე სანაძლეოს ამბავს იცნობს არა მხოლოდ უშუალოდ ჯოვანი ბოკაჩოს თხზულებიდან, არამედ გერმანული პიესის *Frederyke of Jennen* ანონიმური ინგლისური გადამუშავებიდანაც [34a, გვ. 264; 38a], რომელიც გამოქვეყნებული იყო 1517 და შემდეგ 1560 წლებში. ამჯერად

ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ პიესის სიუჟეტის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი არაა არსებითი მისი ფაბულისათვის, ანუ ძირითადი ქარგისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ამბავი არაა *ციმბელინის* თემატურ–იდეური ქარგა. ამ ამბავზე არ ბრუნავს თხზულება. *ციმბელინის* ძირითადი თემატურ–იდეური ღერძი ბრიტანეთის სამეფო კარის ინტრიგაა. ამიტომაა შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში ამ პიესის ერთ–ერთ სიუჟეტურ წყაროდ მითითებული ინგლისის ძველ საისტორიო ქრონიკებზე და კერძოდ ბრიტანეთის მეფე კიმბელინუსზე. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ისიც მითითებულია, რომ საისტორიო ქრონიკების (რაფაელ ჰოლინშედის *ქრონიკების*) ამ ნაწილიდან შექსპირი მხოლოდ მეფის და მისი შვილების სახელებს იღებს (*ქრონიკების* სხვა ნაწილებში კი *ციმბელინის* სხვა პერსონაჟთა სახელებიც ჩანს) იმ ფაქტითურთ, რომ ბრიტანეთს რომთან სამხედრო დაპირისპირება ჰქონდა [32, გვ. 123; 28, გვ. 133; 35]; თუმცა კიმბელინუს//ციმბელინუსის მეფობის შემდეგ და არა, როგორც პიესაშია, მის დროს. ამიტომაც ამ პიესაში გადმოცემულ „ისტორიას“ ზოგჯერ „ფსევდო–ისტორიას“ უწოდებენ [38a]. ინგლისის საისტორიო *ქრონიკების* ამ ეპიზოდში ხდება პიესისეული ფსევდო ისტორიის მხოლოდ ლოკალიზება. ასე რომ, არც ეს *ქრონიკისეული* ამბავია *ციმბელინის* ძირითადი თემატურ–იდეური ღერძი.

ციმბელინის ფაბულა, თემატურ–იდეური ქარგა, ბრიტანეთის სამეფო კარის ამბავია: მეფე ციმბელინს ერთადერთ მემკვიდრედ დარჩა ქალიშვილი (იმოჯენი). დედოფალს (იმოჯენის დედინაცვალს) და მეფეს სურთ მისი დაქორწინება დედოფლის ვაჟზე პირველი ქმრისგან (კლოტენზე). პრინცესა წინააღმდეგია. მას უყვარს სასახლის კარზე მასთან ერთად აღზრდილი, ყოველგვარი ღირსებით შემკული ვაჟი (პოსტუმუსი) და მასზე ფარულად დაქორწინდება, რასაც ამ უკანასკნელის ქვეყნიდან გაძევება მოჰყვება. სამეფო კარის ინტრიგა გათამაშდება სასახლის გარეთ. სამეფო კარის ჩახლართული ინტრიგა ბედნიერად მთავრდება: მეფის ასულის მიერ არჩეულ ქმარს აღიარებენ; სამეფოსაც დინასტიური მემკვიდრე უბრუნდება. ეს ფაბულა

არც თავისი შინაარსით, არც თემატურად და არც კომპოზიციით არ უკავშირდება არც ინგლისის ძველ საისტორიო *ქრონიკას* და არც ბოკაჩოს *დეკამერონის* ამბავს.

ამავე დროს, როგორც შექსპიროლოგიური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ამ ამბავს პარალელი ეძებნება ანონიმურ პიესაში *სიყვარულისა და ბედისწერის იშვიათი ტრიუმფი (The Rare Triumphs of Love and Fortune),* რომელიც XVI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაიდგა ინგლისის თეატრალურ სცენაზე, ხოლო პირველად დაიბეჭდა 1589 წელს [34a; 38a]. მეფე ფიზანტიუსი (Phizantius) თავის კარზე აღზრდის უპატრონოდ მიტოვებულ, სავარაუდოდ, ობოლ, ბავშვს – ჰემარენის (Hermione), რომელსაც შეიყვარებს მეფის ასული ფიდილია (Fidelia). მათ სიყვარულს შენიშნავს პრინცესას ყეყეჩი ძმა არმინიო (Armenio). მის დუელს ჰემარენისთან შეწყვეტს მეფე და ამ უკანასკნელს სასახლიდან გააძევებს. ჰემარენი თავს შეაფარებს გამოქვაბულში ჩასახლებულ ჯადოქარ ბომელიოსთან (Bomelio), რომელიც, თავის მხრივ, მეფის მიერ სასახლიდან გაძევებული კარისკაცი, ჰემარენის მამა აღმოჩნდება. თავის სატრფოს გამოქვაბულში მიაგნებს ფიდილია. დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთთან იუპიტერი შეარიგებს.

შექსპირი ამ პიესას ამკარად იცნობს, ამაზე მიუთითებს სახელ Fidelia-ს მსგავსება იმოჯენის მიერ შერქმეულ სახელთან – Fidele; ფინალურ სცენაში იუპიტერის შემოყვანა. აღნიშნავენ სხვა შორეულ და სავარაუდო მსგავსებებსაც: პოსტუმუს ლეონატუსი – ჰემარენი; ბელარიუსი – ბომელიო; კლოტენი – არმინიო; პროსპერო „ქარიშხალში“ და ჯადოქარი ბომელიო. ამავე დროს შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში კატეგორიულადაა მითითებული (J. M. Nosworthy; K. A. Muir), რომ გონივრული არ იქნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ამგვარი პარალელური ნიშნებისათვის (გაძევებული სატრფო თუ გაძევებული დიდებული, გამოქვაბული, საძილე შხამი თუ წამალი), რამდენადაც ისინი ყველა რომანისტისთვის ჩვეულებრივი ხერხები, ბანალური ხრიკებია [34a, გვ. 259]. მიჩნეულია, რომ ეს პიესა შექსპირს უთუოდ აძლევდა ერთვვარ საწყის იმპულსებს თავისი

პასტორალური სცენებით და ფინალური სცენით. მაგრამ ეს ქარგა იყო არაორგანული და შემთხვევითი, არასაკმარისად დრამატული. მას აშკარად აკლდა სოლიდური საფუძველი, რაც შექსპირს სხვა წყაროდან (მკვლევართა ვარაუდით, ზემოთ მითითებული *ქრონიკებიდან*) უნდა აეღო [34a, გვ. 259].

შექსპირის პიესის თემატურ–პრობლემური და იდეური ქარგა, ჩემი აზრით, სტრუქტურულად ზუსტად ემთხვევა *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და ტარიელის ამბავს: ინდოეთის მეფე ფარსადანს ჰყავს მხოლოდ ერთი ქალიშვილი - ნესტანი. მეფეს და დედოფალს მისი დაქორწინება სურთ სამეფო ღირსებით მის შესატყვის წყვილზე, ხვარაზმეთის (სპარსეთის) უფლისწულზე, და მას თავიანთ ქვეყანაში ჩამოიყვანენ. ქალიშვილი წინააღმდეგია ამ გარიგების, მას უყვარს სასახლის კარზე ტახტის მემკვიდრედ ნაშვილები და მასთან ერთად აღზრდილი წარმომობით სამეფო გვარეულობის, ყოველმხრივ ღირსეული მეფის ამირბარი – ტარიელი. ისინი ერთმანეთს ფარულად სიყვარულს შეჰფიცებენ. სამეფო კარის ინტრიგას მათი ქვეყნიდან გადაკარგვა მოჰყვება და სიუჟეტი სასახლისა და ქვეყნის გარეთ გათამაშდება. სასახლის კარის ჩახლართული ამბავი ბედნიერად მთავრდება: ქალ–ვაჟის სიყვარული გაიმარჯვებს; სამეფო კარს დინასტიური წყვილი დაუბრუნდება.

ეს რომანი შექსპირის *ციმბელინს* აძლევს იდეურ ჩანაფიქრს: სამეფო კარის ინტრიგის პირობებში ტახტის შენარჩუნება დინასტიური მემკვიდრისათვის; პრობლემურ ქარგას: მეფეს ტახტის მემკვიდრედ ერთადერთი ქალიშვილისთვის მეფური წარმომავლობის საქმრო ჰყავს შერჩეული, ქალიშვილი არ ემორჩილება მეფე–დედოფლის გადაწყვეტილებას და სამეფო კარის ქვეშევრდომს ცოლ–ქმრული ერთგულების ფიცით შეეკვრება; სიუჟეტის კომპოზიციურ ხაზს: რომანული ინტრიგა სასახლის კარიდან გამოდის, პრინცესას ჩახლართული თავგადასავლით და მოგზაურობით ვითარდება და სასახლეში გათამაშებული ისტორიის მოთხრობა გამოქვაბულში დამკვიდრებული შეყვარებული ვაჟის გარემოცვაში ხდება; ამბის ბედნიერ დასასრულს: უცხო გარემოში გათამაშებული რომანული ამბის

ბედნიერი დასრულება და ტახტის მემკვიდრეთა თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება.

2. *ციმბელინის* ფაბულის თემატური მსგავსება *ვეფხისტყაოსანთან* პრინციპული მნიშვნელოობისაა. ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა, რომელიც ესოდენ ტრადიციულია შექსპირის ტრაგედიებში, ამ პიესაში პრინციპულ კორექციას განიცდის: მეფის ერთადერთი ასულისათვის შესაფერისი სიძის შერთვაში გადაიზრდება. ამ პერიოდის ინგლისურ დრამატურგიაში ამგვარი კორექცია სამეფო კარის ინტრიგაზე აგებული ტრაგედიებისა სწორედ *ვეფხისტყაოსანზე* დამყარებით ხდება (მე ვგულისხმობ იმავე ქარგის *ვეფხისტყაოსნიდან ფილასტერში* და ნაწილობრივ *მეფე* და *არა მეფეში* გადასვლას).

შექსპირისეული ტრაგედიების ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა *ციმბელინში* ბედნიერი დასასრულით დაბოლოვდება. ე. წ. „ჰეფი ენდის" გამოჩენას და დამკვიდრებას ამ პერიოდის (XVII ს. პირველი ათწლეულის) დრამატურგიაში ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა პრინციპული მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევს [27; 37, გვ.111–112; 43, გვ. 158]. მას ახალი ჟანრის – ტრაგიკომედიის ერთ უმთავრეს ნიშნად მოიაზრებს. ეს ახლებური დასასრული ტრადიციული დრამებისა პირველ ეტაპზე ყველაზე წარმატებულად *ვეფხისტყაოსნის* მიხედვით შექმნილ პიესებში გამოჩნდება (*ფილასტერი, მეფე* და *არა მეფე*). ნათქვამს ის ნიუანსიც უნდა დაემატოს, რომ *ციმბელინში* „ჰეფი ენდი" არ მოდის, როგორც ავტორისეული გააზრებული მიბაძვა ახალი დრამატული მიმართულებისა. ეს იქიდან ჩანს, რომ, როგორც ინგლისურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ დაასკვნა, *ციმბელინი* არ ბაძავს *ფილასტერს,* ორივე მათგანს რაღაც სხვა წყარო აქვს. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ეს პიესა ავტორის და თანამედროვეების მიერ არ უნდა იყოს ჩაფიქრებული და აღქმული, როგორც ახალი დრამატული ჟანრი: მიუთითებენ, რომ თავდაპირველ გამოცემაში ე. წ. პირველ ფოლიოში (First Folio - 1623) იგი დასახელებული იყო ტრაგედიად [47, გვ. 101; 38a]. და მიუხედავად ყველაფერ ამისა, *ციმბელინისეული* ბედნიერი ფინალი თავისი სტრუქტურით

მსგავსია *ფილასტერისეულისა*. ამასთანავე ისიცაა შენიშნული, რომ შექსპირის მიერ ფინალი უფრო ღრმადაა დამუშავებული და იგი მხატვრული ოსტატობით აღემატება ბომონტისა და ფლეტჩერის ტექნიკას. ფიქრობენ, რომ ეს უპირატესობა შექსპირის მიერ მიღწეულია ძირითადად თავისუფალი ფანტაზიით, სპონტანური წარმოსახვითი, იდილიური სცენების შემოტანით და სენტიმენტალური ქალის ემოციური სახის შექმნით (43, გვ. 158)[1]. მე უნდა დავაზუსტო, რომ აღნიშნული სპონტანური წარმოსახვის და თავისუფალი ფანტაზიის საფუძველში ამ კონკრეტულ შემთხვევაში დგას *ვეფხისტყაოსნის* სწორედ იდილიური სიუჟეტი და კონკრეტულად კი მებრძოლი ქალი პერსონაჟის, ნესტანის, სენტიმენტალური და ემოციური სახე, რომელიც ასევე, გარდა შექსპირის იმოჯენისა, უშუალო პროტოტიპია ბომონტისა და ფლეტჩერის არეტუზასა და პანთეასი.

უმთავრესი კი ის არის, რომ *ციმბელინისეული* კორექცია შექსპირის ტრაგედიებისეული სამეფო კარის ინტრიგისა (კერძოდ, მეფის ერთადერთი ასულისათვის საქმროს ძიება) მისი ბედნიერი დასასრულით, რომელიც საერთოა ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერისეული* ქარგისა, ზუსტად მისდევს *ვეფხისტყაოსნისეული* ინდოეთის სამეფო კარის ამბავს: ვიმეორებ, მეფე და დედოფალი ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ქალიშვილისთვის (ნესტანისათვის) საქმროს შეარჩევენ; ქალიშვილი ეურჩება მათ გადაწყვეტილებას, თვითონ აირჩევს საქმროს; რასაც მოსდევს ტრაგიზმისაკენ მიდრეკილი ჩახლართული თავგადასავალი. დასასრული კი ბედნიერია.

3. *ციმბელინს* ზოგჯერ „პრობლემურ პიესას" უწოდებენ, რამდენადაც მთავარი მოქმედი პირი, იმოჯენი, უპირისპირდება მკაცრად დამკვიდრებულ მორალს, სოციალურ პრობლემას წამოჭრის [20]. მართლაც იგი არ

[1] "He made his play… recognizing the effectiveness of Beaumont and Fletcher's use of happy ending, he labored especially over a happy dénouement. He introduced idyllic scenes and developed them more fully than had Beaumont and Fletcher and he introduced a sentimental heroine… The part of Imogene seems to have been created with freer fancy and more spontaneous expression than the rest of the play." – [19, p. 158].

ემორჩილება სამეფო აზრს, მეფისა და დედოფლის გადაწყვეტილებას მისი საქმროს თაობაზე; და მეორეც, ქმრად ირჩევს მასზე წოდებრივად დაბლა მდგომ ადამიანს. ამ კუთხითაც პიესა მისდევს ნესტანისა და ტარიელის ამბავს. ნესტანი, ერთადერთი ქალიშვილი ინდოეთის მეფისა, საკუთარი ნებით, მეფესა და დედოფალთან შეუთანხმებლად, ირჩევს საქმროს (სამეფო კარის ქვეშევრდომს) და არ ემორჩილება სამეფო კარის გადაწყვეტილებას მის გათხოვებაზე. ნესტანის, როგორც გვიანდელი შუასაუკუნეების რომანის პერსონაჟის, ეს ქმედება იმ ეპოქის სოციალური ატმოსფეროს ფონზე ნოვატორულია და თან აქტუალურია. XVII საუკუნის დასაწყისის ევროპულ თხზულებაში, ამ პრობლემური საკითხის შემოტანის სარწმუნო ახსნა, ჩემი აზრით, უნდა იყოს მისი სიუჟეტური წყაროდან მომდინარეობა. ამ დასკვნას ისიც ამყარებს, რომ ეს პრობლემური საკითხი ანალოგიურადაა დასმული და გადაწყვეტილი *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტზე აგებულ *ფილასტერშიც*.

4. ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში შენიშნულია, რომ *ციმბელინის* პერსონაჟთა შორის ყველაზე ძლიერი მხატვრული სახეა იმოჯენი, მეფის ერთადერთი ასული [42, v, V, §17; 34]. უპირატესად სწორედ საკუთარი ადამიანური უფლებებისათვის და ბოროტისმზრახველთა თუ ცილისმწამებელთა წინააღმდეგ დაუღალავად მებრძოლი ქალის ეს გმირული სახე აძლევს მთელ პიესას ჰეროიკულ ელფერს, რაზედაც მიუთითებენ შექსპიროლოგები [43, გვ. 158]. იმოჯენის ეს ჰეროიკული შემართება ემსგავსება *ვეფხისტყაოსანში* მისი შესაბამისი პერსონაჟის – ნესტანის, საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლი და ბედის უკუღმართობასთან შეურიგებელი გმირი ქალის, მხატვრულ სახეს [იხ. 2].

5. თემატურ-პრობლემური ქარგის *ვეფხისტყაოსანთან* ამგვარი აშკარა მსგავსების გარდა, *ციმბელინს* ტარიელისა და ნესტანის რუსთველისეულ რომანთან სხვა პრინციპული, კერძოდ სტრუქტურულ–კომპოზიციური, მიმართებებიც აკავშირებს. დავიწყოთ იმით, რომ *ციმბელინში* სასახლის

კარის ინტრიგა სასახლის გარემოცვიდან გამოდის და ვითარდება, ერთი მხრივ, სხვა ქვეყანაში, კერძოდ იტალიაში, მეორე მხრივ, ბუნებაში, მთებსა და ტყეში. მოქმედების ამგვარ გადატანაზე ინგლისურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ყურადღება გაამახვილა ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერზე* მსჯელობისას [25; 43, გვ.154]. ამგვარივეა სიუჟეტის განვითარება *რუსთველის ვეფხისტყაოსანში*. როგორც *ვეფხისტყაოსანში*, ისევე *ციმბელინში* სასახლის კარის ინტრიგა გადადის გამოქვაბულში. საკუთარი ნებით, თუ სხვათა იძულებით გაძევებული გმირის გამოქვაბულში ცხოვრების შემთხვევებს შექსპირი ნამდვილად იცნობდა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემოთ განხილული პიესის – *სიყვარულისა და ბედისწერის იშვიათი ტრიუმფის* სასახლიდან გაძევებული ჰემარენი. მაგრამ ჰემარენის გამოქვაბული განსხვავდება *ციმბელინის* გამოქვაბულისაგან (ჰემარენი არაა უფლისწული; მის გამოქვაბულში ცხოვრობს ჯადოქარი შესაბამისი ინტერესებით). *ციმბელინის* გამოქვაბულში მიმდინარე მოქმედების არსი და ხასიათი სტრუქტურულად *ვეფხისტყაოსნის* გამოქვაბულის შესაბამისი ქმედების ტიპისაა. ზემოთ აღვნიშნე, რომ როგორც *ციმბელინის*, ასევე *ვეფხისტყაოსნის* მიხედვით, გამოქვაბულში წლების მანძილზე ცხოვრობენ სამეფო კარიდან გადმოხვეწილი უფლისწულები. *ციმბელინის* მიხედვით გამოქვაბულის მკვიდრნი თავს ნადირობით ირჩენენ და გამოქვაბულში ხდება ბრიტანეთის სამეფო კარის ამბის მბობა (III, 3). ასევეა *ვეფხისტყაოსანშიც*: აქაც თავს ნადირობით ირჩენენ და ინდოეთის სამეფო კარის ამბავს ტარიელი გამოქვაბულში უამბობს ავთანდილს. *ციმბელინში* გამოქვაბულის მკვიდრებთან მოდის პიესის მთავარი მოქმედი პირი *იმოჯენი* (III, 6). *ვეფხისტყაოსანშიც* გამოქვაბულის მკვიდრებთან მიდის პოემის ერთი მთავარი მოქმედი პირი.

6. *ვეფხისტყაოსნისეული* ტარიელისა და ნესტანის სამეფო კართან კონფლიქტის სტრუქტურული ღერძი უფრო ზუსტადაა გადატანილი *ციმბელინში*, ვიდრე ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერსა* და *მეფე და არა მეფეში*. მე ვგულისხმობ იმას, რომ *ვეფხისტყაოსნის* მიხედვით, სამეფო

კარის მიერ ერთადერთი მემკვიდრე ქალიშვილის საქმროდ შერჩეულ უფლისწულს კლავენ. ბომონტი და ფლეტჩერი სასიძოდ მოყვანილი უფლისწულის მოკვლას გაურბიან: *ფილასტერის* მიხედვით, მას თავისივე ქვეყანაში დაბრუნებენ; ხოლო *მეფე და არა მეფეში* მისივე ადრინდელ საცოლეზე დააქორწინებენ. ეს ახალი ჟანრის - ტრაგიკომედიის სპეციფიკაა: მთავარი მოქმედი პირები არ კვდებიან. შექსპირის *ციმბელინი* სტრუქტურულად ზუსტად *ვეფხისტყაოსანს* მისდევს: მეფე-დედოფლის მიერ იმოჯენის საქმროდ შერჩეულ დედოფლის შვილს კლოტენს კლავენ. უფრო მეტიც, კლოტენს, რომელსაც იმოჯენის შერთვით ბრიტანეთის ტახტის ხელში ჩაგდება სურს, სიცოცხლეს გამოასალმებს ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული გვიდერიუსი (IV, 2). ესეც *ვეფხისტყაოსანთან* სტრუქტურული (და თან მონარქიული ინტრიგის ქვეტექსტის მქონე) დამთხვევაა. სასიძოდ მოწვეულ ხვარაზმშას უფლისწულს კლავს ტარიელი, ინდოეთის ტახტის დინასტიური მემკვიდრე ვაჟი. სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ეს სტიმული ხაზგასმულია რუსთველის მიერ. ტარიელი ამბობს: „ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია? სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყს ჩემი ხრმალია?" (568). ვფიქრობ აშკარაა, რომ შექსპირის მიერ გააზრებულია დინასტიური პრობლემის ეს ნიუანსი. სხვა მხრივ, პიესის მსვლელობის მიხედვით, აუხსნელია კლოტენის სამეფო კარიდან გამოქვაბულთან მისვლა და სრულიად შემთხვევით მაინცა და მაინც ტახტის მემკვიდრე გვიდერიუსის მიერ მისი მოკვლა.

7. სტრუქტურულ–კომპოზიციური პარალელები *ვეფხისტყაოსანთან* ჩანს არა მხოლოდ *ციმბელინის* მთლიანი სიუჟეტის ზოგად კონსტრუქციაში, არამედ ცალკეული ეპიზოდების აგებაშიც. მხოლოდ ერთ, ჩემი აზრით მნიშვნელოვან, პარალელზე შევჩერდები. *ვეფხისტყაოსნის* შეყვარებული წყვილი ერთგულებისა და არდავიწყების ნიშნად ერთმანეთს ძვირფას ნივთებს უძღვნის. ნესტანი თავის სამკლავეს უგზავნის ტარიელს, რაც ამ უკანასკნელის ერთადერთ სანუგეშო მოსაგონებლად რჩება უკაცრიელ ტყე-ღრეში მრავალწლიანი მარტოობის დროს: „ესე სამკლავე შეიბი,

თუ ჩემი გა-ღა-გვლენოდეს“ (499). თავის მხრივ ნესტანი სანუკვარ სახსოვრად ატარებს სატრფოსეულ რიდეს და მის ერთ კიდეს, ერთ გადანაჭერს, მრავალი წლის შემდეგ ტარიელს მისი სიცოცხლის დამადასტურებელ უტყუარ ნიშნად უგზავნის: „აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა! გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა“ (1309). ასეთივე, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ფუნქციური დატვირთვა აქვს საყვარელი წყვილის მიერ გაცვლილ სახსოვარ ნივთებს *ციმბელინში*. იმოჯენი პოსტუმუსს ბეჭედს ჩუქნის, ხოლო ეს უკანასკნელი კი სამაჯურს (I, 1). სწორედ ამ სამაჯურს მოჰპარავს იმოჯენს იაკიმო და პოსტუმუსს იმის დამამტკიცებელ ნიშნად მიუტანს, თითქოს იგი მან მიიღო იმოჯენისგან მასთან გატარებული სასიყვარულო წუთების მოსაგონებლად (II, 4). როგორც ტარიელი, ასევე პოსტუმუს ლეონატუსი მათთან დაბრუნებულ სატრფოსადმი მიძღვნილ საკუთარ საჩუქარს იცნობენ და რწმუნდებიან, რომ, რაც მოისმინეს, სინამდვილეა. უფრო მეტიც: ნესტანმა სატრფოს მის მიერ ნაჩუქარი რიდის გადანაჭერი თავად გაუგზავნა. *ციმბელინში* კი სიტუაცია სხვაგვარია: საუბარია მეუღლე–სატრფოსეული სამახსოვროს შემთხვევითი საყვარლისთვის ჩუქებაზე. ინგლისურ პიესაში მაინც გამოჩნდა სიუჟეტური წყაროს კვალი. პოსტუმუსი ეკითხება სამაჯურის მომტანს: სამაჯური იმოჯენმა ჩემთან გამოსაგზავნად ხომ არ მოიგლიჯაო.[1] სატრფოსადმი მიძღვნილი სახსოვარის მყისიერ, უეცარ შეცნობას ფუნქციური დატვირთვა აქვს როგორც *ვეფხისტყაოსანში*, ასევე *ციმბელინში*. ტარიელს არ ჯერავს მეგობრის, ავთანდილის, ნათქვამი სასიხარულო სიტყვები – „ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა“ (1337). ავთანდილმაც არ დააყოვნა – „გამოიღო რიდე, მისცა“ (1339). თავისივე სამახსოვრო საჩუქრის ხილვამ გმირი ნესტანის პოვნის ამბავში არა მხოლოდ უყოყმანოდ დაარწმუნა, არამედ სიხარულისგან ცნობა დააკარგვინა:

„წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გა–ცა–შალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მკრთალამან“ (1340).

---

[1] “*Posthumus*. May be she pluck’d it off to send it me” [39, p. 56]. შეადარე: „ლეონატუსი: იქნებ ჩემთან გამოგატანათ? [8, გვ. 198].

შექსპირის პიესის თანახმად, არც პოსტუმუსმა ირწმუნა იაკიმოს ნაამბობი მის ცოლთან გაზიარებული სარეცელის შესახებ, რომელიც დასაბუთებული იყო იმოჯენის საწოლი ოთახის დეტალური აღწერით. მაგრამ როდესაც ცილისმწამებელმა მას იმოჯენის სამაჯური უჩვენა, პოსტუმუსმა ღმერთს შესთხოვა გამაგრება: „ძალა მომეც, იუპიტერო! ერთხელ მაჩვენეთ, ერთხელ კიდევ! მე რომ ვაჩუქე, ის არის სწორედ!" [8, გვ. 197][1]. ამის შემდეგ მას სხვა საბუთების მოსმენა აღარ სურს. სანაძლეოს წაგებულად თვლის. *ციმბელინის* ამ ეპიზოდის *ვეფხისტყაოსანთან* შესაძლებელ მიმართებაზე მსჯელობისას შემდეგი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, *ციმბელინის* სიუჟეტის ის მონაკვეთი, რომელიც პოსტუმუსის, იაკიმოსა და იმოჯენის ურთიერთობას შეეხება და რომლის არსებითი ნაწილია ზემოთ ნახსენები სამაჯურის ამბავი, შექსპირს აგებული აქვს *დეკამერონის* საფუძველზე. იტალიური პირველწყაროს მიხედვით, მოტყუებული ქმრის დასარწმუნებლად მისი მეუღლის ძვირფასი ნივთების ჩვენება საკმარისი არ არის; გადამწყვეტია ქალის მკერდის აღწერილობის მოსმენა. შექსპირი ცვლის ცილისმწამებლის მიერ ჩამოთვლილი არგუმენტების მნიშვნელობას. მსგავსად *ვეფხისტყაოსნისა,* აქცენტს სამაჯურზე გადაიტანს და ქალის მკერდის აღწერას პოსტუმუსის ინტერესის მიღმა ტოვებს. უფრო მეტიც: ჯოვანი ბოკაჩოსეულ ნოველაში ცილისმწამებლის მიერ ქალის საწოლი ოთახის უჯრიდან მოპარულ ძვირფასეულობას შორის ქმრის მიერ ნაჩუქარი სამახსოვრო ნივთი ნახსენებიც კი არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ამბავს შექსპირი სხვა წყაროდანაც – ინგლისურად გადამუშავებული ერთი პიესითაც (Frederyke of Jennen) იცნობს და *ციმბელინის* ზოგიერთი დეტალი ამ ეპიზოდში პიესისეულ სხვაობებს ემსგავსება. არც ამ სხვაობათა შორის ჩანს ბოროტმოქმედის მიერ სამახსოვრო სამაჯურის მოპარვა [34a, გვ. 264]. შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში ცოლისგან მოპარული ნივთებით ქმრის

[1] "Posthumus. Jove! Once more let me behold it. Is it that which I left with her?.." (39, p. 56)

დაეჭვიანების სხვა მოთხრობებზეცაა ყურადღება მიქცეული (*Westward for Smelts* და *The Unfortunate Traveller*) და ზოგიერი დეტალი *ციმბელინის* ამ ეპიზოდის მნიშვნელოვან ანალოგადაა მიჩნეული [22a]. მაგრამ არც მათში ჩანს ყურადღების გამახვილება ცოლ–ქმარს შორის სამახსოვრო ნივთების გაცვლაზე და შემდეგ ამ სამახსოვროზე აქცენტირება. *ციმბელინში* სამახსოვრო სამკაულების გაცვლა და პიესის ამ მონაკვეთში მათი პრინციპული დატვირთვა შექსპირისეული დანართია. აქაც სიუჟეტური წყაროს, *ვეფხისტყაოსნის*, კვალი ჩანს.

ვეფხისტყაოსნის რემინისცენციები თუ შემთხვევითი მსგავსებანი

რუსთველის პოემის ძირითადი სიუჟეტური ხაზის სტრუქტურასთან *ციმბელინის* სიუჟეტის ამ აშკარა სტრუქტურული (იდეურ–თემატური და კომპოზიციური) დამთხვევების გარდა ცალკეული ეპიზოდების დეტალებში შეინიშნება უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი და შედარებით თითქოს ნაკლებსარწმუნო პარალელები. არაა გამორიცხული, რომ ისინი (ან ზოგიერთი მათგანი) *ვეფხისტყაოსნის* ცალკეული სიუჟეტური ეპიზოდების, ან ფაქტების რემინისცენციას წარმოადგენდნენ. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ შემთხვევით მსგავსებასთან გვქონდეს საქმე. საჭიროდ ვთვლი, რომ ზოგიერთ მათგანზე მივუთითოთ, მაგრამ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციის მიზნით და არა იმიტომ, რომ ამ პარალელებით *ციმბელინის ვეფხისტყაოსანთან* მიმართების დამატებით არგუმენტირებას ვცდილობდე.

1. *ციმბელინში*, ისევე როგორც *ვეფხისტყაოსანში*, სამეფო კარის დედოფალს არა აქვს სახელი. რუსთველის პოემაში ეს ფაქტი ბუნებრივია. სიუჟეტისათვის დედოფალი არაა პრინციპული მოქმედი პირი. იგი მხოლოდ მოიხსენიება მეფესთან ერთად ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმღებად. *ციმბელინში* კი დედოფალი, იმოჯენის დედინაცვალი, პიესისათვის ძალზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია. შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მეფის

ერთადერთ ასულზე, თავის გერზე, საკუთარი ვაჟიშვილის დაქორწინების მსურველი დედოფლის, მისი გერის და ვაჟიშვილის სამეული შექსპირის მიერ ანტიკური რომის კეისრის ავგუსტუსის სამეფო კარის ისტორიის საფუძველზეა მოაზრებული: დედოფალი - ლივია, ავგუსტუსის ქალიშვილი - ჯულია და დედოფლის ვაჟი - ტიბერიუსი (ტაციტუსის *ანალები*; სვეტონიუსის *თორმეტი კეისრის, რომის იმპერატორების, ისტორია*). შექსპიროლოგიაში ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ შექსპირი ამ სამი პერსონაჟიდან მხოლოდ დედოფალს ტოვებს სახელის გარეშე [18a, გვ. 38]. *ციმბელინში* დედოფლის უსახელოდ დატოვება შესაძლებელია აიხსნას ისევ და ისევ სიუჟეტის წყაროს (*ვეფხისტყაოსნის*) გავლენით.

2. რუსთველი გამორჩეულად მოიხსენიებს ერთ საკვირველ *მოსასხამს*, რომელიც ტარიელმა ხატაელთა დამარცხების შემდეგ ნადავლში შენიშნა და ნესტანისთვის მისაძღვნელად გადაინახა, და საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მის ნაქსოვობაზე:

„ერთგან ვნახენ საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე,
თუმცა ჰნახენ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე!... (463)[1]
ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!
ვისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან
თქვის სასწაულად." (464)

შექსპირის *ციმბელინშიც* იხსენიება *საკვირველი მოსასხამი* (curious mantle) და მითითებულია, რომ იგი დედოფლის ხელით იყო ნაქსოვი. მასში გაახვიეს სასახლიდან გატაცებისას მეფის უმცროსი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი (V, 5)[2]: "შემიძლია დასარწმუნებლად ის მოსასხამი მოგიტანო - დედოფლის ხელით სასწაულებრივ ოსტატობით ნაქსოვ-ნაქარგი, რომლითაც ჩვილი გავიტაცეთ" [8, გვ. 305].

---

[1] „ყაბაჩა (ვეფხის-ტყ.) ლაბადა რომელსა *სპარსთ ქალნი* შეიმოსენ მოკლესა გარეგნოვ" (სულხან-საბა ორბელიანი" [6, გვ. 261]).

[2] "Your younger princely son; he, sir, was lapp'd
In a most curious mantle, wrought by th' hand
Of his queen mother … [39, p. 143]

3. ამ ორ თხზულებას შორის კიდევ ერთ შორეულ პარალელს მინდა მივაქციო ყურადღება. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მრავალგზისი განხილვის საგანია სიუჟეტის ერთ ძალზე მნიშვნელოვან ეპიზოდში, ნესტანისა და ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლის გადაწყვეტის ეპიზოდში, ნახსენები მართლმსაჯულების თავისებური სახეობა „მართალი სამართალი" და სასწაულის იშვიათი ფორმა „ხმელი ხის განედლება" [12, გვ. 439–473]. ნესტანი ურჩევს ტარიელს: „რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მისთა სპათა აუწყვეტლად. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" (545). შექსპირის პიესის უკანასკნელ სცენაში (V, 5) მისანი კითხულობს წინასწარმეტყველების ტექსტს, რომელშიც ხმელი ხის განედლებაზეა საუბარი: „ოდეს დიდებული კედრის გადაბელილი ტოტები, მრავალი წლის მანძილზე უსიცოცხლონი რომ ჩანდნენ, ისევ ახალი ყლორტებით შეიმოსებიან და ბებერი ხის ტანზე ზრდას დაიწყებენ, – მაშინ დასრულდება პოსტუმუსის ძნელბედობანი" [8, გვ. 309][1]. შეიძლება იმასაც მიექცეს ყურადღება, რომ ამავე სცენაში შორეულ პარალელს პოულობს რუსთველისეული „მართალი სამართალი". შექსპირი ახსენებს „კეთილშობილურ სამართალს" (Nobly doom). პოსტუმუსს, რომელმაც გაიძვერა იაკიმო შეიწყალა, მეფე ციმბელინი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „კეთილშობილურ სამართალით მაგალითს გვაძლევ" (8, გვ. 308).[2]

4. კიდევ ერთ გარემოებას შეიძლება მიექცეს ყურადღება. ესაა *ციმბელინის* ფინალი: ბრიტანეთის სამეფო კარზე დამარცხებულ რომაელ ტყვეთა განთავისუფლება და ამასთან ერთად იმის დაკანონება, რომ ბრიტანეთი ისევ დარჩება რომის მოხარკედ. დამარცხებული მტრის შეწყნარების ძალზე მნიშვნელოვან მაგალითს იძლევა ისევ *ვეფხისტყაოსანი*. ხატაეთის წინააღმდეგ ინდოეთის მხედართმთავრის, ტარიელის მიერ გადახდილი დიდი ომი, რომელიც

[1] "... when from a stately cedar shall be lopp'd branches which, being dead many years, shall after revive, be jointed to the old stock, and freshly grow; then shall Posthumus end his miseries..." (39, p. 145).

[2] "Nobly doom'd! We'll learn our freeness of a son-in-law" (39, p. 145).

ემახურებოდა ვასალური ინსტიტუციის შენარჩუნებას, დასრულდა დიდი წარმატებით და თან საოცარი ქრისტიანული შემწყნარებლობით და დიდსულოვნებით დამარცხებულთა მიმართ. ამ ეპიზოდში გამოვლენილი ქრისტიანული სულის უნიკალურ მხატვრულ გარდასახვაზე საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში [5, გვ. 194; 11, გვ. 51]. *ციმბელინში* უაღრესად ტევად უკანასკნელ სცენას წინ უძღვის დიდი ომი ბრიტანელთა და რომაელთა შორის, სამი მამაცი ბრიტანელის (ორი უფლისწული და სასახლის ყოფილი დიდებული) და პიესის მთავარი პერსონაჟის, მეფის ასულის ბრიტანეთიდან გადახვეწილი სატრფო-მეუღლის უმაგალითო შემართებით გადახდილი ომი. ისევ *ვეფხისტყაოსანი* უნდა გავიხსენოთ. რუსთველის პიესის ფინალს – როსტევანის სამეფო კარზე შეყვარებულ წყვილთა ქორწილებს – წინ უძღვის უთანასწორო ომი ქაჯეთის ციხესთან, გადახდილი სამი რაინდის და მათ შორის მთავარი გმირის, მეფის ასულის სატრფოს, ტარიელის, მიერ.[1]

ასე რომ *ციმბელინი ვეფხისტყაოსანს* ეხმიანება როგორც ფინალის სტრუქტურით, ასევე მასში ჩაქსოვილი შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული იდეალით (უმაგალითო მოწყალება დამარცხებული მტრის მიმართ) და შუასაუკუნეობრივი ფეოდალიზმის იდეალით (ვასალური ქვეყნის ინსტიტუციის დაკანონებით)[2].

---

[1] სავარაუდოა, რომ XVI საუკუნის დასასრულს საქართველოში პოპულარული ყოფილიყო *ვეფხისტყაოსანის* ის რედაქცია, რომლის ფინალია ინდოეთის სამეფო კარზე გამართული ქორწილი. ამ ფინალსაც წინ უძღვის იმავე სამი ვაჟაცის დიდი ომი ქვეყანაში შემოსული მტრის წინააღმდეგ.

[2] შეიძლება იმის დაშვებაც, რომ შექსპირის პიესის ფინალში ომში გამარჯვებული ბრიტანეთის მიერ საკუთარი ქვეყნის ისევ დამარცხებული რომის მოხარკედ გამოცხადება ჯოფრეი მონმოტის ბრიტანეთის მეფეთა ისტორიის *ქრონიკიდან (“History of the Kings of Britain by Goffrey of Monmouth”)* მომდინარედ ჩაითვალოს. თუმცა იმის გათვალისწინებაცაა საჭირო, რომ ამ *ქრონიკის* მიხედვით, როგორც ზემოთ მოვუთითეთ, ბრიტანეთსა და რომს შორის ომი მეფე ციმბელინის (Cunobeline) დროს არ ყოფილა. იგი მისი შემკვიდრეების დროს მოხდა და ბრიტანეთი რომის მოხარკედ ზავის პირობების თანახმად დარჩა (Book 4, 14) და არა, როგორც *ციმბელინში*, გამარჯვებული ბრიტანეთის საკუთარი ინიციატივით.

ვეფხისტყაოსანსა და *ციმბელინს* შორის ამ რამდენიმე ეპიზოდურ პარალელს მე შედარებით ნაკლებ სარწმუნო იმიტომ ვუწოდე, რომ არაა გამორიცხული ზოგიერთი მათგანის შემთხვევით დამთხვევასთან გვქონდეს საქმე; ისიც მოსალოდნელია, რომ თითოეულ მათგანს სხვა თხზულებებშიც, მათ შორის შექსპირის ნაწარმოებებშიც, მოეძებნოს პარალელი. მაგრამ ყველა მათგანი ერთად, იმის ფონზე, რომ *ციმბელინის* დამოკიდებულება ნესტანისა და ტარიელის ამბავზე მტკიცდება როგორც სიუჟეტის უშუალო იდეურ-თემატური და სტრუქტურული მიმართებით, ასევე ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერთან* ერთად საერთო პარალელებით *ვეფხისტყაოსანთან*, შესაძლებელია (უფრო ზუსტად: არაა გამორიცხული), რომ *ციმბელინის ვეფხისტყაოსანთან* გამოვლენილი კავშირით იქნას ახსნილი.

დასკვნისათვის

უილიამ შექსპირის პიესა *ციმბელინი*, რომელიც დიდი ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის ქრონოლოგიურად ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია, ლიტერატურულ წყაროდ იყენებს გვიანდელი შუასაუკუნეების რაინდული ლიტერატურის ტიპის რომანს, ქართველი პოეტის შოთა რუსთველის პოემის *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტს. ეს ლიტერატურული მიმართება გამოვლენილია როგორც იდეურ-თემატური კავშირით ამ ორ ნაწარმოებს შორის (სამეფო კარის ინტრიგა: ტახტის მემკვიდრეობის საკითხის დასმა მეფის ერთადერთი მემკვიდრე ქალიშვილის საქმროს ძიებით) და დასმული პრობლემის შექსპირისეული ტრაგიზმის სტილიდან განსხვავებული გადაწყვეტით (ზედნიერი დასასრული და სამეფო ტახტის დინასტიური მემკვიდრისათვის შენარჩუნება), ასევე სიუჟეტის განვითარების სტრუქტურით (სამეფო კარის ინტრიგის სასახლის გარეთ - სხვა ქვეყანაში და მთებსა თუ ტყეში გადატანა), მთავარი პერსონაჟის მხატვრული სახით, ხასიათით (თავისი უფლებებისა და მაღალი ადამიანური ემოციების გამარჯვებისათვის მებრძოლი ქალის ჰეროიკული მხატვრული

სახე), ჰიპერბოლური სიმტკიცის და სენტიმენტალური შეფერილობის ჰეროიკული სიყვარულის ხატვით და სიუჟეტის პრინციპული დეტალებით (ტახტის მემკვიდრეთა მრავალი წლის მანძილზე გამოქვაბულში ცხოვრება და სასახლის მრავალი წლის წინანდელი ინტრიგის გამოქვაბულში მბობა, გასამეფებელი ქალიშვილისათვის ზედსიძედ მოაზრებული პერსონაჟის მოკვლა ტახტის მემკვიდრის მიერ, ტახტის მემკვიდრე ქალიშვილის მიერ ბავშვობაში მასთან ერთად მეფის აღზრდილი, თავისი ღირსებებით გამორჩეული სამეფო კარის ქვეშევრდომის შეყვარება), თუ სხვა ცალკეული ნიუანსების დამთხვევით.

შექსპირის მიერ *ციმბელინის* სიუჟეტისათვის *ვეფხისტყაოსნისეული* ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბის გამოყენება არაა მოულოდნელი, რამდენადაც იგივე ამბავი ნაცნობი იყო ამ პერიოდის ინგლისის სამეფო დასის სხვა დრამატურგთათვისაც. კერძოდ, იმავე რუსთველისეულ სიუჟეტზეა დაფუძნებული შექსპირის უმცროსი თანამოკალმეების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის იმ პერიოდის ინგლისის თეატრალურ წრეებში ძალზე პოპულარული პიესები *ფილასტერი* და *მეფე და არა მეფე*.

იმ გზათა შორის, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოში ძალზე პოპულარულ რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ამბავს მიეღწია XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის დრამატურგთა წრემდე, ყველაზე სარწმუნოდ უნდა იქნას მიჩნეული სპარსეთში შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე უაღრესად დაწინაურებულ ქართული წარმოშობის დიდვეზირთა ინიციატივით ამ ამბის გაგზავნა ევროპისაკენ XVI საუკუნის დამლევს ცნობილი დიპლომატის ანტონი შერლის მეთაურობით სპარსეთის სამეფო კარზე დიდი ხნით ჩამოსულ ინგლისელ დიპლომატთა და მოგზაურთა ექსპედიციის მეშვეობით. ალავერდი ხანი უნდილაძე, რომლისაგანაც უნდა მოდიოდეს ეს ინიციატივა, შაჰის კარზე უაღრესად სანდო და დაწინაურებული ქართული ეროვნული ინტერესების მქონე და მზიგნობრობის მფარველი და მოყვარული დიდი ვეზირია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ანტონი შერლისთან. ანტონი შერლის

სპარსული ექსპედიციის მფარველები და დამფინანსებლები იყვნენ მასთან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ინგლისის ცნობილი გრაფები, თავიანთი მხრივ, დიდად მოყვარულნი სამეფო თეატრალური დასისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ამ გრაფთა საზოგადოებასთან კავშირი აქვს შექსპირს, რომლის შემოქმედებაში ჩანს ანტონი შერლის მოგზაურობის ფაქტების ცოდნა.

რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ამბის საქართველოს საზღვრებიდან ევროპაში ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში გასვლის, ინგლისის მაღალ ინტელექტუალთა წრეებში მისი პოპულარობის და შექსპირის მიერ მისი ლიტერატურულ წყაროდ გამოყენების ფაქტის გამოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-ლიტერატურული პროცესის თვალსაზრისით. ეს გარემოება სრულიად ახალ პერსპექტივებს წამოჭრის შუასაუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის ევროპულ სამყაროსთან მიმართების შესწავლის მიმართულებით.

XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისური დრამატურგიის მიერ ლიტერატურულ წყაროდ გვიანდელი შუასაუკუნეების ქართული თხზულების - რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* გამოყენების დამტკიცება ნათელს ჰფენს ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის მიერ უკვე საუკუნეების მანძილზე საკვლევად ქცეულ და გადაუწყვეტელ პრობლემებს: შექსპირის *ციმბელინის,* ზომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერის* და *მეფე და არა მეფის* ერთმანეთთან მიმართების და მათი სიუჟეტური წყაროების საკითხებს; ახალ პერსპექტივას შლის XVII საუკუნის პირველი ათწლეულის ინგლისურ დრამატურგიაში წარმოშობილი ახალი ლიტერატურული სტილის შესასწავლად.

თავისუფალი განსჯანი და ვარაუდები

წინამდებარე გამოკვლევის შედეგები, ისევე როგორც მთელი კვლევა–ძიება, უპირველეს ყოვლისა ფილოლოგიური ხასიათისაა, ლიტერატურული ტექსტების ანალიზს და

ერთმანეთთან შეპირისპირებას ემყარება. მაგრამ წამოჭრილი პრობლემები, ბუნებრივია, რომ კვლევის არეალში ჩაითრევს ისტორიულ ასპექტსაც. იმ პირობებში, როცა ამ 400 წლის წინანდელ კონკრეტულ ფაქტებზე არავითარი უშუალო მინიშნება არაა არც ქართულ წყაროებში და არც ინგლისურ საისტორიო მემკვიდრეობაში, საკითხის კვლევის საისტორიო ნაწილი მოსალოდნელია, რომ იყოს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეტური და ვარაუდის სახით მოწოდებული. მაგრამ ვარაუდი *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის ინგლისის დრამატურგთა წრესთან მიღწევის გზაზე მე სარწმუნო ვარაუდად მივიჩნიე მისი ძირითადი კომპონენტების სიმაერისა და საფუძვლიანობის გამო. ამავე დროს დასმული პრობლემის მასშტაბურობამ საკითხთა მთელი წყება წამოჭრა, რომლებზეც სარწმუნო ვარაუდების, ან საზოგადოდ რაიმე აზრის გამოთქმა ჭირს ფაქტობრივი მასალის სიმწირის გამო. მიუხედავად ამისა, მე საჭიროდ მიმაჩნია, ყურადღება მივაქციო ზოგიერთ საკითხს, რომელიც ამ პრობლემაზე მუშობისას ჩემ წინაშე კითხვის სახით დაისვა.

უპირველეს ყოვლისა ჩნდება კითხვა: რა სახის მასალით შეეძლოთ ესარგებლათ ინგლისელ დრამატურგებს (შექსპირს, ბომონტს, ფლეტჩერს)? როგორ უნდა გაცნობოდნენ ისინი *ვეფხისტყაოსნის* ტექსტს? არაა დასაშვები, რომ რომელიმე ინგლისელი დრამატურგი რუსთველის პოემას ქართულ ორიგინალში იცნობდეს. შესაძლებელია ვივარაუდოთ ან ქართველ, ან ქართული ენის მცოდნე კონსულტანტთან თანამშრომლობა. ცნობილია, რომ ცნობები ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე XVIII საუკუნის გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესად სწორედ ქართველ კონსულტანტთა მეშვეობით შედიოდა [16; 17]. ქართველ სწავლულებთან თანამშრომლობით შეიქმნა საქართველოს შესახებ პირველი მეცნიერული მონოგრაფია თვით XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთში [19]. ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ ინგლისელ დრამატურგთა წრეში ნესტანის და ტარიელის სიყვარულის *ვეფხისტყაოსნისეული* ამბის უკვე ინგლისურ ენაზე თარგმნილი ფორმით მიტანა. არაა მოულოდნელი ასეთი სამუშო თარგმნილი ვერსიის, თუ

ჩანაწერის შექმნა ინგლისური ექსპედიციის წევრთა, პირადად თვით ანტონი შერლის, თანამშრომლობით შაჰის კართან დაახლოებულ ქართული წარმოშობის არისტოკრატიასთან. თუმცა ამგვარი სავარაუდო ჩანაწერი, თუ ვერსია *ვეფხისტყაოსნის* ამბისა (თუ იგი მართლაც არსებობდა) არ იქნებოდა მოკლე თხრობა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორიისა. ინგლისურ დრამატურგიაში ჩანს *ვეფხისტყაოსნის* არა მხოლოდ სიუჟეტური ქარგის, არამედ ტექსტის ცალკეული ეპიზოდების დეტალური ცოდნა. მაგალითად: ნადირობისას წყლის პირას მტირალი უცხო მოყმის პოვნა; მეფის ასულის მიერ სატრფოსთან წერილით მოახლის გაგზავნა და თან იმაზე სიტყვის ჩამოგდება, რომ მოახლე შეიძლებოდა საყვარლად მისულიყო; მთავარი გმირის მიერ თავისი სატრფოს გარდაცვლილად წარმოდგენა და მისი მონოლოგი, სატრფოსკენ მისწრაფების სურვილის გამოხატვით; მინიშნება *ვეფხისტყაოსნის* ძირითადი პერსონაჟის (ნესტანის) თვით სიმბოლურ სახელზე; *ვეფხისტყაოსნის* ზოგი, თითქმის უმნიშვნელო, დეტალის ზუსტი განმეორება (სასახლის დიდებულის ახალშობილის ვაჟის შვილად აყვანიდან ხუთი წლის შემდეგ დედოფლის დაორსულებაზე მითითება...) და სხვა. თუ დავუშვებთ, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამგვარად გადამუშავებული უცხოენოვანი ვერსიის არსებობას, მაშინ იმის შესაძლებლობაც არაა გამორიცხული, რომ ეს ვერსია გამოსულიყო ინგლისელ დრამატურგთა ლაბორატორიიდან და რაიმე ფორმით (ან მის შესახებ ცნობის სახით მაინც) დღემდე იყოს შემორჩენილი, მაგრამ ჩვენთვის უცნობი.

ვფიქრობ, ერთი განმარტებაცაა საჭირო: მე უპირატესად ვლაპარაკობ მხოლოდ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავზე და არა მთლიანად *ვეფხისტყაოსანზე*, რამდენადაც ინგლისელ დრამატურგთა თხზულებებში *ვეფხისტყაოსნის* მხოლოდ ამ ციკლის გამოყენება ჩანს. ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია ინგლისელ ინტელექტუალთა წრეში შეღწევა *ვეფხისტყაოსნის* ჩვენთვის უცნობი რომელიმე ენაზე შესრულებული თარგმანისა; მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დაუდასტურებელი ცნობა რუსთველის თხზულების

(უფრო კონკრეტულად, ერთი ლექსის) ადრინდელ საუკუნეებში შესრულებული არაბული თარგმანის შესახებ [45; იხ. 9, გვ. 22].

წინამდებარე თავისუფალი განსჯა *ვეფხისტყაოსნის* ამბის ინგლისის ინტელექტუალთა წრეში შეღწევის თაობაზე არ ემსახურება დამატებითი არგუმენტების მოპოვებას იმ ფაქტის სამტკიცებლად, რომ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტს ლიტერატურულ წყაროდ იყენებენ XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისელი დრამატურგები. აქ მხოლოდ თავისუფალი მოსაზრებებია გამოთქმული კითხვების იმ რიგზე, რომელიც ჩემ წინაშე ამ პრობლემის კვლევის პროცესში დამატებით წამოიჭრა და რომელზედაც სათანადო ფაქტების უქონლობის გამო არგუმენტირებული პასუხი არ გაიცემა. მაგრამ საკითხთა ამ რიგის არსებობას და ჩემს, როგორც ამ პრობლემის პირველი მკვლევარის, ვარაუდებს ამ საკითხებზე მომავალ მკვლევართათვის, ვფიქრობ, რომ ექნება გარკვეული ღირებულება.

ამავე ტიპისაა თავისუფალი ვარაუდები, რომლებიც მინდა გამოვთქვა ზოგიერთ იმ კითხვაზე, რომელიც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის წინაშე დგას შექსპირის *ციმბელინთან* დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა, რომ როგორც *ციმბელინი,* ასევე ბომონტისა და ფლეტჩერის *ფილასტერიც* რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტზე არიან უშუალოდ დამოკიდებულნი, მე შემიძლია გარკვეული ვარაუდი გამოვთქვა *ციმბელინის* შექმნის თაობაზე, რომელიც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისათვის. თუმცა, ვიმეორებ, იგი ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში გაჟღერებულ ზოგიერთ ფაქტსა და ნიუანსზე დამყარებულ ჩემს თავისუფალ ფანტაზიას წარმოადგენს და არა აქვს უშუალო კავშირი იმ დებულების მტკიცებასთან, რომ *ციმბელინის* ლიტერატურულ წყაროს ნესტანისა და ტარიელის რომანი წარმოადგენს; ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტის არგუმენტირებისათვის ეს ვარაუდი არ არის მოაზრებული.

შევეცდები განვავითარო ჩემ მიერ უფრო სარწმუნოდ მიჩნეული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ შექსპირი თავის *ციმბელინში* ეყრდნობა რა *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტსაც, ამ უკანასკნელს გაეცნო XVI და XVII საუკუნეების მიჯნაზე ანტონი შერლის ექსპედიციის მიერ მოწოდებული მასალით (1600 და 1601 წწ.) მისი მეგობრის თუ სპონსორის საუთჰამპტონის გრაფის, ჰენრი რაისლის [24, გვ. 64] მეშვეობით, ან მის სალონში თუ საზოგადოებაში. ჩემი აზრით, *ციმბელინში* ჩანს საუთჰამპტონის თემატიკა:

ნაწარმოების ისტორიული ფონი ინგლისის ძველი ქრონიკების იმ მონაკვეთს ეფუძნება, რომელშიც ბრიტანეთის სამხრეთ–აღმოსავლეთ პროვინციების, დიდი წარსულის ჰეროიკული სული ჩანს. სწორედ ამ პროვინციების ძირითადი ბირთვი იყო ესექსისა და ჰემპშირის საგრაფოები, რომელთა მმართველები ანტონი შერლის ნათესავები და დამფინანსებლები არიან (ესექსის გრაფი რობერტ დევერეუქსი და ჰემპშირის დიდი ქალაქის და სამხრეთ–აღმოსავლეთ ბრიტანეთის უმთავრესი პორტის საუთჰამპტონის გრაფი ჰენრი რაისლი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფე კუნობელინუსი (Cunobelinus), თუ კიმბელინუსი (Kymbelinus), რომლის სახელის ვარიაციაა შექსპირის ციმბელინი, იყო I საუკუნეში სამხრეთ–აღმოსავლეთ ინგლისის უმთავრესი ნაწილის რომაელებთან დაახლოებული მეფე (*History of the Kings of Britain* by Geoffrey of Monmouth. Book 4,11). *ციმბელინში* იხსენიება ამავე ისტორიული სამეფოს უფრო ლეგენდარული გმირი მეფე კასიბელანუსი (Cassibelanus), რომელიც კიმბელინუსის უწინარეს მეფობდა (*History*, B.4. 2-10). შექსპირი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, იმოჯენის სატრფოს – პოსტუმუს ლეონატუსის ღირსეულ წარმომავლობაზე იმით მიუთითებს, რომ მისი მამა ომში ახლდა ამ ლეგენდარულ მეფე კასიბელანუსს (მოქმ. I, სცენა I)[1]. უფრო მეტიც, თანახმად ჯოფრეის „ისტორიისა", რომელზედაც აუგია შექსპირს *ციმბელინის* ქარგა, ომი რომაელებთან კიმბელინუსის შვილებმა გვიდერიუსმა და არვირაგუსმა

[1] "I Cannot delve him to the root; his father was call'd Sicilius, who did join his honour against the Romans with Cassibelan" [39, p. 14].

წამოიწყეს. (შექსპირს ისინი მოქმედ პერსონაჟებად შემოჰყავს, მაგრამ მათ ჯოფრეისეულ ისტორიას არ იყენებს). ამჯერად მე იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რომ ამ „ისტორიის" მიხედვით, რომაელთა იმპერატორს კლავდიუსს ბრიტანელთა წინააღმდეგ ომში სარდლად ახლდა ლევის ჰამო (Leuis Hamo), რომელიც არვირაგუსმა სამხრეთ სანაპიროსთან ალყაში მოაქცია და მოკლა. ისტორია აგრძელებს, რომ ამის შემდეგ ამ ნავსადგურს დაერქვა ჰამოს პორტი, რომელსაც დღესაც ჰქვია *ჰამდან* ნაწარმოები სახელი საუთჰამპტონი (*History*, B. 4, 13)[2]. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ საუთჰამპტონის გრაფის წრეში მოპოვებული ლიტერატურული წყაროს მიხედვით შექმნილ პიესას შექსპირი საუთჰამპტონის ლეგენდარული ისტორიის საფუძველზე აგებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ შექსპირის მიერ პიესა *ციმბელინში* ინგლისის ქრონიკებიდან იმ მონაკვეთის გამოყენება, რომელიც ქალაქ საუთჰამპტონის დაარსების ლეგენდარულ ცნობას შეიცავს, მიგვანიშნებს, რა თქმა უნდა არა უშუალოდ, მაგრამ მაინც, მის მეგობარ საუთჰამპტონის გრაფზე, რომლის მეშვეობით, ან რომლის საზოგადოებაშიც, ჩემი ვარაუდით, უნდა გაცნობოდა შექსპირი იმ ლიტერატურულ წყაროს, რომლის თემატური სტრუქტურის მიხედვით შექმნა მან ეს პიესა (*ციმბელინი*).

შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში ციმბელინის შექმნის სავარაუდო თარიღი 1608-10 წლებში მერყეობს. ისიც აღნიშნულია, რომ არგუმენტები ამ თარიღის დასაზუსტებლად არ ჩანს, თუმცა ვარაუდების დონეზე მისი დაზუსტება შესაძლებელია [22a]. მე შესაძლებლად მიმაჩნია ასეთი ვარაუდის გამოთქმა:

შექსპირს *ციმბელინის* მონახაზი შექმნილი უნდა ჰქონდეს სანამ დამარცხდებოდა ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფების შეთქმულება დედოფალ ელისაბედ პირველის წინააღმდეგ. მაგრამ მას იგი შემდგომი დამუშავების გარეშე უნდა მიეტოვებინა, რაც მისი მეგობარი თუ მფარველი

[2] "Arviragus... pursued him with all speed, ...till he overtook him on a part of the seacoast, which, from the name of Hamo is now called Southampton... Arviragus came upon him unawares, and forthwith killed him. And ever since that time the haven has been called Hamo's port" (Geoffrey of Monmouth, *History of the Kings of Britain*, B.4,13).

გრაფების სასტიკი დასჯით და შეთქმულთა რეპრესირებით უნდა იყოს განპირობებული. ცნობილია, რომ გარკვეული შეზღუდვები თვით სამეფო თეატრალური დასის წინააღმდეგაც განხორციელდა, რაც იმითაც დასტურდება, რომ დედოფალ ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა ჯეიმს პირველმა (მანამდე შოტლანდიის მეფემ) ლონდონში ჩამოსვლიდან ათი დღის თავზე უკვე გამოსცა ბრძანება სამეფო თეატრალური დასისათვის პატენტის გასაცემად, რომლის ძალითაც სამეფო თეატრალური დასის მსახურთ (ლორენს ფლეჩერს, უილიამ შექსპირს და სხვებს) ნება ეძლეოდათ თავისუფლად გამოეყენებინათ თავიანთი ხელოვნება დრამატურგიულ და თეატრალურ საქმიანობაში [7, გვ. V]. ანტონი შერლის ნება არ დართეს ინგლისში დაბრუნებულიყო [24, გვ. 84] და მისი ექსპედიციის შესახებ თვით პუბლიკაციებიც აკრძალული თუ შეზღუდული იყო [24, გვ. 61]. მოსალოდნელი იყო შექსპირის შევიწროვებაც, მაგრამ მისი დიდი სახელი სამეფო კარმა დაინდო [24, გვ. 66]. ცხადია შექსპირი 1601 წლის გასულიდან, შეთქმულთა დასჯის ხანიდან, 1603 წლამდე, მეფე ჯეიმსის გამეფებამდე, მოერიდებოდა თავისი შემოქმედების იმ ასპექტების წარმოჩენას, რომლებიც საუთჰამპტონის გრაფთან აკავშირებდა. რაც იმითაც დასტურდება, რომ მთელ ამ დროს იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე მუქი ფერებით იხსენიებს ჰენრი საუთჰამპტონის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ სონეტში (სონეტი 107).

ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის შეფასებით *ციმბელინის* ენა ღრმაა (შექსპირული – ე.ბ.), მაგრამ უხეში (დაუმუშავებელი – ე.ბ.) [34]. ამიტომაც მიაჩნია ეს ნაწარმოები ზოგიერთ კრიტიკოსს ავტორის მონახაზად, შავ ვარიანტად და არა დასრულებულ პიესად [32, გვ. 123]. ზოგი იმასაც ვარაუდობს, რომ შექსპირი ამ დაუჯერებელ, აბსურდულ ამბებს ზედაპირულ მონახაზებად წერდა საკუთარი გართობისათვის [41, გვ. 64]. *ციმბელინისა* და *ფილასტერის* პარალელების ცნობილი მკვლევარი ა. თორნდაიკი, რომელიც შექსპირის პიესას *ფილასტერზე* დამოკიდებულად მიიჩნევს, შესაძლებლად თვლის დაუშვას, რომ შექსპირს იგი ადრე შავ

ვარიანტად ექნებოდა დაწერილი და შემდეგ შეავსებდა *ფილასტერიდან* აღებული სცენებითო [43, გვ. 158]. იმის გამოვლენა, რომ როგორც *ფილასტერი*, ასევე *ციმბელინი* დამოუკიდებლად ამყარებს მიმართებას რუსთველის *ვეფხისტყაოსანთან*, შექსპირის მიერ თავისი პიესის ადრინდელი ვარიანტის მოგვიანებით *ფილასტერის* მიხედვით შევსების თუ გადამუშავების ვარაუდს საფუძველს აცლის.

ჩემი აზრით, არაა გამორიცხული იმის ვარაუდი, რომ *ციმბელინი* ბევრად უფრო ადრე იყო დაწერილი, ვიდრე იგი ინგლისის თეატრალურ სცენებზე გამოჩნდებოდა. შეიძლება ამიტომაც ჩანს *ციმბელინში* შექსპირის ტრაგედიების ადრინდელი ხელწერა. მაგალითად სასიძოს მოკვლა (მოქ. IV, სცენა 2) და არა ტრაგიკომედიის ჟანრისთვის უფრო სპეციფიკური – თავის არიდება ძირითად პერსონაჟთა სიკვდილისაგან (როგორც ეს პარალელურ სიტუაციაში ხდება *ფილასტერში* და *მეფე და არა მეფეში)*. ამიტომაც იყო *ციმბელინი* სახელდებული ადრინდელ პუბლიკაციებში ტრაგედიად (პირველი ფოლიო, 1623წ.). ისიც შეინიშნება, რომ კომიკური ელემენტი პიესაში ბევრად უფრო მკრთალია, ვიდრე ტრაგიკომედიის ჟანრისთვის იყო მოსალოდნელი (ყოველ შემთხვევაში გაცილებით სუსტადაა, ვიდრე *ფილასტერსა* და *მეფე და არა მეფეში*). უფრო მეტიც, შენიშნულია, რომ პიესა არ მისდევს ბატისტა გუარინის ტრაგიკომედიის კანონებს [27, გვ. 31,32][1], რომელიც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის თანახმად, ბომონტისა და ფლეტჩერის თეორიულ სახელმძღვანელოდაა მიჩნეული და მათი გზით თვით შექსპირის ბოლო პერიოდის დრამატულ შემოქმედებაშიც ხედავენ მის კვალს [27, გვ. 26]. *ციმბელინში* იმდროინდელი ინგლისური დრამატურგიის ახალი სტილის ელემენტები აშკარად ჩანს; მაგრამ, ჩემი

---

[1] იტალიელმა პოეტმა და დრამატურგმა ჯამბატისტა გუარინიმ (Giambattista Guarini//Gian Battista Guarini – 1537-1612)თავისი ცნობილი პიესით „ერთგული მწყემსი" (*Il pastor Fido*) და თეორიული ესსეით „ტრაგიკომიკური პოეზიის მოკლე ანთოლოგია" (*Compendio della poesia tragicomica*) პოპულარული გახადა იმ დროისათვის ახალი დრამატული სტილი – პასტორალური დრამა.

აზრით, ეს არის არა ფლეტჩერის ახალი სტილის (ანუ ტრაგიკომედიის) მიბაძვა, არამედ ავტორისეული სვლა ტრაგედიიდან რომანსისაკენ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შექსპირის ეს ადრე დაწერილი, მაგრამ სათანადოდ დაუმუშავებელი პიესა თეატრალურ დასთან უფრო გვიან მივიდა და მის სასცენარო რეპერტუარში შესატანად სხვა ავტორის ხელიც გახდა საჭირო. იმასაც ფიქრობენ, რომ ზოგიერთი სცენა (მოქ. III სცენა 7; მოქმ. V სცენა 2) სხვა ავტორის მიერ უნდა იყოს ჩართულიო [20].

ჩემი აზრით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ შექსპირის ხელთ (თუ წრეში) არსებული ლიტერატურული წყარო (*ვეფხისტყაოსნისეული* ამბავი) უფრო გვიან (ესექსისა და საუთჰამპტონის გრაფთა პროცესის მეტ–ნაკლებად მივიწყების შემდეგ) აღმოჩნდა ახალგაზრდა დრამატურგების ბომონტისა და ფლეტჩერის ხელში. ამიტომაც სავარაუდოა, შემდგომში ამ ლიტერატურულ წყაროზე ახალგაზრდა დრამატურგთა უფრო ხანგრძლივი მუშაობა. ასევე სავარაუდოა, დაახლოებით ერთდროულად გამოჩენა და, ისიც შეიძლება, სხვადასხვა თეატრალური დასისათვის გამიზნულად მომზადება ამ ორი პიესისა, ერთი მხრივ, *ფილასტერის* და, მეორე მხრივ, *ციმბელინისა* [იხ. 34]. ამ უკანასკნელის კი – შექმნიდან ბევრად უფრო მოგვიანებით.

უნდა გავიმეორო: ეს ჩემი თავისუფალი ვარაუდები არ ემსახურება *ციმბელინის ვეფხისტყაოსანთან* მიმართების არგუმენტირებას. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ შექსპირის საკმაოდ უცნობი და ბუნდოვანი ბიოგრაფიის მკვლევართათვის ისინი მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. მაგრამ იმ ვარაუდების დაფარვა, რომლებიც მე ამ საკითხზე მუშაობისას აზრად მომდიოდა, არ ჩავთვალე საჭიროდ. ისინი შეიძლება მომავალში აღმოჩნდეს საინტერესო *ციმბელინის* პრობლემატიკით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევარისათვის. მით უმეტეს, რომ ეს ვარაუდები იმ სიახლის შემდეგაა მოაზრებული, რაც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისათვის მანამდე უცნობი ფაქტი გამოვლინდა: *ციმბელინის* ერთი მნიშვნელოვანი

ლიტერატურული წყაროა შუასაუკუნეების რუსთველისეული რომანი – ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი.

ამ ვარაუდებს მინდა დავურთო ჩემი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ არგუმენტირება შექსპიროლოგიური ძიებების ამ სიახლისა – *ციმბელინის* მნიშვნელოვანი თემატურ–იდეური და კომპოზიციური წყარო რომ *ვეფხისტყაოსანია* – არ არის დამოკიდებული შექსპირის ბუნდოვანი ბიოგრაფიის პრობლემატიკაზე. ჩემი არგუმენტირება ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისაა და ემყარება *ციმბელინის* თემატურ, იდეურ, კომპოზიციურ და მხატვრულ–ესთეტიკურ მიმართებებს *ვეფხისტყაოსნის* ტექსტთან, ერთი მხრივ, უშუალოდ და, მეორე მხრივ, ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოვლენილი კავშირებით *ფილსტერთან*. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ჩემ მიერ სარწმუნოდ მიჩნეული ვარაუდი *ვეფხისტყაოსნის* ამბის ინგლისის დრამატურგთა წრეში ანტონი შერლის ექსპედიციის შესვლობით შედწევისა, შექსპირის სავარაუდო ბიოგრაფიათაგან რომელიმეზე იყოს დაფუძნებული. როგორც უკვე აღვნიშნე, ანტონი შერლის ექსპედიციის მასალები ინგლისის ინტელექტუალთა ფართო წრისათვის იყო ცნობილი და მის ადრესატთაგან ერთი გზა მიდიოდა ფრანსის ბეკონთანაც, რომლის ძალზე ფართო ინტელექტუალურ სამყაროსთან სამეფო თეატრალურ დასსა და დრამატურგებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. თვით ბეკონის ავტორობის თეორია შექსპირისეული თხზულებებისა, რომელიც XIX საუკუნიდან იღებს სათავეს [17a], ერთი ყველაზე პოპულარული იყო სხვა მრავალრიცხოვან თეორიათა შორის (სტრატფორდელი უილიამ შექსპირი, ფილოსოფოსი ფრანსის ბეკონი, პოეტი კრისტოფერ მარლო, ოქსფორდის გრაფი, საუთჰამპტონის გრაფი, დედოფალი ელისაბედი, მერი სიდნი ჰემბრუკი, რატლენდის გრაფი და მისი მეუღლე – როჯერ მანერსი და ელისაბედ სიდნი–რატლენდი...). არც ჩემი ვარაუდი – *ციმბელინის* წყაროდ *ვეფხისტყაოსნის* ამბის საუთჰამპტონის გრაფის საზოგადოებიდან სტიმულირებისა – ემყარება შექსპირის სავარაუდო ბიოგრაფიათა სიმრავლიდან მაინცადამაინც რომელიმეს. ეს წრე ინგლისის უაღრესად

მაღალი წოდების ინტელექტუალებს აერთიანებდა, რომელთათვის არც ბეკონის ფილოსოფიური საზოგადოების და არც დედოფლის სამეფო კარი არ იყო დახშული. ჩემი ვარაუდის საყრდენი ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ შექსპირის თხზულებათა რეალური ავტორი უახლოესი მეგობარია საუთჰამპტონის გრაფის ჰენრი რაისლის (მას უძღვნის რამდენიმე სონეტს და პოემას), რომელიც თავის მხრივ გრწყინვალე ახალგაზრდა არისტოკრატი და ინტელექტუალი იყო. ისიც შეიძლება დავმინოთ, რომ შექპიროლოგთა წრეებში დღეისათვის უაღრესად პოპულარული თეორიის მიხედვით, ეს საიდუმლოებით მოცული შექსპირი სწორედ საუთჰამპტონის გრაფის მეგობარი და თანამზრახველი რატლენდის გრაფი როჯერ მანერსი იყო, მის მეუღლე ელისაბედ სიდნი-რატლენდთან ერთად [21a; 24a]. ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეს სამივე პრეტენდენტი შექსპირის თხზულებათა ავტორობისა უმჭიდროვეს კავშირში იყვნენ ესექსის გრაფ რობერტ დევერუქსთან (როჯერ რატლენდი და ჰენრი საუთჰამპტონი მისი მეგობრები და უერთგულესი თანამზრახველები იყვნენ, ორივე მასთან, ერთად გაასამართლეს დედოფალ ელისაბედის წინააღმდეგ შეთქმულების გამო; ხოლო ელისაბედ სიდნი რატლენდი ესექსის გრაფის გერი იყო). ეს უკანასკნელი კი ანტონი შერლის ექსპედიციის ორგანიზატორი, დამფინანსებელი და კონტინენტიდან მოწოდებული შერლის გზავნილების უმთავრესი ადრესატი იყო.

დაბოლოს, მინდა ორიოდე სიტყვით გადმოვცე ჩემი შთაბეჭდილება, ერთი მხრივ, შექსპირის და, მეორე მხრივ, ბომონტისა და ფლეტჩერის ლიტერატურულ ხელწერაზე. ისინი ერთ სიუჟეტურ წყაროზე დამყარებით ქმნიან დრამატულ ნაწარმოებებს *(ციმბელინი, ფილასტერი, მეფე და არა მეფე)*, რომლებმაც თანდათანობით ახალი სტილისა და კომპოზიციის პიესები დაამკვიდრეს ინგლისის თეატრალურ სცენებზე. როგორია მათი დამოკიდებულება წყაროსადმი? *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტური ქარგისადმი შექსპირის მიმართებაში ჩანს დიდი ხელოვანი, დიდი დრამატურგი, რომელიც მისგან იღებს არა ამბავს – ნარატივს, არამედ

თემატურ კომპოზიციას, იდეურ ჩანაფიქრს, სიუჟეტის სვლას თუ მიმოხვრას: ტახტის დინასტიური მემკვიდრეობის შენარჩუნება; მეფის ერთადერთი ასულის მიერ საქმროს არჩევა დამოუკიდებელი ნებით და არა სამეფო კარის ინტერესით; ამბის დაწყება მეფის სასახლეში, მისი გადატანა ბუნებაში და დაბრუნება სასახლეში; იდეალური და ჰეროიკული პერსონაჟი ჩახლართულ და ნაკლებად რეალურ სიტუაციებში; ბედნიერი დასასრული, ყველა პრობლემის მოგვარებით. *ციმბელინი* თავისი სტილით აშკარად განსხვავდება შექსპირის მთელი დრამატურგიული მემკვიდრეობისაგან. შენიშნულია, რომ იგი არის ყველაზე მეტად ორიგინალური და თავისებური პიესა, რომელიც კი შექსპირს ოდესმე შეუქმნია [27, გვ. 30].[1] ბომონტისა და ფლეტჩერის ტანდემი, როგორც ნიჭიერი, მაგრამ ახალბედა დრამატურგები, ლიტერატურული წყაროდან იღებენ ამბავს, ნარატივს; თითქოს მის თეატრალიზაციას ახდენენო, და მასში შეიტანენ საკუთარ მხატვრულ თუ იდეურ ნიუანსებს და ინოვაციებს, ასევე კომიკურ სიტუაციებს. მათი პიესების წარმატება უპირატესად ამბის არაორდინალურობით, თანაც მწყობრი სტრუქტურით, ასევე, ახალი ჟანრის თეორიული სქემის მომარჯვებით (გუარინის კანონები პასტორალური ტრაგიკომედიისათვის) და ავტორთა დახვეწილი გემოვნებითაა განპირობებული. მათი პოპულარობის დაკარგვა და თანდათანობით თვით ავტორთა მივიწყებაც, რაც ძირითადად XIX საუკუნეში მოხდა, ერთი მხრივ, ამ ჟანრის მოდიდან გამოსვლით და, მეორე მხრივ, შექსპირის ეპოქის დიდი დრამატურგიის უფრო ღრმა მხატვრულ–ესთეტიკური და ფილოსოფიური ანალიზით უნდა იყოს განპირობებული.

Post scriptum

წინამდებარე გამოკვლევაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი სიახლეა როგორც ინგლისური, ასევე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. როდის და რა ადგილს დაიჭერს იგი ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში, ამაზე

[1] David L.Hirst: "*Cymbeline* in one of the most original and unusual plays Shakespeare ever wrote."

ვარაუდის გამოთქმა თან ძნელია და თანაც ჩემს კომპეტენციას დაშორებული. რაც შეეხება ქართული ლიტერატურის ისტორიას, ამ ახალგამოვლენილმა ფაქტმა მასში მნიშვნელოვანი ადგილი ამთავითვე უნდა დაიჭიროს. საქმე ისაა, რომ მთელი ადრინდელი შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურული აზროვნება დასავლური ორიენტაციისაა. თავისი თემატიკით, იდეალით და მხატვრული გამოსახვის სტილით ასეთია უმდიდრესი ქართული სასულიერო მწერლობა. ქართული საერო ლიტერატურა კი XII საუკუნიდან აგრძლებეს ქრისტიანული მწერლობის პროცესს იმ მიმართულებით, რომლითაც განვითარდა იგი იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპის სინამდვილეში; მხოლოდ იმ სპეციფიკით, რომ აღმოსავლურ თემატიკას შუასაუკუნეების ქრისტიანული და ანტიკური ფილოსოფიის იდეალით დატვირთავს და ევროპული ცივილიზაციის რენესანსულ პერსპექტივაში მიუჩენს ადგილს. რუსთველის შემოქმედება ამ პროცესის უმაღლესი გამოვლინებაა. და თუ აქამდე (უფრო ზუსტად, რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის ინგლისურ დრამატურგიაში შეღწევის გამოვლენამდე) ქართული ლიტერატურათმცოდნეობა რუსთველის ლიტერატურული და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ აზროვნებასთან მხოლოდ თვისობრივ მიმართებაზე მსჯელობდა, ამიერიდან ევროპულ ლიტერატურულ პროცესში მის ადგილზეცაა საჭირო ყურადღების გამახვილება.

არც იმგვარად უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ლიტერატურული ფაქტის გამოვლენასთან – *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტი ლიტერატურულ წყაროდაა გამოყენებული შექსპირის და ბომონტ–ფლეტჩერის პიესებში. საქმე ისა, რომ ამ პიესებში – *ციმბელინი, ფილასტერი, მეფე* და *არამეფე* – ძალზე ადრინდელი გამოვლენა ჰპოვა ინგლისური დრამატურგიის ახალმა ლიტერატურულმა სტილმა – ტრაგიკომედიამ ეგრეთ წოდებული "ვეფი ენდით", რომელიც მომდევნო საუკუნეებში ევროპული ლიტერატურული აზროვნების საერთო სტილზე ახდენს გავლენას და ისეთ შორეულ ორიენტირებშიც გამოჩნდება, როგორებიცაა

შემოქმედება ჰენრიკ იბსენის, ავგუსტ სტრინდბერგის, გერჰარდ ჰაუპტმანის, ანტონ ჩეხოვის. საქმე იმგვარად არ უნდა წარმოვსახოთ, თითქოს *ვეფხისტყაოსანმა* შეიტანა ინგლისურ დრამატურგიაში ტრაგიკომედიის სტილი. ეს სტილი იმ პერიოდის ევროპულ ლიტერატურულ აზროვნებაში უკვე თეორიულადაც იყო მოაზრებული და პრაქტიკულადაც გამოვლენილი. მასთან რუსთაველის პოემას კავშირი არა აქვს. მაგრამ *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტმა ევროპულ ლიტერატურაში ის თემატიკა და იდეალები მოიტანა, რომლებიც ამ ახალი ლიტერატურული სტილის ინგლისის დრამატურგიაში დამკვიდრების თავდაპირველ ეტაპზე უადრესად წარმატებული მასალა აღმოჩნდა. ამ ფაქტმა ევროპული ლიტერატურული პროცესის სხვა ნიუანსიც წარმოაჩინა. ახალ ლიტერატურულ პროცესში გვიანდელი შუასაუკუნეების თემატიკისა და იდეალების გადმოსვლა და გარდასახვა გამოვლინდა. და ეს რუსთაველის *ვეფხისტყაოსნის* ბაზაზე მოხდა.

დასასრულს, ჩემი ორიოდე სურვილი მინდა გავამჟღავნო: ამ პრობლემებს სჭირდება მომავალი მკვლევარები, რომლებიც ინგლისურ და მთელ ევროპულ ლიტერატურას ამ კუთხით შეისწავლიან. მომავალი კვლევა მკაცრი მეცნიერული ინტერესითა და პრინციპებით უნდა იქნას წარმართული და მაქსიმალურად დაშორებული პატრიოტული სტიმულით წახალისებული დილეტანტური დასკვნებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადრიძე, შ., კეწჭოშვილი, ი., *„ტიტუს ანდრონიკუსი – თამარი თუ ტამორა“, ქართული შუასპირანა,* 3. თბ. 1972, გვ. 88–103.
2. ბარამიძე, ა., „ნესტანი“: *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* I, თბ. 1945, გვ. 181–203.
3. ბერიძე, ვ., *მოგონებები,* „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1987.
4. გოგიაშვილი, გ., „მივიწყებული წარსულის საიდუმლო“, გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“* #232, 14 დეკემბერი 2010 წ.
5. ნოზაძე, ვ., *ვეფხისტყაოსნის მზისმტყველება,* სანტიაგო დე ჩილე 1957.

6. სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი*, IV.2. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1966.
7. ყასაშვილი, ნ., „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“, *უილიამ შექსპირი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*, I. „ხელოვნება“, თბ. 1983. გვ. I-XXXII.
8. შექსპირი, უილიამ, *ჰერიკლე, მეფე ტვიროსისა, ციმბელინი* (თამარ ერისთავის თარგმანი), „ჰალიტრა L“, თბილისი 2013.
9. ხინთიბიძე, ე., *ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში*, „ქართველოლოგი“, თბ. 2003.
10. ხინთიბიძე, ე., „*ვეფხისტყაოსნის* უძველესი კვალი ევროპულ ლიტერატურაში“, ჟურნ. *ქართველოლოგი*, #14, 2007.
11. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში*, „ქართველოლოგი“, თბ. 2008.
12. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი საფარი*, „ქართველოლოგი,“ თბ. 2009.
13. ხინთიბიძე, ე., „რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* – კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სეფიანთა ირანის ქართველები“, ჟურნ. *ქართველოლოგი*, #16, 2011.
14. ხინთიბიძე, ე., „*ვეფხისტყაოსანი* XVII საუკუნის ინგლისში“, *მეექვსე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბ. 2011.
15. ხინთიბიძე, ე., „*გზა – რომლითაც უნდა მისულიყო ვეფხისტყაოსნის* ამბავი XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ინგლისში“, *საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები (ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები)*, თბილისი 2012.
16. Adler, J.G., *Museum cuficum Borgioanum Velitris*, Romae 1782.
17. Alter, F.K., *Über georgianische Literatur*, Wien 1798.
17a. Bacon, D.S., *The philosophy of the plays of Shakespeare*, N.Y., 1856.
18. Beaumont, Francis and Fletcher, John, *Philaster or, Love lies a-bleeding* (edited by Andrew Gurr), Manchester University Press, Manchester and New York 2003.
18a. Bergeron, D. M., "*Cymbeline:* Shakespeare's Last Roman Play", http://www.jstor.org/stable/2869367
19. Болховитинов, Евгений, *Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном её состоянии*, СПб 1802.
20. "Cymbeline": <http://en.wikipedia.org/wiki/Cymbeline>.
21. Debelius, W., "Zur Stoffgeschichte des Titus Andronikus", *Jahrbuch der deutschen Shakespeare – Gesellschaft*, #48, 1912, S. 1-12.
21a. Demblon, C., *Lord Rutland est Shakespeare*, Paris 1912.

22. Dryden, John, "The Grounds of Criticism in Tragedy", *The Works of John Dryden,* V-VI (Edited by Walter Scott). London 1808.
22a. Forsyth, J., Introduction. Ed. *Cymbeline:* http://internetshakespeare.uvic.ca/Annex/Texts/Cym/intro/GenIntro/default/
23. "Francis Bacon" – <http://en.wikipedia.org/wiki/Francis-Bacon>.
24. Ghani, C., *Shakespeare, Persia, and the East.* "Mage Publishers", Washington 2008.
24a. Гилилов И., *Игра об Уильяме Шекспире, или Тайна великого феникса, Москва 1997.*
25. Gurr, A., "Introduction", *Philaster or, Love Lies A-Bleeding* (by F.Beaumont and J.Fletcher), Edited by Andrew Gurr. Manchester University press, Manchester and New York 2003, pp. XIX-LXXXIII.
26. Highet, G., *The Classical Tradition.* Oxford University Press, 1949.
27. Hirst, D., L., *Tragicomedy.* "Methuen", London and New York 1984.
28. Hoeniger, F.D., "Two Notes on Cymbeline", *Shakespeare Quarterly,* Vol. 8, No. 1 (Winter, 1957).
29. Khintibidze, E., *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literatur,* "Bennett and Bloom", London, 2011.
30. Khintibidze, E., "Rustaveli's The Man in the Panther Skin, Cultural Bridge from East to West", *Georgia. Previous Experiences Future Prospects.* Tehran, 2011.
31. Kokeritz, H., 'Five Shakespeare Notes', *The Review of English Studies,* OS-XXIII (92), Oxford University Press, 1947.
32. Курошева, А.И., «Примечания», *Уильям Шекспир, Полное собрание сочинений, в восми томах,* т. VII (Цимбелин. Перевод и Примечания А. И. Курошевой), М. 1949.
33. Leonhardt, B., "Über Beziehungen von Beaumont und Fletcher's *Philaster, or Love Lies-a-Bleeding* zu Shakespeare's *Hamlet* und *Cymbeline*", *Anglia,* vol. 8. 1885.
34. Milner, C., "Shakespeares Tragic Comedies. Cymbeline", *<http://www.netplaces.com/shakespeare/shakespeares-tragic-comedies/cymbeline.htm>*
34a. Muir, K., *The Sources of Shakespeare's Plays,* Routledge Library Editions, 2005.
35. Nosworthy, J. M., "Preface in *Cymbeline.* Second Series", <http://books.google.com/books?id=mxGM3uMrNZ8C&pg=PR24>.
36. Perry, William, *A New and Large Discourse of the Travels of Sir Anthonie Sherley, Knight by Sea and Overland to the Persian Empire,* London 1601.

37. Ristine, F. H., *English Tragicomedy. Its Origin and History*, The Columbia University Press, 1910.
38. Rustaveli, Shota, *The Man in the Panther's Skin*, (a close rendering from the Georgian by Marjory Scott Wardrop), London 1912.
38a. Shaheen, N., *Biblical References in Shakespeare's Plays*, Associated University Presses, U.K 1999.
39. Shakespeare, William, *Cymbeline*, 'Tredition Classics' (Publisher: tredition GmbH), Hamburg.
40. Sherley, Antony, *Relation of His Travels into Persia*, (Printed for *Nathaniell Butter* and *Ioseph Bagfet*), London 1613.
41. Strachey, L., *Books and Characters*. Harcourt, Brace; New York 1922.
42. "The Drama to 1642", *The Cambridge History of English and American Literature* (In 18 volumes), 1907-1921, Vol. V; Vol. VI.
43. Thorndike, Ashley H., *The Influence of Beaumont and Fletcher on Shakspere*. Press of Oliver B. Wood, Worcester, Massachusetts 1901.
44. Tomalin, C., *Samuel Pepys. The Unequalled Self*, 'Penguin Books', 2003.
45. Toussaint, F., *Chants d'amour et de guerre de l'Islam*, Marseille 1942.
46. Waith, E.M., *The pattern of Tragicomedy in Beaumont and Fletcher*, "Archon Books", 1969.
47. Wells, S. and Dobson, M., eds., *The Oxford Companion to Shakespeare*. Oxford University Press, 2001.

The Man in the Panther Skin and *Cymbeline*

Elguja Khintibidze
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Abstract: This article represents a continuation of the research published in the previous issue of The Kartvelologist: "*The Man in the Panther Skin* – William Shakespeare's Literary Source". This article analyses the similarity between the plot and compositional factors of Shakespeare's Cymbeline on the one hand, and the story of Nestan and Tariel in Rustaveli's *The Man in the Panther Skin (MPS)* on the other. Part of the article discusses the origin and staging of *Cymbeline*, which still remains unresolved in Shakespeare Studies.

Key words: *Rustaveli; Shakespeare; Beaumont and Fletcher; The Man in the Panther Skin; Cymbeline; Philaster.*

The Problem

My research published in the previous issue of The Kartvelogist was unexpected (or more precisely, sensational) news in the field of comparative literature both for Rustaveli and Shakespeare Studies. It claimed that the plot of *Cymbeline*, one of the last works of Shakespeare, is based on the story of Tariel and Nestan in Rustaveli's the *MPS*.

These conclusions followed my discovery that the MPS is the source of the plots of two plays by Shakespeare's junior contemporaries Francis Beaumont and John Fletcher - *A King and No King* and *Philaster*. What led me to this conclusion is the fact that the action in *A King and No King* takes place in Georgia (Iberia) and, additionally, that the main character of the play, the princess and the successor of the throne who is in love with her brother

(adopted, as it transpires later), has a name that suggests Nestan by a homographic-homophonic pun, or punning speech.

My research proved that Beaumont and Fletcher built their plays on the narrative taken from the *MPS*, namely the story of Nestan and Tariel. Subsequently, English literary criticism led me to study the relations between *Cymbeline* and the *MPS*. Already in the 19th century a number of English literary critics noted the resemblance between *Philaster* and Shakespeare's *Cymbeline*.

Some critics consider that Philaster is a literary source of *Cymbeline*, other critics believe that on the contrary: *Cymbeline* is the literary source of *Philaster*. Either way, recent works of English literary critics indicate that there are obvious relationships between those two plays; however, the resemblance between Shakespeare's *Cymbeline* and Beaumont and Fletcher's *Philaster* is due to their common literary source. This conclusion chronologically precedes my proposition on considering the story of Nestan and Tariel in the *MPS* as the source of the main plot of *Philaster*.

I assumed that the MPS might be the common source of Philaster and *Cymbeline* on the basis of the above mentioned opinions of British literary critics. Research into this question led me to conclude that the story of Nestan and Tariel is the main plot not only of *Philaster*, but also of *Cymbeline*. All the parallels between the plots of *Philaster* and *Cymbeline* noted in English literary criticism are based on the story of Nestan and Tariel in the *MPS*. The similarity of the plots of Philaster and *Cymbeline*, even though slightly different, clearly shows connections with the *MPS*. Thus, I have grounds for studying relations between *Cymbeline* and the *MPS* without considering *Philaster*.

On Proper Links of *Cymbeline* with *The Man in the Panther Skin*

As is seen from the research carried out, the dependence of *Cymbeline* on the plot of the *MPS* was studied by me in the wake of English literary criticism. My conclusions are based on the facts that have emerged concerning the relationship of Shakespeare's *Cymbeline* and Beaumont and Fletcher's *Philaster*, and on the articles on the new style of English drama of the first decade of the

17th century concerning these plays. Of course, I chose this path after it transpired that the principal plots of Beaumont and Fletcher's *Philaster* as well as that of *A King and No King* are based on the story of the *MPS*, while the story itself - based on a reliable assumption – must have reached the circle of intellectuals in England connected with Shakespeare. I chose this method of research to insure myself maximally from subjective concepts in connection with *Cymbeline*'s relation to the *MPS*. Upon becoming convinced – following the method of English literary criticism – that *Cymbeline* and the MPS were linked by similar plots as well as by an ideal-thematic link, I broadened the circle of parallels noticed between these two works, in addition to pointing out a few more parallels, observable between *Cymbeline* and the *MPS*.

My research has also shown that the relationship between *Philaster* and *Cymbeline* to the *MPS* is not uniform. In *Philaster* one main line of the *MPS* is used as the basic framework of the plot. This is also the case with *A King and No King*. In *Cymbeline*, however, the plot follows one story line of the *Decameron*. It (*Cymbeline*) shows its relations with the *MPS* mainly in the structure of the plot, in an ideal-thematic problem and in the plots of separate episodes. Some of these connections are in common with *Philaster*, being so significant that, as mentioned above, their discussion was central in English literary criticism for a century. In my opinion, there are other details also seen in Rustaveli's poem with respect to Shakespeare's play, which are less connected with *Philaster* and hence they can be brought to light only through direct juxtaposition with the *MPS*.

1. Let us begin with the generally accepted statement that *Cymbeline*'s plot largely follows one story line of the *Decameron*. As noted above, the adventure of Imogen and Posthumus, following the expulsion of the latter and the return of both to the British royal court as Roman prisoners, is clearly based on the *Decameron*'s story of the merchant Bernabo and his wife Zinevra. This episode is only one - though important – episode of the plot of *Cymbeline*. More significant is that this important part of the plot of the play is not

essential for the plays basic framework. In other words, this story is not part of the thematic-ideal framework of *Cymbeline*.

When discussing the relationship of *Cymbeline* and the story of Boccachio's *Decameron*, we should take into consideration that Shakespeare must have known about the story of the wager on Imogen's chastity, not only from Boccachio's work directly, but from the anonymous English modification of the German play Frederyke of Jennen as well [34a, p.264; 38a], which was published first in 1517 and later in the 1560s. What interests me at the moment is that the play does not revolve round this story. The basic thematic-ideal axis of *Cymbeline* is an intrigue at the British royal court. That is why in Shakespearean literature old English historical chronicles, in particular, the British King Kimbelinus's history, are mentioned as one of the plot's sources. However, as noted above, it is also indicated that from this part of the historical *Chronicles* (by Raphael Holinshed), Shakespeare takes only the names of the king and his children (in other parts of the Chronicles, the names of the other participants of *Cymbeline* emerge) along with the fact that Britain was in a military confrontation with Rome [32, p. 123; 28, p. 133; 35]; though after the reign of Kimbelinus/Cymbelinus and not, as the play says, during his rule. That is why the "story" told in this play is sometimes referred to as a "pseudo-story" [38a]. In this episode from the historical *Chronicles* of England the pseudo history of the play is localised. Thus, neither is Cymbeline's principal thematic-ideal axis a story from the *Chronicles*.

The story-line or thematic-ideal framework of *Cymbeline* is that of the British royal court: King Cymbeline knows that the only heiress is Imogen, his daughter. The queen (Imogen's stepmother) and the king wish to marry her to the queen's son by her first husband. The princess is opposed to this plan. She is in love with a young man (Posthumus), adorned with many merits and brought up at the royal court. She marries him in secret. This is followed by his expulsion from the country. The court's intrigue takes place in a location different from the palace. The involved intrigue ends happily: the groom chosen by the princess is accepted, and the dynastic successor returns to the kingdom. Neither by its content,

theme or composition is this plot related to England's historical *Chronicle* or to the story of Boccaccio's *Decameron*.

At the same time, as known from the scholarly work dedicated to Shakespeare, the story has a parallel in an anonymous play *The Rare Triumphs of Love and Fortune* which was staged in England in the 80s of the XVI century and was published for the first time in 1589 [34a; 38a]. King Phizantius adopts and raises a homeless and presumably orphan child, Hermione, with whom princess Fidelia falls in love. Armenio, boorish brother of the princess, notices this and decides to challenge Hermione to a duel. The King bans this fight and throws Hermione out of his palace. Hermione seeks shelter with the magician Bomelio, who lives in a cave and who, as it turns out later, is his father and who himself was once a courtier banished from the palace. Fidelia finds her lover in the cave and Jupiter makes peace between the opposing parties. Presumably, Shakespeare must have known this play well which is indicated by the phonetic closeness of the name Fidelia to Fidele, the name given by Imogen, as well as the introduction of Jupiter in the final scene. In addition, there are other, though less clear, similarities, such as Posthumus Leonatus - Hermione, Belarius - Bomelio, Cloten - Armenio, Prospero in The Tempest and the magician Bomelio. At the same time, as is undeniably noted in the literature dedicated to Shakespeare (J. M. Nosworthy; K. A. Muir), it would not be wise to overestimate the importance of such parallels (such as the lovers or nobles thrown out of the palace, caves, poisons or drugs) as all of these are considered to be common and banal tricks used by most writers [34a, p. 259]. It is also assumed that this play must have provided Shakespeare initially with pastoral scenes and also the final scene. However, the development of the plot was not essential and thus accidental, as well as not dramatic enough. It clearly lacked a solid foundation which Shakespeare must have taken from other sources (as presumed by scholars, from the above mentioned *Chronicles* [34a, p. 259]).

This principle-based thematic-problematic framework is structurally similar to the story of Nestan and Tariel: India's King Parsadan has only one daughter, Nestan. The king and queen wish

to marry her to a person of relevant royal dignity – the prince of Khvarazmia (Persia) and they have him brought to their country. The daughter is opposed to this deal, as she is in love with the amirspasalar (commander-in-chief) of the country, Tariel, a worthy person of noble birth, brought up together with her at the court. They secretly declare their love. The court intrigue that resulted in both of them leaving the country takes place outside the kingdom. The entangled court intrigue ends happily. The love of the enamoured couple triumphs; the dynastic couple returns to the royal court.

The following new elements give a new meaning to *Cymbeline* by Shakespeare: the throne is retained by the heir of the dynasty in the course of court intrigues. Also, the story's main problem has changed: the king chooses a prospective husband of a royal background for his only daughter, heiress of the throne. The daughter does not obey the decision made by her parents and makes a vow of conjugal devotion to a high-ranked official of the court. Additionally, the plot changes its composition when the romance intrigue leaves the boundaries of the court and finishes with complicated adventures and travels. The dramatic story unfolding in the palace is retold in the cave where the lover of the princess dwells. Lastly, the story has a happy ending: the heirs of the throne return safely to their land.

2. The thematic similarity between the plots of *Cymbeline* and the *MPS* is important. The problem of succession to the throne (which is so traditional in Shakespeare's tragedies) in this play undergoes a basic change: it develops into the marriage of the king's only daughter to an appropriate suitor. The change of these tragedies, built on the intrigue of the royal court in English dramaturgy of the period, is based precisely on the *MPS* (I imply a transfer of the same pattern of the *MPS* to *Philaster* and *A King and No King*).

The issue of succession to the throne in Shakespeare's tragedies ends happily in *Cymbeline*. English literary criticism assigns great importance to the emergence of the so-called "happy ending" in the English dramaturgy of this period – the first decade

of the 17th century [27; 37, pp.111–112; 43, p. 158]. It is analyzed as one of the main features of the new genre – the tragicomedy. This new ending of traditional dramas is demonstrated most successfully in plays written on the basis of the *MPS* (*Philaster, A King and No King*). It should be added here that in *Cymbeline* "the happy ending" does not come as the author's imitation of the new dramatic trend. This is seen from the fact that English literary criticism concludes that *Cymbeline* does not imitate *Philaster* – both plays must have some other source. Attention should also be given to the fact that this play does not seem to have been thought of by the author and contemporaries as a new genre: it is pointed out that in the first folio in - 1623 it was named a tragedy [47, p. 101; 38a]. Notwithstanding all of this, *Cymbeline*'s happy finale structurally resembles that of *Philaster*. It has also been noticed that the finale reveals more in-depth treatment and its artistic mastery surpasses the technique of Beaumont and Fletcher. This superiority is attained by Shakespeare largely through free fantasy, by introducing a spontaneous imaginary, an idyllic scene and creating the emotional image of a sentimental woman [43, p. 158].[1] I want to make it clear that in this case it is the idyllic plot and the active emotional and sentimental female character, namely, Nestan in the *MPS*, that is the prototype of Shakespeare's Imogen as well as Beaumont and Fletcher's Arethusa and Panthea.

The main point is that *Cymbeline*'s change in the court intrigue, typical of Shakespeare's tragedies (namely, the search of a bridegroom for the king's only daughter) with its happy ending, which is common for Beaumont and Fletcher's plot of *Philaster*, follows exactly the story of the Indian royal court as given in the *MPS*: the king and queen choose a bridegroom for their sole daughter (Nestan): the girl opposes their decision and chooses her

[1] "He made his play ... recognizing the effectiveness of Beaumont and Fletcher's use of happy ending, he labored especially over a happy dénouement. He introduced idyllic scenes and developed them more fully than had Beaumont and Fletcher and he introduced a sentimental heroine... The part of Imogene seems to have been created with freer fancy and more spontaneous expression than the rest of the play. " – [43, p. 158].

future husband herself; this is followed by an involved adventure verging on a tragic outcome. However, the end is happy.

3. Occasionally *Cymbeline* is called a "problematic play" inasmuch as the principal character, Imogen, opposes a strictly established moral by posing a social problem [20]. Indeed she does not obey the royal plan – the decision of the king and queen on her future bridegroom - by choosing a lower ranking person than herself. From this angle too, the play follows the story of Nestan and Tariel. Nestan, the only daughter of the Indian king, on her own will, without the consent of her parents, chooses her bridegroom (a lower-ranking person, subject of the court), disobeying the decision of the royal court about her marriage. This action of Nestan as a character of late medieval romance is new and actual against the background of the social atmosphere of the period. A reliable explanation of the introduction of this problematic issue into a European work of the early 17th century could be its provenance from the source of its plot. This conclusion is strengthened by the fact that this problematic issue is posed and resolved analogously in *Philaster*, too, which I believe to be based on the plot of the *MPS*.

4. It is observed in English literary criticism that the strongest literary character of *Cymbeline* is the king's only daughter Imogen [42, v.V, #17; 34]. An indefatigable fighter for her own human rights and against evil doers and slanderers, this image gives a heroic meaning to the entire play, which has been pointed out by Shakespearean students [43, p.158]. This heroic drive resembles that of her counterpart Nestan in the *MPS*, an artistic image of a fighter for her rights in the face of injustice [see 2].

5. Apart from an obvious structural similarity between the thematic-problematic elements of *Cymbeline* and those of the *MPS*, *Cymbeline* has other basic relationships linking it with Rustaveli's romance of Tariel and Nestan, namely plot relations. In the first place, in *Cymbeline* the court intrigue originates in the royal court and develops in a different country, namely Italy, and, additionally, in nature: mountains and woods. English literary criticism focused attention on such a transfer of action when discussing Beaumont and Fletcher's *Philaster* [25; 43, p.154]. The plot develops similarly

in the *MPS*. Special attention should be paid to the fact that the court intrigue moves to a cave in both the *MPS* and in *Cymbeline*. Shakespeare definitely was familiar with the hero who, ousted by others' will or by his own, lived in a cave. Among them the most significant is the story about Hermione, thrown out of the palace in *The Rare Triumphs of Love and Fortune*. However, Hermione's cave differs from *Cymbeline*'s cave. (Hermione is not a prince and in the cave he dwells with a magician with his corresponding interests.)

The essence of the action taking place in *Cymbeline*'s cave is structurally of the same type as in the cave of the *MPS*. People driven out of Britain's royal court live for years in a cave: the king's former closest noble, princes and their nurse. Among them is the heir to the throne Guiderius (III, 3). According to the *MPS*, the successor to the royal throne Tariel and the maid servant of the king's daughter Nestan also dwell in a cave for long time. The cave dwellers both in the *MPS* and in *Cymbeline* subsist on hunting. According to *Cymbeline*, the story of the British royal court is told in a cave (III, 3); the same is the case in the *MPS*: Tariel tells the story of the kingdom of India to Avtandil in a cave. In *Cymbeline*, Imogen, the main character of the play, comes to the cave dwellers (III, 6). In the *MPS*, too, one of the main characters visits the cave dwellers.

უკვე ბევრი ქართველი გერმანისტი, გერმანელი ქართველოლოგი და საქართველოთი დაინტერესებული პირი ეცადა, მოეძებნა მაშინ შესრულებული თარგმანი, მაგრამ ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. ასე რომ, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ თარგმანის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით, რომლებიც მოცემულია თვით ბერტა ფონ ზუტნერის, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატის, მემუარებსა და 1885 წელს ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ("კავკაზი", "დროება" და "ივერია") გამოქვეყნებულ არტურ ფონ ზუტნერის სტატიებში.

ამგვარად, რუსთველის პოემის გერმანელი მკითხველისათვის აღმოჩენის პატივი ეკუთვნის არტურ ლაისტს, ევროპაში თითქმის სრულიად უცნობს, მაგრამ ქართულიდან და სომხურიდან მრავალრიცხოვანი თარგმანების წყალობით კავკასიაში დიდად დაფასებულ პიროვნებას. უნივერსიტეტში სწავლის დროს მან გაიცნო ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც იყო რუსული, სპარსული და თურქულენოვანი პოეზიის პოპულარიზატორი, რომელმაც დაინტერესა იგი აღმოსავლეთით, განსაკუთრებით კი სომხეთითა და საქართველოთი. ლაისტი პირველად საქართველოს 1884 წელს ესტუმრა. 1887 წელს კი გამოიცა წიგნი - *საქართველოს პოეტები* (*Georgische Dichter*), რომლის 150-ე გვერდზე გამოქვეყნდა თერთმეტი ქართველი პოეტის (უპირატესად მე-19 საუკუნის) 57 ლექსი, ასევე ხალხური სიმღერები. 1889 წ. ამას რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* მოჰყვა. ეს თარგმანი არ შეიცავდა პოემის პროლოგსა და ეპილოგს, ტექსტის ზოგიერთ ადგილას იყო ხარვეზებიც, მაგრამ ყველაზე თვალშისაცემი იყო ის, რომ მთარგმნელმა უარი თქვა *ვეფხისტყაოსნის* ტრადიციულ ოთხსტრიქონიან სტროფზე, შეცვალა მეტრიკა, რიტმი და რითმა (იგი იყენებდა ჯვარედინ რითმას და თავისუფალ იამბს). იმის მიუხედავად, რომ ამგვარი გამარტივებული თარგმანით გერმანელი მკითხველისთვის ძნელია რუსთველის თხზულების

სრულფასოვანი გაგაზრება, ამ თარგმანის მნიშვნელობა მაინც ფასდაუდებელია.

> იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
> მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი
> მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი
> თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.
>
> სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
> სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
> მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,
> ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული. (33-[1])

ლაისტის თარგმანში ეს ნაწყვეტი ასე ჟღერს:

> Ein König lebte im Arabierlande,
> Mit Namen Rostewan, dem Gott, der Herr
> Noch reiches Glück verlieh 'n zum hohen Stande.
> Leutselig, von erhabnem Sinn war er,
> Mildthätig auch, gerecht und klug im Rate,
> Herr einer ungeheuren Kriegerschar,
> Ein Feldherr, der nicht seines Gleichen hatte
> Und auch als Redner anzuhören war.
>
> Ein Kind war seiner Ehe nur entsprossen,
> Nur eine Tochter, die ein Licht der Welt,
> Von solchem Schönheitsglanze war umflossen,
> Dass sie dem Sonnenkreis schien beigesellt.
> Wer sie nur sah, verlor bald alle Sinne,
> Sie nahm die Seele ihm, Herz und Verstand.
> Zu singen ihrer Schönheit Lob beginne
> Ein Weiser nur, der zehnfach sprachgewandt!

რუსთველის თხზულების შემდეგი გერმანულენოვანი თარგმანი ეკუთვნის ჰუგო ჰუპერტს (1902-1982). რამდენადაც ამ თარგმანის თაობაზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ("პოეტთა შეჯიბრება"), აქ მხოლოდ რამდენიმე

ფაქტის აღნიშვნით შემოვიფარგლებით.[1] ამ ახალ თარგმანს საფუძველი 1950 წ. ჩაეყარა. თვით ჰუპერტის თქმით, იმ პერიოდში უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ მიხეილ კვესელავამ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ალექსანდრე ფადეევის თანდასწრებით შესთავაზა ავსტრიელ პოეტს *ვეფხისტყაოსნის* "ინტერნაციონალიზაცია", პოემის თარგმნა მისი ფორმის დაურღვევლად. ჰუპერტი, რომელმაც არ იცოდა ქართული, ამოცანის შესრულებისას სარგებლობდა რუსული ბწკარედული თარგმანით. სამუშაო მასალის დიდი მოცულობის გამო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების 30 წლისთავისათვის (1951 წ.) არ მოხერხდა ყველა (1671) სტროფის მკაცრად გარითმული სახით თარგმნა.

მხოლოდ 28-თვიანი დაძაბული შრომის შედეგად მომზადდა გარითმული ტექსტი, რომელიც მონაცვლეობით იქმნებოდა საქართველოში, მოსკოვსა და საბჭოთა ბალტიისპირეთში. ბერლინის გამომცემლობამ *Rütten & Loening* სთხოვა „საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას" პოემის გერმანულ ენაზე თარგმნილი ტექსტი და დაბეჭდა ის 1954 წელს. ამგვარად თხზულება მისაწვდომი გახდა მკითხველთა ფართო წრისათვის და მალე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. პრესა აქებდა თარგმანს, როგორც "შესანიშნავ ლიტერატურულ მიღწევას", როგორც ქართული ეროვნული ეპოსის პირველ სრულფასოვან გადატანას ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (თუ არ ჩავთვლით მრავალრიცხოვან რუსულ თარგმანებს), რომელიც, ა. ენდლერის აზრით, დღემდე ყველაზე ძლიერ და უბადლო თარგმანად ითვლება გერმანულენოვან თარგმანთა შორის [5, გვ. 157]. "ვეფხისტყაოსნის" ჰუპერტისეული თარგმანი ოთხჯერ გამოიცა.

ზემოთ ციტირებული ნაწყვეტი ჰუპერტის თარგმანში შემდეგი სახითაა:

Einst war König in Arabien Rostewan, ein hochgeweihter,

---

[1] ფაქტები მოტანილია ჰუგო ჰუპერტის მონათხრობის მიხედვით.

huldvoll edler Fürst, beflügelt von der Heermacht seiner Streiter,
mild, gerecht, voll Großmut war er, seinem Staat ein kluger Leiter,
unerreicht als kühner Kriegsmann und beredt wie kaum ein zweiter.

Keinen Sohn besaß der König, hatte nur ein einzig Kind,
eine Tochter, sterngleich strahlend und wie Frühlingssonne lind.
Ganz betört war, wer sie ansah, wurde ruhlos, wurde blind.
Preisen könnten sie nur Worte, wie sie Weisen dienstbar sind.

შვეიცარიაში რუსთველის თხზულება 1974 წელს გამოიცა გამომცემლობაში: *Manesse Bibliothek der Weltliteratur* სახელწოდებით - *ადამიანი პანტერის ტყავში (Der Mann im Pantherfell).* ეს არის რუთ ნოიკომის პროზაული თარგმანი. ბოლოსიტყვაობაში იგი მიუთითებს თარგმანის ასეთი ფორმის არჩევის მიზეზს: "საბაბად შეიძლება დასახელდეს ბევრი მიზეზი, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ის ფაქტი, რომ ქართული და გერმანული ენების სტრუქტურები ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ძალზე აძნელებს რუსთველის ლექსის მუსიკალობისა და რიტმის რეპროდუქციას, ნაწარმოების შინაარსის თუნდაც მიახლოებით ზუსტად გადმოცემასთან ერთად."

ამავე ბოლოსიტყვაობაში მოთხრობილია ამ თარგმანის შექმნის ისტორია. თარგმანზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1958 წ. ქართული ენის მასწავლებელთან, კიტა ჩხენკელთან ერთად. დაწყებული სამუშაო მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ნოიკომმა მარტო გააგრძელა. გოეთეს რჩევის კვალდაკვალ, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია გახსნა ჭეშმარიტად ღრმა და ძირეულად მნიშვნელოვანი; მოიცვა ჭეშმარიტად არსებითი და მამოძრავებელი, ის, რაც რჩება პოეზიისგან, როცა მას პროზად თარგმნიან. თავის პროზაულ თარგმანში რუთ ნოიკომმა ამ მიზანს უდავოდ მიაღწია.

ვეფხისტყაოსნის (Der Ritter im Panterfell) გერმანული თარგმანი, რომელიც 1975 წ. პარიზში გამოიცა, პროზაული ფორმისაა. მიხეილ წერეთელმა (1878-1965)[1], ევროპაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, სკურპულოზურად,

[1] მაშინდელ გერმანიაში ცნობილი იყო მიხეილ ფონ წერეთლის სახელით.

სიტყვასიტყვით გადაიტანა ქართული ტექსტი გერმანულ ენაზე. საქართველოში ძალზე მწირი ცნობები იყო ამ მთარგმნელზე. ქართულ ენციკლოპედიაში არაა მისი დაბადების ზუსტი თარიღი, რომ არაფერი ვთქვათ მისი ცხოვრების გზაზე. თუმცა ფრიდრიხ ვილჰელმის (ახლა ჰუმბოლდტის) უნივერსიტეტის არქივში და ბერლინის სხვა არქივებშიც ვრცელი დოკუმენტური მასალა არსებობს. წერეთელი სწავლობდა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ენებსა და ჟურნალისტიკას კიევში, პარიზში, ლონდონსა და ჟენევაში. პოლიტიკური კარიერის შემდეგ (მუშაობა საქართველოს გათავისუფლების კომიტეტში და ელჩობა სტოკჰოლმში), 1933 წ. ის ლექციათა კურსს კითხულობდა ბერლინის უნივერსიტეტში, 1936 წლიდან კი ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი იყო. წერეთელი, ბევრი სხვა ქართველი ემიგრანტის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლდა მიუნხენში, სადაც გარდაიცვალა 1965 წ.. 1975 წელს პარიზში გამოცემული თარგმანი 1949 წელს იყო დასრულებული. სამწუხაროდ, მისი გამოცემა მ. წერეთლის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. მხოლოდ ნინო სალიამ, საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ცნობილმა წარმომადგენელმა, გამოსცა ის მეცნიერ-მთარგმნელის გარდაცვალების მეათე წლისთავზე. გამოცემის წინასიტყვაობაში იგი მადლობას უხდის იულიუს ასფალგს და ჰუპერტ კაუფჰოლდს, რომლებმაც ტექსტი საფუძვლიანად შეასწორეს. ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ა. ბარამიძე, დ. ლაშქარაძე და ჯ. გაგნიძე მიუთითებდნენ ინტერპრეტაციის გარკვეულ პრობლემებზე ამ თარგმანში. გთავაზობთ ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტს მ. წერეთლის პწკარედიდან:

Es war in Arabien König Rostewan, glückbegnadet von Gott,
Erhaben, freigebig, bescheiden, Gebieter vieler Ritter und Vasallen,
Gerecht und barmherzig, glorreich und weise,
Ein unvergleichlicher Kämpe (und) selbst ein glänzender Redner.

Kein anderes Kind hatte der König, wohl nur eine einzige Tochter,-
Ein Gestirn, das die Welt erleuchtete, ein Glied in den Sonnenscharen.
Denen, die sie schauten, nahm sie das Herz,die Gedanken und die Seele.-
Ein Weiser sollte sie preisen und eine viel• mal verhundertfachte Zunge!

რუსთველის პოემის უკანასკნელი სრული თარგმანი გერმანულ ენაზე პოეტურია. ის წერეთლის პწკარედზე დაყრდნობით ჰერმან ბუდენზიგმა შეასრულა, რომელიც არ ფლობდა ქართულ ენას. ბუდენზიგმა მიმართა შაირის არა ადეკვატურ ფორმას, არამედ ჰეგზამეტრს (ექვსტერფიანი დაქტილი). თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც ცალკე წიგნად თბილისში 1976 წ. გამოვიდა, ის ასე ასაბუთებს ამ გადაწყვეტილებას: "ჰეგზამეტრი ცნობილია ანტიკური პოემის გერმანულ ენაზე თარგმანებით... კლასიკური პოეზიის გერმანულ ჰეგზამეტრს ახასიათებს გერმანული ენის მოთხოვნების შესაბამისად აწევა და დადაბლება, ნაცვლად ანტიკური ჰეგზამეტრის სიგრძე-სიმოკლისა. ამ გარდაქმნის წყალობით ჰეგზამეტრი შექმნილია გერმანული ენისათვის. ჰეგზამეტრი პოემის ორიგინალთან მაქსიმალური მიახლოების საშუალებას იძლევა. იგი არაა შებორკილი, თავისუფალია ნაწვალები სიტყვათწარმოებისა და ენობრივი ეგზალტაციისაგან და არ ახდენს ენაზე ძალადატანებას" [7, გვ. 11-12].

იმის გამო, რომ ლექსთწყობის მიხედვით არ იქნა დაცული ორიგინალის რითმა და რიტმი, თარგმანი შინაარსობრივად ზუსტია, მაგრამ ნაწარმოების ფორმა და მუსიკალობა იკარგება, თუმცა ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ამ თარგმანს "არსებულთაგან საუკეთესოდ" მიიჩნევს. თავიანთ დასკვნას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ ბუდენზიგის თარგმანი მნიშვნელოვანწილად ზუსტად გადმოსცემს ქართული ორიგინალის შინაარსს, ვიდრე ჰუპერტის თარგმანი.

"ის გადმოსცემს ტექსტის თითოეულ სიტყვასა და სურათს, იშვიათად თუ გვხვდება რამდენიმე უმნიშვნელო ცდომილება. ჰეგზამეტრის არჩევითა და დახვეწილი ლექსიკის წყალობით იქმნება ისეთი ამაღლებული განწყობა, როგორიც არცერთ ევროპელ მთარგმნელს არ გადმოუტანია" [3, გვ. 130].

ზემოთ მითითებული ნაწყვეტი ბუდენზიგის თარგმანში ასე ჟღერს:

Rostewan war in Arabien König, von Gott wohlbegnadet,
Freigebig, demütig, huldvoll, Herr vieler tapferer Mannen,
Gnädig, gerecht, sieghaft und scharfsinnig weise,
Selber ein unvergleichlicher Krieger, gewandt auch im Reden.

Keinen Erben hatte er, nur eine einzige Tochter,
Ein die Welt erleuchtend Gestirn aus den Scharen der Sonne,
Wer sie ansah, dem nahm sie das Herz, den Verstand und die Seele,
Einen Weisen braucht man zum Lobe und zehntausend Zungen.

მარია პრიტვიციის (1876-1961) მიერ შესრულებული გერმანული თარგმანი რუსთველის პოემისა 2005 და 2011 წლებში გამოიცა.

მართალია, ეს თარგმანი უკვე 1940-1947 გაკეთდა უფაში, მაგრამ ის, თავის დროზე დიდად ნაქები, ხან მეტოქეობის გამო, ხან კი უბრალოდ უყურადღებოდ მიტოვებული 60 წლის განმავლობაში იდო უჯრაში [4]. მას გერმანელმა მეცნიერმა შტეფი ხოტივარი-იუნგერმა მიაკვლია ელგუჯა ხინთიბიძის დახმარებით. მათ რუსთველის ეს თარგმანი თავდაპირველად საქართველოში დაბეჭდეს სამენოვანი (გერმანული, ქართული, რუსული) წინასიტყვაობით, რაც მკვლევართადმი შემდგომი ძიებისაკენ ერთგვარი მოწოდება იყო (პრიტვიციისეული თარგმანის მთარგმნელისეულ ხელნაწერ ვარიანტში ზოგიერთი სტროფის ნაცვლად მათი მდარე ხარისხის ასლები იყო).

მარია პრიტვიცი იყო მთარგმნელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი და მეცნიერ-მუშაკი, რომელიც კარგად ფლობდა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, რუმინულ და მოლდავურ ენებს, თავს მოლდაველად თვლიდა, მშობლიურ ენად კი რუსულს, თუმც მას გერმანელი წინაპრები ჰყავდა:

მისი მამა იყო ვიქტორ ჰუბერი. მარია ბავშვობიდანვე ლაპარაკობდა გერმანულ ენაზე, რომლის ცოდნაც დრეზდენის ქალთა პირველ გიმნაზიაში გაიღრმავა 1893-1894 წლებში.

რუსთველსა და მის ქმნილებას იგი თავისი ქართველი მეგობრების მეშვეობით გაეცნო და მის თარგმანზე ლენინგრადიდან უფაში გადასახლების პერიოდში, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ მძიმე წლებში მუშაობდა, რასაც თავად იგი დიდ ბედნიერებად მიიჩნევდა: «Думала ли я, что фортуна даст мне возможность приобщиться к великому труду Руставели, оживившему меня во время утраты многого

дорогого мне? И даст мне ещё раз возможность конкретно послужить возвеличению родины и её культуры?» [2, გვ. LXXXVI].

მარია პრიტვიცის ეს სიტყვები, რომლებიც შვილისადმია მიმართული, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ღრმა პატივისცემას ქართველი პოეტისადმი, რომელიც მისთვის იყო არა მხოლოდ ისტორიული პიროვნება, არამედ მრჩეველი და ნუგეშისმცემელი ადამიანი. მისი შვილიშვილი ნატალია პრიტვიცი წერს, რომ ამ სიტყვებმა იგი შეძრა: «так как их писала женщина, потерявшая в вихре революции мужа, двоих детей (она так и не узнала ничего про них до конца своей жизни) всё имущество, право проживать на прежнем месте». (2, p. LXXXVI)

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი მარია პრიტვიცის თარგმანში შემდეგნაირად იკითხება:

Rostevan, Arabiens König, der durch Schicksalsgnad' geweihte,
Kraftbeschwingt durch seine Heere, ward gepriesen seiner Zeiten;
Schlicht, gerecht und hochbeflissen in des Landes weiser Leitung,
Ein beredter, edler Ritter, weltbekannt in seiner Weisheit.

Sprossen hatt' der Thronherr keine, außer einem Mädchenkinde,
Das, gestirngleich, hell und leuchtend, sanft war wie die Sonne linde.
An ihr, Sonne aller Sonnen - Herz verlor man und erblindet',
Nur dem Weisesten ein Loblied ihr zu singen es gelinget.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ რუსთველის ოთხი გერმანული პოეტური თარგმანიდან არც ერთი არ შესრულებულა უშუალოდ ქართულიდან, თარგმანები ყოველთვის პწკარედის ან რუსული თარგმანის მიხედვით იყო შესრულებული.

რუსთველის მთარგმნელთაგან მხოლოდ ჰუგო ჰუპერტმა და მარია პრიტვიცმა შეძლეს ჩასწვდომოდნენ რუსთველის სალექსო ფორმას (შაირს) და ისინი მშვენიერ გერმანულ სტროფებად ჩამოექნათ, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს გერმანელ მკითხველს, ეხმარება მას ორიგინალის წვდომაში.

მკითხველს ამ მოკლე ციტირებათა საფუძველზე შეუძლია აირჩიოს თავისი "ფავორიტი", უპირატესობა მიანიჭოს პროზასა თუ ლექსს, ჰეგზამეტრსა თუ შაირს, მუსიკალობასა თუ სიზუსტეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *რუსთაველი, შოთა, „ვეფხისტყაოსანი“,* თბილისი 1966 (რედ. ა. შანიძე, ა. ბარამიძე).
2. Штеффи Хотивари-Юнгер, Предисловие, Shota Rustaveli, *Der Ritter im Tigerfell* (translated by Marie Pritwitz), Tbilisi-Berlin 2005.
3. Baramidse, A., Laschkaradse, D., Gagnidse, Dsh., *Die Übertragung des „Mann im Pantherfell“ von Hermann Buddensieg.* In: Mickiewicz-Blätter 16 (1971).
4. Chotiwari-Jünger, St., *Die Literaturen der Völker Kaukasiens* (Neue Über-setzungen und deutschsprachige Bibliographie), Berlin 2003.
5. Endler, Adolf: *Zwei Versuche über Georgien zu erzählen,* Halle 1976.
6. Khintibidze, E., *Georgian Literature in European Scholarship,* Amsterdam 2001.
7. Rustaweli, Sch., *Der Mann im Pantherfell,* Tbilissi 1976.
8. Suttner, B., *Lebenserinnerungen,* Berlin 1969.

Existing German translations of the epic by Rustaveli

Steffi Chotiwari-Jünger
Humboldt University, Berlin

Resume: The present article discusses the poetic and prosaic German translations of *The Man in the Panther Skin* by Shota Rustaveli, namely, translations by Artur Leist, Hugo Huppert, Ruth Neukomm, Michael Tseretheli, Hermann Buddensieg and Marie Prittwitz.

Keywords: *Rustaveli, The Man in the Panther Skin, German translations.*

A detailed list of German translations and publications of *The Man in the Panther Skin* is given in the following books: *Die Literaturen der Völker Kaukasiens* [2] and *Georgian Literature in European Scholarship* [4]. This article will focus on the poetic and prosaic translations of the poem that represent complete or almost complete translations into the German language:

Translator	Printed in a journal	Printed as a book	Location
Artur Leist	-	1889	Germany
Hugo Huppert	-	1955	Germany
Ruth Neukomm	-	1974	Switzerland
Michael Tseretheli	1975	-	France
Hermann Buddensieg	1970-1972	1976	Georgia
Marie Prittwitz	-	2005	Georgia
		2011	Germany

Before Artur Leist started translating Rustaveli's work, Bertha and Artur Suttner, famous people of Western society, had made an attempt to approach this world classic of Georgian literature. In 1884, during their nine-year life and travel in Georgia, they started translating *The Man in the Panther Skin.* Since Arthur knew only little spoken Georgian and Bertha was studying Russian, they were not able to make an accurate translation of "Vepkhistkavi" (*The Man in the Panther Skin)* as Bertha von Suttner would call it.

"We had planned to return to our homeland by May, and there were still three months to go. We wanted to devote this time to the task that my husband's friend, a Journalist from Tbilisi, had asked us to undertake. It was about translating the Georgian heroic epic *The Tiger's Skin* by Shota Rustaveli into French and Russian. Since we had no Georgian, we had to accomplish this task in the following way: Mr. M (whose name I do not remember except for the first letter of his name)[1] would provide a word-for-word translation of the original into rough French, since he did not have a good command of French, and then we would translate that into polished French... In order to have quiet working conditions, we accepted his proposal to move to a remote village in Samegrelo where his father served as a priest and had a small house where he put us up for a small rent. After this, we could regularly work on *The Tiger's Skin* two hours before and after dinner. Our translation was not published in the end, but we do not regret having spent time on it because thanks to it, as well as to stories and comments of our enthusiastic Georgian friend, we captured the essence of it, of the history and the spirit of Georgian people and the fascinating country we spent so many years in..."[7, p. 190, 194].

Many Georgian Germanists, German Kartvelologists, and people interested in Georgia tried to find the translation in question, but their search was fruitless. Thus we have to content ourselves with the views about the translation found in the memoirs of Bertha Suttner, who won the Nobel Prize later, and the articles by Artur Suttner published in Georgian periodicals (*Kavkaz, Droeba,* and *Iveria*) in 1885.

Thus, credit for discovering Rustaveli's poem for German readers goes to Arthur Leist, who, being almost an unknown person in Europe, was a very much esteemed figure in the Caucasus, thanks to his many translations from Georgian and Armenian. During his university studies, he met Friedrich Bodenstedt, who was a popularizer of Russian, Persian and Turkish poetry and who aroused his interest in the East, especially in Armenia and Georgia. Leist first

[1] Presumably, Iona Meunargia

visited Georgia in 1884. In 1887 the book *Georgische Dichter* was published, containing 150 pages and 57 poems of eleven Georgian poets (mainly of the 19th century), and folk songs. This was followed by Rustaveli's *The Man in the Panther Skin* in 1889. Although this translation did not include the poem's prologue and epilogue, and some parts of the text contained mistakes, the most noticeable thing about it was that the translator rejected the traditional four line stanza of *The Man in the Panther skin* and changed its metrics, rhythm and rhyme (he used ABAB rhyming and free iamb). Despite the fact that it is difficult for German readers to fully consider Rustaveli's work with such simplified translation, the translation's importance is still paramount.

> იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
> მღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი
> მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი
> თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.
> სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
> სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
> მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული,
> ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული. (33-[see 5])

In Leist's translation, this passage sounds as follows:

> Ein König lebte im Arabierlande,
> Mit Namen Rostewan, dem Gott, der Herr
> Noch reiches Glück verlieh´n zum hohen Stande.
> Leutselig, von erhabnem Sinn war er,
> Mildthätig auch, gerecht und klug im Rate,
> Herr einer ungeheuren Kriegerschar,
> Ein Feldherr, der nicht seines Gleichen hatte
> Und auch als Redner anzuhören war.
>
> Ein Kind war seiner Ehe nur entsprossen,
> Nur eine Tochter, die ein Licht der Welt,
> Von solchem Schönheitsglanze war umflossen,
> Dass sie dem Sonnenkreis schien beigesellt.
> Wer sie nur sah, verlor bald alle Sinne,
> Sie nahm die Seele ihm, Herz und Verstand.
> Zu singen ihrer Schönheit Lob beginne
> Ein Weiser nur, der zehnfach sprachgewandt!

The next translation of the work by Rustaveli into German belongs to Hugo Huppert (1902 – 1982). Since it will be discussed in detail later ("The Poetry Competition"), only a few facts will be mentioned here. The foundation of this new translation was laid in 1950. According to Huppert himself, the head of the Georgian Society of Cultural Relations with Foreign Countries Mikheil Kveselava, in the presence of the Head of the Writers' Association of the Soviet Union, Alexander Fadeev, suggested that the Austrian poet should 'internationalize' *The Man in the Panther Skin* and translate the poem without changing its form. While translating the epic, Huppert, who did not have a command of Georgian relied on a Russian literal translation. Because of the volume of the work, it was impossible to construct a strongly rhymed translation of all (1671) stanzas by the 30th anniversary (1951) of the Soviet Socialistic Republic of Georgia.

Only after 28 months of hard work was the rhymed text ready and it was translated alternatively in Georgia, Moscow and the Soviet Baltic Countries. The Berlin publishing house *Rütten & Loening* requested the Georgian Society of Cultural Relations with Foreign Countries to provide them with a copy of the German translation of the poem and printed it in 1954.

Thus, this work became widely available to the general public and attracted international attention. The press praised the translation as a 'remarkable literary achievement,' as the first really precise rendering of the Georgian national epic into a European language (excluding numerous Russian translations) and which, according to Adolf Endler, is classed as the strongest and unique translation among the German translations of the work [3, p. 157]. Huppert's translation of *the Man in the Panther Skin* was published four times.

The cited passage above looks as follows in Huppert's translation:

Einst war König in Arabien Rostewan, ein hochgeweihter,
huldvoll edler Fürst, beflügelt von der Heermacht seiner Streiter,
mild, gerecht, voll Großmut war er, seinem Staat ein kluger Leiter,
unerreicht als kühner Kriegsmann und beredt wie kaum ein zweiter.

Keinen Sohn besaß der König, hatte nur ein einzig Kind,
eine Tochter, sterngleich strahlend und wie Frühlingssonne lind.
Ganz betört war, wer sie ansah, wurde ruhlos, wurde blind.
Preisen könnten sie nur Worte, wie sie Weisen dienstbar sind.

In Switzerland, the epic by Rustaveli was published by *Manesse Bibliothek der Weltliteratur* publishing house in 1974 under the title *Der Mann im Pantherfell.* This is a prosaic translation by Ruth Neukomm. In the afterword, she explains the reason for giving preference to this method of translation: many excuses can be named, but the deciding factor was the fact that the structures of Georgian and German languages differ radically, which makes it very difficult to reproduce the epic's musicality and rhythm, and narrate the poem as close to the original as possible at the same time.

This same afterword includes the story of the creation of this translation. Neukomm started working on the translation as early as 1958 together with Kita Chkhenkeli, her Georgian language teacher. After the death of the teacher, Neukomm continued translating on her own. According to Goethe's advice, first of all, one should: open truly deep and fundamental, encompass truly essential and compelling, which remains from poetry, when a piece of poetry is translated into prose. With her prosaic translation, Ruth Neukomm undoubtedly reached her goal.

The German translation of *The Man in the Panther Skin (Der Ritter im Panterfell),* published in Paris in 1975, is in a prosaic form. Mikheil Tsereteli (1878-1965), a Georgian immigrant living in Europe, rendered the Georgian text into German scrupulously and word for word. There was not much known about this translator in Georgia. *The Georgian Encyclopedia* does not include his exact date of birth, let alone his life story. However, the Friedrich-Wilhelm (presently Humboldt) University archives and other archives of Berlin contain extensive materials about his life. Tsereteli studied natural and social sciences, languages and journalism in Kiev, Paris, London and Geneva. After his political career was over – he was on the Committee of the Liberation of Georgia and an ambassador in Stockholm – he gave a series of lectures at Berlin University in 1933, and was a professor of Georgian language and literature from 1936.

Tsereteli, like other Georgian immigrants, moved to Munich after the World War II, where he died in 1965. The translation that was published in Paris in 1975 was actually finished in 1949. Unfortunately, Tsereteli did not live to see the publishing of his translation. Only Nino Salia, a prominent Georgian immigrant, published it for the 10th anniversary of the death of the scholar and translator. In the foreword, she thanks Julius Assfalg and Hubert Kaufhold, who made substantial corrections to the text. Georgian literary critics D. Baramidze, D. Lashkaradze and J. Gagnidze pointed to certain problems of interpretation in this translation. The passage cited above is presented below in M. Tseretheli's word-for-word rendition:

Es war in Arabien König Rostewan, glückbegnadet von Gott,
Erhaben, freigebig, bescheiden, Gebieter vieler Ritter und Vasallen,
Gerecht und barmherzig, glorreich und weise,
Ein unvergleichlicher Kämpe (und) selbst ein glänzender Redner.

Kein anderes Kind hatte der König, wohl nur eine einzige Tochter,-
Ein Gestirn, das die Welt erleuchtete, ein Glied in den Sonnenscharen.
Denen, die sie schauten, nahm sie das Herz,die Gedanken und die Seele.-
Ein Weiser sollte sie preisen und eine viel* mal verhundertfachte Zunge!

The last complete translation of Rustaveli's poem into German is a poetic one. It was made by Hermann Buddensieg, who did not speak Georgian and used Tsereteli's word-for-word translation. Instead of using adequate quatrain of 16 syllable lines, Buddensieg resorted to the hexameter (six-foot dactyl). In the preface to the translation, which was published as a separate book in Tbilisi in 1976, he justifies his decision stating that "Hexameter is known by the German translations of ancient poems... The German hexameter of the classic poetry is characterised by raising and lowering, following the German language characteristics, instead of the lengthening and shortening of the antique hexameter. Due to this transformation, the hexameter is created for the German language. The hexameter allows getting closer to the original poem as much as possible. It is not bound, is free from artificial word

formation and language exaltation, and does not use force with the language. [6, p. 11-12].

As the rhyme and rhythm of the original were not retained according to versification, the content of the translation is precise, but the form and musicality of the original are lost. However, some Georgian scientists consider the translation by Buddensieg to be "the best of the existing translations." This conclusion is based on the fact that it conveys the meaning of the Georgian original more precisely than the translation by Huppert:

It conveys each word and image of the text; only rarely do we encounter an insignificant error. By choosing the hexameter and using refined vocabulary an elevated mindset is created which no other European translator has ever achieved (2, p.130).

The above mentioned passage in the Buddensieg's translation sounds as follows:

Rostewan war in Arabien König, von Gott wohlbegnadet,
Freigebig, demütig, huldvoll, Herr vieler tapferer Mannen,
Gnädig, gerecht, sieghaft und scharfsinnig weise,
Selber ein unvergleichlicher Krieger, gewandt auch im Reden.

Keinen Erben hatte er, nur eine einzige Tochter,
Ein die Welt erleuchtend Gestirn aus den Scharen der Sonne,
Wer sie ansah, dem nahm sie das Herz, den Verstand und die Seele,
Einen Weisen braucht man zum Lobe und zehntausend Zungen.

The German translation of Rustaveli's poem by Marrie Prittwitz (1876-1961) was published in 2005 and 2011.

Even though this translation had already been finished in 1940-1947 in Ufa, and was highly prized afterwards, either because of rivalry or simply neglect, it lay discarded in a desk drawer for 60 years [2]. It was found by the German scholar Steffi Chotiwari-Jünger with the help of Elguja Khintibidze. These scholars printed Prittwitz's translation of the epic in Georgia first together with the introduction in three languages (German, Georgian, Russian), which was intended as an appeal for further assistance for researchers (in the handwritten manuscript of translation made by Prittwitz there were low-quality photocopies instead of some stanzas).

Marie Prittwitz was a translator, librarian, teacher and researcher who had a good command of Russian, German, English, French, Italian, Romanian and Moldavian. Although she had German ancestors, Marie spoke Russian as her native language but considered herself Moldavian.

Her father's name was Viktor Huber. Since her childhood, Marie spoke German which she mastered further while studying at Dresden's 1st Women's Gymnasium in 1893-1894. She got acquainted with Rustaveli's creation with the help of her Georgian friends and worked on its translation which she considered to be a source of great happiness during her exile from Leningrad to Ufa, the Second World War and the postwar hard years: "Думала ли я, что фортуна даст мне возможность приобщиться к великому труду Руставели, оживившему меня во время утраты многого дорогого мне? И даст мне ещё раз возможность конкретно послужить возвеличению родины и её культуры?" [8, p. LXXXVI].

These words of Marie Prittwitz to her child emphasise her deep respect for Rustaveli, who she classed not only as a historical figure, but also her counselor and consoler. Her granddaughter, Natalja Prittwitz, says that these words moved her deeply, «так как их писала женщина, потерявшая в вихре революции мужа, двоих детей (она так и не узнала ничего про них до конца своей жизни) всё имущество, право проживать на прежнем месте». (8, p. LXXXVI)

The passage cited above is worded as follows in Marie Prittwitz's translation:

Rostevan, Arabiens König, der durch Schicksalsgnad' geweihte,
Kraftbeschwingt durch seine Heere, ward gepriesen seiner Zeiten;
Schlicht, gerecht und hochbeflissen in des Landes weiser Leitung,
Ein beredter, edler Ritter, weltbekannt in seiner Weisheit.

Sprossen hatt' der Thronherr keine, außer einem Mädchenkinde,
Das, gestirngleich, hell und leuchtend, sanft war wie die Sonne linde.
An ihr, Sonne aller Sonnen - Herz verlor man und erblindet',
Nur dem Weisesten ein Loblied ihr zu singen es gelinget.

Finally, it should be mentioned that none of the four German poetic translations of Rustaveli discussed above were made directly from Georgian. They were based on either a word-for-word translation or followed a Russian translation.

Among all the translators, only Hugo Huppert and Marie Prittwitz were able to gain an insight into Rustaveli's verse form ('shairi') and shaped them into beautiful German stanzas, which give esthetic pleasure to German readers, and help them to delve into the original.

On the basis of these short citations, readers can choose their own 'favourites,' give their preference to either prose or verse, to hexameter or quatrain of 16 syllable lines, to musicality or accuracy.

REFERENCES:

1. Baramidse, A., Laschkaradse, D., Gagnidse, Dsh., *Die Übertragung des „Mann im Pantherfell" von Hermann Buddensieg*, Mickiewicz-Blätter 16 (1971).
2. Chotiwari-Jünger, St.,*Die Literaturen der Völker Kaukasiens* (Neue Über-setzungen und deutschsprachige Bibliographie), Berlin 2003.
3. Endler, Adolf, *Zwei Versuche über Georgien zu erzählen*, Halle 1976.
4. Khintibidze, E., *Georgian Literature in European scholarship*, Amsterdam 2001.
5. Rustaveli, Shota, *The Man in the Panter Skin*, Tbilisi 1966 (Edited by A. Shanidze, A. Baramidze). (In Georgian).
6. Rustaweli, Sch., *Der Mann im Pantherfell*, Tbilissi 1976.
7. Suttner, B.,*Lebenserinnerungen*, Berlin 1969.
8. Штеффи Хотивари-Юнгер, Предисловие: Shota Rustaveli, *Der Ritter im Tigerfell* (translated by Marie Pritwitz), Tbilisi-Berlin 2005.

"დაკარგული" ქვეყანა
რატომ არის საქართველოს ისტორია და კულტურა ასე ნაკლებ ცნობილი ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოში?

პიტერ სკინერი
ამერიკელი ისტორიკოსი, წარმოშობით ბრიტანელი, ავტორი ევროპის რვა ენაზე თარგმნილი წიგნისა - "მსოფლიო სავჭრო ცენტრი". 2013 წელს ამერიკაში გამოიცა მისი წიგნი „საქართველო: ქვეყანა კავკასიის იქით" (Georgia: The Land behind the Caucasus). ცხოვრობს ნიუ-იორკში.

რეზიუმე: 2013 წლის ნოემბერში ჟურნალ „ქართველოლოგის" რედაქციას წერილი მოსწერა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა არქეოლოგმა ლევან კიკნაძემ, გაგვაცნო ამერიკელი ისტორიკოსი პიტერ სკინერი, რომლის ილუსტრირებული წიგნი საქართველოს ისტორიაზე მზადდებოდა გამოსაცემად. თან შემოგვთავაზა გამოსაქვეყნებლად პიტერ სკინერის სტატია და გვაუწყა ავტორის გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ძალზე ცოტაა ცნობილი საქართველოს ისტორიაზე და არც სათანადო ლიტერატურაა ხელმისაწვდომი. მე, ჩემი მხრივ, ვაუწყე ბატონ პიტერს, რომ ჩვენში ინგლისურ ენაზე უკანასკნელ წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი გამოიცა და საზღვარგარეთელმა ქართველოლოგებმაც სქელტანიანი მონოგრაფიები გამოაქვეყნეს ინგლისურ და გერმანულ ენებზე საქართველოს ისტორიის შესახებ. მაგრამ ამავე დროს მისი წერილის გამოქვეყნება, სათანადო ექსპერტიზის შემდეგ, აუცილებლად მივიჩნიეთ. სტატიაში ჩანს დიდი სიყვარული და აღფრთოვანება საქართველოს მდიდარი კულტურით და ხანგრძლივი გმირული ისტორიით. მაგრამ, ამასთან ერთად, გულისტკივილიც იმის შესახებ, რომ ინგლისურ ენაზე ამ ქვეყნის შესახებ ძალიან ცოტა იბეჭდება და რაც დაბეჭდილია, არაა ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

ვფიქრობ, ქართულმა სამეცნიერო წრეებმა და კულტურის მესვეურებმა უნდა გაითვალისწინონ ამერიკელი მკვლევარის შენიშვნები. ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენ მიმართ თანაგრძნობითა და გულისტკივილით გამოთქმული შენიშვნების მოსმენა, შემდეგ -

მათი გააზრება და გამოსასწორებლის, რაც შეიძლება მალე, გამოსწორება.

სტატიას ვაქვეყნებთ პარალელური ქართული თარგმანით, რომელიც შეასრულა ბატონმა ლევან კიკნაძემ.

რედაქტორი

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, პიტერ სკინერი.*

ა) რატომ არის საქართველოს ისტორია და კულტურა ასე მცირედ ცნობილი ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოში?

ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანები „საქართველოს" პირველად (და ხშირად უკანასკნელად) საკლასო ოთახში ხვდებიან, სადაც ეცნობიან მითს იაზონისა და არგონავტების შესახებ. ამით მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ექმნებათ კოლხეთსა და კავკასიაზე, მაგრამ საქართველოსთან ურთიერთობა მოსწავლეებისთვის ამითვე მთავრდება. შემდგომ ჩვენ შეიძლება მივყვეთ პომპეუსს აფრიკასა და ესპანეთში, მაგრამ არა იბერიასა და კოლხეთში. ამით ამოიწურება ჩვენი უმნიშვნელო ცოდნა საქართველოს წარსულზე. საკითხავია - რატომ? რატომ არ იცის არაფერი

უმრავლესობამ ამ ქვეყნის შესახებ? არაფერი იცის მის ბრწყინვალე ქრისტიანულ კულტურასა და აქ მცხოვრები ხალხის განსწავლულობაზე; არაფერი იცის საქართველოზე, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა არაბების, ჯალალედინის, მონღოლების, თემურ-ლენგის, სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის წინააღმდეგ... რატომ არ ვიცით ჩვენ, ვინ იყო ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II?.. რატომ არის, რომ ასე ძალიან ცოტა რამ ვიცით "ვეფხისტყაოსანზე" და რომ ჩვენთვის სრულიად უცნობია წერეთლის, ჭავჭავაძის, ვაჟას ან გალაკტიონის სახელები? არ ვიცით ვინ იყო ფიროსმანი, გუდიაშვილი, კაკაბაძე...

უმთავრესი პრობლემა ქვეყნის ადგილმდებარეობა გახლავთ: საქართველო მდებარეობს კონსტანტინოპოლის იქით, ევროპის ჩვენეული ხელოვნური საზღვრის მიღმა. ამავედროულად, ჩვენთვის საქართველო არც ახლო აღმოსავლეთთან არ ასოცირდება. ურთიერთობას აძნელებს ქართული ენაც - თავისი რთული დამწერლობით, შესაბამისად, ნაკლებად ხელმისაწვდომია ლიტერატურაც. ამ ყველაფერთან ერთად, საქართველო, მოზაიკის მსგავსად, მუდმივად იცვლის თავის პოლიტიკურ ერთეულებს, რითაც კიდევ უფრო ბრკოლდება ქვეყნის შემეცნება. ამ მხრივ რელიგიაც ვერ გვიწყობს ხელს, რადგან მხოლოდ სპეციალისტი თუ ხედავს კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმის მიღმა ქართულ მართლმადიდებლურ კულტურას. საქართველო ჩვენთვის (1990 წლამე მაინც) შეიძლება ჩაითვალოს "ისტორიის შვილობილად", ჩვენ იგი წარმოგვიდგებოდა ქვეტექსტად სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ტერიტორიებისა, რაც, რა თქმა უნდა, არის სამარცხვინო და ინტელექტუალურად შეზღუდული თვალსაზრისი, მაგრამ ეს ხომ რეალობაა?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ უგულებელყოფა მცირე ქვეყნების ისტორიის თანამდევია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ჯერ არ აუმუშავებია შეთანხმებული პროგრამა, რომლითაც ითარგმნება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული და

ლიტერატურული ნაშრომები (ან მათი ნაწილი მაინც) ინგლისურ ენაზე. უცხოელები, როგორც ვხედავთ, ამას არ აპირებენ, რის მიზეზადაც მთარგმნელთა სიმცირეს ასახელებენ, საამისოდ დიდი თანხებიცაა საჭირო და არც მარკეტინგზე ზრუნავს ვინმე. მაშასადამე, ჩვენ მხოლოდ იმის იმედი გვრჩება, რომ მთავრობა დააფინანსებს სამეცნიერო და მთარგმნელობითი სამუშაოების პროგრამას, რომელსაც ქართველი სწავლულები და მთარგმნელები აღასრულებენ. ამით საქართველოს ისტორია მსოფლიო სარბიელზე უფრო სრულად წარმოჩინდება.

(ბ) საქართველოს შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. რა მასალები მოგვეპოვება ინგლისურ ენაზე? რა დონისა და რამდენად ხელმისაწვდომია ისინი ჩვენთვის?

მეტისმეტი იქნება, უგულებელყოთ ის, რაც უკვე გაკეთდა ამ მხრივ. ბოლო წლებში გამოვიდა ვ. სილოგავას და კ. შენგელიას "საქართველოს ისტორია" (2007) და ასევე ნ. ასათიანის და ო. ჯანელიძის.



ამავე სახელობის წიგნი (2009). მაგრამ, ამ ორივე წიგნს არ გააჩნია ინდექსის გვერდი, რომლითაც მკითხველი მოვლენებს ქრონოლოგიურად აღიქვამდა. თანაც ფაქტების ისეთი სიუხვეა ამ წიგნებში, რომ ჩვეულებრივი მოყვარულისთვის, ვინც

პროფესიონალურად არ იკვლევს ისტორიას, მათი ნაყოფიერი გამოყენება ძნელდება. ამ ორ წიგნს კიდევ ერთი დიდი პრობლემა აქვს. წიგნები არის კომპიუტერის საშუალებით თარგმნილი, შესაბამისად, ტექსტი ხშირად დაკნინებული ინგლისურით არის გადმოცემული. თან თითოეული მათგანი ღირს $250 დოლარზე მეტი, რაც კიდევ უფრო დიდ ბარიერს წარმოადგენს მოყვარულისთვის! ინგლისურენოვანი დაინტერესებული მკითხველი განიცდის ლიტერატურის სიმცირეს საქართველოს ისტორიაზე, რაც დააკმაყოფილებს არა მხოლოდ სწავლულთა და აკადემიურ დონეს, არამედ, უბრალოდ, მოყვარული მკითხველის მოთხოვნილებებს, რომელსაც თავისი ცოდნის არეალის გაზრდა სურს. დიდი მოთხოვნაა თანმიმდევრულ ქრონოლოგიურ ნაშრომზე, რომელშიც ნათლად იქნება წარმოდგენილი ციტატები *ქართლის ცხოვრებიდან*, ვახუშტის, მარი ბროსეს, ივანე ჯავახიშვილის და ასევე თანამედროვე ისტორიკოსებიდანაც. კარგი იქნებოდა, ცალ-ცალკე ტომები დათმობოდა არქიტექტურას, მხატვრობასა და ლიტერატურას.

რაც შეეხება ინგლისურ ენაზე გამოცემულ ნაშრომებს, ისინი მთლად ხელწმოსაკრავი არ არის. უძვირფასესი

ნაშრომები გვაქვს ბრწყინვალე სწავლულთა და მოღვაწეებისგან. მაგ., ოლივერ უორდროპის "საქართველოს სამეფოს ისტორია"(A History of Kingdom of Georgia, 1888), დ. ალენის "ისტორია ქართველი ხალხისა" (A History of the Georgian People, 1932), დ. მ. ლენგის "ბოლო წლები საქართველოს მონარქიისა" (*Last Years of the Georgian Monarchy*, 1957) "საქართველოს თანამედროვე ისტორია," (A modern History of Georgia, 1962) და რ. გ. სუნის "საქართველოს ისტორია" (A History of Georgia, 1988). ყველაზე უახლესს ჩვენ შეგვიძლია მივესალმოთ, ბატონ დონალდ რეიფილდის სიღრმისეულ და დეტალურ წიგნს "იმპერიის ნაპირი" (*Edge of Empire: A History of Georgia*, 2012). ლიტერატურის ხაზით მოგვეპოვება უორდროპის ნათარგმნი "ვეფხისტყაოსანი" (1912) და დონალდ რეიფილდის ბრწყინვალე "ქართული ლიტერატურა" (The Literature of Georgia 1994). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი - აკადემიური ნაშრომია და არა პოპულარული, ფართო მასშტაბზე გათვლილი გამოცემა. ყველა ეს წიგნი მკითხველისგან დიდ განსწავლულობას მოითხოვს. ყველაზე ადრეული გამოცემები კი აღარ მოიპოვება და თუ სადმე წავაწყდით, ძალიან ძვირი ღირს. უფრო თანამედროვე გამოცემებიც ასევე ძვირია. უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს კი აქვთ ეს წიგნები, მაგრამ, უპირატესად, მკითხელს უფლებას არ აძლევენ წიგნი ითხოვოს.

ნაციონალურ და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მეცნიერულ წიგნებსა და ჟურნალებში სხვა, უფრო სპეციფიკური მასალებიც მოიპოვება. ესენია: რ. ტომსონის თარგმანი „ქართლის ცხოვრებისა" (I-VI ნაწილები), „ბედი ქართლისა" (რედაქტორები: კ. და ნ. სალიები). ასევე არსებობს რამდენიმე ქართული პოემისა და მოთხრობის თარგმანი.

(გ) პრობლემის გადაჭრის მცდელობა; ერთი მწერლის თვალსაზრისი

ჩემთვის მალევე გახდა ნათელი, რომ, თუ გადავწყვეტდი დამეწერა სამუალო დონისთვის მისაწვდომი თხრობა საქართველოს ისტორიაზე - დაწყებული ბერძნულ-კოლხური პერიოდიდან, დამთავრებული საბჭოთა ჯარების

ოკუპაციამდე 1921 წელს, თავისი რუკით ყოველი საუკუნისთვის (ესე იგი, ოცი ფერადი რუკით), 140 შავ-თეთრი ილუსტრაციის თანხლებით, ეს სამუშაო საკუთარ თავზე უნდა ამეღო. ჩემი ნამუშევრიდან დღეს 500 ფურცელია გამოსული. ჩემი წიგნი არ გახლავთ ორიგინალური აკადემიური ნაშრომი; აქ არ არის აქამდე უცნობი წყაროების არქივები, არამედ ის მხოლოდ განიხილავს საქართველოს ისტორიას უფრო მარტივ კონტექსტში. ჩემი წიგნი ეყრდნობა დაახლოებით 300 სხვა წიგნს (მათ შორის 95% ინგლისურ ენაზეა), ყოველი ჩემი გამოყენებული წყარო მიუთითებს ორიგინალზე და ეუბნება მკითხელს, რა საიდან ამოვიღე. თუმცა ციტირებული მასალების უმრავლესობა პირველად იხილავს დღის სინათლეს არააკადემიური წრეებისათვის. ჩემს წიგნში მითითებულია ყველა გამოყენებული წყარო, მაგრამ სამწუხაროდ, იქიდან მკითხველს რეალურად ძალიან ცოტაზე მიუწდება ხელი, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში დაცული ლიტერატურის გარდა. ყოველი ცდა საქართველოს ისტორიის შესწავლისა უცხოელის მიერ, მით უფრო, ვინც არ არის ამ სფეროს სპეციალისტი, კადნიერება და აჩქარებაა. ჩვენ არ ვითხოვთ, ამ წიგმა დააკმაყოფილოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა. ჩვენი წიგნი მხოლოდ იმის მცდელობაა, წააქეზოს ქართველი აკადემიკოსები და სწავლულები, რათა თქვან: "ეს წიგნი შეიძლება იყოს დასაწყისი, მაგრამ ჩვენ ბევრად უკეთ წარმოგიდგენთ საქართველოს ისტორიას ინგლისურად მოლაპარაკე სამყაროსთვის; ჩვენი ასეთი წამოწყება, უპირატესად, საქართველოს ინტერესებში შედის, რათა ჩვენი კულტურა და ისტორია უფრო ფართო აუდიტორიისათვის წარმოვაჩინოთ."

(გ) რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ითარგმნოს ძირითადი წიგნები?

როგორ შეიძლება, ეფექტურად წარმოვაჩინოთ საქართველო ფართო მასშტაბის სარბიელზე? რიგითი მოყვარული მკითხველისათვის? უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს და სასიცოცხლო პირველი ნაბიჯი, მიმზიდველი წიგნის გამოცემაა - კარგად ილუსტრირებული, არაქართველი მკითხველისთვის შთამბეჭდავი საქართველოს ისტორია, რომელიც მუდმივად

გამოიცემა ხელახლა და რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასებში.

დღევანდელ ვიზუალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი ეკრანიზირებულია, წიგნი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფერად რუკებს. ქვეყნის ისტორია უნდა წარმოგვიდგეს არა მხოლოდ თხრობის საშუალებით, არამედ მოვლენებიც სხვადასხვა ვიზუალური საშუალებით უნდა დაგვანახოს. ეს შეიძლება მოხდეს რუკებით ან ძველი ჩანახატებით, რაც სათანადო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს. ასევე აუცილებლად გვჭირდება ქრონოლოგიები, გენეალოგიები და ბიბლიოგრაფიები (რომლებშიც მითითება იქნება როგორც ქართულ, ასევე არსებულ ინგლისურ წყაროებზე). თუ გვსურს,

საქართველოს ისტორია მკითხველს ფართო კონტექსტში შევთავაზოთ და ხელი შევუწყოთ წიგნის გაყიდვა-პოპულარიზაციას, საჭირო იქნება გამოიცეს სერიები წიგნებისა, რომლებიც უცხოელებს გააცნობენ ქართულ კულტურას, უფრო ფართოდ დაანახებენ ქართული კულტურის სიღრმეს.

მაგალითად, რამდენიმე მცირე მოცულობის წიგნი ქართულ პოეზიაზე, რელიგიაზე, არქიტექტურაზე, ქართველ მოგზაურებზე (სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში, თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობა), ციხე-სიმაგრეებსა და საბრძოლო ხელოვნებაზე, ასევე წიგნები კულინარიასა და ღვინოზე. ამგვარი სპეციალური სერიები დიდად წასწევენ წინ ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში ქართული კულტურის დანერგვის საქმეს. წიგნების ყველა სერია პოპულარიზებას უნდა უწევდეს წინა სერიებს და ეს იქნება ერთგვარი რეკლამაც ამ სახის ლიტერატურისა. სამწუხაროდ, ძალიან მცირეა ამ სახის ნაშრომები, ჩვენ არ გვაქვს მსგავსი თემატური სერიები და რაც კიდევ უფრო დასანანია - არ გაგვაჩნია არანაირი წყაროები, რომლებიც ასეთი წიგნების მოძიებაში დაგვეხმარებოდა.

საქართველოს მდიდარი და გავლენიანი კულტურის ისტორია, რომელიც თავისთავადია, განუმეორებელი და არა მეზობელი ქვეყნებისგან შეთვისებული, იყო და არის უნიკალურად ქართული. მონასტრები და სამწერლო-საგანმანათლებლო კერები ათონის მთაზე, სინას მთაზე, სირიაში, ასევე იერუსალიმსა და ბულგარეთში - ამის ერთ-ერთი დამმტკიცებელი საბუთია. ურთიერთობანი ბიზანტიასთან, მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში, ელჩობა ევროპის სამეფოებში, მეწინავე როლების აღსრულება სპარსეთსა და რუსეთში - ეს ქართული კულტურის უნიკალურობის ნაწილია, რაც ძალიან მცირედ არის ცნობილი. დიახაც, ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა ამჟღავნებს იმ ღრმა სიმდიდრეებს, რაც თითოეულ კულტურაში იმალება. ჩვენ გვაქვს "ვეფხისტყაოსნის" თარგმანი ვ. უორდროპის (1912), ვ. ურუშაძის (1968), კ. ვივიანის (1877) და რ.სტივენსონისა (1977), მაგრამ ისინი ნაკლებად არის ცნობილი. დონალდ რეიფილდი

(იხ. ზემოთ) გვაძლებს ბევრ ბრწყინვალე თარგმანს ქართული პოეზიიდან, პოემებს მთლიანი სახით - იშვიათად, გასაგები მიზეზების გამო. *ქართული პოეზია* (*Georgian Poetry*, 2004), გამომცემელ ბადრი შარვაძის შენიშვნებით, წარმოგვიდგენს სრულ თარგმანებს (დ. რეიფილდის), სადაც არის 125 ქართული პოემა, მაგრამ ამ წიგნის მოპოვება ფიზიკურად შეუძლებელია.

პროზის ფრონტზე შემთხვევით შეიძლება გადააწყდე გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენას" (1955, მოსკოვი) და გრიგოლ აბაშიძის "ლამარელას" (1981), რომლის მხოლოდ პირველი ნაწილია ნათარგმნი. ვიცით, რომ არსებობს ეორდროპის ქართული ხალხური მითების თარგმანი (Georgian Folk Tales), მაგრამ ამ წიგნის შოვნაც შეუძლებელია. მხატვრობა, არქიტექტურა, დეკორაცია და სამზარეულო ბევრად კარგად არის წარმოჩენილი, თუნდაც მხოლოდ თბილისში მოგზაური ტურისტისთვის. მაგრამ ჩვენ მაინც გვაკლია ფიროსმანი, გუდიაშვილი, გამრეკელი, იმხნელი... ეს მცირედი ჩამონათვალია. თბილისში, მართალია, უხვადაა წიგნები ეკლესია-მონასტრებსა და მათ არქიტექტურაზე, მაგრამ თითქმის არ იშოვება ნაშრომები ციხე-სიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებზე.

ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნის ხარისხი და გამოცემის დონე მაღალია. მაგალითად, თბილისის, მცხეთის და ქუთაისის სერიები, ანდა ძველი ქართული ქალაქებისა და სოფლების სერიები; საქართველოს ნაციონალური ტურიზმის სააგენტოს გამოცემები და რამდენიმე წიგნი ქართულ სამზარეულოზე, ქსოვილებსა და ღვინოზე... მაგრამ როგორ უნდა მიაკვლიოს ადამიანმა ამ წიგნებს? საზღვრგარეთ ეს თითქმის შეუძლებელია, თუ საქართველოში არ ჩახვალ და არ იყიდი!

* * *

ეს წერილი უნდა დასრულდეს ბოდიშის მოხდითა და თხოვნით. არცერთ უცხოელს არ შეუძლია, ობიექტურად განსაზღვროს საქართველოში ინგლისურ ენაზე მიმდინარე მთარგმნელობითი საქმიანობა და შესთავაზოს, რომელი

მწერლები უნდა ითარგმნოს. დაფინანსება ყოველთვის პრობლემა იქნება. მაგრამ თანამედროვე ინტერნეტის ხანაში, რომელმიც დღეს ვცხოვრობთ, მხოლოდ მცირე თხოვნა გვექნება: ერთი ინტერნეტგვერდი მაინც არსებობდეს, სადაც განთავსდება ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ქართული ნაშრომები და საიდანაც მოყვარული მკითხველი ამ წიგნების შეკვეთას შეძლებს. ეს იქნება პირველი სასიცოცხლო ნაბიჯი ქართული ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებული ფართო საზოგადოების მოპოვებისთვის, რასაც უძველესი კულტურული მემკვიდრეობით მდიდარი საქართველო ნამდვილად იმსახურებს.

The "Lost" Country
Why is Georgian History and Culture so Little Known in the English-speaking World?

Peter Skinner

An American historian, British by origin, the author of the book translated into eight European languages – "World Trade Center". His book "Georgia: The Land Behind the Caucasus" was published in the US in 2014. He lives in New York.



Resume: In November of 2013 Levan Kiknadze, a Georgian archaeologist, residing in the US, sent an open letter to the editorial board of "The Kartvelologist" journal. He introduced Peter Skinner, an American historian whose illustrated book about the history of Georgia was being prepared for publication. Mr. Kiknadze suggested that we published Skinner's article and informed us about his disappointment on the fact that English speaking readers hardly know the history of Georgia and had no access to the relevant literature. On my part, I communicated to Mr. Skinner that several important books have been recently published in English in Georgia and international experts in Kartvelian studies published monographs on the history of Georgia in English and German. But we considered it necessary to publish this article after the relevant expert review.

The article demonstrates great love for and admiration of rich Georgian culture and its old, heroic history. Though, it also deals with the frustration with the fact that there are very few publications about Georgia in English and they are not available for wide circles of readers.

I believe that scholars and cultural professionals should take into account the researcher's remarks. We should manage to listen to the remarks full of compassion towards us and improve the situation.

The article is published both in English and Georgian (translated by Mr. Kiknadze).

Editor

Key Words: *history of Georgia, Georgian literature, Piter Scinner*

(a) The problem: why is Georgian history so little known in the West?

For many English-speakers their first (and often only) meeting with "Georgia" is in the schoolroom, where the tale of Jason and Argonauts brings a vague awareness of Colchis and the Caucasus, but little else. Later, we may follow Pompey to Africa and Spain, but not to Iberia and Colchis. Thus our first tenuous connection with "Georgia" ends. Why? Why do the overwhelming majority of us know nothing about Georgia – nothing of Georgia and its brilliant Christian culture and scholarship, of Georgia and its heroic struggles against the Arabs, Jalal-ad-Din, the Mongols, Timur, the Persians, the Turks and the Russians? Why do we know nothing of Parnavaz, Vakhtang Gorgasali, David IV, Tamar, Teimuraz I, Vakhtang VI and Erekle II? Why do so few of us know of *The Knight in the Panther Skin*, or recognize the names Tsereteli, Chavchavadze, Vazha Pshaveli or Tabidze? Or Pirosmani, Gudiashvili or Kakabadze?

A major problem is location: Georgia lies beyond Constantinople, beyond our artificial boundary of "Europe"; yet we do not associate Georgia with the Near East. Language has not helped; both the Georgian script and grammar are immensely challenging. In addition, a constantly changing mosaic of political entities hampers acquaintanceship. Religion has not helped; only the specialist sees beyond Western European Catholicism and Protestantism. Georgia (at least until 1990) could be termed "a stepchild of history," presented to us most often as a footnote to Persian, Turkish, and Russian history, shamefully shortsighted and intellectually limited though this is.

We can argue that neglect is the fate of many small countries, but we have to note that Georgia has not yet launched any

concerted and continuing program to secure translation of the nation's most important historical and literary works (or selections from them) into English. Foreign publishers are sponsored program of translations, undertaken by Georgian and foreign translator-scholars working in tandem, will bring Georgia's history fully on stage.

(b) The current state of Georgian studies. What materials do we have in English? What level; what availability?

It would be crass to neglect what has been done. We have the recent English-language histories of Georgia by V. Silogava and Kakha Shengelia (2007) and by N. Asatiani and O. Janelidze (2009). However, both books are so fact-filled as overwhelm the non-scholar reader, and neither has an index, making fruitful use difficult. A still more recent history appears to have been machine-translated, producing frequently eccentric English in often inverted word order – and costs over $250! We still lack a series of accessible accounts of Georgian history *selected and edited* to meet the needs of non-scholars, non-specialist swho wishes to extend their horizons. A continuous chronological account is the primary need, and such an account should not exclude interesting and colorful passages from *kartlis tskhovreba*, from Vakhushti, from M-F Brosset, and from Javakhishvili and other moderns. It is desirable also to address architecture, art and literature – but to do so would require an additional volume.

In terms of English-language works, the situation is not entirely bleak; very valuable work has been done by a handful of brilliant and committed scholars. We have Oliver Wardrop's *The Kingdom of Georgia* (1888), W.E.D Allen's *A History of the Georgian People* (1932), D.M. Lang's *Last Years of the Georgian Monarchy* (1957), his *A Modern History of Georgia* (1962), and R.G. Suny's *A History of Georgia* (1988). Most recently we can welcome D. Rayfield's dauntingly detailed *Edge of Empire: A History of Georgia* (2012). On the literary front we have Marjory Wardrop's translation of *The Night in the Panther's Skin* (1912) and D. Rayfield's magisterial *The Literature of Georgia* (1994). But all the

foregoing are *academic* rather than *popular* works; all demand much knowledge of the reader. Earlier titles are out of print, and very expensive if found; contemporary titles are also extremely expensive and are held only by major university libraries – and in many cases readers may not be take them off the premises. Other more specialist material exists in scholarly books and journals within national and university libraries. These items include R. Thomson's translation of Parts I to VI (King David) of *kartlis tskhovreba, bedi kartlisa* (ed. K. and N. Salia), and translations of a very modest number of Georgian poems, short stories, and prose pieces.

(c) An attempt at a remedy; one writer's approach

It soon became clear that if I wanted an accessible, mid-level account of Georgian history from the Greco-Colchian period to the Soviet invasion of 1921 – with a full-page color map per century (for 20 maps), plus 80 or so black-and-white illustrations – I would have to attempt to write one myself. I labored on – and a 500-page volume resulted. The book is not a work of original scholarship; it does not draw upon hitherto unknown archives. Rather, it reweaves the tapestry of Georgian history in simpler patterns. It draws upon some 300 books and articles (95 percent in English), all referenced in a Notes section that tells the reader what information came from

where; much cited material is making its first appearance outside academia. The guides the reader to sources – though few are easy to find outside major university libraries.

This effort at a history of Georgia by a foreign non-specialist is both impudent and imprudent. But there is no claim made that the book truly fulfills the stated need; rather, it attempts do so, while highlighting that need. It is intended to provoke and encourage Georgian scholars to say, "This is book may be a beginning, but we can do much better in presenting Georgia to the English-speaking world – and it is in Georgia's best interest that we do so."

(d) What needs to be done?.. Key works for translation

But how can we effectively bring Georgia on stage to the general reader? The first thing to realize in grandly offering a"What needs to be done" program is that the proposer may be largely unaware of what is actually being done already – and may not have considered the practical and financial challenges of doing more. Nonetheless, an additional voice – however unreasonably optimistic it may be – may add impetus. A vital first step is an attractively produced, well-illustrated, reader-friendly history of Georgia *for non-Georgians* that remains in print at an affordable price. In a highly visual era, a generous complement of full-page colored maps is essential: a national history needs to *show* as well as to *tell*. Likewise chronologies, genealogies, a bibliography (including Georgian texts that have been translated into English) are necessary. To provide a full context and to encourage sales of such a book, a supportive series of smaller an inexpensive books is needed – perhaps a dozen broad-appeal paperbacks on the nation's regions and their folklore, on religious architecture, on secular architecture, on castles and soldiers, on pictorial and plastic arts, on scholarship and literature, on Georgian travelers abroad, on apparel and accouterments and on food and wines. A distinctive series of such publications could do much to seed the ground. Each title should reference all others, published or forthcoming. A modest number of such books exist, but there appears to be no *comprehensive* series - and few sources of relevant information about how to find and buy

such books.

Georgia's rich and influential cultural history – not adopted from her neighbors – was and is uniquely Georgian. Monasteries and scholarship at Mt Athos and Mt Sinai, in Syria and in Jerusalem are one example. Relations with Byzantium, participation in the Crusades, embassies to European courts, leadership roles in Persia and Russia are many other little-known examples. But surely exploration of a nation's literature provides the outsider with the deepest insights and the strongest bonds. We have translations of *The Knight in the Panther Skin* by M. Wardrop (1912), V. Urushadze (1968), K. Vivian (1977) and R. Stevenson (1977), but they remain little known. Donald Rayfield (see above) offers many illustrative translations of poetry – but because of space limitations – seldom a full poem. *Georgian Poetry* (2004), edited by Badri Sharvadse, offers full translations by D. Rayfield, V. Urushadze, W. May and D. Russell of some 125 poems; the authors range chronologically through the great poets from Shota Rustaveli to Anna Kalandadze. However, it is virtually impossible to obtain the book.

On the prose front it's occasionally possible to obtain Gamsakhurdia's *The Hand of a Great Master* (1955, Moscow edition) and G. Abashidze's *Lasharela* (1981); the successor volume(s) have not been translated. Undoubtedly there's a sprinkling of other titles (including M. Wardrop's *Georgian Folk Tales*), but they don't surface. Art, architecture, decoration, and cuisine fare slightly better – at least for any book buyer visiting Tbilisi. But we still lack comprehensive editions of Pirosmani, Gudiashvili, Gamrekeli and Otskheli, to name but a few. In Tbilisi, books on church architecture abound, but works on palaces and castles appear to be lacking.

Georgian printing and book-making is absolutely first class; take, for example, the Tbilisi, Mtskheta, and Kutaisi volumes of the Old Georgian Cities and Towns series; the materials of the Georgian National Tourism Agency, the publications of the Georgian Arts and Culture Centre, and a handful of books on textiles, food and wine. But how are we to find them?

This article must close with an apology - and a request. No outsider can accurately assess Georgia's English-language publishing activities or suggest which authors and works should head the "to be translated" list. Funding will always be a problem. But, in the age of the internet, can we not ask for a site and service to make English-language materials available to any interested reader? This is the vital first step in winning the wider audience that culturally rich Georgia so well deserves.

დონალდ რეიფილდის "საქართველოს ისტორია"

ლევან გორდეზიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (ძველი მსოფლიოს ისტორია), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: *დონალდ რეიფილდი, საქართველოს ისტორია,*

პატივი მაქვს, ჩვენი ჟურნალის მკითხველს წარმოვუდგინო საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო წიგნი (Donald Rayfield, Edge of Empires: a History of Georgia, Reaktion Books, London 2012). მისი ავტორია ცნობილი ინგლისელი მეცნიერი დონალდ რეიფილდი, ჩვენი ქვეყნის კარგი მცოდნე და დიდი მეგობარი. ქართული აკადემიური წრეებისათვის მისი სახელი უკავშირდება, პირველ რიგში, დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს [1], რომლის სულისჩამდგმელი და თანაავტორი იგი გახლავთ. პროფ. რეიფილდის "საქართველოს ისტორია" განკუთვნილია, პირველ ყოვლისა, ინგლისურენოვანი, ე. ი. მსოფლიო მკითხველისათვის და შესაბამისადაცაა დაწერილი – მსოფლიო ისტორიის, უფრო ზუსტად, მსოფლიო იმპერიების ისტორიის კონტექსტში, რაც სათაურიდანაც ჩანს – "იმპერიათა კიდე(ზე)". მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი არ შემოიფარგლება ფართო მკითხველის ზედაპირული ინტერესის დაკმაყოფილებით და გვთავაზობს ნაშრომს, რომელიც აკადემიური წრეებისთვისაც საყურადღებოა.

წიგნი დაწერილია მრავალფეროვან წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მათი კარგი ცოდნით, ამასთან, ხალისითა და ინტერესით იკითხება. მართალია, ავტორი საქართველოს ისტორიას გაბმულად მოგვითხრობს, მაგრამ აქცენტი გადატანილია იმ სურათებსა თუ ეპიზოდებზე, რომლებიც წყაროებში დეტალურად და ცოცხლადაა

გადმოცემული. წიგნს ფილოლოგის, ლიტერატორის ხელი კარგად ეტყობა.

საქართველოს უახლეს ისტორიას ავტორი თავადაც კარგად იცნობს, მომსწრე და თვითმხილველია მრავალი მოვლენის, კარგადაა ჩახედული ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციაში, სადაც ხშირად გვიჭირს ჭორ-მართლის გარჩევა. შესაბამისად, დასკვნითი თავები უფრო პუბლიცისტიკის ჟანრს განეკუთვნება, ვიდრე მშრალი ისტორიისას, იქ ბევრია სადავო, მაგრამ კარგად ჩანს ეპოქის წინააღმდეგობებით აღსავსე სული.

ამის საპირისპიროდ, ავტორი გვთავაზობს სერიოზულ სამეცნიერო მიმოხილვას, რასაც ხშირად ერთვის საკუთარი კვლევის შედეგები თუ გონებამახვილური დაკვირვებები, საქართველოს ისტორიის იმ პერიოდებისა, რომლებისთვისაც არსებობს ფართო და დაღვინებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ეს მტკიცება შეეხება, პირველ რიგში, "რუსულ პერიოდს", რომელიც ძალზე დეტალურადაა განხილული. შუა საუკუნეების ისტორიის თხრობისას ავტორი ძირითადად "ქართლის ცხოვრებას" ეყრდნობა, თუმცა იყენებს სხვა მრავალ წყაროსაც, რის გამოც მისი წიგნი ქართველი ისტორიკოსებისთვის სანიმუშო შეიძლება იყოს.

ავტორი კარგად იცნობს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურასაც. ბიბლიოგრაფიაში მე გულს დამაკლდა ჰაინც ფენრიხის "საქართველოს ისტორია" [2], მაგრამ ის, ალბათ, ჯერ არ იყო გამოქვეყნებული, როდესაც განსახილველი წიგნი იწერებოდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, წყაროებისაგან განსხვავებით, ავტორი სამეცნიერო ლიტერატურას მინიმალურად უთითებს და არ ერთვება დისკუსიაში ამა თუ იმ საკითხის გარშემო. იმ პრობლემების შემთხვევაშიც კი, რაზეც მეცნიერები მრავალი ათწლეულის მანძილზე დაობენ, მას მოაქვს ის ვერსია, რომელსაც თავად უფრო ენდობა, როგორც დადასტურებული ფაქტი. შესაძლოა, ინგლისურენოვანი მკითხველისათვის არც იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, ვთქვათ, ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა ძვ. წ. მესამე საუკუნეში შეიქმნა თუ ახ. წ.

მეოთხეში, მხოლოდ საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ, ან არმაზის კერპი ხეთურ არმას განასახიერებდა თუ ირანულ აჰურამაზდას, მაგრამ, ვფიქრობ, წიგნი არაფერს წააგებდა, ავტორს ძირითადი ვერსიები რომ განეხილა, ან, თუნდაც, ეხსენებინა, რომ ამ თემებზე სხვადასხვა აზრი არსებობს.

წიგნს ამშვენებს მრავალფეროვანი საილუსტრაციო თუ საცნობარო მასალა, მათ შორის, რუკები და მმართველთა ნუსხები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ, ფარნავაზიანებისა და ბაგრატიონების დინასტიების გარდა, რასაც საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ არაერთ წიგნში ვხვდებით, მოცემულია აფხაზეთის მეფეების, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის მთავრების, თბილისის ამირებისა და სამცხის ათაბაგების სიებიც. ავტორი აფხაზეთის მეფეებს ანჩბას დინასტიას მიაკუთვნებს (გვ. 61 და 440). აჩბა-ანჩაბაძეების საგვარეულოს მართლაც უკავშირებენ ამ დინასტიას, მაგრამ "ვიკიპედიაშიც" კი [3] ეს იდენტიფიკაცია ჰიპოთეტურადაა წარმოდგენილი და მეც ვამჯობინებდი, რომ წიგნში ასევე ვარაუდის სახით ყოფილიყო მოცემული. მსგავსი სურვილი არაერთხელ გამჩენია, როდესაც ნაშრომს ვეცნობოდი.

დავსჯერდები კიდევ რამდენიმე მაგალითს: ავტორი ხეთური ტექსტების ხაიასას სომხებს, ხეთური და ასურული ტექსტების ქაშქას – ქაშაგებს, ჩერქეზებს, ხოლო ასურული ტექსტების აბეშლას – აფსილებს/აფხაზებს უკავშირებს (გვ. 16). ხაიასას ჰაიასტანთან იდენტიფიკაციას არ იზიარებს მკვლევართა დიდი ნაწილი, მათ შორის ი. დიაკონოვიც [4], რომელსაც ნამდვილად ვერ დავწამებთ არმენოფობიას. ქაშქა-ქაშაგისა და აბეშლა-აფსილის გაიგივების ეჭვქვეშ დასაყენებლად შეიძლება მოვიხმოთ გ. გიორგაძის ნაშრომი [5], რომ აღარაფერი ვთქვათ აფსილ-აფხაზის მიმართებასთან დაკავშირებულ ცხარე დისკუსიაზე.

საქართველოს უძველესი ისტორიისადმი მიძღვნილ თავში (The emergence of Georgians), სამწუხაროდ, აღმოვაჩინე რამდენიმე აშკარა უზუსტობაც: ცუხმე (შდრ. ქართ. "სომეხი") დადასტურებულია ასურულ და არა ხეთურ ტექსტებში (გვ. 16); დაიაენის მეფეებს ასიასა და სიენის ასევე ასურული

ტექტებიდან ვიცნობთ და არა ურარტულიდან (გვ. 17). მართალია, მკვლევართა უმეტესობა ემხრობა ასურული ტექსტების დაიაენისა და ურარტული ტექსტების დიაუხის (ქართ. ტაო) გაიგივებას, მაგრამ ასურული ტექსტის შინაარსის გადმოცემისას სიენი "დიაუხის მეფედ" (გვ. 17), ალბათ, მაინც არ უნდა მოვიხსენიოთ. გამიჭირდება დავეთანხმო ავტორის აზრს, რომ მესხები დღეს თურქულენოვანნი არიან (now entirely Turkish-speeking. gv. 12). სავარაუდოდ, იგი აქ ე.წ. თურქ-მესხებს გულისხმობს, რომელთა გასახლებისა და უკან ჩამოსახლების პრობლემა აქტუალური იყო უახლოეს წარსულში.

ნაშრომის ამავე თავის გაცნობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ძველ წყაროებში (ლურსმულ თუ ბერძნულ-რომაულ ტექსტებში) დადასტურებული ტერმინები, რომლებსაც ჩვენ ტრადიციულად ტომობრივ ან პოლიტიკურ ერთეულთა სახელებად აღვიქვამთ, სპეციალურადაა შესასწავლი, რათა შემუშავდეს მეთოდოლოგია მათი სწორი ინტერპრეტაციისათვის.

დაბოლოს, იმის შესახებ, რითიც ავტორი თავის ნაშრომს იწყებს: მისი საქართველოს ისტორია მოიცავს პირველ რიგში, თანამედროვე სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, შემდეგ გარკვეულ ტერიტორიას ამიერკავკასიაში და ბოლოს, ისტორიულ საქართველოს, რომელიც ოდესღაც ბევრად უფრო ვრცელი ყოფილა (გვ. 7). ავტორი ქვეყნის ისტორიას, იმ მომენტიდან მაინც, როდიდანაც ეთნიკურობაზე ლაპარაკი შესაძლებელია, არ გამოჰყოფს ქართველი ერის ისტორიისაგან. მაგრამ აქაც აზუსტებს, რომ თავად ქართველები ყოველთვის აღიქვამდნენ ქართველად, ერთი მხრივ, დაბადებით ქართველს, ქართულად მოლაპარაკეს, მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა (იქვე). ეს, შესაძლოა, სადავო დებულება ინგლისურენოვან მკითხველს პირველი გვერდიდანვე ძირითადად სწორ წარმოდგენას უქმნის იმ ეთნიკურ თუ რელიგიურ შემწყნარებლობაზე, რომლითაც საქართველო ბევრი სხვა ქვეყნისაგან გამოირჩევა და რითიც დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროს თავი შეიძლება

მოვაწონოთ. ქართველების, ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ხალხის (ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები) გვერდით ავტორი მოიხსენიებს იმ ხალხებსაც, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში – აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა თურქული ტომები, ებრაელები... მოვიტან ერთ პასაჟს, რომელიც, ჩემი აზრით დაზუსტებას საჭიროებს:

"For long periods in Georgian history, Abkhazia (whose indigenous language is a northwest Caucasian language unrelated to Georgian) has been part of the Georgian state. For most of Georgian history, those Ossetians (formerly Alanians, an Iranian people, remnant of Scythians) who live in Transcaucasia have also been subjects of the Georgian state. A history of Georgia is therefore, at times, a history of Abkhazia and Ossetia" (გვ. 8).

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა. საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ბევრი უცხოელი ამგვარადვე მოახდენდა თავისი ცოდნის რეზიუმირებას, მაგრამ არის ნიუანსები, რომლებიც ახლოდან არც ისე უწყინარად ჩანს:

ა. არ მივესალმები იბერიულ-კავკასიური ერთობის შესაძლებლობის სრულ იგნორირებას. დამოუკიდებლად იმისგან, ვიზიარებთ თუ არა ამ თეორიას, უკანასკნელი გამოკვლევების ფონზე [6; 7; 8], მისი მოუხსენიებლობა მაინც არ გვმართებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იდეის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ზოგჯერ პოლიტიკურად მოტივირებულია.

ბ. ჩრდილოდასავლურ კავკასიური ენა, აფხაზური არის აფხაზების და არა აფხაზეთის (თუნდაც დღევანდელი, მით უმეტეს X საუკუნის გაგებით) ენა. აფხაზეთში ყოველთვის ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა იყო და ქართველური კომპონენტიც ყოველთვის მძლავრად იყო წარმოდგენილი, რაც განაპირობებდა კიდეც აფხაზეთის მჭიდრო კავშირს ქართულ სამყაროსთან ათასწლეულების მანძილზე.

გ. ოსები, რომელთა იდენტიფიკაცია ალანებთან და, მით უფრო, სკვითებთან არაა უდავო, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ოსეთი, ქვეყანა ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს ნაწილი არ

ყოფილა. ისინი სომხების, ებრაელებისა და სხვა ხალხების მსგავსად საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ საქართველოში და ამ როლში წარმოადგენდნენ ქართული სახელმწიფოს სუბიექტებს.

სასურველი იქნებოდა, ჩვენთვის ამ მტკივნეულ საკითხებზე შესავალშივე სწორად დასმულიყო აქცენტები, მით უფრო, რომ ავტორი თავად კარგადაა გარკვეული ამ პრობლემატიკაში და კონკრეტული საკითხების განხილვისას მასალას სწორად გვაწვდის.

მთლიანობაში მინდა გამოვხატო ჩემი დიდი კმაყოფილება იმით, რომ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს გაუჩნდა კიდევ ერთი კარგი წიგნი წასაკითხად.

ბიბლიოგრაფია:

1. *A comprehensive Georgian-English Dictionary*, Donald Rayfield (editor in-chief), London 2006.
2. Fähnrich, H., *Geschichte Georgiens, Handbook of Oriental Studies, Section eight, Central Asia, v. 21 = Handbuch der Orientalistik*, Brill, Leiden&Boston 2010.
3. http://en.wikipedia.org/wiki/Anchabadze
4. Дьяконов, И. М., *Предистория армянского народа*, Ереван 1968.
5. Giorgadze, G., *Zur ethnischer Herkunft der Kaškäer und Abeschläer von hethitischen und assyrischen Keilschrifttexten*, Achalziche 2000.
6. Kurdiani, M., *Basics of Ibero-Caucasian Linguistics*, Tbilisi 2007 (in Georgian).
7. Chukhua, M., *Ibero-ichkerian Comparative Grammar*, Tbilisi 2008 (in Georgian).
8. Tuite, K., "The rise and fall and revival of the Ibero-Caucasian hypothesis", *Historiographia Linguistica*, Vol. 35 (2008), No. 1-2.

Donald Rayfield's "A History of Georgia"

Levan Gordeziani
Full Professor of Old World History at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

It is my great honour and pleasure to introduce to our readers another extremely interesting book dedicated to the history of Georgia (Donald Rayfield's "Edge of Empires: A History of Georgia". Reaktion Books, London 2012). The author of the book is Donald Rayfield, an eminent English scholar, who knows Georgia very well and, at the same time, is a very good friend of our country. Professor Rayfield in Georgian academic fields first of all is associated with a Comprehensive Georgian-English Dictionary [1], as one of the authors and inspirer of it. Donald Rayfield's "History of Georgia" is generally intended for English speakers, which means that it is for readers from all over the world. As expected, the history of Georgia is discussed in the book in the context of the history of the World's Empires, which is apparent from its title – "Edge of Empires". However, in spite of this, the book is not intended to please just the superficial interests of a wide range of readers but the author presents a book which is significant for scholars as well.

Professor Rayfield demonstrates a profound knowledge of varied written sources on which his work is based and, at the same time, the book reads easily and with interest. While re-telling about the history of Georgia the author, who is an excellent philologist and literary critic, emphasises the episodes that are vividly narrated from the source material.

Donald Rayfield knows the modern history of Georgia quite well as he has been a witness of many events and developments taking part in our country. He reveals a very profound knowledge of the information spread in Georgian society, where it is not always easy to distinguish truth from untruths. That is why the last chapters of the book rather belong to the genre of journalism than to

the "dry" history. One can argue a lot in these chapters, however, the controversial spirit of our era is perfectly visible in it with many apparent contradictions.

On the contrary, the author initially presents a serious, scholarly review, which is frequently followed by the results of Rayfield's research and witty observations about the periods of Georgian history with lots of solid data from written sources. This is true, first of all, for the detailed review of the "Russian Period" of Georgian history. While discussing the medieval history of the country, Professor Rayfield's research is mainly based on the "Georgian Chronicles", although he uses many other sources as well, and that makes the book exemplary for Georgian historians.

It should be noted that Donald Rayfield is familiar with the scholarly literature on the issues discussed in the book. However, I noticed that in the bibliography an important work by Heinz Fähnrich "History of Georgia" [4], is not mentioned which probably had not yet been published when the book was being written.

It should also be pointed out that unlike the written sources, the author minimizes the citation of the scholarly literature and tries not to get involved in the discussion on different issues. While discussing the issues on which scholars have been arguing for decades, Professor Rayfield relies on the opinion he trusts most, and presents it as an already proven fact. For an English-speaking reader it may not make much difference whether the Georgian alphabet was created in the 3rd century BC or only after adoption of Christianity as a state religion, in the 4th century AD; or whether the pagan Georgian idol Armazi symbolised the Hittite Arma or Iranian Ahura Mazda. However, it would have been advisable if the author had discussed or mentioned main opinions regarding the problematic issues.

The book is made more attractive by different additional illustrated or reference material such as maps and lists of the country's rulers. Special attention should be paid to the fact that besides the information about the Parnavazid and Bagrationi Royal dynasties (available in most of the books about the history of Georgia), the author gives us a list of Abkhaz Kings as well as the

lists of the rulers of Abkhazia, Samegrelo, Guria and Samtskhe and the Emirs of Tbilisi. According to the author, the Kings of Abkhazia belong to the Anchba dynasty (p. 61; p. 440). Although the Achba-Anchabadze family is thought to be related to this dynasty, even in Wikipedia sources [6] this kind of identification is presented as hypothetical. I would also have preferred this attitude to have been presented as hypothetical in the book. This desire emerged several times while reading the book. Specifically, I would like to present several examples: the author argues that *Hayasa* from Hittite texts is related to Armenians, likewise, the term Kashka from Hittite or Assyrian texts is connected with *Kashags*, *Cherkess* people, and *Abeshlas* – with the *Apsils*/ *Abkhaz* (p. 16). Most of the scholars, including Professor Diakonov who cannot be accused of Armenophobia, do not support the idea which identifies *Hayasa* with *Hayastan* [3]. Whilst expressing doubts regarding the identification of the following terms: *Kashka-kashag/Cherkess* and *Abeshla-Apsil/Abkhaz* we would like to mention the work of Giorgadze, G. [5], let alone a hot dispute regarding the connections between the terms *Apsil* and *Abkhaz*.

In the chapter dedicated to the ancient history of Georgia (The Emergence of Georgia), I have, unfortunately come across several inaccuracies: the term *"tsukhme"* (comp. the Georgian term for 'somekhi' (Armenian)) is testified in Assyrian texts and not in Hittite (p. 16). Kings of *Daiaeni Asia* and *Sieni* are also known from Assyrian texts and not from *Urartian* texts (p. 17). Although most of the scholars support the idea which identifies the Assyrian term *Daiaeni* with the Urartian term *Diauehi* (Georgian *Tao*), however, *King Sieni* mentioned in the Assyrian text should not be referred to as *King of Diauehi* (p. 17). It would be difficult to agree with the opinion of the author that nowadays Meskhetians are entirely Turkish-speaking people (p. 12). Supposedly, the author means "Meskhetian Turks", whose deportation and return to Georgia was quite an urgent issue in the immediate past.

Reading the same chapter of the book I was convinced that the terms used in ancient sources (Cuneiform or Greco-Roman) that we traditionally class as terms denoting tribal or political units,

should be studied specifically with the view of creating a methodology which would facilitate their interpretation in a correct way.

Finally, I would like to touch upon the issue with which the book starts. "A History of Georgia" shows Georgia first as a country in the borders recognized by the international community, secondly, as part of Southern Caucasus, and finally as historical Georgia, which used to be much bigger that it is now (p. 7). The author does not separate the history of Georgia from the history of the Georgian nation since the period when it becomes possible to speak about ethnicity. However, the author specifies that, on the one hand, ethnic Georgians have always been considered Georgians by birth, and also Georgian-speakers and anyone living in Georgia despite their ethnic background to be Georgian (Ibid). This, though somewhat debatable statement may leave a correct impression on the English-speaking readers about Georgians with their ethnic or religious tolerance that makes Georgia different from many other countries, and that makes it much more attractive to the civilized world. Besides Georgians, or the people speaking in other Kartvelian languages (like Georgians, Megrelians, Laz, Svans) the author also names the nations, which have played an important role in the formation of Georgia as a state, e.g. Abkhazians, Ossetians, Armenians, Azerbaijanis, other Turkish tribes, Jewish etc. I would like to quote one paragraph, which, in my opinion, needs to be clarified: "For long periods in Georgian history, Abkhazia (whose indigenous language is a northwest Caucasian language unrelated to Georgian) has been part of the Georgian state. For most of Georgian history, those Ossetians (formerly Alanians, an Iranian people, remnant of Scythians) who live in Transcaucasia have also been subjects of the Georgian state. Therefore a history of Georgia is therefore, at times, a history of Abkhazia and Ossetia" (p. 8). It seems that any benevolent foreigner would resume his knowledge about Georgia the same way as it is in the above quoted paragraph, but there are some nuances here which, if read more carefully, make this passage more problematic:

A. I do not think that to ignore the possibility of Ibero-Caucasian unity totally would be a good idea, whether we agree with it or not. The latest research [2; 7; 8] reveals that the arguments of those scholars who do not agree with the theory of Ibero-Caucasian unity, sometimes are politically motivated;

B. Northwest Caucasian language e.g. Abkhazian, is a language of Abkhaz people and not the language of Abkhazia (even if according to its contemporary meaning, and not according to the 10th century, when Abkhazia enclosed whole territory of West Georgia). The population of Abkhazia has always been ethnically diverse with a strongly represented Kartvelian component which determined very tight connections of Abkhaz people with Georgians for thousands of years;

C. Ossetians, whose identification with Alans, and even more with Scythians still raises some doubts, have played an important role in the history of Georgia. However, Ossetia, the country in the northern Caucasus has never been a part of Georgia. Ossetians have been living in Georgia for centuries like Armenians, Jews and other nationalities, and only in this context were they the subjects of the Georgian state.

It would have been very welcome if the author had emphasized the controversial issues for us right from the very beginning especially when he is an expert on the issues, and whilst discussing specific issues, he presented the material accurately.

Overall, I would like to express my satisfaction of the fact that readers interested in the history of Georgia have been presented with one more good book to read.

REFERENCES:

1. *A Comprehensive Georgian-English Dictionary*. Donald Rayfield (editor in-chief), London 2006.
2. Chukhua, M., *Ibero-Ichkerian Comparative Grammar* (in Georgian), Tbilisi 2008.
3. Дьяконов И. М., *Предистория армянского народа*, Ереван 1968.

4. Fähnrich, H., "Geschichte Georgiens", *Handbook of Oriental Studies, Section eight, Central Asia, v. 21 = Handbuch der Orientalistik*, Brill, Leiden&Boston 2010.
5. Giorgadze, G., *Zur ethnischer Herkunft der Kaškäer und Abeschläer von hethitischen und assyrischen Keilschrifttexten*, Achalziche 2000.
6. http://en.wikipedia.org/wiki/Anchabadze
7. Kurdiani, M., *Basics of Ibero-Caucasian Linguistics* (in Georgian), Tbilisi 2007.
8. Tuite, K., "The Rise and Fall and Revival of the Ibero-Caucasian Hypothesis", *Historiographia Linguistica*, Vol. 35 (2008), No. 1-2.

იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი

ნანა გონჯილაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე: არც ერთ ძველ ქართულ წყაროში, IX საუკუნიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, იერუსალიმიდან მცხეთაში კვართის ჩამომტანი ელიოზის დის სახელი „სიდონია" არ იხსენება. სხვადასხვა ეპოქის კედლის მხატვრობაში (IX-XIII, XVII-XIX სს.) მინიატიურებსა და ხატებზე წარმოდგენილ ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვა-ამაღლების სცენაში, არც XVII-XVIII ს.ს-ის კათალიკოსთა საბეჭდავებზე და ვახტანგ VI-ის დროშაზე „სიდონია" არსად არაა გამოსახული. XIX ს-ში გამოცემულ „წმ. ნინოს ცხოვრების" მოთხრობებში, ძირითადად, ელიოზის და „სიდონიად" იწოდება, როგორც ქართველთათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებაში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა..." ცხრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს „სიდონიას". მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში" მოთავსებულ ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში" ელიოზის დის სახელთან ფრჩხილებში მოთავსებულმა „სიდონიამ", აგრეთვე ხატის „საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დიდებაში" ელიოზის დის სახელის აღნიშვნამ უდიდესი როლი ითამაშა ელიოზის დის „სიდონიას" სახელის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებაში.

საკვანძო სიტყვები: *სიდონია, თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. საბინინი*

XIX ს-ის ბოლოს საქართველოს სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ქართული ქრისტიანული კულტურა ახალი საგანძურით შეივსო. „საქართველოს ეკლესიის დიდება" - ასეთი სახელწოდება ჰქონდა ხატს, რომელიც ცნობილი ქართველი მოღვაწის მიქაელ-გობრონ საბინაშვილის (საბინინის) თაოსნობითა და მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა. ხატის ლითოგრაფია პირველად ლაიფციგში (1889 წ.), შემდეგ კი ბერლინში (1895 წ.) დაიბეჭდა. იგი დაიწერა ძველი ქართული ხატების, ფრესკებისა და მინიატურების საფუძველზე, რომელთაც მიხეილ საბინინი მთელი ცხოვრების მანძილზე გულდასმით სწავლობდა.

ხატის კომპოზიცია ამგვარია - ცენტრში იხილვება ანგელოზი, რომელიც აღმართავს სასწაულმოქმედ სვეტს. მის ზემოთ გამოსახულია მაცხოვარი ორმაგი კუთხევით, ქვევით მწოლიარე კვართმირქმული ქალწული სიდონია, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ სივრცე მთლიანად ეთმობა ქართველ წმინდანებსა და მოღვაწეთ, პირველი საუკუნიდან დაწყებული, მეჩვიდმეტე საუკუნის ჩათვლით - მოწამეებს, მეფეებსა და მხედრებს, ეპისკოპოსებსა და ბერებს. ამდენად, ხატი თავისი შინა-არსით ქრისტიანული საქართველოს სულიერი ისტორიის მატიანეა, ცხოველმყოფელი ძალითა და, ქართული საგალობლის დარად, შინაგანი ჰარმონიით აღვსილი, ზესთასოფლის მიწიერებაში განმასაზოვნებელი.

„საქართველოს ეკლესიის დიდებაში" წმინდანებს სვეტი-ცხოვლის სასწაული აერთიანებთ, რომელიც უფლის კვართზეა ამოზრდილი და დაფუძნებული. უფლის კვართი, როგორც აღინიშნა, გულზე აქვს მიკრული გარდაცვლილ ქალწულს, რომლის თავზე იხილვება წარწერა „სიდონია". „წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციების კვლევისას ყურადღება მიიქცია სწორედ ამ სახელმა, რომლის ისტორია ფრიად საინტერესო და იდუმალებით მოცული აღმოჩნდა. კვლევა-ძიებამ ერთობ მოულოდნელ შედეგებამდე მიგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ ძველ ქართულ თხზულებებში კვართის მიმრქმელი ქალის სახელი არ იხსენება.

„წმ. ნინოს ცხოვრების" შატბერდული რედაქციის (X ს.) მიხეიდვით, იერუსალიმიდან მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს

შეეგება და: „ხოლო დაჲ მისი მიეგებვოდა... და მოეხჳა ყელსა ძმისა თჳსისასა და მოულო სამოსელი იგი იესუისი და შეიტკბო მკერდსა თჳსსა ზედა" [14, გვ. 129] და უმალვე აღესრულა. თხრობიდან ირკვევა, რომ მეფე ამაზაერს სურდა იესოს სამოსის წაღება, მაგრამ დიდი გლოვის გამო შეშინდა და გარდაცვლილი „დედაკაცის" ხელის ხლება ვერ იკადრა [14, გვ. 129]. ელიოზმა და იესოს კვართთან ერთად დამარხა. მსგავსი ვითარებაა „წმ.ნინოს ცხოვრების" ჭელიშურ რედაქციაში (XII ს.) [14, გვ. 129], სინური ხელნაწერისა (N/Sin- 50, IX-XI.ს) [23, გვ. 355] და ლეონტი მროველის (XI ს.) [12, გვ. 99-100] რედაქციებში -კვართის მიმრქმელს და და *დედაკაცი* ეწოდება. არსენ ბერი (XII ს.) მეტაფრასტიკის კვალობაზე განავრცობს ტექსტს. მიუხედავად ამისა, ელიოზის და აქაც იხსენება როგორც ქალწული, დედაკაცი, სათნოებითა და ღვთის-მოშიშობით შემკული [2, გვ. 31-32], გარდაცვლილ ქალთან დაკავშირებულ პასაჟებში კი იგი *მკვდრად* და *წმინდა* დად იწოდება [2, გვ. 31-32]. უცნობი ავტორის (XIII ს.) პერიფრაზული რედაქცია აღნიშნულთან დაკავშირებით იმეორებს არსენ ბერისეული თხზულების მონაცემებს [18, გვ. 69-71].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ირკვევა, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციებში (IX-XIII სს.) კვართის მიმრქმელი ქალის სახელი არაა წარმოჩენილი. იგი მოიხსენება როგორც „დაჲ ელიოზისი", „სათნოებითა და ღვთის-მოშიშობით" შემკული „ქალწული", „დედაკაცი" და „მკუდარი". როგორც ჩანს, თხზულების ავტორებისათვის უცნობია „სიდონია".

ეფრემ მცირის ნაშრომში - „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების", სვეტიცხოვლის ტაძრის აგებაზეცაა საუბარი, თუმცა უფლის კვართის ისტორიაზე არაფერია თქმული.

საქართველოს კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერისძისთვისაც (XII ს.) უცნობია ელიოზის დის სახელი. თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ", კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ" კვართის მიმრქმელს და და *დედაკაცი* ეწოდება [5, გვ. 13, 15]. „საკითხავის" ბოლოს

(XVII-XVIII სს-ის ხელნაწერები) დართული მინაწერი გვაუწყებს, რომ იგი ქართული კულტურის დიდ მოამაგესა და მწიგნობარს, დომენტი (IV) კათალიკოსს, შეუსწორებია. არც მას სცოდნია ელიოზის დის სახელი, რადგან თხზულებაში ამ კუთხით ცვლილება არ შეუტანია.

ელიოზის დის სახელი უცნობია „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ვარიანტისათვის [19, გვ. 80-81], „ქართლის ცხოვრების" ძვ. სომხური თარგმანისათვის [21, გვ. 94-95], აგრეთვე მ. ბროსეს მიერ თარგმნილი და გამოცემული წიგნის „ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის" (1849 წ.) [20, გვ. 40-41, 80] მიხედვითაც. ელიოზის დის სახელი არ იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებშიც „საქართველოს ისტორია" [7, გვ. 64] და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" [8, გვ. 81-82]. ვახუშტი ბატონიშვილს, როგორც ჩანს, არც კი სმენია ელიოზის დის სახელი, სხვა შემთხვევაში, სქოლიოში მიანიშნებდა რამეს (სხვა საკითხებზე არაერთი გადმოცემა აქვს მოხმობილი).

ზემოაღნიშნულ თხზულებებში, როგორც „წმ. ნინოს ცხოვრებათა" რედაქციებში, კვართის მიმრქმელ ქალწულს და, *დედაკაცი* და *მკვდარი* ეწოდება.

უფლის კვართზე საუბარია ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობაში" (თავი „თჳს ღირსისა დედისა ჩუენისა და ქალწულისა ნინა მოციქულთა სწორისა"). აქ მისი ადგილსამყოფლის გაცხადება წმ. ნინოს ძალისხმევის შედეგადაა მიჩნეული [1, გვ. 112]. ერთ-ერთ ქვეთავში „თჳს საღმრთოჲს კუართისა" ანტონ I გადმოგვცემს უფლის კვართის რაობას, მის ისტორიას [იქვე, გვ. 74]. აქ არაფერია ნათქვამი ელიოზზე, მის დედასა და დაზე. ანტონ I-ს თხზულებაში „მარტირიკა" კვართი სიმბოლურად აქვს გააზრებული.

სულხან-საბა ორბელიანი „სწავლანში" და „სამოთხის კარში" რამდენჯერმე ახსენებს უფლის კვართს (უფლის კვართისა და მონაზონთა კვართის შინა-არსზე გვმოძღვრავს), მის ისტორიაზე კი არაფერს ამბობს. შესაბამისად, ელიოზის დაზე აქ არაფერია თქმული. მსგავსი ვითარებაა იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში

„კალმასობა" (1813-1828 წწ.) (თავი „სვეტი ცხოვლისათვის") [11, გვ. 70].

ამდენად, ძველი ქართული თხზულებების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ არც ერთ ძველ ქართულ წყაროში, IX საუკუნიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, ელიოზის დის სახელი მოხსენებული არაა.

ქართლის მოქცევის ამბებს უცხოური წყაროებიც გადმოგვცემენ. IV-V სს-ის ბერძნული წყაროები (გელასი კესარიელი, რუფინუსი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენე) სვეტის აღმართვის სასწაულის აღწერისას უფლის კვართის შესახებ არაფერს ამბობენ.

ქრისტეს კვართის შესახებ სომხურ მწერლობაში დაცულია ლეგენდა ორი რედაქციით: „არქიელი იოანე ოქროპირის თხზულება ზეგარდმო გადმოსული უფლის უკერავი ქიტონის შესახებ" და „სომეხთა მეფე აბგარის ისტორია". აქ არაფერია თქმული ჯვარცმის შემდგომ უფლის კვართის ისტორიაზე.

მოვსეს ხორენაცის თხზულება „სომხეთის ისტორია" დაწვრილებით გადმოგვცემს ლეგენდას მეფე აბგარის შესახებ; ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით უფლის კვართი საერთოდ არაა ნახსენები. ამდენად, „სიდონია" აღნიშნულ წყაროებში არ ჩანს.

საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია XVIIს-ის ძველი რუსული წყაროების განხილვა, რომლებშიც უფლის კვართის შესახებ ცნობებია დაცული.

წიგნში - „მასალები ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიის მიხედვით" (1615-1640 წწ.) მოყვანილია საბუთი, რომლის მიხედვით, მიხეილ თეოდორეს ძის მეფობისას რუსეთის პატრიარქ ფილარეთის ბრძანებით მდივან ივან გრამოტინმა ახალი მონასტრის მესენაკე იოანიკეს გამოჰკითხა ქრისტეს კვართისა და სხვა სიწმინდეების შესახებ. იოანიკეს თქმით, იერუსალიმში ყოფნისას გაიგო, რომ კვართი წილად ხვდა ქართველ მეომარს, რომელმაც კვართი თავის დას აჩუქა. აქვე წარმოჩენილია ძველი ქართულ თხზულებათაგან განსხვავებული პასაჟი - ქალწულმა დაიწყო ქრისტეს ერთგული ცხოვრება და მშობლებს სთხოვა, როცა

გარდაიცვლებოდა, კვართში გახვეული დაემარხათ [13]. ამბობდნენ, რომ „...ხე აღმოცენდა კვართიდან, რომელშიც ჩადებულია მკვდარი *ქალწული*, და იმ მეომრისა, რომელმაც ქრისტესგან ჩამოხსნა კვართი" [13, გვ. 97].

„პალესტინური მართლმადიდებლური კრებულის" ტექსტი გვამცნობს, რომ მცხეთას სტუმრობდა ა. სუხანოვი. სვეტიცხოვლის არქიელსა და კათალიკოსს მისთვის უამბიათ უფლის კვართის ისტორია. თხრობაში ელიოზის ნაცვლად ლონგინია დასახელებული [22, გვ. 76]. ა. სუხანოვი კვართის მიმრქმელს დად და *ქალწულად* მოიხსენებს. საინტერესოა ერთი გარემოება - ა. სუხანოვი როგორც აღნიშნავს, ლონგინთან ერთად იერუსალიმში წასული მისი მეგობრის სახელი დაავიწყდა. ამდენად, მას რომ სცოდნოდა ლონგინის დის სახელი, აუცილებლად მოიყვანდა, ან მიუთითებდა, რომ დაავიწყდა.

ს. ბრაილოვსკის ნაშრომში „ახალი ვარიანტი მოთხრობისა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს კვართზე" (1889 წ.) საუბარია 1621 წელს შაჰ-აბასის მიერ რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძისა და პატრიარქ ფილარეთისადმი საქართველოდან წაღებული უფლის კვართის მირომევაზე. ს. ბრაილოვსკის მოჰყავს ტექსტი ერთი მოთხრობისა - „სიტყვა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს კვართის შესახებ". აქ მეორდება ზემოაღნიშნული თხრობა მეომრისაგან კვართის დისთვის გადაცემის შესახებ [4]. განსხვავებულია ერთი მონაკვეთი, კერძოდ, *ქალწული* კვართს დიდი ხნის მანძილზე ინახავდა; გარდაცვალებისას ითხოვა, კვართში შეესუდრათ. სამოცი წლის შემდეგ გათხარეს ის ადგილი და იხილეს ქალწულის უხრწნელი სხეული; კვართს მეოთხედი ნაწილი „მოგლიჯეს" და გაუკეთეს ლუსკუმა და ა.შ. [4, გვ. 20-21].

ამდენად, XIX ს-ის ბოლოს რუსულ წყაროებში დაცულ XVII ს-ის ტექსტებში უფლის კვართის შესახებ არსებულ მოთხრობებში კვართის მცხეთაში ჩამომტანის და კვართთან ერთად დაკრძალული ქალის სახელი არაა მოყვანილი. იგი ხან „დად" იხსენება და ხან - „ქალწულად".

საკითხის კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა ფრესკებზე ასახული სვეტის აღმართვა-ამაღლების კომპოზიციებზე დაკვირვება.

დავით გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობაში (IX-XIII სს), ანისის ეკლესიის (1215 წ.), სვეტიცხოვლის ტაძარის (სვეტის შემკობა-მოხატვა 1678-1688 წწ.-ს), სამთავროს მონასტრის მაყვლოვანის ეკლესიის (XIX ს-ის დასაწყისი), ბოდბის მონასტრის (XIX ს.) ფრესკებზე დაცულ წარწერებში „სიდონია" არ იკითხება.

სვეტის სასწაულია ასახული სადღესასწაულოს - 425 მინიატურაზე (1718 წ.), რომელზეც წარწერები არაა, ხოლო სადღესასწაულოს A-152 მინიატურაზე (1742 წ.) არსებულ წარწერებში („სვ˜ტი ცხ˜ვლი", „წ˜ა": ნინო) კვართის მიმრქმელ ქალწულთან წარწერა არ არის.

მსგავსი ვითარებაა XVII-XVIII სს-ის კათალიკოსთა (ნიკოლოზ კათალიკოსის, დომენტი II-ის, დომენტი III-ის, ბესარიონ კათალიკოსის, ანტონ I-ისა და ანტონ II-ის) საბეჭდავებზე, რომელთა მთავარი სიუჟეტი სვეტი-ცხოვლის სასწაულია. „სიდონია" არ გვხვდება არც ვახტანგ VI-ის დროშაზე გამოსახულ სვეტი-ცხოვლის აღმართვის სასწაულში.

ცნობილია, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში სვეტთან მირონის ამოსვლის ადგილას დატოვებული ღიობი ვერცხლით მოჭედილი ხატით (XVIII ს.) იხურებოდა. მასზე ამოტვიფრულია წარწერები. ხატის მომჭედელს რომ სცოდნოდა ელიოზის დის სახელი, უცილებლად ამოკვეთდა, რადგან პეტრე და პავლე მოციქულთა, წმ. ნინოსა და მირიან მეფის გამოსახულებებს შესაბამისი წარწერები აქვთ.

მასალის განხილვიდან როგორც ჩანს, IX ს.-დან დაწყებული XVIII საუკუნეების შუა წლებამდე ქართულ წყაროებში ელიოზის დის სახელი „სიდონია" მოხსენებული არაა.

XIX საუკუნეში თბილისსა და ქუთაისში იბეჭდება „წმ. ნინოს ცხოვრების" შემცველი მოთხრობები - 1868 წელს თბილისში გამოიცა იროდიონ ელიოზიძის, „სამჭედროს მღუდლის", მიერ ლექსად თქმული „აღწერა ცხოვრებისა

წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინასი, ქართუმლთა განმანათლებელისა". ავტორი უფლის კვართთან დაკავშირებულ მოვლენებს მცხეთაში საერთოდ არ ახსენებს. ასეთივე ვითარებაა 1899 წელს თბილისში დაბეჭდილ თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოსი. ქართულიდამვე მდაბიურად გადმოღებული მ. შარაძის მიერ" და 1895 წელს ქუთაისში გამოცემულ თხზულებაში „ქართველთ განმანათლებელი წმინდა ნინა".

1878 წელს თბილისში დ. ლაზარევმა და ივ. არაქელოვმა გამოსცეს თხზულება „დღესასწაული უფლისა კვართისა და ცხოვრება წმიდისა ნინოსი, ქართველთ განმანათლებლისა". აქ ელიოზის და „სიდონიად" იწოდება, როგორც ყველასათვის ცნობილი ფაქტი. ასეთივე ვითარებაა 1887 წელს ქუთაისში „მწყემსის" რედაქციის მიერ გამოცემულ თხზულებაში „მცხეთის სობორო და წმინდა ნინო ქართველთ განმანათლებელი", აგრეთვე 1890 წელს ქუთაისში ამავე ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობაში „წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელი".

ამდენად, XIX ს-ის ბოლოს გამოცემულ „წმ. ნინოს ცხოვრების" მოთხრობებში, ძირითადად, ელიოზის და სახელით „სიდონია" იხსენება როგორც ქართველთათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი.

საგანგებოდ შევისწავლეთ XIX-XX სს-ის ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც ქართლის მოქცევის საკითხებია განხილული. ირკვევა, რომ მეცნიერთა და მწერალთა ერთი ნაწილი საერთოდ არ ახსენებს კვართის მიმრქმელი ქალის ეპიზოდს, შესაბამისად, არც მის სახელს (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, კირიონ II, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, ს. ბარათაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. თამარაშვილი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ეპისკოპოსი ლეონიდე, მღვდელი მ. კელენჯერიძე, ევ. ნიკოლაძე, ს. კაკაბაძე, ალ. მანველიშვილი, გ. ბარამიძე); ა. ხახანაშვილი საუბრობს აღნიშნულ საკითხზე, თუმცა „სიდონიას" არ ახსენებს; მ. ბროსემ და ნ. მარმა იციან „სიდონია", თავად არ ახსენებენ, მაგრამ იმოწმებენ თ. ჟორდანიას წიგნიდან ციტირების გზით. ელიოზის და

„სიდონიას" უწოდებენ (როგორც ყველასათვის ცნობილ ფაქტს) მ. სელეზნიოვი, ა. მურავიოვი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, პ. ხუროშვილი, ა. ნატროვი, ზ. ჭიჭინაძე, კ. კეკელიძე, ტ. რუხაძე, არქიმანდრიტი რაფაელი. ამ პერიოდში (XIX-XX სს-ში), როგორც ჩანს, არ დაინტერესებულან ელიოზის დის სახელის „სიდონიას" წარმოშობის კვლევით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ეს საკითხი წამოჭრა და მიმოიხილა ე. მამისთვალაშვილმა, მონოგრაფიაში „ქრისტეს კვართის ისტორია" (2003წ.). აღნიშნულ ნაშრომში (საკითხს რამდენიმე გვერდი ეთმობა) მიკვლეული არაა „სიდონიას" ხსენების ზუსტი პირველწყარო. ე. მამისთვალაშვილის დაფიქსირებულ ცნობას (ქართულ წყაროებში „სიდონიას" მოუხსენებლობისა) იმოწმებს ე. ბუბულაშვილი („საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები", თბ., 2007).

საგანგებოდ თავის ადგილას არ განვიხილეთ თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულება „ისტორია დაწყებითგან ივერიისა" (1848 წ.). აქ ცალკე თავად შეტანილია „წმ. ნინოს ცხოვრება". საინტერესოა ერთი გარემოება - ავტორი „ისტორიის" დასაწყისში მეფე ადერკის მეფობაზე თხრობისას უფლის კვართის მცხეთაში ჩატანის ისტორიას გადმოგვცემს და მას ახალი პასაჟებით ამდიდრებს. აქვე დამოწმებულია წყარო - „საღმრთონი წერილნი საქართველოჲსა ეკკლესიისანი მოუთხრობენ ესრეთ" [9, გვ. 136].

თეიმურაზი პირველი ავტორია, რომელიც ელიოზის დისა და დედის სახელებს აღნიშნავს: „ხოლო დედაჲ ამა ელიოზ ურიისა **სარრა** და დაჲ ელიოზისა ქალწული **სიდონია**..." [იქვე, გვ. 136].

ჩვენ არ ვიცით, თეიმურაზ ბატონიშვილს კონკრეტულად რომელი წყაროდან მოაქვს ელიოზის დედისა და დის სახელები, ან ის განსხვავებული ეპიზოდები, ზღაპრულ ხასიათს რომ ატარებენ. თეიმურაზი ნაშრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მოიძია და შეკრიბა საქართველოს უძველესი ისტორიის ცნობები და არც ერთი დაუტოვებია უყურადღებოდ [9, გვ. 1-2]. თეიმურაზ ბატონიშვილის პასუხისმგებლობა „საქართველოს ისტორიის" მიმართ კარგადაა წარმოჩენილი მისი წერილებიდან მარი

ბროსესადმი. ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავს, რომ თავისი ნაშრომისათვის ასამდე წიგნს იკვლევდა და იყენებდა; მისი სახელისათვის სირცხვილი იქნებოდა, კარგი ნაშრომი რომ ვერ შეექმნა. ამასთანავე, მისი თქმით, მარი ბროსესაც ვერ მიაღებინებდა უვარგის შრომაში მონაწილეობას. ისეთი ნაშრომი უნდა წარედგინა „სააზიო საზოგადოებაში", მისი ნაღვაწი არად მისაჩნევი არ გამხდაიყო. „ასეთი საქმე არის ცხოვრების აღწერა, რომ არც ერთს სხვის ჯელოვნებას არა ჰგავს და ამაზედ დიდი სიფრთხილე უნდა ისტორიის დამწერსა... ეს წიგნი, ღმერთს ერწმუნე, ღამე და დღე ჯელში მიჭირავს, ჩემის ჯელითა ვწერ. არ შეიძლება რომ სხვას დავაწერინო, წამიხდენენ..." [10, გვ. 62].

წერილი ისეთი გულწრფელობითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითაა დაწერილი, ძნელია არ ვერწმუნოთ. თეიმურაზი ნაშრომს ოცი წლის მანძილზე წერდა. მას ხელი მიუწვდებოდა ჩვენთვის ბევრ უცნობ წყაროზეც, შესაძლოა, იქ მოიძია აღნიშნული ცნობები. „ივერიის ისტორიის წინასიტყვაობის" შენიშვნაში იგი წერს, რომ მან თავისი ბიძის, ანტონ კათალიკოსის, მიერ ძველი ქართლის ცხოვრებიდან შეკრებილი მოთხრობები, რომლებიც მრავალი წყაროდან იყო ამოღებული, გადაწერა [9]. შესაძლოა, სწორედ ანტონ II-ის მოთხრობებიდან აქვს თეიმურაზს გადმოღებული ელიოზის დედისა და დის სახელები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თეიმურაზი, როგორც თავად შენიშნავს, წყაროდ იყენებდა ზეპირად გაგონილსა და ზღაპარსიტყვაობასაც, რადგან ყოველივე ეს, მისი თქმით, არ იყო უგულველსაყოფი. მართლაც, როგორც ზემოგანხილული მოთხრობა მოწმობს, თეიმურაზ ბატონიშვილი „ზეპირად სმენილს" და „ზღაპარსიტყვაობასაც" ხშირად იყენებს; შესაძლოა, ელიოზის დედისა და დის სახელები ამგვარი გზითაც იყოს გაჩენილი, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა..." ცხრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს „სიდონიას". აღნიშნული გარემოება სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ იყო ფიქსირებული.

ქართველთა ცნობიერებაში დღემდე მტკიცედაა გამჯდარი და ტრადიციულ ცნობადაა აღიარებული ელიოზის დის სახელი „სიდონია", ელიოზის, ხალხისა და მეფის მოწადინება გარდაცვლილი ელიოზის დის ადგილიდან ვერშეძვრის უშედეგო მცდელობანი; თუმც კი თითქმის არავინ იცის, რომ ეს თეიმურაზ ბატონიშვილის დამსახურებაა და არა „წმ. ნინოს ცხოვრების" უძველესი რედაქციების მოწმობა.

თ. ბატონიშვილის თხზულების მსგავსად, ასევე ბოლოს მოვიტოვეთ მ. საბინინის თხზულებათა განხილვა.

მ. საბინინის წიგნში „საქართველოს სამოთხე" (1882წ.) დაბეჭდილ ნიკოლოზ გულაბერისძის "საკითხავში" ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ. ერთ-ერთ თავში „მოთხრობა აბიათარ მღდელისაგან კუართისათჳს საუფლოსა, თუ ვითარ მოგუენჭა" ვკითხულობთ: ელიოზს "ესუა... დედა ტომისაგან ელი მღუდლისა და კუალად ერთი დაჲ (სიდონია)" [6, გვ. 76]. როგორც ვხედავთ, მ. საბინინს განმარტების მიზნით ფრჩხილებში მოუთავსებია „სიდონია", რომელიც ამავე ტექსტში სხვაგან არ გვხვდება. ამ ფაქტით მ. საბინინი სხვათათვისაც ცნობილს ხდის წყაროთაგან დაფარულ სახელს "სიდონიას".

მ. საბინინი წიგნში „ივერიის (ქართული) ეკლესია VI საუკუნის დასასრულამდე" (1877 წ.) გადმოგვცემს ელიოზის გამგზავრებას იერუსალიმში და ამასთან დაკავშირებულ რეალიებს. იგი ამ ამბების გადმოცემისას სქოლიოში განმარტებებს აკეთებს; ერთ-ერთის წყაროდ თეიმურაზია დასახელებული.

მ. საბინინის შემდგომი თხრობა (რომელიც, მისივე თქმით, ქართული ეკლესიის გადმოცემას, უფლისწული თეიმურაზის „ისტორიას", "ქართლის ცხოვრებას", მცხეთის ტაძრის ძველ სვინაქსარს და სხვა მრავალ შესანიშნავ ხელნაწერს ემყარება) სიდონიასა და კვართის ამბებს უკავშირდება. მ. საბინინი თხრობის მანძილზე სამჯერ იმოწმებს თეიმურაზის „საქართველოს ისტორიას".

ჩვენი ნაშრომის დასაწყისში როგორც აღინიშნა, მ. საბინინის თაოსნობით 1889 წელს შეიქმნა ხატი „საქართველოს

ეკლესიის დიდება". ელიოზის დის ცხედართან გაკეთებულია წარწერა „სიდონია".

მ. საბინინის წერილში „ახსნა სურათისა *საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დიდება*" (1899 წ.), ელიოზის დედის სახელი „სარა" მოიხსენება, რომელიც მხოლოდ თეიმურაზ ბატონიშვილთან იკითხება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბინინისათვის კვართის ისტორიაზე თხრობის უმთავრესი წყარო თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაა.

ჩვენი აზრით, მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში", კერძოდ, ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავში" ელიოზის დის სახელთან ფრჩხილებში „სიდონიას" ჩამატებამ, აგრეთვე „საქართველოს ეკლესიის დიდებაში" კვართის მიმრქმელი ქალის სახელის აღნიშვნამ უდიდესი როლი ითამაშა „სიდონიას" პოპულარიზაციისა და დამკვიდრებაში. იმხანად იმდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ორი საუნჯის არსებობა ქართველებისათვის, რომ არცაა გასაკვირი ზემოაღნიშნული ცნობების დამკვიდრებაში მათ გადამწყვეტი როლი ეთამაშა. ვფიქრობთ, ამ საქმეში უფრო დიდი წვლილი ხატს მიუძღვის, რადგან „საქართველოს სამოთხე" ყველასათვის ხელმისაწვდომი არ გახლდათ. აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ მ. საბინინის მიერ ხატზე გამოსახულ წმინდანთა საუფლოში სიდონიას განთავსება მისი წმინდანად აღიარების ერთგვარი წინსწრება, თუ შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველება აღმოჩნდა.

საქართველოს ეკლესია აღიარებს გვიანდელ ტრადიციას და ელიოზის დას სახელით „სიდონია" მოიხსენებს. უფლის კვართის მიმრქმელი სიდონია ეკლესიის მიერ დღეს ქართველთა პირველ წმინდანადაა მიჩნეული.

ძვ. ქართულ წყაროებში „სიდონიას" მოუხსენებლობის მიზეზად ჩვენ მისი ტაბუირების ფაქტორიც ვივარაუდეთ, რასაც თხზულებებში უფლის კვართის ადგილმდებარეობის გასაიდუმლოების წარმომაჩენელი ეპიზოდები გვაფიქრებინებს [14, გვ. 87, 112, 130; ფ, გვ. 129-130].

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „სიდონი" ნიშნავს თევზჭერას [3]. „სიდონი" ძველი აღთქმის I წიგნში,

დაბადებაში, გვხვდება. „სიდონი" ადამიანის საკუთარი სახელია („ხოლო ქანაან შვა სიდონ პირმშოდ..." დაბ. X, 15) და ფინიკიის ქალაქის სახელწოდებაც („და იყვნეს საზღვარნი ქანანელთანი სიდონითგან..." (დაბ. X, 19). სახელი „სიდონია" თევზს ნიშნავს. ცნობილია, რომ თევზი ერთ-ერთი უძველესი დაქარაგმებული სიმბოლოა ქრისტესი. "Ichtys"-ი ამგვარად განიმარტება: Iesus Christos Theon Yios Soter, რაც ნიშნავს იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი. ამდენად, „სიდონია" თავისი შინა-არსითაც უკავშირდება ქრისტეს.

და ბოლოს, ერთ გარემოებაზეც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. ჩვენ შემთხვევით არ ვუწოდებთ ელიოზის დას „კვართის მიმრქმელს". გავიხსენოთ მართალი სვიმეონის, მიმრქმელის, შესახებ სახარებისეული თხრობა (ლუკ. 2, 25-35). თუ დავუკვირდებით, მართალი სვიმეონისა და ელიოზის დასთან დაკავშირებით აღწერილ ამბებში გარკვეულ მსგავსებას შევნიშნავთ: როგორც მართალმა სვიმეონმა მიირქვა ჩვილი იესო, ელიოზის დამ მკერდში ჩაიკრა, მიირქვა, უფლის კვართი. შესაძლებელია ითქვას, რომ მართალ სვიმეონთან დაკავშირებული ამბავი და უფლის მირქმის მოვლენა პარადიგმაა ელიოზის დის ცხოვრების უფლისეული სიწმინდის მოლოდინის, მისგან უფლის კვართის მირქმისა და აღსასრულის ეპიზოდებისა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ანტონ ბაგრატიონი, *წყობილსიტყვაობა, I,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, „მეცნიერება", თბილისი 1972.
2. არსენ ბერი, „ცხოვრება და მოქალაქეობა და ღუაწლი წმინდის და ღირსისა ჩეუენისა ნინოისი", *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 3,* „მეცნიერება", თბილისი 1973.
3. არქიმანდრიტი ნიკიფორე, *ბიბლიური ენციკლოპედია,* მოსკოვი 1891 (რუსულ ენაზე).
4. ბრაილოვსკი, ს, „ახალი ვარიანტი მოთხრობისა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს კვართზე", *Библиограф,* 1889, №1, V წელი, ნ. მ. ლისოვსკის რედ., სანკტ-პეტერბურგი 1890 (Брайловский С.,

«Новый вариант повести о ризе Господа нашего Иисуса Христа», *Библиограф*, СПД, 1889, №1).

5. ნიკოლოზ გულაბერისძე, „საკითხავი სვეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსი და კათოლიკე ეკლესიისაჲ", წიგნში *საქართველოს სამოთხე*, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, პეტერბურგი 1882.
6. ნიკოლოზ გულაბერისძე, „საკითხავი სვეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსი და კათოლიკე ეკლესიისაჲ", წიგნში *გულაბერისძე ნიკოლოზ, თხზულებანი.* გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ნ. სულავამ, მეხუთა 2008.
7. ვახუშტი ბატონიშვილი, *საქართველოს ისტორია, წიგ. I,* განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა, ძველი საქართველოს საზოგადო ქარტიით, 1885.
8. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV,* ს. ყაუხჩიშვილის რედ., გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973.
9. თეიმურაზ ბატონიშვილი, *ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა,* სამეცნ. აკად. სტამბა, სანკტ-პეტერბურგი 1848.
10. *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, „მეცნიერება ", თბილისი 1964.
11. იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა, ქართული პროზა,* წ. VI, „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1984.
12. ლეონტი მროველი, "წინოს მიერ ქართლის მოქცევა", *ქართლის ცხოვრება,* ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი ", თბილისი 1955.
13. *მასალები ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიის მიხედვით* (1615-1640წწ.), დოკუმენტები დასაბეჭდად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო მ. პოლიევკტოვმა,

თსუ-ს გამომც., თბილისი 1937. (Полиевктов, М., *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений,* 1615-1640, Тб. 1937).

14. „მოქცევაჲ ქართლისაჲ, "წმ. ნინოს ცხოვრების" შატბერდულ-ჭელიშური რედაქციები", *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები,* საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი 1953.
15. საბინინი, მ., *საქართველოს სამოთხე, „სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა",* პეტერბურგი 1882.
16. საბინინი, *მ., ივერიის (ქართული) ეკლესია VI საუკუნის დასასრულამდე,* სანკტ-პეტერბურგი 1877 (История грузинской церкви до конца VI века. С.-Петербург 1877).
17. სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი, ტ. III,* გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1963.
18. უცნობი ავტორი, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი", *ძეგლები,* ტ. III, „მეცნიერება", თბილისი 1973.
19. *ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი,* ტფილისი 1906.
20. *ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის,* თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიის მეცნიერებათა, ნაწ. I, ძველი მოთხრობა, 1969 წლამდის ქრისტეს აქეთ, სანკტ-პეტერბურღი 1849.
21. *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი,* ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით, ილ. აბულაძის რედაქციით, თსუ-ს გამომც., თბილისი 1953.
22. ცინცაძე, ი., *ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ* (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), „მეცნიერება", თბილისი 1965.
23. "წმ. ნინოს ცხოვრება, სინური ხელნაწერი" (გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზ. ალექსიძემ), *კრებ. წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა,* ლიტერატურის ინსტიტუტის მეზღური, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომც., თბილისი 2009.

The Name of a Saint Disclosed and Established through Iconography

Nana Gonjilashvili
Doctor of Philological Sciences, Associate Professor at Tbilisi State University

Summary: None of the old Georgian sources from the 9th century to the 1830's mentions the name of 'Sidonia', the sister of Elioz, who brought the Lord's tunic from Jerusalem to Mtskheta. Sidonia is not depicted or mentioned either on the murals, miniatures, or icons dating back to the 9th to 13th and also the 17th to 19th centuries that represent the erection and ascension of the living pillar or on the seals of the catholicoses of the 17th and 18th centuries, or the flag of Vakhtang VI. In the stories of *Life of Saint Nino*, published in the 19th century, Elioz's sister is mostly referred to as 'Sidonia,' and the understanding is that she is well known to Georgians. In Teimuraz Bagrationi's work – *The History of Iveria from the Origins ...*, for the first time in 19 centuries, we encounter the name of Sidonia, the sister of Elioz and the embracer of the Lord's tunic. The placement of the name 'Sidonia' in brackets at the mention of Elioz's sister in Nikoloz Gulaberidze's *Sakitkhavi (The Reader)*, which was included in M. Sabinin's book *Georgia's Paradise* and the mentioning the name of Elioz's sister on the icon *The Glory of the Holy Orthodox Church of Georgia* greatly contributed to the popularization and establishment of the name of Elioz's sister - 'Sidonia.'

Keywords: *Sidonia, Teimuraz Bagrationi, M. Sabinin*

The late 19th century marked an important event in Georgia's spiritual life: the Christian Georgian culture was enriched with a new treasure; *The Glory of the Georgian Church*, such was the name of the icon created under the initiative and with direct participation of Mikael-Gobron Sabinashvili (Sabinin).The lithograph of the icon was first created in Leipzig (1889) and then in

Berlin (1895). Old Georgian icons, frescoes, and miniatures, which Mikheil Sabinin had been studying thoroughly for his whole life, served as a basis for this icon.

The composition of the icon is as follows: an angel erecting the miraculous pillar is depicted in the centre. Above him there is the Lord with raised hands, and below- the reclining virgin Sidonia, embracing the Lord's tunic, and the space on the left and right is fully devoted to Georgian saints and public figures from the 1st to the 19th century including martyrs, kings and military characters, catholicoi and monks. Thus, in essence, the icon is a chronicle of the spiritual history of the Christian Georgia filled with life-giving force and perfect harmony, like Georgian hymns, embodying heaven on earth.

The saints on *The Glory of the Georgian Church* are united by the miracle of the living pillar arising out of the Lord's tunic. The Lord's tunic is embraced by the deceased virgin above whom it reads 'Sidonia.' It was this name, the history of which proved to be cryptic and extremely interesting, that attracted attention while researching the editions of *Life of Saint Nino*. The studies revealed totally unexpected findings: it turned out that there was no mention of the name of the woman embracing the Lord's tunic in old Georgian manuscripts.

According to the Shatberdi edition of *Life of Saint Nino* (10th century), upon returning from Jerusalem to Mtskheta, Elioz was welcomed by his sister: "His sister greeted him ... and embraced him, took the garment of Jesus and pressed it to her bosom" [14, p. 129] and expired. Further narration says that King Amazaer desired to take the tunic of Jesus, but he did not dare to touch the deceased 'woman' because of the great mourning [14, p. 129]. Elioz buried his sister together with the tunic. The situation is described similarly in the Chelishi edition (12th century) of *Life of Saint Nino* [14, p. 129], the Sinai Manuscript version (N/Sin – 50, 9th – 10th centuries) [23, p. 355] and the version of Life of Saint Nino by Leonti Mroveli (11th century) [12, p. 99-100] – the woman who accepted the tunic is called 'sister' and 'woman'. The Monk Arsen (12th century) expands the text the way the followers of Metaphrastes do. However, here

too, Elioz's sister is mentioned as 'virgin', 'woman, adorned with virtue and piety' [2, p. 31-32], but in the passages about the dead woman she is referred to as 'the deceased' and 'holy sister' [2, p. 31-32]. The paraphrased version of the unknown author (13th century) uses the same references as the Monk Arsen does [18, p. 69-71].

To sum up the above mentioned facts, the versions of *Life of Saint Nino* (9th to 13th centuries) do not specify the name of the woman accepting the Lord's tunic. She is mentioned as 'the sister of Elioz,' 'a virgin adorned with virtue and piety,' 'a woman,' and 'the deceased.' It is likely that the name 'Sidonia' is unknown to the authors of the works.

On the Reason for the Conversion of Iberia to Christianity by Ephrem Mtsire tells the story of the building of Svetitskhoveli cathedral though it says nothing about the history of Christ's tunic. Nor does Nikoloz Gulaberisdze, Catholicos of Georgia (12th century), know the name of Elioz's sister. In his work *The Story of the Life-Giving Pillar, the Robe of the Lord and the Catholic Church,* she is referred to as 'sister' and 'woman' [5, p. 13, 15]. A postscript to *The Story...* (the manuscripts of the 17th-18th centuries) states that *The Story* was corrected by Catholicos Domenti IV, a scholar and a great patron of Georgian culture. Supposedly, he did not know the name of Elioz's sister either, since he did not make any changes to the work in this respect.

The name of Elioz's sister is unknown in the Queen Mariam's version of *Kartlis Tskhovreba* (Life of Georgia) [19, p. 80-81], an old Armenian translation of *Kartlis Tskhovreba* [21, p. 94-95], and also in *Histoire de la G'eorgie depuis l'antiquite' jusqu'au XIXe Siècle*, the book translated and published by Marie Brosset (1849) [20, p. 40-41, 80]. The name of Elioz's sister is not mentioned in the works by Vakhushti Batonishvili, *The History of Georgia* [7, p. 64] and *Description of the Kingdom of Georgia* [8, p. 81-82]. Supposedly, Vakhushti Batonishvili had not even heard the name of Elioz's sister, otherwise he would have mentioned it in the marginal notes (he did refer to some oral traditions though).

In the above works, as in the editions of *Life of Saint Nino*, the virgin embracing the tunic of the Lord is called 'sister', 'maiden', and 'the deceased'.

The Lord's tunic is discussed in the chapter entitled "Reverend Mother - Virgin Nina of apostolic standing" of *Tskobilsitkvaoba* by Anton I. Here, its location is regarded to be revealed by St. Nino [1, p. 112]. In one sub-chapter entitled "On the Lord's Tunic," Anton I explains the essence of the Lord's tunic and its history [*Ibid.*, p. 74]. There he says nothing about Elioz, his mother, or sister. In his work – *Martirika* (Martyrdom), Anton I considers the Lord's tunic symbolically.

In his *Stsavlani* (*The Teachings*) and *Samotkhis Kari* (*The Gates to Paradise*), Sulkhan-Saba Orbeliani mentions the Lord's tunic several times (explains the meaning of the Lord's tunic and monk's tunic), but says nothing about its history. Thus, there is no mention of Elioz's sister. A similar case is presented in Ioane Batonishvili's encyclopedic work *Kalmasoba* (Chapter –*On Svetitskhoveli*) [11, p. 70].

Thus, the study of ancient Georgian manuscripts from the 9th century till the 1830's reveals that none of those sources mentions the name of Elioz's sister.

The history of the conversion of Kartli is also described in foreign sources.

Greek sources of the 4th-5th centuries (Gelasius of Caesarea, Rufinus, Socrates Scholasticus, Salaminius Hermias Sozomenus) say nothing about the Lord's tunic when they describe the miracle of erecting the column.

In Armenian literature, there are two versions of a legend about Christ's tunic known though nothing specific is said about the Lord's tunic after his crucifixion in either of them. Although the work by Movses Khorenatsi – *The History of Armenia* – tells the legend about King Abgar in detail, there is no mention of Christ's tunic with regard to the conversion of Georgia. Thus, Sidonia is not mentioned in these sources.

To clarify the issue, it is important to study Russian sources of the 17th century containing information about the Lord's tunic.

The book – *Materials According to the History of Georgian-Russian Relations* (1615-1640) – contains information, according to which, in the period of the reign of Mikhail Fyodorovich, the secretary Ivan Gramotin questioned the anchorite Ioanike about Christ's tunic and other sacred objects on the order of Filaret, the patriarch of Russia. Ionike told him that when he was in Jerusalem, he heard that the tunic passed into the possession of a Georgian warrior, and he gave it to his sister. Here emerges a storyline differing from the ones in old Georgian works. According to this passage the virgin started a life devoted to Christ, and asked her parents to bury her wrapped in the tunic when she died [13]. It is said that "A tree grew from the tunic that the dead virgin was wrapped in, and the Georgian warrior took from Christ" [13, p. 97]. *Palestinian Orthodox Collection* states that A. Sukhanov was visiting Mtskheta and a senior church dignitary of Svetitskhoveli and the Catholicos told him the story of the Lord's tunic. The story mentions 'Longin' instead of 'Elioz' [22, p. 76]. Sukhanov refers to the woman embracing the tunic as 'sister' and 'virgin.' One detail is of interest: Sukhanov, as he explains, forgot the name of Longin's friend who accompanied him to Jerusalem. So, had he known the name of Longin's sister, he would definitely have stated it, or mentioned that he had forgotten it.

Brailovski's work *A New Version of the Story about the Tunic of Our Lord Jesus Christ* (1889) argues that in 1621 Shah Abbas presented the King of Russia Mikhail Fyodorovich and Patriarch Filaret with the Lord's tunic, taken from Georgia. Brailovski talks about a story "*Tale about the Tunic of Our Lord Jesus Christ*" which repeats the above story about giving the tunic to a woman by her warrior brother [4]. There is only one difference, namely, the *virgin* kept the tunic for a long time and on her deathbed she asked to be wrapped in it. After sixty years, her grave was dug out and the imperishable body of the virgin was found. They 'tore away' one fourth of the tunic and made a reliquary for it etc. [4, p. 20-21].

Thus, Russian sources of the 17th century, that were available in the late 19th century, do not mention the names of the person

bringing the tunic to Mtskheta, and of the woman buried with it. She is referred to as either 'sister' or 'virgin'.

With respect to studying this issue, a careful examination of the compositions of erection and ascension of the column on the frescos is of interest.

The paintings of the deacon's house of the main church of David Gareja Mravalmta Desert Monastery (9th-13th cc.) and the inscriptions on the frescos of Anisi Church (1215), Svetitskhoveli Cathedral column (decorations and paintings, 1678-1688), Samtavro Monastery Makvlovani Church (early 19th c.), Bodbe Monastery (19th c.) do not mention Sidonia.

The miracle of the column is depicted on 425 miniatures of *Sadgesastsaulo* (*The Book of Holy Day Readings*, 1718), where there are no inscriptions, and on 152 miniatures of *Sadgesastsaulo* (1742), among the inscriptions present ('SvetiTskhoveli,' 'St. Nino') there is no inscription at the image of the virgin embracing the tunic.

A similar situation is found with the seals of the catholicoses of the 17th – 18th centuries (Catholicos Nikoloz, Domenti II, Domenti III, Besarion, Anton I, and Anton II), on which the main theme is the miracle of the life-giving pillar. Nor can we encounter 'Sidonia' on the depiction of the miracle of the life-giving pillar on the flag of Vakhtang VI.

It is known that the open space on the Svetitskhoveli Cathedral pillar where the chrism flew, used to be covered with the chased silver icon (18th century). There were inscriptions imprinted on it. If the chaser had known the name of Elioz's sister, he would definitely have imprinted it as the images of Apostles Peter and Paul, St. Nino and King Mirian are accompanied with corresponding inscriptions.

Examination of the materials shows that Georgian sources of the 9th to mid-18th centuries do not mention the name of Elioz's sister, Sidonia.

In the 19th century, stories narrating the life of Saint Nino were published in Tbilisi and Kutaisi. For instance, in 1868, Irodion Eliozidze, a 'military priest', published a poem *A Description of the Life of Saint Nina of Apostolic Standing, Enlightener of Georgians.*

However, the author never mentions the events in Mtkheta related to the Lord's tunic. Such is the case with *Life of Saint Nino, Enlightener of Georgians, retold in common Georgian by M. Sharadze*, published in Tbilisi in 1899, and in *Saint Nina, Enlightener of Georgians*, published in Kutaisi in 1895.

In 1878, D. Lazarev and Iv. Arakelov published the work *The Anniversary of the Lord's Tunic and the Life of St Nino, Enlightener of Georgians* in Tbilisi. Here, Elioz's sister is referred to as 'Sidonia' and it seems to be a fact known to anyone. A similar situation is found with the work *Mtskheta Cathedral and Saint Nino, Enlightener of Georgians* published by 'Mtskemsi publishing house in 1887, Kutaisi as well as with the story *Saint Nina, Enlightener of Georgians* published by the same journal in 1890 in Kutaisi.

Thus, in the stories of the life of Saint Nino published in late 19th century, Elioz's sister is mostly referred to as 'Sidonia' and this is considered as a fact widely known to Georgians.

We specially studied the works of Georgian and foreign scholars and researchers of the19th and 20th centuries, dealing with the issues of the conversion of Kartli. It emerges that some scholars and writers do not mention the episode of the woman embracing the tunic and hence they do not provide her name either (P. Ioseliani, D. Bakradze, E. Takaishvili, Kirion II, Arcimandrite Ambrosi Khelaia, S. Baratashvili, I. Javakhishvili, M. Tamarashvili, A. Tsereteli, I. Chavchavadze, I. Gogebashvili, Bishop Leonide, Priest M. Kelenjeridze, Ev. Nikoladze, S. Kakabadze, Al. Manvelishvili, G. Baramidze); A. Khakhanashvili discusses this issue though he does not mention 'Sidonia'; M. Brosset and N. Mar know about 'Sidonia', they do not mention her name but refer to T. Zhordania's book. M. Seleznyov, A. Muraviov, M. Janashvili, T. Zhordania, P. Khuroshvili, A. Natroev, Z. Chichinadze, K. Kekelidze, T. Rukhadze, Archimandrite Rafael call Elioz's sister 'Sidonia' (and this is considered as a well-known fact). Supposedly, in this period (19th – 20th centuries) no one was interested in the origins of the name of Elioz's sister, 'Sidonia'. It should be noted here that this issue was first put forward and examined by E. Mamistvalashvili in his monograph *The History of Christ's Tunic*

(2003). According to this work (several pages are dedicated to this issue), the first source mentioning 'Sidonia'is not given. The information attested by E. Mamistvalashvili (about not mentioning Sidonia in Georgian sources) is cited by E. Mumulashvili (*Sacred Objects of Georgian Church*, Tb. 2007).

We intentionally omitted any discussion of the work by Teimuraz Bagrationi *The History from the Origin of Iveria* (1848) until now. The work contains a separate chapter on " Life of Saint Nino". Interestingly, in the beginning of *The History*... , when talking about King Aderk, the author gives the history of bringing the Lord's tunic to Mtskheta, and enriches it with new passages. The source is also indicated - "The Divine Scripture of the Georgian church say so" [9, p. 136].

Teimuraz I is the first author who mentioned the names of Elioz's mother and sister: "... and the mother of Elioz the Jew named 'Sarah' and the sister of Elioz - virgin Sidonia ..." [Ibid. p. 136].

We are not sure which sources Teimuraz Batonishvili relied on when citing the names of Elioz's mother and sister, or any different episodes of a fairy-tale nature. In the foreword to his work, Teimuraz mentions that he searched and collected information about the ancient history of Georgia, and neglected none of it [9, p. 1-2]. Teimuraz Batonishvili's responsible attitude towards the history of Georgia is clearly seen in his letters to Marie Brosset. In one of the letters he mentions that he had explored about one hundred books for his work and that it would be shameful for his reputation if he failed to create an outstanding piece of work. In addition, as he stated, he would not have asked Marie Brosset to participate in the creation of a worthless piece of work. The work he would present to the Asian Society was the work that could not be disregarded. "A description of someone's life is unlike any other art and the author of a history should be very careful ... Believe me, I do not leave this book day and night. I write it myself. I could not trust anyone else to write it. They will ruin it..." [10, p. 62].

The letter is written with such sincerity and civic duty that it is hard not to trust it. Teimuraz was writing his work for twenty

years. He had access to many sources unknown to us and it is probable that they were a basis for his assertions. In the foreword to *The Introduction to the History of Iveria* he mentions that he had rewritten the stories collected from the history of old Kartli by his uncle, Catholicos Anton, who, in his turn, had relied on various sources [9]. It is possible that Teimuraz took the names of Elioz's mother and sister from the stories of Anton II. It should also be taken into consideration that, as Teimuraz mentions himself, he relied on information "heard by him" and folklore which, as he states, should not be disregarded. Indeed, as the above story demonstrates, Teimuraz Batonishvili often relied on "some oral works" as his sources; arguably, the names of Elioz's mother and sister appeared in this way, but we cannot be certain. In any case, we encounter the name of Sidonia, the sister of Elioz, who embraced the Lord's tunic, for the first time in 19 centuries in *The History of Georgia from the Origin...* by Teimuraz Batonishvili. Never before has this fact been recognized in scholarly literature.

The name of Elioz's sister, 'Sidonia', and the story about the vain attempts of Elioz, the people, and the king to move the deceased sister of Elioz is firmly established in the minds of Georgians and is accepted as factual information. But almost no one knows that credit for this should go to Teimuraz Batonishvili rather than to the oldest editions of *Life of Saint Nino.*

As with the work of Teimuraz Batonishvili, we have left the discussion of the work of M. Sabinin's until the end.

One chapter in Nikoloz Gulaberidze's *Sakitkhavi (The Reader)* included in M. Sabinin's book *Georgia's Paradise* (1882) attracted our attention. In one of the chapters we read that "Elioz had a mother descended from the line of Eli, the priest, and a sister (Sidonia) [6, 76]. As we can see, M. Sabinin has placed 'Sidonia', which we do not encounter elsewhere in the text, in brackets. By doing so, Sabinin makes known the name 'Sidonia', unrevealed by other sources, to everyone.

In his book – *The Iverian (Georgian) Church until the End of the 4th Century* (1877) – M. Sabinin narrates stories of Elioz's travel

to Jerusalem and events connected with it. In the footnotes he gives Teimuraz's name as one of the sources.

M. Sabinin's further narration which, according to him, is based on the oral tradition of the Georgian church, *The History* by Prince Teimuraz, *Kartlis Tskhovreba,* the old synaxarion of the Mtskheta cathedral, and other remarkable manuscripts are connected with Sidonia and the story of the tunic. During his narration, M. Sabinin cites *The History of Georgia* by Teimuraz three times.

As we have mentioned at the beginning of this work, *The Glory of the Georgian Church* icon was created under the initiative of M. Sabinin in 1889. The inscription at the dead body of Elioz's sister reads 'Sidonia'.

In one of the articles M. Sabinin refers to Elioz's mother as 'Sarra', which we encounter only in Teimuraz Batonishvili's works. Consequently, for Sabinin, the main source for the story about the Lord's tunic must have been Teimuraz Batonishvili's work.

In our opinion, the placement of the name 'Sidonia' in brackets at the mention of Elioz's sister in Nikoloz Gulaberidze's *Sakitkhavi,* which was included in M. Sabinin's book *Georgia's Paradise* and mentioning the name of Elioz's sister on the icon *The Glory of the Holy Orthodox Church of Georgia* greatly contributed to the popularisation and establishment of the name of Elioz's sister – 'Sidonia. 'In that period, the existence of these two treasures (Nikoloz Gulaberidze's *Sakitkhavi* and the icon) was so significant for Georgians that it is not surprising that they played a crucial role in the establishment of these findings. We think that the role played by the icon was even more important as *Georgia's Paradise* was not available to all. It should also be noted that placing Sidonia among the saints on the icon by Sabinin proved to be somewhat prophetic regarding her canonization.

The Georgian Church recognizes the later tradition and refers to Elioz's sister as 'Sidonia'. Sidonia, embracing the Lord's tunic, is regarded by the Georgian church as the first saint of Georgia.

To explain the reasons for not mentioning 'Sidonia' by old Georgian sources, we suggested the factor of tabooing her name

from the episodes showing concealment of the location of the Lord's tunic in the manuscripts [14, p. 87, 112, 129-130]. Supposedly, a representative of the Bagrationi family would never disclose this secret.

It should be noted that the word 'Sidon' means fishing [3]. 'Sidon' was mentioned in Genesis, the first book of *The Old Testament*. 'Sidon' is also a name of a person ("And Canaan begat Sidon, his firstborn ..." - Genesis, X, 15), as well as a name of a city in Phoenicia ("And the border of the Canaanites was from Sidon..." - Genesis, X, 19). 'Sidonia' means a fish. It is known that the fish is one of the oldest cryptic symbols of Christ. 'Ichtys' is decoded as: Iesus Christos Theon Yios Soter. This means: Jesus Christ Son of God, Saviour. Thus, the name 'Sidonia' is associated with Christ by its meaning as well.

And finally, we would like to stress one point: it is not a coincidence that we refer to Elioz's sister as 'the embracer of the Lord's tunic.' Let us recall the story from the Gospel about Simeon the Just, the embracer (Luke 2, 25-35). It could be said that the story of Simeon the Just embracing the Lord is a paradigm for the life of Elios's sister, her expectation of the Lord's relic, embracement of the Lord's tunic, and her demise.

REFERENCES:

1. Anton Bagrationi, *Tsqobilsitqvaoba*, I, text was prepared for publication by R. Baramidze, Publishing House *Metsniereba* Tbilisi 1972.
2. Arsen the Monk, The Life and Citizenship and Merits of Reverend Saint Nino...", *Monuments of Ancient Georgian Hagiography*, v. III, Publishing House *Metsniereba*, Tbilisi 1973.
3. Archimandrite Nikiphore, *Biblical Encyclopaedia*, Moscow 1891 (in Russian).
4. Brailovski, S., "New Version of the Story on the Tunic of Our Lord Jesus Christ", Magazine *Bibliograph*, 1889, No 1, year five, editor: N.M. Lisovski, St. Petersburg, V. Sh. Bilashev Typography, 1890. (Брайловский С., Новый вариант повести о ризе Господ нашего Иисуса Христа, "Библиограф", СПД, 1889, &.1.)
5. Nikoloz Gulasberisdze, "A Reading About the Life-Giving Pillar, the Lord's Tunic and Catholic Church", in the book *Georgia's Paradise*,

collected chronologically and published by the Candidate of St. Petersburg's Theological Academy Iverieli Gobron (Mikhail) Pavlovich Sabinin; Publishing House of Imperial Academy of Science, St. Petersburg 1882.

6. Nikoloz Gulasberisdze, "A Reading About the Life-Giving Pillar, the Lord's Tunic and Catholic Church": Gulaberisdze Nikoloz, *Works*, prepared for publication and provided with study, dictionary and indexes by N. Sulava, Mtskheta 2008.
7. Vakhushti Batonishvili, *The History of Georgia* (part 1), with Explanations and newly found archaeological and historical evidence by D. Bakradze, published by G.D. Kartvelishvili, with Old Georgian General Charter 1885.
8. Vakhushti Batonishvili, *Description of the Kingdom of Georgia, Kartlis Tskhovreba*, Vol. IV, Editor: S. Kaukhchishvili, Publishing House *Sabchota Sakartvelo*, Tbilisi 1973.
9. Teimuraz Batonishvili, *History from the Origination of Iveria, i.e. Georgia*... Typography of the Academy of Science, St. Petersburg 1848.
10. Letters of Teimuraz Bagrationi to Acad. M. Brosset, text was prepared for publication, with the foreword, notes and indices by S. Kubaneishvili, *Metsniereba*, Tbilisi 1964.
11. Ioane Batonishvili, *Kalmasoba*, Georgian Prose, v. 6, Publishing house "Sabchota Sakartvelo", Tbilisi 1984.
12. Leonti Mroveli, "The Conversion of Kartli by Nino", *Kartlis Tskhovreba*, v. 1, text identified on the basis of all basic manuscripts by S. Kaukhchishvili, Publishing House *Sakhelgami*, Tbilisi 1955.
13. *Materials according to the history of Georgian-Russian relations* (1615-1640). The documents prepared for publication, with the foreword by M Polievktov, TSU Publishing House, Tbilisi 1937. (Полиевктов М., *Материалы по истории грузино-русских взаимоотношении*, 1615-1640, Тб. 1937).
14. The Conversion of Kartli: Shatberdi-Chelishi Editions of The Life of Saint Nino, *The Monuments of Ancient Georgian Hagiography*, Publishing House of the Georgian Academy of Science, Tbilisi 1953.
15. Sabinin, M., *Georgia's Paradise*, "A Full Description of the Merits and Passions of Georgian Saints," St. Petersburg 1882.
16. Sabinin, M. *The Iverian (Georgian) Church up to the End of the 6th Century*, St. Petersburg 1877 (*История грузинской церкви до конца VI века*, С.-Петербург 1877).

17. Sulkhan-Saba Orbeliani, *Works*, v. 3, prepared for publication, with study, notes and dictionary by Iv. Lolashvili, "Sabchota Sakartvelo", Tbilisi 1963.
18. An unknown author, "Life and Citizenship of Reverend Nino of apostolic standing", *Monuments*, v. 3, "Metsniereba", Tbilisi 1973.
19. *Kartlis Tskhovreba*, Version of Queen Mariam, Tbilisi 1906.
20. *Life of Kartli (Kartlis Tskhovreba) from the Ancient Times to the Nineteenth Century*, translated and published with contribution of M. Brosset, a member of imperial academy of science, part I, An Ancient Story, until 1969, AD, St. Petersburg 1849.
21. *An Old Armenian Translation of Kartlis Tskhovreba*, a Georgian text and an old Armenian translation with the study and dictionary, editor: Il. Abuladze, TSU Publishing House, Tbilisi 1953.
22. Tsintsadze, I., *Data of Vasil Gagara and Arsen Sukhanov about Georgia* (Russian materials of 17th century for the history of Georgia), Publishing House *Metsniereba*, Tbilisi 1965.
23. *Life of Saint Nino, A Sinai Manuscript*, prepared for publication, with the notes by Z. Aleksidze, in the Collection – *Life of Saint Nino and the Conversion of Kartli*. A guide of the Institute of Literature, Publishing House of the Institute of Literature, Tbilisi 2009.

იოანე მინჩხი – X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი

ლელა ხაჩიძე
თსუ, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე: სტატიაში განხილულია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის – იოანე მინჩხის შემოქმედების ძირითადი ასპექტები.

იოანე მინჩხის შემოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი შემოქმედების კვლევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი უცნობი მემკვიდრეობა – 77 საგალობელი, რომლებიც გამოვლენილ იქნა ჩვენ მიერ. მათი შესწავლის შემდეგ ახლებურად გამოიკვეთა იოანე მინჩხის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონე და შესაძლებლობები.

მინჩხის საგალობლები ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. ტრადიციის ერთგულებასთან ერთად, მათთვის დამახასიათებელია დიდი ორიგინალურობაც. ამ ორი ფაქტორის შერწყმა იოანე მინჩხის შემოქმედებას მეტად შთამბეჭდავს ხდის.

გაირკვა ისიც, რომ იოანე მინჩხი იყო შემდგენელი I ქართული "მარხვანისა", რომელიც საფუძვლად დაედო ამ უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის შემდგომ განვითარებას. მინჩხის სახელს უკავშირდება მთელი რიგი ახალი, ორიგინალური საზომების შემოტანა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

იოანე მინჩხის განსაკუთრებულ ადგილს ქართული ეკლესიისა და მწერლობის ისტორიაში ადასტურებს საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი, ქართული და ბიზანტიური მწერლობის ხელმიწვდენით მცოდნე სწავლული – გიორგი ათონელი.

საკვანძო სიტყვები: *იოანე მინჩხი, ქართული მარხვანები.*

X საუკუნე "ოქროს ხანაა" ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. ამ პერიოდში ტაო-კლარჯეთისა და სინას მთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდა ქართველ ჰიმნოგრაფთა რამდენიმე თაობა - იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, იოანე - ზოსიმე, სტეფანე სანანოიძე - ჭყონდიდელი, იოანე ქონქოზისძე, ეზრა, კურდანაა, ფილიპე და სხვანი. მათი უმრავლესობა ცნობილია "მეხელთა" სახელით. ისინი ერთდროულად საგალობელთა ტექსტების შემოქმედნიც იყვნენ და მელოდიისაც. მათ მოღვაწეობას საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი - გიორგი მთაწმიდელი ასე აფასებს: "მეხელნი ჩემსა უფროის არავის უყუარან. მოძღურად მყვანან და ღმერთშემოსილად" (Ath. 45, 40v).

"მეხელთა" უნივერსალურმა მოღვაწეობამ განაპირობა ის გარემოება, რომ ქართულმა სასულიერო პოეზიამ განვითარების მწვერვალს 200 წლით ადრე მიაღწია საერო პოეზიასთან შედარებით.

X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იოანე მინჩხი. მისი სახელი მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ივ. ჯავახიშვილის მიერ, რომელმაც 1902 წელს სინას მთაზე მუშაობისას ქართულ ხელნაწერებში - Sin. 5, Sin. 75 და Sin. 2 გამოავლინა უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფის - იოანე მინჩხის საგალობლები. ეს იყო წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი და 26 მცირე ფორმის საგალობელი. ეს საგალობლები გამოქვეყნდა 1947 წელს "სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში" [5].

იოანე მინჩხის 4 საგალობელი შესულია მიქაელ მოდრეკილის "იადგარში" (978-988 წწ.). ეს საგალობლები 1913 წელს გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ [2, გვ.11-38]. იოანე მინჩხის შემოქმედების ცალკეული საკითხები განხილულია ქართველ მეცნიერთა მიერ (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ლ. კვირიკაშვილი, ლ. ჯღამაია).

იოანე მინჩხი მოღვაწეობდა სინას მთაზე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მისი საგალობლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია სინურ ხელნაწერებში.

იოანე მინჩხი იყო თანამედროვე დასავლეთ საქართველოს - აფხაზთა მეფის - გიორგისა [3, გვ.171]. პ. ინგოროყვას აზრით, მინჩხი წარმოშობით იყო დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ჭყონდიდის, მარტვილის მიდამოებიდან [1, გვ.132].

იოანე მინჩხის შემოქმედების კვლევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურების მისი შემოქმედების უცნობი ნაწილი - 77 საგალობელი, რომლებიც გამოვლენილ იქნა ჩვენ მიერ. ამ საგალობელთა უმეტესობა შესული აღმოჩნდა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერში - Georg. 5, რომელიც გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანს წარმოადგენს [7, გვ.81-109].

მინჩხის ამ საგალობლების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც მისი შემოქმედების, ისე ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის. ამ საგალობლების შესწავლამ ახლებურად განსაზღვრა იოანე მინჩხის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამავე დროს, ახლებურად წარმოგვიდგა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის დონე და შესაძლებლობები.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანში მინჩხის უცნობ საგალობლებს ავტორი მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი "m" მონოგრამით აქვს მითითებული. ამავე მონოგრამით აქვს მითითებული ავტორი სხვა ქართული (Sin. 5 და Sin. 75) ხელნაწერებით აქამდე უკვე ცნობილ მინჩხის 23 საგალობელსაც. მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი ეს მონოგრამა Georg. 5-ში, ჩვეულებისამებრ, მიწერილია აშიებზე მინჩხის საგალობლების დასაწყისების გასწვრივ.

Georg. 5-ით გამოვლენილი იოანე მინჩხის უცნობი საგალობლები შესული აღმოჩნდა რიგ სხვა ხელნაწერებში. მინჩხის საგალობლების შემცველი ამ ხელნაწერების გამოვლენამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა Georg. 5-ში დაცული მინჩხის საგალობლების ტექსტების გაურკვეველი და ძნელადგასარჩევი ადგილები.

მინჩხის ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს მცირე ფორმის საგალობლები. კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი შეიცავს მინჩხის

58 უცნობ სტიქარონს. ამას ემატება სინური ხელნაწერებით უკვე ცნობილი 30 მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც აგრეთვე შესულია Georg. 5 ხელნაწერში. ამრიგად, Georg. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია 88 მცირე ფორმის საგალობელი. მინჩხის მთელი შემოქმედების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ მცირე ფორმის საგალობლები მისთვის ყველაზე ახლობელ პოეტურ ფორმას წარმოადგენს.

მცირე ფორმის საგალობლები, როგორც ცნობილია, მწუხრისა და ცისკრის განგების აუცილებელი ჰიმნოგრაფიული მასალაა და "ჟამისწირვის პოეტურ ტროპარებთან ერთად.... მარხვისა და ზატიკის კვირების სადა დღეების განგების ძირითადი ელემენტია [4, გვ. 820]". ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში შესული მინჩხის 88 მცირე ფორმის საგალობელი დიდმარხვის მთელი ლიტურგიის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. გიორგი მთაწმიდელის მარხვანი, მინჩხის სტიქარონებთან ერთად, შეიცავს ბერძენ ავტორთა მცირე ფორმის საგალობლებსაც. სტიქარონთა რაოდენობის მხრივ, არც ერთი ბერძენი ავტორი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში ისე ფართოდ არ არის წარმოდგენილი, როგორც იოანე მინჩხი.

იოანე მინჩხის შემოქმედებისა და ქართულ-ბერძნული "ტრიოდიონების" კვლევის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება - 1052 წელს გადაწერილ ქართულ ხელნაწერში - Sin. 5 დაცულია საინტერესო ცნობა პირველი ქართული მარხვანის სტრუქტურის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო თვით Sin. 5 ხელნაწერს. ამ დოკუმენტის მიხედვით პირველი ქართული *მარხვანი*, რომელიც ცალკე კრებულის სახით გამოეყო უნივერსალურ "იადგარს", შეიცავდა 4 ავტორის - ელია იერუსალიმელის, თეოდორე სტუდიელის, სტეფანე საბაწმიდელისა და იოანე მინჩხის საგალობლებს.

სინური და ათონური კოლექციების ქართული ხელნაწერების შედარებითი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქართული მარხვანის ამ ერთ-ერთი უძველესი ტიპის რეკონსტრუქცია.

როგორც ირკვევა, I ქართულ *მარხვანში* შესული იყო იერუსალიმის პატრიარქის - ელია III - ის დიდმარხვის კვირა დღეებისათვის განკუთვნილი 7 ჰიმნოგრაფიული კანონი. მათი სრული სახით აღდგენა დღეისათვის მხოლოდ ქართული თარგმანების მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

უძველეს ქართულ "მარხვანში" სამსაგალობლების 2 სრული ციკლი (პირველი ორშაბათიდან დაწყებული მეექვსე შაბათის ჩათვლით) ეკუთვნოდა ორ ავტორს - თეოდორე სტუდიელსა, და სტეფანე საბაწმიდელს. ეს უკანასკნელი ბერძნულ-სლავურ *მარხვანებში* თითქმის მხოლოდ სახელითაა ცნობილი. ქართული ხელნაწერები ამ შესანიშნავი ავტორის *მარხვანისათვის* განკუთვნილი მთელი შემოქმედების აღდგენის შესაძლებლობას იძლევა [8, გვ. 22-23].

ქართული *მარხვანის* მთელი სტიქარონული ნაწილი კი (88 მცირე ფორმის საგალობელი) ეკუთვნოდა ქართველ ავტორს - იოანე მინჩხს.

მინჩხის ეს საგალობლები, როგორც წესი, ზუსტად შეესაბამება *მარხვანში* მათთვის მიკუთვნებულ ადგილს.

დიდმარხვის თითოეულ დღეს საკუთარი ლიტურგიკული განგება აქვს. მარხვანის თითოეული დღის პოეტურ მასალაში აისახება ამ განგების აუცილებელი ელემენტები: ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების სისტემა. დროთა განმავლობაში დიდმარხვის ლიტურგიის ამ ორივე ელემენტმა გარკვეული ცვლილებები და ევოლუცია განიცადა. ქართული მარხვანები როგორც კალენდრის, ისე საკითხავების თვალსაზრისით ბერძნული მარხვანის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ.

დიდმარხვის თითოეული დღის მასალაში ხშირად აირეკლება შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებებიც. მაგ., დიდმარხვის IV შვიდეულის საგალობლებში ჩანს ჯვრის მოტივი; VI შვიდეულის საგალობლებში ხშირად მოიხსენიება ლაზარეს აღდგინება, რომლის ხსენება ამავე შვიდეულის შაბათსაა დადებული. ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, ტრადიციული ხსენებანი და სახეები; იმდროინდელ დოგმატიკურ

აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები; საეკლესიო კრებების დადგენილებები და ა. შ.

ავტორები, რომლებიც მარხვანისათვის წერენ, ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს. ამ რთულ "რეგლამენტაციას" ემატება თითოეული საგალობლისათვის სავალდებულო რიტმულ-მელოდიური შესატყვისობა არჩეულ ძლისპირთან, რომელიც საგალობელში შინაარსეულადაც აისახება ხოლმე.

შუა საუკუნეების არაბერძენი ავტორის წინაშე იდგა კიდევ ერთი დიდი ამოცანა - ეროვნულ ჰიმნოგრაფიასთან ერთად ბერძნული ლიტურგიკული პოეზიის გათვალისწინების აუცილებლობა. ქართველი ავტორი, რომელიც მარხვანისათვის წერდა, კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული ბერძნული მარხვანების რეპერტუარს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება მოითხოვდა ღრმა, საფუძვლიან მომზადებას, შეიძლება ითქვას - ერთგვარ უნივერსალიზმს ლიტურგიკის დარგში. იოანე მინჩხი მის წინაშე დასმულ რთულ ამოცანას - ქართული მარხვანისათვის მთელი სტიქარონული ნაწილის შექმნას, როგორც ჩანს, კარგად მომზადებული შეხვდა.

იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია ინტერესს იმსახურებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვისაც; კერძოდ, ბერძნული მარხვანების ერთ-ერთი თავდაპირველი ეტაპის შესწავლის თვალსაზრისით.

I ქართული მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები დამკვიდრდა შემდგომდროინდელ ტრადიციაში - Sin. 5 და Sin. 75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში.

მინჩხის საგალობლები ქართული ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. დიდი ტრადიციულობის გვერდით, მინჩხის შემოქმედებას ახასიათებს დიდი ორიგინალურობაც. სწორედ ამ ორი ფაქტორის შერწყმით უნდა აიხსნას მინჩხის განსაკუთრებული ადგილი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

იოანე მინჩხის შემოქმედების ორიგინალურობა მჟღავნდება, ერთი მხრივ, არსებული მოტივებისა და მხატვრული სახეების თავისებური გადააზრებით, მეორე მხრივ, სრულიად ახალი სახისმეტყველების, განწყობილებებისა და მხატვრული ენის შექმნით.

მინჩხის შემოქმედების მხატვრული თავისებურებების კვლევა მომავლის საქმეა. ამჯერად დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით, რომლებიც, ვფიქრობთ, არსებითია მინჩხის საგალობლების მხატვრული თავისებურებების კვლევისათვის.

IX-XI საუკუნეები - ქართული ჰიმნოგრაფიის აღზევების ხანა - ბერძნულენოვანი ლიტერატურის ქართულად თარგმნის ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური პერიოდია. ბერძნულ კულტურასთან ზიარება, როგორც ცნობილია, ამ დროს მსოფლიო ცივილიზაციასთან ზიარებას ნიშნავდა. ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ათონის ქართულმა კოლონიამ. ექვითიმე და გიორგი მთაწმიდელების მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა თითქმის მთელი ბიზანტიური მწერლობა. ამ გზას გაჰყვნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები. ბიზანტიური ლიტერატურის თარგმანებს ქართული ლიტერატურისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს სხვა საკითხი.

ბერძნული ენისა და ბერძნულიდან თარგმანების ფართო გავრცელებამ გარკვეული ასახვა ჰპოვა ქართული ორიგინალური მწერლობისა და პირველ ყოვლისა, ჰიმნოგრაფიის ენაში. ბერძნული სინტაქსი, ბერძნული ენის კალკები, ფრაზის ბერძნულისეული წყობა ამ დროის ქართულ ჰიმნოგრაფიაში იშვიათი არ არის, ეს ტენდენცია შეიმჩნევა თვით გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ საგალობლებშიც. ამ ფონზე იოანე მინჩხის საგალობლების უპირველეს ღირსებას მათი ენა - ბუნებრივი და აუმღვრეველი ძველი ქართული წარმოადგენს. უცხო ენის გავლენის არავითარი კვალი, არც ერთი ხელოვნური კონსტრუქცია არ აყენებს ჩრდილს ამ დიდ პოეზიას. ძველი ქართული ლექსიკა, სინტაქსი, ფრაზის ქართული წყობა იოანე მინჩხის საგალობლებს ძველი

ქართული ენის ქრესტომათიულ ნიმუშებად ხდის. ეს ალბათ კარგად იყო საგრძნობი X საუკუნის ქართველი მკითხველისათვის.

მინჩხის შემოქმედების შესწავლა ნათელს ხდის მისი შემოქმედების საერთო კანონზომიერებას, რაც ტრადიციული მასალის პირველხილვის, სათავეებისაკენ სწრაფვაში მდგომარეობს. ამ მხრივ საყურადღებოა მინჩხის ერთ-ერთი (I სამშაბათის მწუხრის) მცირე ფორმის საგალობლის უკანასკნელი ტროპარი, რომელიც ქრისტიანული ლიტურგიის ძირითადი და ყველაზე ტრადიციული ლოცვის - "მამაო ჩვენოს" პოეტურ გადამუშავებას წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ძალზე მცირეა. საინტერესოა ის გარემოება, რომ იოანე მინჩხი საკუთარ ხელწერას ტოვებს თვით რიტმულ-მელოდიურ საზომებში - შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის ყველაზე კანონიკურ სფეროში.

იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების უმეტესობა შეიცავს მითითებებს შესაბამის ძლისპირებზე, 23 სტიქარონი კი ხელნაწერებში ძლისპირებზე მითითების გარეშეა შესული. ისინი უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით იწყება. ბევრ მათგანს ხელნაწერებში ახლავს მითითება - "თჳთნი". როგორც ჩანს, იოანე მინჩხის ეს 23 სტიქარონი "თჳთძლისპირი" ანუ "თჳთ - ავაჯია" [7, გვ., 135]. იოანე მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც მთელი რიგი "თჳთძლისპირი" სტიქარონები ეკუთვნის. ამ სტიქარონების სახით მან ქართულ ჰიმნოგრაფიაში შემოიტანა ახალი სალექსო საზომები და ახალი მელოდიები. მინჩხის ამ "თჳთძლისპირ" სტიქარონთა პირველი ტროპარები, როგორც ჩანს, ძლისპირებად დაკანონდა შემდგომდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მთელ რიგ ქართულ ხელნაწერებში - S 425, A 85, K 564, Ath. 86 და Q 298 ძლისპირებად აღმოჩნდა შესული მინჩხის "თჳთძლისპირ" სტიქარონთა პირველი ტროპარები. აღნიშნული ხელნაწერები X-XIX სს-ებით თარიღდება და მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციას. როგორც ჩანს, იოანე მინჩხის მიერ შემოღებული ახალი

რიტმულ-მელოდიური საზომების ძლისპირებად დაკანონება დაიწყო X საუკუნეშივე და გაგრძელდა საუკუნეების მანძილზე [7, გვ. 136-141].

ორიგინალური საზომების დამკვიდრება ძლისპირთა რეპერტუარში - ჰიმნოგრაფიის მკაცრად რეგლამენტირებულ სფეროში თანამედროვეებისა და მემკვიდრეების მიერ იოანე მინჩხის შემოქმედების უჩვეულო აღიარებად უნდა ჩაითვალოს. იოანე მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც მ თ ე ლ ი რ ი გ ი ორიგინალური ძლისპირები ეკუთვნის. ამ ძლისპირებზე იქმნებოდა არაერთი ქართული საგალობელი, რომელთა ავტორებისათვის მინჩხის პოეტური სამყარო სხვა მხრივაც შთაგონების ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო.

მინჩხის მიერ შემოღებული ორიგინალური რიტმულ - მელოდიური საზომები ქართულ ჰიმნოგრაფიაში ყოველგვარი ტერმინის გარეშეა დამკვიდრებული. ხელნაწერებში არსებული მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (მინჩხნი, მინჩხისანი, მინჩხურნი) მხოლოდ მინჩხის ავტორობას აღნიშნავს.

იოანე მინჩხის ჩვენ მიერ გამოვლენილი მემკვიდრეობა, მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, მოიცავს 2 ჰიმნოგრაფიულ კანონს. მინჩხის ეს კანონები განკუთვნილია დიდმარხვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულების - ლაზარეს შაბათისა და ბზობის კვირიაკისათვის. ორივე მათგანი გამოირჩევა მინჩხისათვის დამახასიათებელი ლირიზმით.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა ხელნაწერებით ცნობილ მინჩხის 6 ჰიმნოგრაფიულ კანონს დაემატა 2 ახალი კანონი, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა იოანე მინჩხის შემოქმედებას იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილ I ქართულ მარხვანთან.

მცირე ფორმის საგალობლებსა და ჰიმნოგრაფიულ კანონებთან ერთად გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის სახელით წარწერილია საგალობელთა კიდევ ერთი ჯგუფი - 8 "მოიხილესა", რომლებიც წარმოადგენს ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა მარხვანისათვის

განკუთვნილი კანონების II ოდებს. კანონები, რომლებიც მიჩჩხის "მოიხილეებს" შეიცავს, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვაწში წარწერილია ელიას, კოზმას, იოსების და თეოფანეს სახელით.

X საუკუნის სინურ იადგარებში, Sin. 5 და Sin. 75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის მარხვაწში დაცული ამ კანონების ქართული თარგმანები რედაქციულად სხვაობს ერთმანეთისაგან. აღნიშნული კანონების ქართული თარგმანი იოანე მიჩჩხის II ოდებით უნდა შეეცვლო იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანისათვის, რომელთანაც მისი შემოქმედება ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის შესწავლამ გამოავლინა იოანე მინჩჩხის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფერო - მისი წვლილი კანონების II ოდების, "მოიხილეთა" რეპერტუარის შექმნაში. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის მეტად საინტერესო ისტორიის შესწავლისათვის. როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის - "მოიხილესას" თავისებური ისტორია დიდი ხანია მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. მისი შესწავლისათვის დიდ ყურადღებას იმსახურებს ძველი ქართული წყაროები, რადგან ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესების სათავეს, როგორც წესი, შესაბამისი პერიოდების ბიზანტიური ჰიმნოგრაფია წარმოადგენს.

X საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართულ ჰიმნოგრაფიაში იწყება კანონების შევსება II ოდებით, რაც ამავე პერიოდის ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს.

ამრიგად, ქართულ *მარხვანზე* იოანე მინჩჩხს ჩატარებული აქვს მეტად რთული და მიზანდასახული სამუშაო. იგი ავტორია იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილისა. მარხვანის ამ კრებულისათვის იოანე მინჩჩხს შეუქმნია სხვა აუცილებელი კომპონენტებიც - ლაზარეს შაბათისა და ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონები

და "მოიხილეების" რეპერტუარი მარხვანისათვის განკუთვნილი ბერძნულად თარგმნილი კანონებისთვის. ნიშანდობლივია მინჩხის საგალობლების თემატური და ფრაზეოლოგიური კავშირიც I ქართულ მარხვანში წარმოდგენილი ბერძენი ავტორების შემოქმედებასთან. ყოველივე ამის მიხედვით, იოანე მინჩხი იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის რედაქტორი და შემდგენელი უნდა იყოს. მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც ამგვარი სირთულისა და მოცულობის სამუშაო აქვს ჩატარებული. I ქართული მარხვანი საფუძვლად დაედო ამ კრებულის შემდგომდროინდელ რედაქციებს, მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონები კი ძლისპირებად იქნა დაკანონებული ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

მინჩხის წვლილს ქართული მარხვანის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული სიზუსტით აღბეჭდავს გიორგი მთაწმიდელი - ქართული და ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე სწავლული, რომლის ნაშრომებში ქართული საგალობლები, ჩვეულებრივ, მცირე რაოდენობითაა შესული. ეს საგალობლები, გიორგისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ფრიად კეთილ არიან და საწადელ..." ამრიგად, XI საუკუნის საქართველოს ყველაზე ავტორიტეტულ წრეებში იოანე მინჩხის შემოქმედება განსაკუთრებული აღიარებით სარგებლობს.

დიდია იოანე მინჩხის შემოქმედების გავლენა შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე. მიქაელ მოდრეკილს, რომელიც X ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდა, ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი შეუქმნია იოანე მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილი "თვთძლისპირი" კანონის რიტმულ - მელოდიური საზომების მიხედვით [1, გვ. 133-135]. როგორც ჩანს, ამ საგალობელში მინჩხის მიერ შემოღებული საზომი სწრაფად დაკანონდა ძლისპირად ვრცელი ფორმის საგალობელთათვისაც. იოანე მინჩხის საგალობლები დემეტრე-დამიანეს "შენ ხარ ვენახის" შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა [6, გვ.100-102]. აშკარაა იოანე მინჩხის შემოქმედების გავლენა დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიულ

შედევრზე - "გალობანი სინანულისანი". იოანე მინჩხის შემოქმედება ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა "ვეფხისტყაოსნის" ავტორისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა, პ., *თბილისანი*, III, თბ. 1965.
2. ინგოროყვა, პ., *ძველ-ქართული სასულიერო პოეზია*, თბ. 1913.
3. კეკელიძე, კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ. 1980.
4. მეტრეველი, ელ., "უძველესი იადგარის სტიქარონები", *უძველესი იადგარი*, თბ. 1971.
5. *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბ. 1947.
6. ფიფია, რ., *იოანე მინჩხის პოეზიის ძირითადი მოტივები*, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2001.
7. ხაჩიძე, ლ., *ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან*, თბ. 2000.
8. ხაჩიძე,ლ., *იოანე მინჩხის პოეზია*, თბ. 1987.

Ioane Minchkhi – Georgian Hymnographer of the 10th Century

Lela Khachidze
TSU, Associated Professor

Abstract: In this paper, important aspects of the legacy of the most prominent 10th century Georgian hymnographer - Ioane Minchkhi are discussed.

Certain issues of Ioane Minchkhi's creative activity were partially studied by Georgian scholars. As part of this comprehensive research into Minchkhi's creative works, the unexplored part of his creations – 77 hymns revealed by us are of special interests. The study of this unknown heritage redefined Ioane Minchkhi's place in the history of Georgian literature. At the same time, the standards and importance of Georgian original hymnography were presented in a new way.

Minchkhi's hymns are perfect examples of Georgian hymnography. Along with great traditionalism Minchkhi's creative works are characterised by great originality. It is the combination of these two factors that makes Minchkhi's works impressive and secures their special place in the history of Georgian hymnography.

As seen, Minchkhi was an editor and compiler of the first Georgian Lenten Triodion – one of the most important liturgical – hymnographical collections. It laid the foundation to the following editions of this collection. Minchkhi introduced new verse metres and new melodies into Georgian hymnography.

Minchkhi's great contribution to the history of Georgian church and literature is most fully expressed by George the Athonite – the greatest authority of the Georgian church, an outstanding scholar of Georgian and Byzantine writing.

Keywords: *Ioane Minchkhi, Georgian Lenten Triodions.*

The 10th century is a "golden age" of Georgian hymnography. During that period several generations of hymnographers lived and worked in the churches and monasteries of Tao-Klarjeti and Mount Sinai: Ioane Minchkhi, Mikael Modrekili, Ioane Mtbevari, Ioane Zosime, Stepane Sananoisdze-Chqondideli, Ioane Konkozisdze, Ezra, Kurdanai, Philipe and others. Most of them are known under the name of "Mekheli". They were the composers of both hymn text and melody at the same time. The greatest authority of the Georgian church, George the Athonite, evaluates their activity in the following way: "I love the *Mekheli* more than anyone else. I consider them to be my spiritual guides" (Ath. 45,40v).

Their universal activity made a distinct contribution to the fact that Georgian spiritual poetry reached its acme in the 10th century - 200 years earlier than secular poetry."

Among the Georgian hymnographers of the X century, Ioane Minchkhi deserves special attention. His name has become known in academic circles thanks to Ivane Javakhishvili, who discovered the hymns of this unknown Georgian hymnist in Georgian manuscripts – Sin.5, Sin.75 and Sin.2 during his academic trip to Mount Sinai in 1902. This was a hymnographical Canon devoted to St.George and 26 small-sized hymns. These hymns were published in "Description of the Georgian Manuscripts of Mount Sinai" in 1947 [5].

Ioane Minchkhi's four hymns are included in Mikael Modrekili's "Iadgari" (Tropologion) (978-988). These hymns were published in 1913 by P. Ingorokva [2, p.11-38]. Separate aspects of Ioane Minchkhi's creative activity were considered by Georgian scholars (K. Kekelidze, P. Ingorokva, L. Kvirikashvili, L. Jghamaia).

Ioane Minchkhi lived and worked at Mt. Sinai. This explains the fact that a considerable part of his hymns are preserved in Sinaitic manuscripts. Ioane Minchkhi was a contemporary of the king of Western Georgia (Kingdom of Abkhazeti) – Giorgi [3, p.171]. In P. Ingorokva's view Minchkhi was born in West Georgia, namely Chqondidi, Martvili environs [1, p. 132].

Research discussed here into Minchkhi's creative works of special attention is to the unknown part of his creations – the 77

hymns considered by us [6, pp. 81-109]. The majority of these hymns appeared to be included in the Georgian manuscript – Georg.5 kept at the National Library of Paris which houses George the Athonite's edition of the Lenten Triodion – one of the most important liturgical-hymnographical collections [7, pp. 81-109].

The discovery of unknown hymnographical heritage has particular importance both for the research into Ioane Minchkhi's creative activity and Georgian poetry. The study of these hymns redefined Ioane Minchkhi's place in the history of Georgian literature. At the same time, the standards and importance of Georgian original hymnography have been presented in a new way.

In Georg. 5 (George the Athonite's edition of the Georgian Lenten Triodion) the unknown hymns by Minchkhi are indicated with the monogram "M" denoting Minchkhi's authorship. With the same monogram are also indicated Minchkhi's 23 hymns already known from other Georgian manuscripts (Sin.5 and Sin.75). This monogram indicating Minchkhi's authorship in Georg.5 is inscribed in an usual way on the edges along the beginnings of Minchkhi's hymns [6, pp. 77, 82]. The unknown hymns revealed in Georg.5 appeared to be part of a number of other manuscripts. The revealing of these manuscripts containing Minchkhi's hymns made it possible to establish the vague and undecipherable parts of Minchkhi's hymn texts.

The majority of the newly discovered Minchkhi's heritage represents small-sized hymns; for instance, Georg. 5 contains 58 his unknown stanzas. In addition to this, there are 30 small-sized hymns already known from Sinaitic manuscripts which also entered the Georg. 5 manuscript. Thus, 88 small-sized hymns are inscribed under Minchkhi's name. The exploration of the whole of Minchkhi's creative activity testifies to the fact that small-sized hymns were the closest poetic form for him.

As is known, small-sized hymns are essential hymnographical material which has to be sung during the morning and evening services (Vigil and Matins) and along with "morning liturgy poetic troparions" is an integral part of ordinary days of the Lent and Pentekostarionweeks [4, p. 820]. Thus the 88 small-sized hymns by

Minchkhi included in Georg. 5 represent one of the most important components of the Holy Lent liturgy. George the Athonite's Lenten Triodion, together with Minchkhi's stichera, also contains small-sized hymns by Greek authors. From the viewpoint of the number of stichera none of the Greek authors are presented so widely as Ioane Minchkhi.

Usually two or more small-sized hymns are presented in Georg. 5 side by side on Lent weekdays or on most important holidays.

In respect of studying Ioane Minchkhi's creative activity and Georgian-Greek Triodions the following fact is of special attention. In the Georgian manuscript Sin.5 (rewritten in 1052) an interesting note about the structure of the first Georgian Lenten Triodion, which laid the foundation of the Sin.5 manuscript, is preserved. According to this document, the first Georgian Lenten Triodion, which was separated from Tropologion as an independent Collection , contained hymns by four authors – Elia of Jerusalem, Theodore Studites, Stephanus Sabbaites and Ioane Minchkhi.

On the basis of the comparative study of Sinaitic and Athos Collections of Georgian manuscripts the reconstruction of one of the oldest types of Georgian Lenten Triodion becomes possible.

As it turns out, 7 hymnographical Canons for the Sundays of the Holy Lent created by the Patriarch of Jerusalem - Elias III entered the first Georgian Lenten Triodion. For today their full restoration is possible only with the help of Georgian translations.

In the oldest Georgian "Lenten Triodion" two full cycles of Three-Odes (beginning from the first Monday and including the sixth Saturday) belonged to two authors - Theodore Studites and Stephanus Sabbaites. Theodore Studitesis was well-known, although only by the name, in Greek and Slavonic Triodions. Georgian manuscripts make it possible to restore the full-length creations of this remarkable author [8, pp. 22-23].

The whole part of Stichera of the first Georgian Lenten Triodion (88 small-sized hymns) belonged to Georgian author – Ioane Minchkhi.

These hymns by Minchkhi, as a rule, exactly fitted into the places which were allotted to them in Triodion.

Each day of the Great Lent has its own liturgical service. The obligatory elements of this service are reflected in poetic material of each Lenten day: the system of reading of the Old and New Testaments. These two elements of Lenten liturgy in the course of time were subjected to certain changes and evolution. From both the calendar and reading viewpoints Georgian Lenten Triodions reflect different stages of the Greek tradition.

The material of each day of the Holy Lent frequently mirrors special commemorations of the appropriate Sundays. For instance, in the hymns for IV Sunday the theme the Holy Cross appears; the hymns for VI Sunday frequently commemorate the resurrection of Lazarus whose commemoration is celebrated on the Saturday of the same week.

Besides this, the hymns for the Lenten Triodion reflect the themes characteristic of the Lent period, traditional commemorations and images; changes taking place in dogmatic thinking at that time, resolutions of the Church Councils, etc. The authors who wrote for the Lenten Triodion take into consideration these requirements. To this complicated "regulation" is added obligatory rhythmic and melodic correspondence with the chosen heirmos which is usually reflected in the hymn by its content too.

The medieval non-Greek author was facing another big challenge – the necessity of taking into account the Greek liturgical poetry along with national hymnography. A Georgian author who wrote for the Lenten Triodion should have mastered the repertoire of Greek Triodions. Consideration of all the above mentioned required a deep, thorough preparation, even certain universality in the field of liturgics. Ioane Minchkhi seems to be well-prepared for the creation of the complete Stichera for the first Georgian Triodion.

The reconstruction of the first Georgian Triodion, separated from Tropologion as an independent collection is of a particular interest for the research of Byzantine hymnography; specifically, from the viewpoint of studying one of the earliest stages of Greek Triodion.

Small-sized hymns by Minchkhi for the first Georgian Triodion were also established in the later tradition – Sin.5 and Sin.75 manuscripts and George the Athonite's redaction of Lenten Triodion.

Minchkhi's hymns are perfect examples of Georgian hymnography. Along with great traditionalism, Minchkhi's creative works are characterised by a great originality. It is just the combination of these two factors that explains Minchkhi's special place in the history of Georgian hymnography.

The peculiarity of Minchkhi's creativity is manifested in the original reconsideration of the existing motifs and artistic images, on the one hand, and on the other – in the creation of a completely new symbolic-allegorical system, attitude and literary language. The study of artistic peculiarities of Minchkhi's creativity is a matter of future research. This time we limit ourselves just by several remarks which, to our mind, are essential for the research into artistic peculiarities of Minchkhi's hymns.

IX and X centuries, the time of rising of Georgian hymnography, are one of the most intense periods regarding the translation of Greek literature into Georgian. Being acquainted with Greek culture, as is known, at that time meant being acquainted with the World civilization. The Georgian monastic settlement on Athos made a great contribution to this. Almost the whole Byzantian literature was translated into the Georgian language by Euthymius and George the Athonites again. This path was followed by Efrem Mtsire, Arsen Iqaltoeli, Ioane Petritsi, and others. The translation of Byzantine literature was of paramount importance for Georgian literature but this time we are interested in a different issue.

A wide spread of Greek language and translations from Greek shows itself in the language of original Georgian writing and first of all, hymnography. Greek syntax, clichés and calques of the Greek language and word order in Greek manner at that time is not a rarity in hymnography. This trend is observed in George the Athonite's original chants too. Against this background the most important merit of Ioane Minchkhi's hymns is their language –

impeccable old Georgian. There is no trace of the foreign language interference and none of the artificial constructions taken from the foreign language shadow this great poetry. Old Georgian vocabulary, syntax, construction of the phrase make Ioane Minchkhi's hymns chrestomatic samples of the Georgian language. This must have been well-noticed by X century Georgian readers.

The study of Minchkhi's creativity makes it clear that the general rule of his creative work lies in striving for the "protovision" of the traditional material. In this respect special attention should be paid to the last troparion of Minchkhi's, one of the small-sized hymns (first Tuesday Matins) which represents a poetic remake of the most traditional prayer of Christian liturgy –*The Lord's Prayer* (*Our Father...*). Such cases in the history of hymnography are rather scarce. It is interesting to note that Ioane Minchkhi managed to create his method of rhythmic and melodic metres in the most canonic sphere of the medieval spiritual poetry.

The majority of Ioane Minchkhi's small-sized hymns contain the indications to appropriate heirmoi but the 23 stichera are included in the manuscripts without such indications. They begin directly with full texts of troparions. Many of them in the manuscript come with an indication – "Idiomela" [7, p.135]. Among Georgian hymnographers Ioane Minchkhi is the only author whom a number of "Stichera Idiomela" belongs to. With these stichera he introduced new verse metres and new melodies into Georgian hymnography. It seems the first troparions of these stichera were canonized as heirmoi in later Georgian hymnography. The first troparions of Minchkhi's "Stichera Idiomela" appeared to have entered as heirmoi in a number of Georgian manuscripts - S 425, A 85, K564, Ath.86 and Q 298. The mentioned manuscripts date back to the X -XIX centuries and belong to different collections. It seems that the establishment of new rhythmic and melodic metres as heirmoi started in the 10th century and continued over the centuries [7, pp.136-141].

The establishment of the original metres in the repertoire of heirmoi, in the highly regulated sphere of hymnography can be considered to be an unconventional recognition of Ioane Minchkhi's

creative work by his contemporaries and successors. Ioane Minchkhi is the only author among Georgian hymnographers who created a great number of original heirmoi. On the basis of these "Stichera Idiomela" many Georgian chants were created and for their authors Minchkhi's poetic world must have been one of the main sources of inspiration.

Original rhythmic and melodic metres introduced into Georgian hymnography by Minchkhi were established without any special term. The terminology in the manuscripts related to Minchkhi (Minchkhni, Minchkhisani, Minchkhuri) denotes only Minchkhi's sole authorship. Along with small-sized hymns Ioane Minchkhi's heritage revealed by us contains two hymnographic Canons. These Canons by Minchkhi were written for especially important feasts of the Holy Lent - Lazarus Saturday and Palm Sunday. Both of them are distinguished by lyricism typical of Minchkhi.

Thus, two new Canons are added to six hymnographical Canons by Minchkhi already known in scholarly literature from other manuscripts. The newly added canons connect Ioane Minchkhi's creativity more closely with the first Georgian Lenten Triodion.

Along with small-sized hymns and hymnographical canons in Georg.5 one more group of hymns bears the inscription of Minchkhi's name – eight troparions, which represent II Odes for the Georgian translations of the Canons composed by Byzantine hymnographers. These Canons in Georg. 5 are inscribed under the names of Elia, Cosmas and Theophanes.

Georgian translations of these Canons preserved in the X century Sinaitic Tropologions, Sin.5 and Sin.75 manuscripts and Georg. 5 differ from each other by redaction. The Georgian translation of the mentioned Canons must have been filled with Ioane Minchkhi for the first Georgian Triodion separated from Tropologion as an independent collection with which his creativity was so much connected.

Thus, the study of George the Athonite's Lenten Triodion has revealed a previously unknown sphere of Ioane Minchkhi's

hymnographic activity – his contribution to the II Odes of the Canons. As is known, a peculiar history of the II Odes of the hymnographical Canons has long been a subject of scholarly interest. The ancient Georgian sources are of great importance regarding their history as the Byzantine hymnography of relevant periods, as a rule, represents the origin of the processes taking place in Georgian hymnography.

From the 50s of the X century the completion of the Canons with II Odes started in Georgian hymnography which must have reflected the ongoing processes in Greek hymnography.

Thus, Ioane Minchkhi did extremely difficult and purposeful work in Georgian hymnography. He is the author of a complete Stichera of the first Georgian Lenten Triodion presented as an independent collection from Tropologion. For this collection Ioane Minchkhi also created other essential components – the Canons for Lazar Saturday and Palm Sunday and the repertoire of the II Odes for the Canons translated from Greek. Thematic and phraseological unity of Minchkhi's hymns with the creations of Greek authors presented in the first Georgian Lenten Triodion also deserves attention. Taking into consideration all these facts, arguably, Ioane Minchkhi must be an editor and a compiler of the first Georgian Lenten Triodion. Minchkhi is the only author among Georgian hymnographers who conducted such voluminous and complex work. The first Georgian Triodion laid the foundation to the following redactions of this collection and Minchkhi's "Stichera Idiomela" were established as heirmoi in Georgian hymnography.

Minchkhi's great contribution to the formation of Georgian Triodion is precisely expressed by George the Athonite – a prominent scholar of Georgian and Byzantine writing whose works usually include small number of Georgian chants. These chants, if we repeat George the Athonite's words, are "absolutely perfect and desired". Thus, in the most authoritative circles of XI century Georgia Ioane Minchkhi enjoyed special recognition.

The influence of Ioane Minchkhi's creativity on the subsequent Georgian poetry is great. Mikael Modrekili who lived and worked in the second half of the X century created a

hymnographical Canon according to Ioane Minchkhi's rhythmic and melodic metres which the latter introduced in the Canon to St. George [1, pp.133-135]. As is seen, the metre introduced by Minchkhi in this hymn was quickly established as heirmoi. Ioane Minchkhi's hymns became one of the inspiring sources to Demetre-Damiane's *Shen Khar Venakhi* (*Thou Are a Vineyard*) [6, pp.100-102]. The influence of Ioane Minchkhi's creative work on David IV the Builder's (David Aghmashenebeli) hymnographic masterpiece *Hymns of Repentance* is obvious. Ioane Minchkhi's creativity is one of the main sources also for Rustaveli's poem *The Man in the Panther Skin*.

REFERENCES:

1. Ingorokva, P., *Compositions*, III. Tb. 1965.
2. Ingorokva, P., *Old Georgian Spiritual Poetry*, Tb. 1913.
3. Kekelidze, K., *History of Old Georgian Literature*, I, Tb. 1980.
4. Metreveli, E., *Dzlispirni*, Tb. 1971.
5. *Description of Georgian Manuscripts preserved on Mount Sinai*, Tb. 1947.
6. Phiphia, R., *The Main Motives of Ioane Minchkhi's Poetry*, Doctoral Thesis, *Tb. 2001*.
7. Khachidze, L., *From the History of Georgian Christian Culture*, Tb. 2000.
8. Khachidze, L., *Ioane Minchkhi's Poetry*,Tb. 1987.

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია

თინათინ მარგალიტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი, თსუ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები მე-19 საუკუნიდან დღემდე. ვრცლადაა მიმოხილული უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ გამოცემული დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ტომეული და მისი ონლაინ-ვერსია, აგრეთვე 2006 წელს ლონდონში, გამომცემლობა „გარნეტის“ მიერ გამოცემული დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი დონალდ რეიფილდის საერთო რედაქტორობით.

საკვანძო სიტყვები: *ინგლისურ-ქართული სიტყვარი, სასწავლო ლექსიკონი, სემანტიკური ასიმეტრია.*

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებთან

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია ჟამთააღმწერლის სიზუსტით ასახავს როგორც ევროპული ქვეყნების ინტერესს საქართველოსადმი, ისე ქართველი ხალხის სწრაფვასა და დაინტერესებას ევროპული ენებითა და სახელმწიფოებით.

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია 1629 წელს იწყება რომში „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ გამოცემით [15]. ეს წიგნი იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი პირველი ნაბეჭდი წიგნია ქართულ ენაზე. ლექსიკონის შემდგენლები არიან სტეფანო პაოლინი და ქართველი დიპლომატი ნიკიფორე ირბახი. მე-17 საუკუნეში კვლავ გრძელდება ლექსიკოგრაფიული მუშაობა იტალიურ ენასთან

მიმართებით. იტალიელი მისიონერი - ბერნარდო მარია ნეაპოლელი, რომელიც თითქმის 10 წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ადგენს იტალიურ-ქართულ და ქართულ-იტალიურ ლექსიკონებს. აღნიშნული ლექსიკონები სტამბური წესით არ გამოცემულა და ხელნაწერის სახით არსებობს [26, გვ. 30 – 78; 27, გვ. 171 – 180].

მე-17 საუკუნის ქართული ენის ორენოვანი ლექსიკონები ძირითადად იტალიურ ენასთან მიმართებით იქმნება. მეზობელი მაჰმადიანი ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ აიძულებდა ქართველებს დახმარება დასავლეთში ეძებნათ და ევროპელებისთვის მიემართათ. თავის მხრივ, რომის კათოლიკური ეკლესია დაინტერესებული იყო მისიონერული ცენტრების დაარსებით აღმოსავლეთში. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მსგავსი ცენტრების დაარსებით ხელი შეეწყობოდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. საქართველო მოხვდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც კათოლიკური რომის ყურადღება მიიპყრეს. მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში რომიდან გამოგზავნეს მისიონერები, რომლებიც საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული ენისა და კულტურის მიმართ, სწავლობდნენ ქართულ ენას, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა კათოლიკობის ქადაგებას და თავისთავად უკეთ გავრცელებასაც. ეს ვითარება ბუნებრივად აისახა მე-17 საუკუნის ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაზე.

მე-18 საუკუნეში კვლავ გრძელდება ქართულ-იტალიური ლექსიკონების შედგენა. კერძოდ, იტალიელმა მისიონერმა, რომლის სახელი არ არის ცნობილი და რომელსაც გორელი ანონიმის სახელით მოიხსენიებენ, სავარაუდოდ 1724 წელს იტალიურ-ქართული ლექსიკონი შეადგინა [26, გვ. 68; 27, გვ. 174].

მე-18 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ჰოლანდიელი აღმოსავლეთმცოდნის ნ. ვიტსენისა და ქართველი დიდებულის ალ. ბაგრატიონის ქართულ-ჰოლანდიური ლექსიკონი, რომელიც ვიტსენმა დაურთო თავისი წიგნის „ჩრდილოეთ და სამხრეთ თათრეთი“-ს მეორე გამოცემას [26, გვ. 175; 34].

მე-19 საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, რაც ასევე აისახა ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაზე. მე-19 საუკუნეში იქმნება მნიშვნელოვანი ორენოვანი ლექსიკონები, ძირითადად რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. ამ პერიოდს განეკუთვნება ფრანგულ-ქართული ლექსიკონებიც, რაც ასახავს ქართული არისტოკრატიის გატაცებას ფრანგული ენით.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ორენოვანი ლექსიკონების შექმნის ინიციატორებად და ავტორებად უცხოელები გვევლინებიან. ამ ფონზე კიდევ უფრო კარგად იკვეთება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა და მის მიერ შექმნილი ლექსიკონი.

ვითარება იცვლება XIX საუკუნეში, ჩნდება ქართველ ავტორთა მიერ შექმნილი ორენოვანი ლექსიკონები. XIX საუკუნეში ქართული ენა რუსული ენის ორბიტაში ექცევა და რუსული ენის დიდ გავლენას განიცდის. ქართულ ენაში უკონტროლოდ აღწევს რუსული გარბარიზმები. ამ ფაქტით შეწუხებული ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობენ შექმნან ლექსიკონები, რომლითაც დაიცავენ ქართული ენის სიწმინდეს. ამ პერიოდში გამოცემული არა ერთი ლექსიკონის წინასიტყვაობაში არის მითითებული ის მოტივი, რისთვისაც ისინი იქმნებოდა, კერძოდ, ქართული ენის სიწმინდის დაცვა [1; 11].

გარდა რუსული ენისა, ერთადერთი უცხო ენა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რომელთან მიმართებითაც იქმნება ლექსიკონები XIX საუკუნეში, არის ფრანგული ენა. კიდევ ერთი ენა, რომელიც ამ პერიოდში ჩნდება ქართულ თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ლათინური ენაა, რომელიც, უპირატესად, დარგობრივი ლექსიკონების შესადგენად გამოიყენება.

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის საწყისი ეტაპი

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის საწყისი ეტაპის მსგავსად, ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია ინგლისელი ავტორების მიერ შექმნილი ინგლისურ-ქართული სიტყვარებით იწყება XIX საუკუნეში. ინგლისურ-ქართული

ლიტერატურული ურთიერთობების კვლევისას, ქართველი მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ლექსიკოგრაფიულ კონტაქტებსაც ამ ორ ერს შორის. ინგლისელი ავტორების მიერ კავკასიური ენების, მათ შორის ქართული ენის შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობად განიხილავენ ჯორჯ ელისის წიგნს „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“, რომელიც 1788 წელს გამოიცა ლონდონში. კავკასიის ხალხთა ისტორიის, კულტურის, რელიგიისა და სხვა საკითხების განხილვასთან ერთად, წიგნში მოცემულია კავკასიის ენების მომცრო შედარებითი ლექსიკონი (სულ 130 სიტყვა) ინგლისური თარგმანით [25, გვ. 32; 26, გვ. 147 – 159].

ამ ნაშრომს მოსდევს დ. ფიქოქის მიერ 1883 წელს შედგენილი 224-სიტყვიანი ლექსიკონი, რომელმაც მოიცვა ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურისა და აფხაზურის მონაცემები მათი ინგლისური შესატყვისებით [25, გვ. 33-34].

XIX საუკუნეში შექმნილ ინგლისურ-ქართულ სიტყვარებს შორის უნდა მოვიხსენიოთ მარჯორი უორდროპის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობისას შედგენილი 1000-სიტყვიანი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და მისივე დაუმთავრებელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის 200 სიტყვიანი ფრაგმენტი ასო ბ-ზე.

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილების მეცნიერ-კონსულტანტის დევიდ ბარეტის პირად არქივში დაცულია მის მიერ შედგენილი ინგლისურ-ქართული სიტყვარი, რომელიც თითქმის 4000 ერთეულს მოიცავს. აღნიშნული სიტყვარი ხელნაწერის სახით არსებობს და წიგნად არასოდეს გამოცემულა [25, გვ. 35-36].

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია მე-20 საუკუნეში

ისიდორე გვარჯალაძის ლექსიკონები

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ერთდროულად იქმნება ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონები. პირველი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (20 000 სიტყვა) საქართველოში გამოვიდა 1939 წელს. მისი

შემდგენელი იყო თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე. იმავე წელს ინგლისში ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე მუშაობა დაასრულა ეკა ჩერქეზმა, მაგრამ ლექსიკონის დაბეჭდვა ომის გამო შეფერხდა და იგი მხოლოდ 1950 წელს გამოსცა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ [13]. ამდენად, ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის პიონერად, პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ეკა ჩერქეზს ლექსიკონზე მუშაობა 1928 წელს დაუწყია და მან ეს ლექსიკონი ოლივერ უორდროპს მიუძღვნა.

ე. წ. „გვარჯალაძის ლექსიკონი" არაერთგზის გამოიცა, გამოვიდა მისივე ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული ანდაზების ლექსიკონი. ამ სერიის ბოლო წიგნები დაიბეჭდა 1975 წელს – "ინგლისურ-ქართული ლექსიკონი" (40 000 სიტყვა) და 1979 წელს – "ქართულ-ინგლისური ლექსიკონი" (40 000 სიტყვა), ორივე თამარ გვარჯალაძის თანაავტორობით [3; 4; 5]. ეს ლექსიკონები დიდი ხნის მანძილზე ერთადერთი ლექსიკონები იყო და მათ საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწიეს. აღნიშნული ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონების ინტერნეტ-ვერსია განთავსებულია მისამართზე: www.translate.ge.

ჯუანშერ მჭედლიშვილის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის კიდევ ერთი პედაგოგის, ჯუანშერ მჭედლიშვილის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც სასწავლო ტიპის ლექსიკონს წარმოადგენს (Learner's dictionary). ლექსიკონი დაეფუძნა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობისა და ლონგმენის სასწავლო ლექსიკონებს და უპირატესად სასწავლო მიზნებს მიესადაგა. 2009 წელს გამოვიდა ლექსიკონის მერვე შესწორებული და შევსებული გამოცემა, რომელიც 67 000-მდე სიტყვასა და გამოთქმას მოიცავს, დავით მჭედლიშვილისა და ივეტა გოცირიძის თანაავტორობით [10]. აღნიშნულმა ლექსიკონმა უდავოდ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს საშუალო და

უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და დღემდე ერთ-ერთ პოპულარულ სასწავლო-ლექსიკოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს ქართველი მკითხველისათვის.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ - ლექსიკონის ისტორია

1995 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა დაიწყო დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ტომეულის გამოცემა. დღეისათვის გამოქვეყნებულია ლექსიკონის 14 ტომი (ასოები A – P), რომლებიც 2380 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს [8]. 2015 წლის ბოლომდე დაგეგმილია ლექსიკონის დარჩენილი ოთხი ტომის გამოცემა, რის შემდეგაც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი ორ ტომად მიეწოდება მკითხველ საზოგადოებას.

ლექსიკონის შექმნის იდეა უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე ჩაისახა გასული საუკუნის 60-იან წლებში, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის, იმჟამად კათედრის გამგის, პროფ. გივი გაჩეჩილაძის ინიციატივით. სათანადო ლექსიკონის არარსებობას განსაკუთრებით მწვავედ სწორედ მთარგმნელები განიცდიდნენ და ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ ამგვარი ლექსიკონის შექმნა სწორედ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ქართულად ადეკვატურად თარგმნის საჭიროებიდან იშვა. ლექსიკონზე მუშაობის საწყის ეტაპზე, 60-იან 70-იან წლებში ინგლისურ-ქართული ლექსიკონის წყაროებად ინგლისურ-რუსული ლექსიკონები იქნა მიჩნეული, რომლებიც ქართულად ითარგმნა. ამგვარმა გადაწყვეტილებამ პრაქტიკულად უსარგებლო გახადა პირველი ეტაპის სამუშაოები და ნათარგმნი მასალა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში რედაქტორთა მცირე ჯგუფმა იტვირთა ლექსიკონის მასალის საფუძვლიანი გადამუშავება, შევსება, განახლება და გამოსაცემად

მომზადება. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორების გადაწყვეტილებით, ლექსიკონის წყაროებად შეირჩა ინგლისური ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონები, კერძოდ: ისტორიული პრინციპების მიხედვით შექმნილი ოქსფორდის დიდი ლექსიკონები [19; 20; 21; 22], უებსტერის ვრცელი ლექსიკონი [24], რომელთა დეფინიციები გადაიქცა ინგლისური სიტყვების კვლევის ძირითად წყაროდ. სარედაქციო ჯგუფი ასევე ეყრდნობოდა ილია გალპერინის „ახალ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონს" [18], ლონგმენის [17], კობილდის [14] და ინგლისური ენის სხვა ავტორიტეტულ ლექსიკონებს. ლექსიკონზე მუშაობის ეს ეტაპი 30 წელი გაგრძელდა.

1992 წელს სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა ლექსიკონის შედგენილი და რედაქტირებული სიტყვა-სტატიების კომპიუტერიზაცია და ლექსიკონის ნაკვეთებად, ასო-ასო გამოცემა. 1995 წელს გამოვიდა დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირველი რვეული, ასო A, რომელსაც 1996 წელს მოჰყვა ორი რვეული: B და C. ქართველმა საზოგადოებამ, ისევე როგორც უცხოელმა ქართველოლოგებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოცემის დაწყებას (www.margaliti.ge).

2009 წელს სარედაქციო კოლეგიამ მიიღო დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ონლაინ-ვერსიის მომზადებისა და ინტერნეტში განთავსების გადაწყვეტილება. 2010 წლის თებერვალში ლექსიკონი განთავსდა ინტერნეტში მისამართზე: www.dict.ge. ონლაინ-ლექსიკონი არ არის ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ზეჭდური გამოცემის სტერეოტიპული ვერსია. საფუძვლიანად გადამუშავდა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირველი ტომები, რომლებიც 1980-90-იან წლებში მომზადდა და გამოიცა. ონლაინ ვერსიაში ასევე შევიდა ასოები Q–Z, რომლებიც ტომების სახით ჯერ არ გამოქვეყნებულა. დღეისათვის ლექსიკონი 110 000 სიტყვა-სტატიას მოიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში მაქსიმალურად სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია, შეტანილია უამრავი შესიტყვება, ფრაზული ზმნა,

ფრაზეოლოგიური ერთეული, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია - ლექსიკონში შესული მთლიანი მასალა რამდენიმე ასეულ ათას ერთეულს აღწევს [6].

ონლაინ-ლექსიკონის საძიებო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ინგლისური, ისე ქართული სიტყვების, შესიტყვებების, ფრაზების მოძიება.

ლექსიკონის სიტყვანი

ლექსიკონის სიტყვანის შერჩევა განაპირობა იმ მიზნობრივმა ჯგუფებმა, რომელთათვისაც დაიგეგმა იმთავითვე ლექსიკონი, კერძოდ: ინგლისურენოვანი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ქართულად მთარგმნელები, სპეციალურ / დარგობრივ ტექსტებზე მომუშავე სპეციალისტები, ინგლისური ენის შემსწავლელები, რომელთათვისაც ინგლისური ენა მომავალი სპეციალობაა (პედაგოგიკა, მთარგმნელობითი საქმიანობა), ინგლისური ენის შემსწავლელი მომავალი ფსიქოლოგები, ექიმები, ბიოლოგები და ა.შ., რომელთაც ენის შესწავლისთვის სპეციალური ენები და მათი ქართული ეკვივალენტები სჭირდებათ, ზოგადად ინგლისური ენის შემსწავლელები. აღნიშნულმა მიზნობრივმა ჯგუფებმა განსაზღვრა ის, რომ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში შევიდა როგორც ინგლისური ენის თანამედროვე ლექსიკა მათი გამოყენების მაღალი სიხშირული პრინციპის გათვალისწინებით, ასევე იშვიათი, მოძველებული, არქაული სიტყვები ან სიტყვების იშვიათი, მოძველებული და არქაული მნიშვნელობები. ლექსიკონში შევიდა თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ინგლისური ენის სპეციალისტებისათვის, პედაგოგებისათვის, მთარგმნელებისათვის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომელთაც დარგობრივ ტექსტებთან უხდებათ მუშაობა; ლექსიკონი ასევე განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ზოგადად ინგლისური ენის

შემსწავლელთათვის, ასევე ინგლისური ენით დაინტერესებული პირებისათვის.

სემანტიკური ასიმეტრია ინგლისურ და ქართულ ენებს შორის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორები იდგნენ, არის „ენობრივი და კულტურული ანიზომორფიზმი" ინგლისურ და ქართულ ენებს შორის, რომლის შედეგიცაა სემანტიკური ასიმეტრია ამ ენათა ერთი შეხედვით მსგავს სიტყვებს შორის. ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული პრობლემა არის ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა [28; 29; 31; 32; 33; 35]. ეს პრობლემა კარგადაა ფორმულირებული „ეკვივალენტობისა" და „ეკვივალენტურის" განმარტებებში ჰარტმანისა და ჯეიმზის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკონში": „ენობრივი და კულტურული ანიზომორფიზმის შედეგად, თარგმნითი ეკვივალენტები, როგორც წესი, არის ნაწილობრივი, მიახლოებითი, არასიტყვასიტყვითი და ასიმეტრიული (და არა სრული, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი და ორმხრივი). ამდენად, ორენოვან ლექსიკონში მათი განსაზღვრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და საჭირო ხდება ხელოვნურად შექმნილი განმარტებითი ეკვივალენტების მოშველიება" [16, გვ. 51].

სემანტიკური ასიმეტრია კიდევ უფრო დიდია გენეტიკურად არამონათესავე და სტრუქტურად ისეთ განსხვავებულ ენებს შორის, როგორიცაა ინგლისური და ქართული ენები.

ენობრივი ეკვივალენტობის პრობლემის გადასაჭრელად დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში გამოიჯნულია მნიშვნელობის ეკვივალენტი და თარგმნითი /კონტექსტუალური ეკვივალენტი. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორთა ამოცანა ყოველთვის იყო და არის, ინგლისურ და ქართულ ენებს შორის ეკვივალენტობა აღეწერათ ამ ორი ენის უფრო ზოგად, სისტემურ დონეზე, ნაცვლად იმისა, რომ მოეცათ მხოლოდ თარგმნითი ეკვივალენტები, დადასტურებული ცალკეულ კონკრეტულ კონტექსტებში [30].

მაგალითები:

Reek - *ამა თუ იმ* თვისებას აშკარად გამოხატავს / ავლენს; *რითიმე* გაჟღენთილია; she reeks charm მომხიბვლელობას ასხივებს; his music reeks of melody მისი მუსიკა მეტად მელოდიურია; the novel reeks of pain რომანი ტკივილითაა გაჟღენთილი; she reeked of wealth and privilege *ქალი* სიმდიდრესა და პრივილეგიას ასხივებდა.

Rough - უსწორმასწორო, ხორკლიანი, უხეში / არაგლუვი ზედაპირის მქონე; rough road ოღროჩოღრო გზა; rough edges უსწორმასწორო კიდეები; rough skin ხორკლიანი / ხეშეში კანი; rough cloth უხეში / მქისე ქსოვილი; rough hands უხეში / დაკოჟრებული ხელები.

მოცემულ მაგალითებში *ამა თუ იმ* თვისებას აშკარად გამოხატავს / ავლენს; *რითიმე* გაჟღენთილია; ან *უსწორმასწორო, ხორკლიანი, უხეში / არაგლუვი ზედაპირის მქონე* მნიშვნელობის ეკვივალენტებია, ხოლო: *ასხივებს, გაჟღენთილია* ან *ოღროჩოღრო, უსწორმასწორო, ხორკლიანი, ხეშეში, მქისე* და სხვა - თარგმნითი / კონტექსტუალური ეკვივალენტები.

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ავტორებმა შეიმუშავეს მეთოდიკა, რომელიც მნიშვნელობათა ეკვივალენტებისა (ლექსიკური ერთეულების ინფორმაციულად უფრო ღირებული ან განმარტებითი ეკვივალენტებისა) და მრავალრიცხოვან საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებში წარმოდგენილი თარგმნითი ეკვივალენტების კომბინირებაში მდგომარეობს. ეს არის ერთ-ერთი ის სიახლე, რაც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გუნდმა შემოიტანა ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში [30].

ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: შუქია აფრიდონიძე, თინათინ მარგალიტაძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი მელაძე, არიანე ჭანტურია, გელა ხუნდაძე.

დონალდ რეიფილდის „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“

„ქართული ენის ინგლისურენოვან სპეციალისტებს ან შემსწავლელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ განსაკუთრებით სჭირდებათ ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. ამგვარი ნაშრომის გარეშე ჩვენთვის ქართული ენის სიმდიდრე და მასში დაუნჯებული საგანძური მიუწვდომელი და შეუცნობელი რჩება“ – წერდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი ჰოვარდ არონსონი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას 1998 წელს გამოგზავნილ წერილში, რომლითაც იგი დიდ შეფასებას აძლევდა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის უკვე გამოცემულ ტომებს და შემოქმედებით ჯგუფს გამარჯვებას ულოცავდა. „გილოცავთ თქვენ და მთელს სარედაქციო კოლეგიას ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას! უდავოდ ეს იქნება სრული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მნიშვნელოვნად დაჩრდილავს მსგავსი ლექსიკონის შექმნის ყველა ადრეულ მცდელობას“ (http://margaliti.ge/new/feedback.htm).

ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ძირითადი პრინციპები დონალდ რეიფილდმა მოხსენების სახით პირველად 1988 წელს გააჟღერა ევროპელ კავკასიოლოგთა საზოგადოების შეკრებაზე. მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ ლონდონსა და თბილისში ლექსიკონის შემდგენელთა გუნდის კოორდინირებული მუშაობის, აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის წყალობით, ძრავალი თაობის ოცნება რეალობად იქცა.

ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში წარმოდგენილია ინგლისური ეკვივალენტები ქართული ენის პრაქტიკულად სრული ლექსიკური კორპუსისათვის როგორც სალიტერატურო – უძველესი, კლასიკური თუ თანამედროვე – ენის, ისე სასაუბრო მეტყველებისა და დიალექტური მასალისათვის. ლექსიკონი გამოცემულია ორ ტომად და 140 000 სიტყვა-სტატიისაგან შედგება.

ლექსიკონში შეტანილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის პრაქტიკულად ყველა სიტყვა-სტატია. მეორე ძირითადი წყარო ლექსიკონისათვის გახდა ქართული ყოველდღიური და კვირეული პრესის (1999-2002) მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა დაახლოებით ორ მილიონ სიტყვა-ფორმას მათი შეხვედრის სიხშირის ჩვენებით. მესამე წყაროდ გამოყენებულ იქნა ორმოცამდე დიდი მოცულობის ტექსტის ელექტრონული ვერსია თანამედროვე ქართველი მწერლების, ძირითადად რომანისტების ნაწარმოებებიდან: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, აკა მორჩილაძე და სხვა. ქართულ-ინგლისური ლექსიკონის მეოთხე ძირითადი წყარო გახდა ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი. ლექსიკონის სიტყვანის შერჩევისას ასევე გამოყენებული იქნა (შერჩევით) თანამედროვე ქართული ენის 30-მდე დიალექტური ლექსიკონი და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში ასევე შევიდა დიდძალი მასალა თანამედროვე სასაუბრო მეტყველებიდან, მათ შორის ვულგარული ლექსიკაც.

ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, რომელიც დაინტერესებულია ქართული ლიტერატურის ძეგლებით, ქართული საისტორიო წყაროებით, ქართველური ენებით. ამიტომ შევიდა ლექსიკონში ძველი და საშუალო პერიოდის ქართული ენის ლექსიკა, დიალექტური მასალა და ა.შ. ლექსიკონი ასევე განკუთვნილია ქართველი მომხმარებლისთვისაც.

განსხვავებით ევროპულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონებისაგან, ქართულ-ევროპული ტიპის ლექსიკონებში დგება ერთი პრობლემა – ქართული ზმნის საკითხი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიამ, როგორც ცნობილია, ახლებურად გადაწყვიტა ქართული ზმნის

წარმოდგენის საკითხი, კერძოდ, თუ ტრადიციულად ქართულ ლექსიკონებში ზმნა საწყისის (სახელზმნის) სახით იყო შეტანილი, რომელიც სრულად ვერ წარმოაჩენდა ქართული ზმნის სიმდიდრეს და მის კატეგორიებს, განმარტებითმა ლექსიკონმა უარყო ეს ტრადიცია და ზმნა წარმოადგინა არა მხოლოდ საწყისის ფორმით, არამედ პირის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით [12, გვ. 011]. განმარტებით ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად შევიდა არა მარტო საწყისი (მასდარი, სახელზმნა), არამედ აწმყოს ან მყოფადის მესამე პირი ყველა ზემოჩამოთვლილი წარმოებისა. მაგ.:

თესვა	*მასდარი, საწყისი, სახელზმნა*
თესავს	*მესამე პირი, მხოლოობითი რიცხვი, საარვისო ქცევა*
ითესავს	*სათავისო ქცევა*
უთესავს	*სასხვისო ქცევა*
ათესვინებს	*კაუზატივი*
ითესება	*გარდაუვალი ზმნა, დინამიკური ვნებითი*
თესია	*გარდაუვალი ზმნა, სტატიკური ვნებითი*

და სხვა.

კიტა ჩხენკელმა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონში“ ზმნის წარმოდგენის ბუდობრივი პრინციპი აირჩია [23]. ზმნა წარმოადგინა ფუძის და არა პრეფიქსის მიხედვით და ყველა ლექსიკური დერივატი და გრამატიკული ფორმა ერთ ბუდეში მოათავსა. დონალდ რეიფილდი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ პრინციპად არნ. ჩიქობავას პრინციპს იღებს და მის ლექსიკონში ზმნა ყველა ზემოჩამოთვლილი ფორმის მიხედვითაა შეტანილი. მაგ.:

თესვა sowing (seed ...)
თესავს sows he/she, it (seed ...)
ითესავს sows he/she, it (seed ...) for oneself
უთესავს sows he/she, it (seed ...) for smb
ითესება it (seed...) is being sown
თესია has been sown (seed ...)
ათესვინებს has smb sow smth (seed ...) და სხვა.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში, თავად დონალდ რეიფილდი ასე ხსნის ამ გადაწყვეტილებას: „სალექსიკონო ერთეულთა ასეთი სიმრავლე (ზოგჯერ ერთი სიტყვა-სტატია

ერთი ზმნის ოც პირიან ფორმას შეიცავს, მაშინ როცა სხვა ჩვეულებრივ ლექსიკონში ტრადიციულად თითო ზმნას თითო სალექსიკონო ერთეული ეთმობა) ძალიან ზრდის ჩვენი ლექსიკონის მოცულობას, მაგრამ, სამაგიეროდ, იმედია, დროს დაუზოგავს მომხმარებელს. ყველა სხვა პროცედურას, ჩვენი აზრით, წამგები მხარე უფრო მეტი აღმოაჩნდება, ვიდრე მომგები. ჩამოთვლილი ფორმები მასდართან არცთუ იშვიათად ხელოვნურია, ვინაიდან ბევრ ზმნას მასდარი არ გააჩნია, ხოლო სხვებს მასდარი კი აქვთ, მაგრამ მათი მნიშვნელობის გარკვევა ზოგჯერ ჭირს, და თვით ამ მასდარსაც მნიშვნელობათა ისეთი ფართო არე აქვს, რომ დიდად ვერ გვშველის პირიანი ფორმის მნიშვნელობის დადგენაში. კ. ჩხენკელის მიერ არჩეული გზა ზმნების ჯერ ძირების, შემდეგ კი პრეფიქსების მიხედვით დალაგებისა მხოლოდ პროფესიონალ ლინგვისტს თუ დააკმაყოფილებს, ჩვეულებრივ მომხმარებელს კი იგი მთელ საათს დააკარგვინებს ამა თუ იმ სპეციფიკური პირიანი ფორმის ძებნაში. სანამ ელექტრონული სისტემა იმდენად არ დაიხვეწება, რომ თითო სალექსიკონო ერთეულში თითო ქართული ზმნა მოექცეს ქართული ზმნის ფორმათა უზარმაზარი სიის უნიფიცირების შედეგად, ჩვენ მიერ (არნ. ჩიქობავას მიბაძვით) არჩეული გზა ყველაზე მოსახერხებლად და ამიტომ ყველაზე ნაკლებ ბოროტებად გვესახება“ [7, გვ. XXVI].

ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე, ლორენს ბროერსი, თინათინ მარგალიტაძე, დონალდ რეიფილდი (მთავარი რედაქტორი), ლევან ჩხაიძე, არიანე ჭანტურია.

* * *

ბოლო წლებში გამოიკვეთა ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ახალი მიმართულება, კერძოდ ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკოგრაფია. თუ უწინ დარგობრივი ლექსიკონები, უპირატესად, რუსულ ენასთან მიმართებით იქმნებოდა და იშვიათი იყო ინგლისურ-

ქართული დარგობრივი ლექსიკონები [2; 9], თანამედროვე ეტაპზე იკვეთება ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონების შექმნის დიდი საჭიროება და ბოლო წლებში რამდენიმე ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონი გამოიცა.

თსუ ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა 2009 წელს შეადგინა ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი, რომლის ონლაინ-ვერსია განთავსებულია მისამართზე: http://mil.dict.ge. ამჟამად მთავრდება მუშაობა ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონზე, რომლის ონლაინ-ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში მისამართზე: http://bio.dict.ge.

დამოწმებული ლიტერატურა

ლექსიკონები:

1. აღნიაშვილი, ლ., *უბის ლექსიკონი*. თბილისი 1887.
2. გაბესკირია, ც., *ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1983.
3. გვარჯალაძე, ი., გვარჯალაძე, თ., *ქართულ-ინგლისური ლექსიკონი*, თბილისი 1979.
4. გვარჯალაძე, ი., გვარჯალაძე, თ., *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი 1975.
5. გვარჯალაძე, ი., კუსრაშვილი, მ., *ინგლისური ანდაზები და ბატყუანი თქმანი*, თბილისი 1976.
6. *დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი* (მთ. რედაქტორი თ. მარგალიტაძე), თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი 2010. www.dict.ge.
7. *დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი* (დ. რეიფილდის რედაქტორობით), „გარნეტი", ლონდონი 2006.
8. *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი* (მთ. რედაქტორი თ. მარგალიტაძე), 14 ტომი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი 1995-2008.
9. მენაბდე, ც., *ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი*, „მეცნიერება", თბილისი, 1983.
10. მჭედლიშვილი, ჯ., მჭედლიშვილი, დ., გოცირიძე, ი., *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი, 2009.
11. სახოკია, თ., *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი, 1897.

12. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (არნ. ჩიქობავას რედაქტორობით), ტ. I, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1950.
13. Cherkesi, E., *Georgian-English Dictionary*, Oxford 1950.
14. *Collins COBUILD English Language Dictionary*, William Collins Sons & Co Ltd., London and Glasgow 1987.
15. *Dittionario Georgiano e Italiano* composto da Stefano Paolini con l'aiuto del M.R.P.D. Nicefore Irbachi, Giorgiano, Roma 1629.
16. Hartmann, R. R. K. and James, G., *Dictionary of Lexicography*. London 1998.
17. *Longman Dictionary of English Language and Culture*, Longman 1992.
18. *New English-Russian Dictionary* (in two volumes), Galperin I. R. (Editor-in-Chief) et al., Moscow 1972.
19. *Oxford English Dictionary on Historical Principles*, vol. I – XIII; suppl. I – IV, Oxford University Press.
20. *Oxford Dictionary of English*, Second Edition, Revised, Oxford University Press 2005.
21. *Oxford English Dictionary*. Second edition on CD-ROM, Version 2.0
22. *Shorter Oxford English Dictionary*. Sixth Edition, Oxford University Press 2007.
23. Tschenkeli, K., *Georgisch-Deutsches Worterbuch*, Zurich 1960-1974.
24. *Webster's Third New International Dictionary* (Unabridged), Merriam Webster Inc. 1981.

სამეცნიერო ლიტერატურა:

25. ოძელი, მ., *ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1998.
26. უთურგაიძე, თ., *ქართული ენის შესწავლის ისტორია*, გამომცემლობა „ქართული ენა", თბილისი 1999.
27. Орловская, Н., *Очерки по Вопросам Литературных Связей*, Тбилиси 2013.
28. Adamska-Salaciak, A., "Examining Equivalence", *International Journal of Lexicography*, 4, Oxford University Press, 2010, გვ. 387-409.

29. Hartmann R. R. K., *"Interlingual Lexicography, Selected Essays on Translation Equivalence, Contrastive Linguistics and the Bilingual Dictionary"*, Tübingen: Max Niemeyer 2007.
30. Margalitadze, T., „The Comprehensive English-Georgian Online Dictionary: Methods, Principles, Modern Technologies", *XV EURALEX International Congress.* University of Oslo, Norway 2012. www.euralex.org/elx_proceedings/Euralex2012/pp764-770 Margalitadze.pdf
31. Neubert, A., "Fact and Fiction of the Bilingual Dictionary", *EURALEX '90 Proceedings,* BIBLOGRAF, Barcelona1990.
32. Snell-Hornby, M., "The Bilingual Dictionary – Help or Hindrance", *Lexeter '83 Proceedings,* Tübingen: Max Niemeyer 1984.
33. Sundström, M. P., "Tackling Lexicographical Anisomorphism in Front Matter Comments", *EURALEX '92 Proceedings I-II,* Tampere: Studia Translatologica 1992.
34. Witsen, N., *Noord en Oost Tartarye,* Amsterdam 1705, ȝȝ. 506-515.
35. Zgusta, L., "Translational Equivalents in the Bilingual Dictionary", *Lexeter '83 Proceedings,* Tübingen: Max Niemeyer 1984.

English-Georgian Dictionary

Tinatin Margalitadze
Research Director of the Lexicographic Centre at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Associate Professor at the Institute of European Languages and Literature (Department of English Philology) of TSU.

Abstract: The paper deals with the main stages in the development of the English-Georgian lexicography from the 19th century till the present time. It gives a more detailed description of the Comprehensive English-Georgian Dictionary (in 14 volumes) and its online version, compiled at the Lexicographic Centre of Tbilisi State University and the Comprehensive Georgian-English Dictionary under the general editorship of Donald Rayfield, published in London in 2006 by the "Garnett Press".

Keywords: *English-Georgian word-lists, learner's dictionaries, semantic asymmetry.*

The origins of European-Georgian lexicography

The history of European-Georgian lexicography gives a chronographically precise account of both the interest of European nations in Georgia and the Georgian people's aspirations to and their interest in European countries.

The history of European-Georgian lexicography begins back in 1629 with the publication in Rome of a Georgian-Italian Dictionary [6]. The book is important for its being the first printed book in Georgian. The dictionary was compiled by Stefano Paolini and a Georgian diplomat Niceforo Irbachi. In the 17th century, the lexicographic work with respect to the Italian language continued. An Italian missionary, Bernardo Maria da Napoli, who had lived and worked in Georgia for almost 10 years, compiled Italian-Georgian and Georgian-Italian dictionaries. The said dictionaries have not been yet published in their

printed form and exist in the form of manuscripts [33, pp. 30-78; 30, pp. 171-180].

Bilingual Georgian dictionaries of the 17th century were created mainly with respect to the Italian language. The aggressive policy of the neighbouring Muslim states towards Georgia made Georgians seek Western help and support. In its turn, the Roman Catholic Church was interested in the setting up of its missionary centres in the East. They believed that the establishment of such centres would promote the spreading of the Roman Catholic faith. Georgia was among the states which attracted the attention of the Vatican. In the 17th century missionaries were sent to Georgia from Rome and they showed considerable interest in the Georgian language and culture and also learned Georgian which, as they believed, could facilitate their preaching Catholicism and would help them spread the Catholic religion much more successfully. This situation naturally had its impact on the Georgian bilingual lexicography of the 17th century.

The 18th century saw the further compilation of Georgian-Italian dictionaries. In particular, an unknown Italian missionary usually referred to as the "Anonym from Gori" compiled an Italian-Georgian dictionary supposedly in 1724 [33, p. 68; 30, p. 174].

Also in the 18th century, a Dutch orientalist Nicolaas Witsen, together with a Georgian nobleman Alexander Bagrationi, created a Dutch-Georgian dictionary, which was annexed by Witsen to the second edition of his book *Noord en Oost Tartarye* ("North and East Tartary") [30, p. 175; 34].

In the 19th century, Georgia became a part of the Russian Empire, a fact which affected the status of Georgian bilingual lexicography. In the 19th century important bilingual dictionaries were created, mainly Russian-Georgian and Georgian-Russian ones. French-Georgian dictionaries also belong to this period, reflecting considerable interest of Georgian nobility in the French language.

In the course of the 17th and the 18th centuries, bilingual dictionaries were initiated and created by foreigners. Dire social and political situation, accompanied by a constant struggle for physical survival characteristic of this period, could not, naturally, provide adequate conditions for the development of such a complex field of activity, as lexicography. Against this backdrop, the lexicographic activities and the dictionary of Sulkhan-Saba Orbeliani, a prominent

Georgian writer and public figure, become much more conspicuous and outstanding.

The situation began to change in the 19th century. There were published bilingual dictionaries created by Georgian authors. In the 19th century, the Georgian language fell within the orbit of the Russian language and was heavily influenced by the latter. Russian barbarisms were uncontrolledly assimilated by the Georgian vocabulary. Concerned with the fact, Georgian writers, scholars and public figures tried to create dictionaries which would protect the purity of the Georgian language. Prefaces of many dictionaries, published in this period, directly indicate the motive for their creation namely, the protection of the purity of the Georgian language [1; 21].

As mentioned above, the only language besides Russian, in respect to which dictionaries were created in the 19th century was French. Another language, which began to appear in the Georgian bilingual lexicography of this period, was Latin, which was mainly used for the compilation of specialized terminological dictionaries.

Initial stage of English-Georgian lexicography

Not unlike the situation with the initial stage of European-Georgian lexicography, the English-Georgian lexicography began in the 19th century with the creation of English-Georgian word-lists by English authors. While exploring English-Georgian literary relationships, Georgian scholars also paid great attention to the lexicographic contacts between the two nations. "Memoir of a map of the countries comprehended between the Black Sea and the Caspian; with an account of the Caucasian nations, and the vocabularies of their languages" by G. Ellis, published in London in 1788 is regarded as one of the very first attempts of English authors to study Caucasian languages, including Georgian. Along with the discussion of the history, culture, religion, *etc.* of Caucasian peoples, the book also contains a minor (about 130 words) dictionary of Caucasian languages with their corresponding English translations [29, p. 32; 30, pp. 147-159].

This peace of work was followed by a dictionary of 224 words by D. Peacock, comprising data from Georgian, Mingrelian, Laz, Svan and Abkhazian languages with their English correspondences [29, pp. 33 – 34].

Among the word-lists compiled in the 19th century, we must mention an English-Georgian dictionary of 1,000 words compiled by Marjory S. Wardrop in the process of her work on the translation into English of Rustaveli's poem Knight in the Panther's Skin, and 200-word fragment (letter B) of her unfinished Georgian-English dictionary.

Personal archives of David Barrett, Consultant in Caucasian and Central Asian Studies to the Bodleian Library of Oxford University, contain English-Georgian word-list including 4,000 entries, compiled by Mr Barrett himself [29, pp. 35 – 36].

English-Georgian lexicography in the 20th century

Dictionaries by Isidorè Gvarjaladze

The 1930s saw the almost simultaneous creation of English-Georgian and Georgian-English dictionaries. The first English-Georgian dictionary (20,000 entries) was published in Georgia in 1939. It was compiled by Isidorè Gvarjaladze, a professor at Tbilisi Pedagogical Institute of Foreign Languages. In the same year, Eka Cherkezi in England completed her work on a Georgian-English dictionary, but its publication was delayed by the World War II. The book was eventually published in 1959 by Oxford University Press [2].

Thus, Professor Gvarjaladze is the pioneer of English-Georgian lexicography. It is worth mentioning, that Eka Cherkezi began her work in 1928, dedicating her dictionary to Oliver Wardrop.

The so-called "Gvarjaladze dictionary" has since been republished many times. The author also published a Georgian-English dictionary and an English-Georgian dictionary of proverbs. The last books of the series were printed in 1975 – "English-Georgian Dictionary" (40,000 entries) and in 1979 – "Georgian English Dictionary" (40,000 entries), both in co-authorship with Tamar Gvarjaladze [10; 11; 12]. For a long time, these dictionaries were the only available dictionaries of their kind and have done the Georgian public a great service. Online versions of the said English-Georgian and Georgian-English dictionaries can be found at the following Internet address: www.translate.ge

English-Georgian dictionary by Juansher Mchedlishvili

In 1990s, Juansher Mchedlishvili, another professor from the Pedagogical Institute of Foreign Languages, published his English-Georgian Dictionary, which is in fact a type of learner's dictionary. The dictionary was based on learner's dictionaries published by the Oxford University Press and Longman publishing company and was primarily adapted for teaching purposes. In 2009, in co-authorship with David Mchedlishvili and Ivetta Gotsiridze, the eighth, corrected and supplemented edition of the dictionary was published which comprised up to 67,000 words and expressions [16]. Indisputably, the said dictionary has done a great service to the students and teachers from the Georgian institutions of secondary and higher education and still remains one of the most popular educational and lexicographic sources for Georgian readers.

The Comprehensive English-Georgian Dictionary created by the Lexicographic Centre at Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The history of the Dictionary

In 1995, the Lexicographic Centre at Iv. Javakhishvili Tbilisi State University began the publication of the fascicles of its Comprehensive English-Georgian Dictionary. Currently, printed and published are 14 fascicles of the English-Georgian Dictionary (letters A – P), which cover 2,380 pages of the dictionary [7]. The publication of the remaining four fascicles of the Dictionary is intended before the end of 2015, after which the Comprehensive English-Georgian Dictionary will be presented to the reading public in the form of a two-volume edition.

The idea to create a comprehensive English-Georgian academic dictionary was conceived back in the 1960s at the Department of English Philology of Tbilisi State University. The initiator of the project was a prominent Georgian scholar and translator, the then Head of the Department, Professor Givi Gachechiladze. As far as the lack of an academic English-Georgian dictionary was especially acutely felt by translators, the creation of such a dictionary was primarily determined by the need to adequately translate English-language literature into Georgian. At the initial stages of the work on the Dictionary, in the 1960s and 1970s, it was decided to use English-Russian dictionaries as

source material and to merely translate them into Georgian. This erroneous decision made all preliminary work and translated materials already accumulated practically useless.

In the 1980s, a small team of editors embarked on a thorough revision of the dictionary material and preparation for the publication of the Dictionary. The editors of the English-Georgian Dictionary arrived at a decision to use comprehensive, English, monolingual dictionaries as major sources for the project. Namely, the Oxford English Dictionary on Historical Principles (OED) [18; 19; 20; 22] and Webster's Third New International Dictionary [24] were selected, whose definitions became the basic source for the semantic investigation of English words. The editorial team also relied on the New English-Russian Dictionary by Ilya Galperin [17], as well as on other dictionaries, such as Longman [14], COBUILD [3] and other trustworthy sources. This stage of the work on the dictionary has lasted for 30 years.

In 1992, the Editorial Board decided to digitalize the edited entries of the Dictionary and to start publishing the Dictionary in fascicles on a letter-by-letter basis. In 1995, the first fascicle of the Comprehensive English-Georgian Dictionary, the letter A, was published which was soon (1996) followed by two more fascicles, letters B and C. The Georgian scientific community, as well as foreign Kartvelologists, attached great importance to the beginning of the publication of the New English-Georgian Dictionary (www.margaliti.ge).

In 2009, the Editorial Board made the decision to develop an online version of the Dictionary and to post it on the Internet. In February 2010, the Dictionary was posted on the Internet at the address www.dict.ge The Online Dictionary is by no means a stereotyped version of the printed edition of the Comprehensive English Georgian Dictionary. First fascicles of the English Georgian Dictionary, which were prepared and published back in the 1980s and 1990s, have undergone a thorough revision. The online version has also comprised letters from Q to Z, not published yet as fascicles.

The Comprehensive English Georgian Dictionary presently contains up to 110,000 entries. Taking into consideration the fact that dictionary entries fully represent the polysemy of English words, contain numerous collocations, phrasal verbs, phraseological units,

ample amount of scientific and technical, economic and artistic terms, as well as terms from various other fields – the total material contains several hundred thousand units.

The search system of the online dictionary makes it possible to look up English as well as Georgian words, collocations and phrases.

The word-list of the Dictionary

The selection of the word-list for the Dictionary was determined by the target groups for which it was initially intended – namely translators of English belles-lettres and scientific literature into Georgian, specialists working on specialized, branch-specific texts, learners of English, for whom English is their future speciality, also prospective psychologists, physicians, biologists, etc. who study English and need to know foreign special terms and their Georgian equivalents, as well as learners of English in general. The abovementioned target groups determined the inclusion in the Dictionary of modern vocabulary of the English language characterized by high frequency of occurrence, as well as the inclusion of less frequently used words, rare, obsolete, archaic, words or rare, obsolete and archaic meanings of modern words. The dictionary has included terms from almost all fields of knowledge.

Consequently, the English-Georgian Online Dictionary is primarily intended for English language specialists, teachers, translators and specialists from various fields, who have to work on special terms; the Dictionary is also intended for learners of English in general, as well as for the individuals, interested in English.

Semantic asymmetry between English and Georgian languages

One of the important issues faced by the editors of the CEGD has been 'linguistic and cultural anisomorphism' between the English and Georgian languages, resulting in semantic asymmetry of seemingly similar words of these languages. English-Georgian lexicography is not exceptional in this respect, as it is the central problem of bilingual lexicography at large [25; 26; 28; 31; 32; 35]. This problem is well-formulated in the definitions of 'equivalence' and 'equivalent' in the Dictionary of Lexicography by Hartmann and James. 'Because of linguistic and cultural anisomorphism, translation equivalents are typically partial, approximative, non-literal and asymmetrical (rather

than full, direct, word-for-word and bidirectional). Their specification in the bilingual dictionary is therefore fraught with difficulties, and recourse must be made to surrogate explanatory equivalents' [13, p. 51].

Semantic asymmetry is even wider between genetically unrelated and structurally completely different languages as is the case with the Georgian and English languages.

In order to solve the problem of linguistic equivalence, in the Comprehensive English-Georgian Dictionary there are distinguished: equivalent of meaning and translational/contextual equivalent. The goal of the editors of the Comprehensive English-Georgian Dictionary has always been to describe the equivalence between the English and Georgian languages on a more general, systemic level of the two languages, rather than give only the Georgian equivalents of English words found in particular contexts; e.g.

Rough: *ustsormastsoro, khorkliani, ukheshi/aragluvi zedapiris mkone* (lit. uneven, of rough/coarse surface); *rough road* oghrochoghro gza (lit. uneven / bumpy road); *rough edges [surface]* ustsormastsoto kideebi [zedapiri] (lit. uneven edges [surface]); *rough skin* khorkliani / khesheshi kani (lit. calloused skin); *rough cloth* ukheshi / mkise ksovili (lit. coarse fabric); *rough hands ukheshi / dakozhrebuli khelebi* (lit. calloused hands).

In this example, *ustsormastsoro, khorkliani, ukheshi/aragluvi zedapiris mkone* (lit. uneven, of rough/coarse surface) is an equivalent of meaning, whereas *oghrochoghro, ustsormastsoto, khorkliani, khesheshi, etc.* are translational/contextual equivalents.

The editors of the Comprehensive English-Georgian Dictionary have developed a technique of combining equivalents of meanings (i. e. informatively more valuable or explanatory equivalents of lexical units) with translational/contextual equivalents presented in different illustrative phrases and sentences selected for entries. This is one of the novelties introduced by the team of the Comprehensive English-Georgian Dictionary into English-Georgian lexicography [27].

The Editorial Board of the Dictionary comprises: Shukia Apridonidze, Tinatin Margalitadze (Editor in Chief), George Meladze, Ariane Chanturia, Gela Khundadze.

Donald Rayfield's Comprehensive Georgian-English Dictionary

"For English-reading students of Georgian outside of Georgia, a Georgian-English dictionary is far and away the greatest need; without such a work, the glorious treasures of the Georgian past and the excitement and promise of the present remain a closed book for us," wrote Howard Aronson, a professor from Chicago University and a kartvelologist in his letter sent to the Editorial Board of the Comprehensive English-Georgian Dictionary in 1998, where he greatly appreciated already published fascicles of the English-Georgian Dictionary, congratulating its Creative Team upon their achievement: "I congratulate you and your group on an outstanding achievement! Unquestionably, this will be the definitive English-Georgian Dictionary and clearly far, far surpasses all previous attempts at creating such dictionaries" (http://margaliti.ge/new/feedback.htm).

The basic principles of this Georgian-English Dictionary were first adumbrated by Donald Rayfield in a paper given to a Caucausological Symposium in Paris in 1988. Only twelve years later, the happy conjunction of developments in the Internet, of research funding in Britain and the availability of a compatible team of compilers in London and Tbilisi turned the dream of such a dictionary into reality.

The Georgian-English Dictionary presents an English equivalent for practically the entire lexical corpus of the Georgian language, ancient, classical and modern, as well as literary, colloquial and dialectal. The Dictionary is published in two volumes and comprises 140,000 word-entries.

The Dictionary includes virtually all the entries from the eight-volume Explanatory Dictionary of the Georgian Language (often referred to as *KEGL*). The second major source is a database listing about two million word forms and their frequency in the Georgian daily and weekly press (from 1999-2002). Thirdly, there have been used a searchable electronic version, and a list of all word forms, of forty substantial texts by contemporary writers, predominantly novelists, such as Grigol Robakidze, Konstantine Gamsakhurdia, Mikheil Javakhishvili, Otar Chiladze, Chabua Amiredjibi, Bachana Bregvadze, Besik Kharanauli, Guram Dochanashvili, Tamaz Chkhenkeli, Vakhushti Kotetishvili, Aka Morchiladze and others. The fourth major source were Ilia Abuladze's and Zurab Sarjveladze's compilations and

dictionaries of Old Georgian. There have been (selectively) used about thirty dictionaries of the various dialects of modern Georgian and dictionaries from various branches of science and technology. The Georgian-English Dictionary has also incorporated a substantial body of modern colloquial, including vulgar, expressions.

The Dictionary is, in the first place, intended for English-speaking readers, interested in Georgian literary texts, Georgian historical sources, Kartvelian languages. This is why the Dictionary has comprised the vocabulary from Old Georgian and Middle Georgian periods, dialectal material, *etc.* The Dictionary is also intended for Georgian users.

Unlike European-Georgian bilingual dictionaries, the dictionaries of Georgian-European type face a major problem, namely that of the Georgian verb. As we know, the Editorial Board of the Explanatory Dictionary of the Georgian Language found a new way of representing Georgian verbs in the Dictionary. Namely, while Georgian dictionaries traditionally included verbs represented in the form of *masdar* or verbal noun, which could not fully express the semantic richness and all the categories of the verb, the team working on KEGL renounced this tradition, deciding instead to represent not only initial forms of Georgian verbs, but also specific verb-forms according to verbal categories of person, version, voice, dynamic or static passive, *etc.* [8, preface]. So the Explanatory Dictionary includes not only initial verb-forms (masdar, verbal noun) but also third-person forms of all above-listed categories in present (future) tense:

თესვა tesva masdar, verbal noun
თესავს tesavs third person singular form, neutral version
ითესავს itesavs subjective version
უთესავს utesavs objective version
ათესვინებს atesvinebs causative verb
ითესება iteseba intransitive verb - dynamic passive
თესია tesia intransitive verb - static passive
etc.

Kita Chkhenkeli in his Georgian-German dictionary chose the run-on layout of dictionary entries for verbs. The verbs are represented by their stems without prefixes and all their lexical derivatives and grammatical forms are included in the same entry. In his Comprehensive Georgian-English Dictionary, Donald Rayfield follows

the principle developed by Arnold Chikobava and includes in the dictionary all above-listed verb forms. e.g.

თესვა *tesva* 'sowing (seed ...)'
თესავს *tesavs* 'sows he/she, it (seed ...)'
ითესავს *itesavs* 'sows he/she, it (seed ...) for oneself'
უთესავს *utesavs* 'sows he/she, it (seed ...) for smb'
ითესება *iteseba* 'it (seed...) is being sown'
თესია *tesia* 'has been sown (seed ...)'
ათესვინებს *atesvinebs* 'has smb sow smth (seed ...)'
etc.

In the preface of the Dictionary, Donald Rayfield himself gives the following explanation for this approach: "Such a multiplicity of entries (sometimes twenty finite entries for a verb listed in conventional dictionaries by one entry) inflates the size of our dictionary but will, we hope, economize the time employed by the user. All other procedures seemed to us to have more disadvantages than advantages. Listing forms under a masdar is arbitrary, since many verbs do not have a masdar, others have a masdar which cannot easily be ascertained, and the masdar itself has such a range of meanings that it does little to explain the meaning of a finite form. The method chosen by Tschenkéli to list verbs by root, then by prefixes, is satisfying for a professional linguist, but it can force a lay user to search for an hour to find a single specific finite form. Until an electronic system is perfected for unifying the prodigious numbers of forms of a Georgian verb into one entry, the path we have chosen seems to be the least of all the evils" [5, p. XI].

The Editorial Board of the Dictionary comprises: Rusudan Amiredjibi, Shukia Apridonidze, Laurence Broers, Ariane Chanturia, Levan Chkhaidze, Tinatin Margalitadze, Donald Rayfield (Editor in Chief).

* * *

In recent years, a new direction – English-Georgian specialized lexicography – can be observed in the English-Georgian lexicography. While in the past specialized dictionaries were predominantly compiled in respect to the Russian language and English-Georgian specialized dictionaries were comparatively rare [9; 15], nowadays there is seen an urgent need for English-Georgian specialized dictionaries.

In 2009, the Lexicographic Centre at TSU compiled the English-Georgian Military Dictionary, whose online version is available at the address http://mil.dict.ge Nearing its completion currently is the work on the English-Georgian Biological Dictionary, which is available on the Internet at the address http://bio.dict.ge.

REFERENCES:

A. Dictionaries

1. Aghniashvili, L., *Pocket Dictionary*, Tbilisi 1887.

2. Cherkesi, E., *Georgian-English Dictionary*, Oxford 1950.

3. *Collins COBUILD English Language Dictionary*, London and Glasgow 1987.

4. *Comprehensive English-Georgian Dictionary* (Editor-in-Chief – T. Margalitadze). TSU Lexicographic Centre, Tbilisi 2010. www.dict.ge

5. *Comprehensive Georgian-English Dictionary* (Editor-in-Chief – D. Rayfield), London 2006.

6. *Dittionario Georgiano e Italiano* composto da Stefano Paolini con l'aiuto del M.R.P.D. Nicefore Irbachi, Giorgiano, Roma 1629.

7. *English-Georgian Dictionary* (Editor-in-Chief – T. Margalitadze). 14 fascicles. Lexicographic Centre, Tbilisi 1995-2008.

8. *Explanatory Dictionary of the Georgian Language* (Editor-in-Chief – Arn. Chikobava), v. I, Publishing House of the Georgian Academy of Sciences, Tbilisi 1950.

9. Gabeskiria, Ts., *English-Georgian Mathematical Dictionary*, Tbilisi University Press, Tbilisi 1983.

10. Gvardjaladze, I., Gvardjaladze, T., *Georgian-English Dictionary*, Tbilisi 1979.

11. Gvardjaladze, I., Gvardjaladze, T., *English-Georgian Dictionary*, Tbilisi 1975.

12. Gvardjaladze, I., Kusrashvili, M., *English Proverbs and Figurative Expressions*, Tbilisi 1976.

13. Hartmann, R. R. K. and James, G. *Dictionary of Lexicography*, London 1998.

14. *Longman Dictionary of English Language and Culture*, Longman 1992.

15. Menabde, Ts., *Concise English-Russian-Georgian Biological Dictionary*, Metsniereba, Tbilisi 1983.

16. Mchedlishvili, Dj., Mchedlishbili, D., Gotsiridze, I., *English-Georgian Dictionary*, Tbilisi 2009.
17. *New English-Russian Dictionary* (in two volumes). Galperin I. R. (Editor-in-Chief) et al. Moscow 1972.
18. *Oxford English Dictionary on Historical Principles*, vol. I – XIII; suppl. I – IV, Oxford University Press.
19. *Oxford Dictionary of English*, Second Edition, Revised. Oxford University Press 2005.
20. *Oxford English Dictionary*, Second edition on CD-ROM, Version 2.0.
21. Sakhokia, T., *Russian-Georgian Dictionary*, Tbilisi 1987
22. *Shorter Oxford English Dictionary*, Sixth Edition, Oxford University Press 2007.
23. Tschenkeli, K., *Georgisch-Deutsches Worterbuch*, Zurich 1960-1974.
24. *Webster's Third New International Dictionary* (Unabridged), Merriam Webster Inc., 1981.

B. Scientific literature

25. Adamska-Salaciak A., "Examining Equivalence", *International Journal of Lexicography*, 4, Oxford University Press, 2010, pp. 387-409.
26. Hartmann, R. R. K., *"Interlingual Lexicography"*, Selected Essays on Translation Equivalence, Contrastive Linguistics and the Bilingual Dictionary, Tübingen: Max Niemeyer, 2007.
27. Margalitadze, T., „The Comprehensive English-Georgian Online Dictionary: Methods, Principles, Modern Technologies", *XV EURALEX International Congress*. University of Oslo, Norway 2012. www.euralex.org/elx_proceedings/Euralex2012/pp764-770 Margalitadze.pdf
28. Neubert, A., "Fact and Fiction of the Bilingual Dictionary", *EURALEX '90 Proceedings*, Barcelona1990.
29. Odzeli, M., *Towards the History of Georgian-English Literary Relations*, Tbilisi 1998
30. Орловская, Н., *Очерки по Вопросам Литературных Связей*, Тбилиси 2013.
31. Snell-Hornby, M., "The Bilingual Dictionary – Help or Hindrance", *Lexeter '83 Proceedings*. Tübingen1984.

32. Sundström, M. P., "Tackling Lexicographical Anisomorphism in Front Matter Comments", *EURALEX '92 Proceedings I-II*, Tampere: Studia Translatologica 1992.
33. Uturgaidze, T., *The history of studying Georgian*, Tbilisi 1999.
34. Witsen, N., *Noord en Oost Tartarye*, Amsterdam 1705, pp. 506-515.
35. Zgusta, L., "Translational Equivalents in the Bilingual Dictionary", *Lexeter '83 Proceedings*. Tübingen: Max Niemeyer, 1984.

გერმანულენოვანი მონოგრაფია უძველესი ქართული წარწერების შესახებ

ნინო აფციაური
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი.

რეზიუმე: წინამდებარე წერილი ეხება ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, ჰაინც ფენრიხის ნაშრომს, რომელიც დაიბეჭდა 2013 წელს გერმანიაში, *Brill*-ის გამომცემლობაში. ახალი მონოგრაფია - *უძველესი ქართული წარწერები* (*Dieältes ten georgischen Inschriften*) - გერმანულ საზოგადოებას ქართული წარწერების განვითარების მაგალითზე აცნობს ქართული დამწერლობის დიაქრონულ სურათს და შემოაქვს ახალი არგუმენტი, რომელიც ასო-ნიშანთა გრაფიკულ მოხაზულობას, კერძოდ კი, გაკუთხოვნების ტენდენციას უსვამს ხაზს და აღნიშნულით ცდილობს ქრონოლოგიური სურათის აღდგენას. წერილი გამოკვეთს მონოგრაფიის საფუძვლიან არგუმენტებსა და მათ მიმართებას მანამდე არსებულ მეცნიერულ აზრთან.

საკვანძო სიტყვები: *ჰაინც ფენრიხი, ქართული ანბანი, უძველესი წარწერები*

Brill-ის გამომცემლობამ 2013 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია სათაურით *უძველესი ქართული წარწერები* [4]. ნაშრომის ავტორია ცნობილი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი, რომლის თავდაუზოგავი მუშაობითაც გერმანელი საზოგადოება უკვე მრავალი ათეული წელია, ეცნობა ქართულ კულტურასა და მის სპეციფიკურ მახასიათებლებს [4; 5; 6; 7]. წინამდებარე წერილით ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ მკვლევრის ზემოხსენებული მონოგრაფიის მოკლე მიმოხილვას.

უძველესი ქართული წარწერები 10 თავისაგან შედგება. ვიდრე წიგნში მოცემული მასალის შესახებ ვისაუბრებდეთ, წარმოგიდგენთ თავების თანამიმდევრულ ჩამონათვალს:

- ქართული დამწერლობის განვითარება;
- კონსონანტთა ძველქართული სისტემა;
- ძველი წარწერები საქართველოში;
- ადრეული ქართული წარწერები პალესტინის ტერიტორიაზე;
- ძველი წარწერების მახასიათებელი ნიშნები;
- წარწერების ტიპთა შორის არსებული წინააღმდეგობები და სხვა გარემოფაქტორები;
- წარწერები ნეკრესიდან;
- ნეკრესის წარწერების ტიპური მახასიათებლები;
- წარწერათა ორი ტიპის შედარებისათვის;
- ფარნავაზის დროინდელი სამწერლობო ნიშნები.

როგორც პარაგრაფების უბრალო ჩამონათვლიდანაც ჩანს, მონოგრაფია წარმოადგენს საფუძვლიან ნაშრომს ქართული დამწერლობის შესახებ წარწერებში ასახული დიაქრონული ტრანსფორმაციის მაგალითზე. პირველივე თავი, *ქართული დამწერლობის განვითარება,* მკითხველს სთავაზობს ქართული ანბანის ფორმირების ამსახველ სამ ძირითად საფეხურს მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის დემონსტრირების საშუალებით. კერძოდ, მასში მოცემულია თითოეული გრაფემის მახასიათებლები ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობების კონტექსტში. ამავდროულად, ნაშრომისათვის თანდართული გრაფიკული ნიშნები და გარდამავალ ეტაპთა ჩვენება სხვადასხვა ტიპის დამწერლობაში კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკითხველისათვის ქართული დამწერლობის განვითარების პერიპეტიებს ანიდან ვიდრე ჰოემდე.

მეორე თავი კი, *კონსონანტთა ძველქართული სისტემა,* სულ ერთ გვერდს მოიცავს და ძველქართული ფონემების პარადიგმატული სისტემის ჩვენებას ემსახურება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მკვლევრის მიერ მესამე და მეოთხე თავებში მოცემული უძველესი ქართული

წარწერების საფუძველზე (ბოლნისის, ურბნისის, კუმურდოს... პალესტინის წარწერები) მოცემული ანალიზი, რის შედეგადაც ნაშრომში საუბარია ისეთ კარდინალურ საკითხზე, როგორიცაა ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა და მისი ქრისტიანობასთან დამოკიდებულების საკითხი. ავტორი აქ სულ რამდენიმე, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, არგუმენტს განიხილავს და წერს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ქრისტიანი მოღვაწის მიერ ანბანის შექმნის ფაქტი არასდროს რჩება უკვდავყოფის პატივს მიღმა. ამის მაგალითია გოთური, სლავური და სომხური ანბანები, რომელთა ავტორებიც საყოველთაოდ არიან ცნობილნი. და პირიქით, თუ ანბანის შემქმნელის ვინაობა დავიწყებას ეძლევა, ეს უკვე მიანიშნებს, რომ ამა თუ იმ ქრისტიანული ქვეყნის დამწერლობა მის გაქრისტიანებამდეა ფორმირებული (მაგ., კოპტური დამწერლობა). გარდა ამისა, აღნიშნავს მეცნიერი, როდესაც ქრისტიანი ავტორი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის შემოქმედად, როგორიცაა ანბანის ფორმირება, ასახელებს წარმართ მოღვაწეს (ამ შემთხვევაში იგულისხმება ლეონტი მროველის მიერ მეფე ფარნავაზის დასახელება), ჩნდება კითხვა: რომ არა დანამდვილებითი ცოდნა აღნიშნული ფაქტისა, რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა ქრისტიანს ასეთი პატივის წარმართისთვის მისანიჭებლად? ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ სწორედ აღნიშნული არგუმენტით აყენებს აკად. ე. ხინთიბიძე ეჭვქვეშ ქართული ანბანის ქრისტიანობისდროინდელი წარმოშობის თეორიას [3; 8]. გარდა ზემოაღნიშნული არგუმენტებისა, ჰაინც ფენრიხი მსჯელობს „წერ“ ფუძეზეც და შენიშნავს, რომ ეტიმოლოგიურად იგი ნიშნავს „ფხაჭნას“, „კაწვრას“, რაც საჭირო იყო ისეთ მყარ მასალაზე, როგორიცაა ქვა ან თიხა. აღნიშნული მასალა კი აქტიურად სწორედ წარმართობის პერიოდში გამოიყენებოდა.

ზემოხსენებულ თავს მოსდევს ნეკრესის 10 და რუსთავის 4 წარწერის განხილვა, სადაც მკვლევარი ეყრდნობა ცნობილი ქართველი არქეოლოგის, აკად. ლ. ჭილაშვილის ნაშრომს ნეკრესის უძველესი ქართული წარწერების შესახებ [1; 2]. რასაკვირველია, გერმანელი და, ზოგადად,

ქართველოლოგიური პრობლემებით დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისათვის აღნიშნული სიახლის მიწოდება უმნიშვნელოვანესი ფაქტია და სათანადო დაფასებას იმსახურებს მკვლევართა მხრიდან.

ნეკრესის წარწერებისადმი მიძღვნილი თავი მხოლოდ წარწერების ჩამონათვლით არ შემოიფარგლება. აქ განხილულია ის განსხვავებული გრაფიკული ტიპი, რაც იკვეთება წარმართობისდროინდელ გადმონაშთებში. ამას კი შედეგად ქრისტიანული და წარმართული წარწერების შეპირისპირებითი ანალიზი მოჰყვება. კერძოდ, მანამდე 4 ძირითადი (გრაფიკული, ფონეტიკური, ლექსიკური და სტილისტური) ნიშნით განხილული ქრისტიანული ძეგლების წარწერები შემდეგი თავისებურებებით სხვაობენ ნეკრესისა და რუსთავის ადრეული პერიოდის წარწერებისაგან:

ა) ქრისტიანული წარწერები განვითარების შედეგად ჯერ ჩაკეტილ, შემდეგ კი გახსნილ ფორმებს მიჰყვებიან, რაც თანდათანობით გაკუთხოვნების ტენდენციის შემცველი ხდება და გარკვეულ ეტაპზე კიდეც ყალიბდება ახალი ტიპის დამწერლობად. ნეკრესისა და რუსთავის წარწერებიც, მსგავსად ქრისტიანული წარწერებისა, მრგვლოვანითაა შესრულებული, თუმცა ისინი გაკუთხოვნების ტენდენციას არ ავლენენ.

ბ) ქრისტიანული წარწერები ფონეტიკურ დონეზე შემდეგი სახით ვითარდებიან: ხანმეტი წარწერები - ჰაემეტი წარწერები - სანნარევი წარწერები. ნეკრესის წარწერებში ასახულია ხანმეტობის ეტაპი, ხოლო ჰაემეტობა და სანნარევობა აქ არ გვხვდება.

გ) ქრისტიანული წარწერები მოგვიანებით თანდათან ავლენენ ჴ-ის ხ-ში აღრევის ფაქტებს. ნეკრესის წარწერებში კი პირველს მეორე არასდროს ენაცვლება.

დ) ნეკრესის წარწერებში ვერსად შევხვდებით ქრისტიანული წარწერებისათვის ნიშნეულ სტილისტურ მახასიათებლებსა და შესიტყვებებს.

მკვლევარი განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევს ნეკრესისა და რუსთავის წარწერათა ნაწილში მოცემულ „ო“-ს დაწერილობას. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი

განსაკუთრებულ შემთხვევებში უახლოვდება ბერძნულ ომეგას, რაც ანბანის წარმოშობის თვალსაზრისით შესაძლოა, ერთ-ერთ დამაფიქრებელ არგუმენტადაც იქცეს. ამგვარად, ასკვნის მკვლევარი, გამომდინარე ნეკრესის წარწერათა თავისებურებებიდან, აშკარაა, რომ იგი წინ უსწრებს ქრისტიანულ წარწერებს და არაერთ საინტერესო სიახლეს გვთავაზობს ქართული ანბანის გენეზისის თვალსაზრისით.

მონოგრაფიის უკანასკნელი თავი ეძღვნება უძველეს კულტურებში (თრიალეთის კულტურა) არსებულ გრაფემულ აღნიშვნებს, რაც საფუძველს არქეოლოგიური გათხრების მიერ მოპოვებული მასალებისგან იღებს. აღნიშნული თავი, ერთგვარად, კრავს მონოგრაფიის მთავარ თემას და მკითხველს ქართული კულტურის უძველეს ძირებზე სრულიად საფუძვლიანად მიუთითებს, რაც საკითხთა ობიექტური გაშუქებისა და ცალკეულ საკვანძო პრობლემათა თუ მოვლენათა პოპულარიზაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

მითითებული ლიტერატურა:

1. ჭილაშვილი, ლ., *ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები*, შპს „სეზანი", თბილისი 2004.
2. ჭილაშვილი, ლ., „წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან", *ენათმეცნიერება*, №7, თბილისი 2000, გვ. 20-24.
3. Chintibidse, E., "Das Problem der georgischen Schrift- und Schriftumsentstehung", *Georgica*, Heft 8, Jena-Tbilissi 1985, S.34-39.
4. Fähnrich, H., *Die ältesten georgischen Inschriften*, Brill, Leiden/Boston 2013.
5. Fähnrich, H., *Geschichte Georgiens*, Brill, Leiden&Boston 2010.
6. Fähnrich, H., *Hinter neun Bergen; Märchen der Kartwelier*, Buchverlag König, Greiz/Thr 2011.
7. Fähnrich, H., *Königin des Waldes*, Buchverlag König 2012.
8. Khintibidze, E., *Georgian-Byzantine Literary contacts*, Adolf M. Hakkert-Publisher, Amsterdam 1996.

A German Monograph on Ancient Georgian Inscriptions

Nino Aptsiauri
Master's student at the Faculty of Humanities of Tbilisi State University.

Abstract: The present article deals with the study by Heinz Fähnrich, a well-known German scholar and Kartvelologist, published by Brill Academic Publishers in 2013, in Germany. The new monograph "Ancient Georgian Inscriptions" (Diealtesten georgische ninschriften) explores the diachronic pattern of Georgian writing though the example of the development of Georgian inscriptions and introduces a new argument emphasizing the tendency of letters to modify their graphic form that is, by acquiring an angular shape. Based on the latter argument the scholar attempts to restore the pattern of the chronological development of the Georgian alphabet. This article discusses fundamental arguments within the monograph and determines their relation to previous academic thought.

Key Words: *Heinz Fähnrich, Georgian alphabet, Ancient Inscriptions.*

In 2013, Brill Publishers published a Monograph "Ancient Georgian Inscriptions" [4]. Its author is a well- known scholar, an expert in Kartvelian studies, Heinz Fähnrich, due to whose painstaking work the German society has familiarized itself with Georgian culture for several decades [4; 5; 6; 7]. The present article is a brief overview of the above monograph.

"Ancient Georgian Inscriptions" consists of ten chapters listed below: The development of the Georgian Script; Old Georgian System of Consonants; Ancient Inscriptions in Georgia; Early Georgian Inscriptions in Palestine; Characteristics of Ancient Inscriptions; Discrepancies between Different Types of Inscriptions and other Exogenous Factors; Inscriptions from Nekresi; Typical Characteristics of Nekresi Inscriptions; Comparison of Two Types of Inscriptions; Written Symbols from Parnavazi's Epoch.

Even through the simple listing of the sections it becomes obvious that the monograph is a fundamental piece of research into the Georgian writing system through the example of diachronic transformation represented in the inscriptions. The first chapter "The development of the Georgian Script" describes three main stages of the formation of the Georgian script through demonstrating interrelations among them. In particular, it provides characteristics of each grapheme within the context of all of the three types of alphabet. At the same time, graphic signs enclosed in the study and the manifestation of transitional stages in different writing types make the development of the Georgian alphabet more evident and obvious for both foreign and native readers.

The second chapter "Old Georgian System of Consonants" contains a single page and presents the paradigmatic system of Old Georgian phonemes.

In the third and fourth chapters special attention is paid to the analysis based on ancient Georgian inscriptions (specifically, to Bolnisi, Urbnisi, Kumurdo, Palestine inscriptions) which leads to consideration of the fundamental issue of the monograph, the origin of the Georgian script and its relation to Christianity. The author considers few but exceptionally crucial arguments and states that, according to the worldwide practice, if an alphabet is created by a Christian figure, the author always enjoys a well-merited recognition. For instance, the creators of Gothic, Armenian and Slavic alphabets are well known worldwide. On the contrary, if the identity of the creator of the alphabet falls into oblivion, it is presumed that the script of a Christian country had been created before the adoption of Christianity (e.g. Coptic alphabet). In addition, as noted by Fahnrich, when a Christian author names a pagan figure to be the creator of an alphabet (in particular, King Parnavaz as named by Leonti Mroveli) it raises an issue, namely, that the Christian person would not have paid high tribute to a pagan figure had he not been certain about the authorship of the script. We remind our readers that academician E. Khintibidze applies the above-mentioned argument while casting doubt on the theory according to which the Georgian alphabet was created during the Christian period [3; 8]. Besides the above arguments, while discussing the stem of the word "tser" Heinz Fähnrich notes that etymologically the verb means "to scratch" and this was necessary to

write on such hard and solid surfaces as stone or clay which were widely used during the pagan period.

The chapter mentioned above is followed by the review of ten Nekresi and four Rustavi inscriptions; the researcher builds his theory upon the study "On Ancient Georgian Inscriptions of Nekresi [1; 2] by Levan Chilishvili, a well-known Georgian archaeologist, member of the Academy of Sciences of Georgia. Clearly, providing German and other academic circles interested in Georgian Studies with such a novelty is a fact of the utmost importance and requires a relevant appraisal on the part of the Georgian researchers.

The chapter dedicated to Nekresi inscriptions is not limited only by the simple listing of them. It deals with the exceptional graphic type that seems to be characteristic of the inscriptions of the pagan period and provides a comparative analysis of Christian and Pagan inscriptions. In particular, inscriptions from the Christian monuments previously studied only from four main directions (Graphic, Phonetic, Lexical and Stylistic), differ from the earlier inscriptions of Nekresi and Rustavi by the following characteristics:

As a result of their development, Christian inscriptions first followed closed, then open forms. Gradually the letters acquired an angular shape and at some stage they developed into a new type of writing. Inscriptions of Nekresi and Rustavi, similar to other Christian scripts, have revealed curved letters, though they do not show the tendency of taking an angular shape.

Christian inscriptions on the phonetic level reveal the following type of development: *khanmeti ("khan" excessive) inscriptions - haemeti ("hae" excessive) inscriptions and sannarevi ("san" containing) inscriptions.* Nekresi inscriptions belong to the *khanmeti* stage of development; neither *haemeti nor sannarevi* types are attested here.

In the later period, Christian inscriptions gradually show the facts of confusion and mixing of "ჴ"(khani) and "ხ"(kh). However, in Nekresi inscriptions the former symbol never replaces the latter one.

In Nekresi inscriptions there are no stylistic devices and word combinations typical of Christian ones.

The researcher considers the shape of the letter "o" from Nekresi and Rustavi inscriptions to be of an extraordinary significance which lies in the fact that in exceptional cases this letter becomes closer to the Greek "Omega". This fact might become one of the important

arguments while determining the origin of the alphabet. This leads the researcher to the conclusion that taking into account the peculiarities of Nekresi inscriptions, it becomes obvious that they precede typical Christian inscriptions and offer a number of interesting novelties in respect of the genesis of the Georgian alphabet.

The final chapter of the monograph is dedicated to the graphemes in ancient cultures (Trialeti culture). This part of the research is based on the artifacts found during archaeological excavations. The final chapter also sums up the main topic of the monograph and relates to the ancient roots of Georgian culture. The latter fact proves to be of great significance in the process of objective exploration of certain fundamental issues and promotion of the key problems and events.

BIBLIOGRAPHY:

1. Chilashvili L., *Ancient Georgian Inscriptions in Nekresi and Issues of History of Georgian Writing*, "Sezani" Ltd, Tbilisi 2004.
2. Chilashvili L., "Pre-Christian Georgian Inscription from Nekresi", *The Kartvelologist* #7, 2000, pp. 20-24
3. Chintibidse E., *"Das Problem der georgischen Schrift - und Schriftumsentstehung", Georgica*, Heft 8, Jena-Tbilissi 1985, S.34-39
4. Fähnrich, H., *Die ältesten georgischen Inschriften*, Brill, Leiden/Boston 2013.
5. Fähnrich, H., *Geschichte Georgiens*, Brill, Leiden&Boston 2010.
6. Fähnrich, H., *Hinter neun Bergen; Märchen der Kartwelier*, Buchverlag König, Greiz/Thr 2011.
7. Fähnrich, H., *Königin des Waldes*, Buchverlag König 2012.
8. Khintibidze E., *Georgian-Byzantine Literary Contacts*, Adolf M.Hakkert-Publisher, Amsterdam 1996, pp. 74-89.

ამერიკელი მკვლევარის წიგნი *ვეფხისტყაოსანზე*

გვანცა ჭოლიკაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

ელგუჯა ხინთიბიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

რეზიუმე: სტატიაში ამერიკელი მკვლევარის დაიანა ფერელის ახალი გამოკვლევის საფუძველზე განხილულია *ვეფხისტყაოსნისეული* სიყვარულის ზოგიერთი პრობლემა აღმოსავლური ეპიკისა და დასავლური რაინდული სიყვარულის სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: *დაიანა ფერელი, "ვეფხისტყაოსანი", ანდრეას კაპელანუსი*

2012 წლის შემოდგომაზე პიტსბურგის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა ამერიკელი მკვლევარის დაიანა ფერელის (Dianne Ecklund Farrell) მონოგრაფია "რაინდული სიყვარული კავკასიაში: რუსთველის ქართული ეპოსი, *ვეფხისტყაოსანი*" ("Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*"). ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ საერთაშორისო არენაზე პოპულარულს ხდის შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას, არამედ უპირატესად იმით, რომ რუსთველოლოგიური პრობლემატიკა დასავლური მეცნიერების კვლევის არეალში შეაქვს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ათიოდე წლის წინ ამავე თემატიკით დაინტერესდა ამერიკელი მეცნიერი კულემანს ბეინენი [1], რომელიც დღეს საქართველოში კარგად ცნობილი საზღვარგარეთელი რუსთველოლოგია.

ავტორი სხვადასხვა შესაძლებლობებისა თუ სანდო წყაროების მოხმობით ცდილობს, მკითხველის წინაშე გააცოცხლოს სურათი იმისა, თუ რა პირობებში მოხდა დასავლური რაინდული სიყვარულის კულტურის ჩასახვა და რა როლი შეასრულა არაბულმა ლიტერატურულმა სამყარომ ან ნეოპლატონურმა ფილოსოფიამ მის ფორმირებასა თუ გავრცელებაში. ამერიკელი მკვლევარი ასევე ისწრაფვის, დაადგინოს, თუ რა კუთხით ჰგავს *ვეფხისტყაოსანი* დასავლეთის რაინდულ სიყვარულს და რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ მსგავსებას.

დასავლეთის რაინდული სიყვარულის დახასიათებისას დაიანა ფერელი უმთავრესად ძველი ტრუბადურების სასიყვარულო ლირიკას, ანდრეას კაპელანუსის "რაინდული სიყვარულის ხელოვნებას", კრეტიენ დე ტროას მეფე ართურის ციკლის რომანებსა და გოთფრიდ ფონ სტრასბურგელის *ტრისტანის* პროლოგს ეყრდნობა.

ნაშრომის ავტორს არც რუსთველის მიერ სპარსული ეპოსის წერითი მანერის გამოყენება გამორჩენია მხედველობიდან. აქედან გამომდინარე, იგი *ვეფხისტყაოსანს* სპარსულ ეპიკურ ნაწარმოებებთან მიმართებაშიც განიხილავს. ამ შემთხვევაში, ის ფირდოუსის *შაჰ-ნამეს,* გორგანის *ვისრამიანს,* ნიზამის *ლაილმაჯნუნიანსა* და მოსე ხონელის ქართულ ეპოსს *ამირანდარეჯანიანს* ემყარება.

დაიანა ფერელი მკითხველს მიუთითებს, რომ ნაშრომი fin'amor-ს ეძღვნება. შესაბამისად, უმართებულო არ იქნება, თუ მის განხილვას სწორედ ამ ცნების განმარტებით დავიწყებთ.

ა. ჯ. დენომი (A. J. Denomy), ტრუბადურთა სასიყვარულო ლირიკის მკვლევარი, ირწმუნება, რომ ადრეული ტრუბადურებიდან მოყოლებული არსებობდა მუდმივი გაგება წმინდა სიყვარულისა (Fin'amors) [3, გვ. 142-149]. ანდრეას კაპელანუსის მიხედვით, ძლიერი სურვილი არის ჭეშმარიტი სიყვარულის არსი. ეს სურვილი დაკმაყოფილების შემდეგ სუსტდება, ან საერთოდაც ქრება. ამის შემდეგ წმინდა სიყვარულს "შერეული სიყვარული" (amor mixtus) ცვლის [2, გვ.21]. თუ ურთიერთობის მთავარ მიზანს სქესობრივი კავშირი წარმოადგენს, თანაც შეყვარებულები

ცრუ და უპატიოსნონი არიან, მაშინ საქმე გვაქვს "ყალბ სიყვარულთან" (amars) [3, გვ. 143]. ტრუბადურები არც ადიულტერული სიყვარულის არსებობას გამორიცხავენ [3, გვ. 154].

დაიანა ფერელი შენიშნავს, რომ რუსთველისთვისაც სიყვარულის არსი წმინდა სიყვარულია, ისე როგორც ეს იყო ტრუბადურებთან. ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ Fin'amor-ის XII საუკუნის ფრანგულ გაგებას რუსთველისეული წმინდა სიყვარული მნიშვნელოვნად შეესაბამება. კერძოდ, 1) ის გამაკეთილშობილებელი გრძნობაა; 2) დაკავშირებულია საღვთო სიყვარულთან; 3) გულისხმობს თითქმის რელიგიურ თაყვანისცემას საყვარელი ქალისადმი; 4) მოითხოვს მორჩილებასა და მოკრძალებას ქალის, როგორც მორალურად მაღლა მდგომის, წინაშე; 5) გულისხმობს ქალის სამსახურს, მსგავსად ბატონისა და ვასალის ურთიერთობისა; 6) სიყვარული გამოავლენს სატრფოს ღირსებას; 7) მისთვის აუცილებელია ერთგულება, კეთილგონიერება და ნებისყოფა; 8) ფინალის დაყოვნებით სატრფო სიყვარულის სურვილს ახანგრძლივებს.

ამერიკელი მკვლევარი ზედმიწევნით განიხილავს ანდრეას კაპელანუსის "რაინდული სიყვარულის ხელოვნებას". იგი დასძენს, რომ ირონიის ნიღაბს ამოფარებული ანდრეას კაპელანუსი სიყვარულთან დაკავშირებით უამრავ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. შესაბამისად, რთულია, მკითხველმა ამოიცნოს მათ შორის რომელია ავტორის ჭეშმარიტი შეხედულება. დაიანა ფერელი აღნიშნავს, რომ კაპელანუსის ტრაქტატის მიხედვით, ქალი სიყვარულში არასანდოა და ის მამაკაცის სიყვარულს სიყვარულითვე არასდროს პასუხობს [2, გვ. 52].

ჩვენი მხრივ, გვინდა მივუთითოთ, რომ ამ შემთხვევაში რუსთველის კონცეფციასთან მსგავსება აშკარაა. რუსთველი საგანგებოდ შენიშნავს, რომ არსებობს უგულო სიყვარულის სახეობა, რომელსაც იგი სიძვას უწოდებს და ის ურჩევს რაინდს, ამგვარი სიყვარულისაგან თავი შეიკავოს:

"სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,

მართ ანაზდად გიღალატებს, გაჰკვეთს, რასცა დაესობის.
მით დიაცსა სამალავი არას თანა არ ეთხრობის" [9, სტ. 1081].

დაიანა ფერელი ერთგვარ შეპირისპირებით ანალიზს ახდენს, ერთი მხრივ, *ვეფხისტყაოსნისა* (*ვეფხისტყაოსნის* ტექსტს იგი უპირატესად ქეთრინ ვივიანის თარგმანით უთითებს [7]) და *ვისრამიანისა* (*ვისრამიანს* იგი რუსთველის დროინდელი ქართული თარგმანით იმოწმებს [5]), ხოლო მეორე მხრივ, *ვეფხისტყაოსნისა* და *ლეილმაჯნუნიანისა*. იგი რუსთველისეულ და გორგანისეულ სიყვარულს შორის პრინციპულ განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ვისრამიანის შეყვარებული წყვილი ქორწინებამდე ეძლევა ხორციელ ნეტარებას, მაშინ როცა *ვეფხისტყაოსნის* მიჯნურები დიდ თავშეკავებას იჩენენ. უფრო მეტიც, ნესტანზე დაქორწინებული ტარიელი აცხადებს, რომ ის მეუღლეს ქმრობას არ გაუწევს, თუ ავთანდილს თინათინზე არ დააქორწინებს.

ამერიკელი ავტორის ეს დასკვნა პრინციპულად სწორია, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ *ვეფხისტყაოსნისეული* ჭეშმარიტი სიყვარული არ გამორიცხავს ხორციელი ურთიერთობის სურვილს. ტარიელი ნესტანთან თათბირის შემდეგ განშორებისას იტყვის:

"მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვეძვე წვევა,
მწადდა, მაგრა ვერ შეეჰმართე შეჭიდება, შემოხვევა".
[9, სტ. 549]

იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ტარიელის დასახმარებლად მიმავალი ავთანდილისა და თინათინის ბოლო შეხვედრა თანამედროვე კომენტატორთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ პასაჟის მრავალპლანიანობიდან გამომდინარე არაა გამორიცხული ის თვალსაზრისიც, რომ რუსთველი შეყვარებულთა ფინალურ ურთიერთობაზეც მიანიშნებდეს. ერთმანეთისაგან საბოლოოდ განშორების გააზრება სატრფოსადმი თავგანწირვის ამ ფორმით გამოხატვასაც შეიძლება, რომ არ გამორიცხავდეს.

დაიანა ფერელი, განიხილავს რა რუსთველის, გორგანისა და ნიზამის ეპოსებს სატრფოსადმი ერთგულების კუთხით, აცხადებს, რომ *ლეილმაჯნუნიანისთვის* ერთგულება

არსებითია და მასში არ ვხვდებით "გამონაკლისებს", რომელსაც ადგილი აქვს დანარჩენ ორ ნაწარმოებში [4, გვ. 21]. აღნიშნულ გამონაკლისებში ამერიკელი ავტორი, ერთი მხრივ, რამინის გულოზე ქორწინებას, ხოლო მეორე მხრივ კი ავთანდილის ფატმანთან ურთიერთობას გულისხმობს.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობის ეპიზოდის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც, რომლის თანახმადაც ავთანდილის მიერ თავისი სატრფოს ერთგულებისადმი ღალატი ეჭვქვეშაა დაყენებული [6]. აღნიშნულ ეპიზოდში ავთანდილის განცდები მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ იგი აკეთებს იმას, რაც მას არ სურს, და რისი გაკეთებაც მას სტანჯავს. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ეს ქცევა ავთანდილის მსოფლმხედველობით პრინციპს შეესაბამება: "რაცა არ გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!" [9, სტ. 881]

ვეფხისტყაოსნის სიყვარულისა და სპარსულ ეპოსებში ასახული სიყვარულის საფუძვლიანი შედარების შემდეგ დაიანა ფერელი ასკვნის, რომ რუსთველის პოემა განსხვავდება როგორც *ვისრამიანის,* ისე *ლეილმაჯნუნიანისაგან* იმ ძირითად ასპექტებში, რომლებშიც იგი დასავლეთის რაინდულ სიყვარულს უფრო ჰგავს [4, გვ. 21].

ამერიკელი მკვლევარი დასავლური რაინდული სიყვარულის ფორმირებაში ორ წამყვან ელემენტს გამოჰყოფს: უილიამ (William IX, Duke of Aquitaine) და რობერტ არბრისელის (Robert of Arbrissel) იდეოლოგიასა და სოციალურ-პოლიტიკურ რეალობას, სადაც მმართველად გვევლინება ქალი, რომელსაც ტერიტორიების დასაცავად ძლიერი სამხედრო პიროვნება სჭირდება. ზემოხსენებული იდეოლოგია გულისხმობს ქალთა მორალური უპირატესობის აღიარებას, მამაკაცთა მხრიდან მათ სამსახურსა და მათზე ამ სამსახურის გამაკეთილშობილებელ გავლენას.

რაც შეეხება დასავლური რაინდული სიყვარულის წარმოშობაზე არაბული სამყაროს გავლენას, ავტორი მონოგრაფიაში შუა საუკუნეების ევროპისა და მუსლიმური სამყაროს რამდენიმე სავარაუდო შესაძლო მაკავშირებელს

განიხილავს. ესენია: მოზარაბები (ესპანელი ქრისტიანები, რომელთა კულტურამ არაბიზაცია განიცადა), ნორმანული სიცილია, ასევე ქორწინებები ჩრდილოეთ ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის ფეოდალურ ოჯახებს შორის [4, გვ. 28–30]. დაიანა ფერელი აცხადებს, რომ მხოლოდ ვარაუდების არსებობა და ხელჩასაჭიდი მტკიცებულებების არქონა არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, განიცადა თუ არა ტრუბადურთა ლირიკამ არაბული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი სიყვარულზე შექმნილი არაბული ტრაქტატების გავლენა.

ფაქტების არარსებობის გამო ამერიკელი მკვლევარი დაზუსტებით ვერ მსჯელობს დასავლეთის რაინდულ სიყვარულთან მიმართებაში ნეოპლატონიზმის როლზე.

ნაშრომის ავტორი *ვეფხისტყაოსანს* განიხილავს ნეოპლატონიზმის ფილოსოფიურ მიმართულებასთან კავშირში. იგი რუსთველის პოემის აშკარა პლატონისტურ მახასიათებლად მიიჩნევს მზეს, როგორც ღვთაების ხატს. აქ დაიანა ფერელი პლატონის *სახელმწიფოს* იმოწმებს. ამერიკელი მკვლევარი ამბობს, რომ მზის, როგორც ღვთაების გამოხატულების გამოყენებას ადგილი აქვს ფირდოუსის სპარსულ პოემა *შაჰ-ნამეში*, რომლის მთავარ გმირ რუსტამს რუსთველი ერთხელ ახსენებს. ავტორი აღნიშნავს, რომ *ვეფხისტყაოსანში* ზემოხსენებული ხატი სპარსული ეპოსისგან განსხვავებულია და რომ ეს განსხვავება ნეოპლატონიზმზე მიუთითებს.

დაიანა ფერელი ყურადღებას ამახვილებს ქაჯეთის ციხესიმაგრეში მყოფი ნესტანის მიერ ტარიელისთვის მიწერილ წერილზე, რომელიც, მკვლევარის აზრით, ნეოპლატონური განწყობითაა დაწერილი. გარდა ნეოპლატონური ნიშნებისა, აღნიშნულ წერილში ფერელი რაინდული სიყვარულის მახასიათებლის არსებობაზეც მიგვითითებს. კერძოდ, ნესტანის მიერ ტარიელისთვის მიცემულ განკარგულებაზე, ინდოეთის დასახმარებლად წავიდეს.

ავტორი შენიშნავს, რომ *ვეფხისტყაოსანში* დიონისე არეოპაგელის სიტყვებით გადმოტანილია ნეოპლატონური დოქტრინა ბოროტების რაობაზე:

"ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წაჰ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს."

[9, სტ. 1491]

ამავდროულად, დაიანა ფერელი დასძენს, რომ რუსთველი ნეოპლატონიზმის მამამთავარ პლოტინს არ ახსენებს [4, გვ. 51-52].

რუსთველის მსოფლმხედველობის ნეოპლატონიზმთან დაკავშირება ამერიკელი მკვლევარის მიერ დამყარებულია შალვა ნუცუბიძის რუსთველოლოგიურ შეხედულებაზე, რაზეც იგი უშუალოდ მიუთითებს [4, გვ. 47].

საჭიროდ მიგვაჩნია, ავღნიშნოთ, რომ თანამედროვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში რუსთველის მსოფლმხედველობის ნეოპლატონიზმად გამოცხადება არ არის გაზიარებული. ნეოპლატონიზმი მიჩნეულია რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ფილოსოფიურ წყაროდ, რომელიც რუსთველთან უშუალოდ მოდის მისი ქრისტიანული ინტერპრეტაციით; კერძოდ, დიონისე არეოპაგელის მეშვეობით. გამოვლენილია, რომ რუსთველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროებია ასევე, ქრისტიანულ თეოლოგიასთან ერთად, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია; უპირატესად უშუალოდ, ან გვიანდელი შუა საუკუნეების წყაროების საშუალებით [10].

დაიანა ფერელი თავის ნაშრომს შემდეგნაირად აჯამებს: *ვეფხისტყაოსანზე* ტრუბადურებისა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის მინეზინგერების არანაირი პირდაპირი გავლენა არ დასტურდება. თუმცა, შესაძლოა, ნეოპლატონიზმი მათთვის საერთო ნიადაგს წარმოადგენდეს, ნეოპლატონიზმი, რომელიც იყო წამყვანი რუსთველის მსოფლმხედველობაში.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ როგორც რუსთველის, ისე უილიამ IX მიერ წარმოდგენილი რაინდული სიყვარულის მოდელი მსგავს სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში შეიქმნა.

კერძოდ, საქართველოშიც და სამხრეთ საფრანგეთშიც იყო ფეოდალური საზოგადოება, რომელსაც ქალი ედგა სათავეში.

ამერიკელი ავტორი შენიშნავს, რომ *ვეფხისტყაოსნისეული* სიყვარული რაღაც უფრო მეტია, ვიდრე რაინდული სიყვარული. რუსთველთან მიჯნური დანახულია პანტერის სახეში, რომელიც ნესტანისა და ტარიელის მგზნებარე სიყვარულის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს. დაიანა ფერელი ამბობს, რომ ამ უკანასკნელით ქართული პოემა სპარსული ლიტერატურისგანაა დავალებული. ავტორის დასკვნით, *ვეფხისტყაოსანი* არის ჰუმანისტური ნაწარმოები, რომელშიც დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული ელემენტები თანაარსებობენ.

დაიანა ფერელის განსახილველი წიგნი ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მას რუსთველოლოგიური პრობლემატიკა გააჭეს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ორბიტაზე. ავტორი უპირატესად ეყრდნობა XX საუკუნის II ნახევრის რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას და მის ფონზე საინტერესო დაკვირვებებს ახდენს რუსთველის პოემის მიმართებაზე აღმოსავლურ ეპიკასა და დასავლურ რაინდულ სიყვარულთან. მნიშვნელოვანია მისი დასკვნა, რომ თვისობრივად რუსთველის სიყვარული უფრო ახლოსაა დასავლურთან, ვიდრე აღმოსავლურთან.

დაიანა ფერელის "რაინდული სიყვარული კავკასიაში: რუსთველის ქართული ეპოსი, *ვეფხისტყაოსანი*" მნიშვნელოვანი შენაძენია რუსთველოლოგიური ლიტერატურისათვის.

მითითებული ლიტერატურა:

1. Beynen, G. K., "Shota Rustaveli and the Structure of Courtly Love", *The Court and Cultural Diversity*, D. S. Brewer, Cambridge 1997.

2. Capellanus, A., *The Art of Courtly Love*, Frederick Ungar, New York 1957.

3. Denomy, A. J., *Fin'amor: The Pure Love of the Troubadours.* 1945.
4. Farrell, D. E., *Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, The Knight in the Panther Skin.* University of Pittsburgh 2012.
5. Gurgani, Fakhr al-Din, *Visramiani: The Story of the Loves of Vis and Ramin.* (Oliver Wardrop), Royal Asiatic Society, London 1914.
6. Khintibidze, E., *"Lancelot and Avtandil", The Kartvelologist #9,* Tbilisi 2002.
7. Rustaveli, Sh., *The Knight in the Panther Skin.* (trans. Katharine Vivian), Folio Society, London 1977.
8. Rustaveli, Sh., *The Lord of the Panther-Skin,* (trans. R. H. Stevenson), Albany 1977.
9. *რუსთაველი, შოთა, ვეფხისტყაოსანი* (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), *მეცნიერება,* თბილისი 1966.
10. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის* იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი 2009.

The Book by an American Scholar on *The Man in the Panther Skin*

Gvantsa Tcholikauri
Master's student at Tbilisi State University

Elguja Khintibidze
Professor at Tbilisi State University, Academician of the Georgian National Academy of Sciences

Abstract: Based on the latest research by an American scholar, Diana Farrell, this article discusses several issues relating to the manifestation of the concept of love in *The Man in the Panther Skin* in contrast with the concepts of love as expressed in Oriental epic and Western courtly love.

Key words: *Diana Farrell, The Man in the Panther Skin, Andreas Capellanus*

In the autumn of 2012 the University of Pittsburgh published a monograph by an American researcher Dianne Ecklund Farrell "Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*". This fact is important not only because it gives Medieval Georgian literature an international dimension, but mostly because it includes the issues of Rustvelian studies in the area of Western research. It is also worth mentioning that about a decade ago an American researcher G. Koolemans Beynen, who is now a well-known Rustvelologist, became interested in the same theme [1].

Based on various research opportunities and reliable sources, the author makes an attempt to revive the circumstances in which Western courtly love was conceived and the role that the Arabian literature or Neo-Platonic philosophy played in its formation and dissemination. In addition to this, the American researcher also states and explains the similarities between the concept of love expressed in *The Man in the Panther Skin* and also in Western courtly love.

While characterising Western courtly love, Diana Farrell relies mostly on the love lyrics of the early troubadours, "The Art of Courtly Love" by Andreas Capellanus, the Arthurian romances of Chretien de Troyes and the prologue of Gottfried von Strassburg's *Tristan*.

The author of the book has noticed the fact that Rustaveli employed the writing style of the Persian Epic. Therefore, she considers *The Man in the Panther Skin* in relation to Persian epic work. While doing so, she relies on *Shah-Nama* by Firdausi, *Visramiani* by Gurgani, *Layla and Majnun* by Nizami and a Georgian epic by Mose Khoneli *Amirandarejaniani*.

Diana Farrell notes that the work is dedicated to "fin'amor". Consequently, we will start reviewing it with this definition of the concept.

A. J. Denomy, the researcher of the love lyrics of the troubadours, states that from the earlier troubadours, there existed a constant understanding of pure love (Fin'amors) [3, pp.142-149]. Andreas Cappelanus argues that a strong desire creates the essence of true love. After being satisfied, the desire decreases or disappears altogether. After this, pure love is replaced by "mixed love" (amor mixtus) [2, p.21]. If the main reason for the affair is sexual and the lovers are dishonest as well as insincere, we deal with "false love" (amars) [3, p. 143]. The troubadours did not exclude the possibility of adultery either [3, p.154].

Diana Farrell mentions that Rustaveli's concept of pure love accords well with the twelfth-century French conception of fin'amors: 1) it is an ennobling passion; 2) it is linked to divine love; 3) it involves the nearly religious veneration of the beloved lady; 4) it requires humility before and deference to the lady as morally superior; 5) it requires service to the lady like that of a vassal to his lord; 6) it proves the lover's worth; 7) it requires fidelity, discretion and patience; 8) it prolongs love's desire by deferring fulfilment.

The American scholar discusses "The Art of Courtly Love" by Andreas Cappelanus in great detail and states that, hidden behind the ironic mask, Cappelanus expresses a number of controversial

ideas about love. Consequently, it is hard for the reader to select which idea the author finds true. Diana Farrell mentions that according to Cappelanus, a woman is not faithful in love and never responds to the love of a man by the same emotion [2, p. 52].

We would like to add that in this respect the similarity to the Rustvelian theory of love is apparent. Rustaveli also mentions that there exists a type of heartless love, which he refers to as "adultery", and advises a knight to avoid it.

"Keep clear of Woman, if you have the strength and self-mastery! She will play with you, she will charm you, she will build trust up between you and her - and then suddenly she will betray you and do you what harm she can... Never should a secret be told to a woman in confidence!" [8, p. 130]

Diana Farrell makes a contrastive analysis of, on the one hand, *The Man in the Panther Skin* (she refers to the text from Katharine Vivian's translation [7]) and *Visramiani* (she attests this work by the translation made in the Rustaveli epoch [5]). On the other hand, she compares and contrasts *The Knight in the Panther Skin* and *Layla and Majnun*. Farrell sees a principal difference between the concepts of love as expressed by Rustaveli and Gurgani in that the loving couple in *Visramiani* indulge in love before marriage whilst lovers from *The Man in the Panther Skin* reveal exemplary willpower and abstain from sexual love. Moreover, despite being married to Nestan, Tariel declares that he will not fulfil his conjugal duties unless he marries Avtandil to Tinatin.

Although we consider the conclusion of the American author principally correct, we believe that attention should also be paid to the fact that the true love in *The Man in the Panther Skin* does not exclude the desire for a sexual relationship. Before parting with Nestan after counselling with her, Tariel says:

"Then I rose to depart, but the princess besought me to stay with her. I longed to take her in my arms, but did not have the daring" [8, p. 66].

The fact is that the last meeting between Tinatin and Avtandil, before the latter leaves to help Tariel, evokes a variety of opinions from contemporary scholars. Taking into consideration the

multilayered nature of this passage, it is not excluded that Rustaveli here refers to the final relationship of lovers. The realisation of the fact that the lovers may face the final separation not excludes the expression of sacrifice in this form.

While analysing epics by Rustaveli, Gurgani and Nizami from the point of faithfulness to the lover, Farrell states that for *Layla and Majnun* faithfulness is of major importance and does not allow "exceptions" which we come across in the other two works [4, p. 21]. Under "exceptions" the American author considers, on the one hand, the marriage of Ramin and Gul, and on the other, the relationship between Patman and Avtandil.

There exists a different interpretation of the episode depicting the relationship between Avtandil and Patman in Rustavelian studies, which questions this fact as unfaithful [6]. In this episode the emotional state Avtandil is in reveals that he has to do what he is inwardly opposed to and which tortures him. However, the behaviour comes in accord with Avtandil's world view.

"You should rather do the contrary, and not obey the prompting of your desires". [7, p. 129]

Having compared the ways the concept of love is expressed in *The Man in the Panther Skin* and Persian epics, Diana Farrell comes to the conclusion that *The Man in the Panther Skin* differs from both *Visramiani* and *Layla and Majnun* in essential ways, and in these ways it is more closely akin to Western courtly love [4, p.21].

The American researcher singles out two leading elements in the formation of courtly love: the social-political reality in the times of William IX, Duke of Aquitaine and Robert of Arbrissel, in which the function of the ruler is given to the woman, who needs a good military person to defend the territories. This ideology brings about recognition of the woman's moral advantage over the man, service and deference of the man and the ennobling effect of the service on him.

While discussing the impact of the Arabic world on the birth of courtly love, Farrell puts forward several possible links between medieval Europe and the Muslim world: Mozarabs (Spanish Christians who had become arabized in culture), Norman Sicily and

marriages between the noble families from North Spain and the South of France [4, pp. 28-30]. Farrell also points out that contemplation only on the basis of suppositions, and thus no factual evidence, does not allow us to state whether the troubadour lyrics experienced the influence of Arabic literature, especially that of Arabic treatises on love.

Because of the scarcity of factual material the American researcher does not discuss the role of Neo-Platonism in relation to Western courtly love.

The author examines *The Man in the Panther Skin* in relation to the philosophical school of Neo-Platonism and considers that the Sun, as an image of the God as it appears to Rustaveli, is an obvious Platonist sign. Here Farrell refers to *The Republic* by Plato. She also argues that the Sun as a god is employed in the Persian epic *Shah-Nama* whose main hero Rustam is mentioned by Rustaveli once. The author states that the above mentioned image in *The Man in the Panther Skin* differs from the Persian epic, which points to Neo-Platonism.

Diana Farrell pays attention to the letter from Nestan, written to Tariel from the kaj's castle, which, according to the scholar, is written in a Neo-Platonic style. Besides the Neo-Platonic elements, Farrell finds here the characteristic features of courtly love, specifically, the urge expressed by Nestan encouraging Tariel to leave for India.

The author notes that the doctrine of Neo-Platonists regarding evil is expressed in the words of Pseudo-Dionysius the Areopagite:

"Denys the Wise has revealed this arcane truth to us: "God sends good, and good only; evil is not his creation: he gives the bad but a moment, the good he wills to endure. He sustains his own excellence in its utter perfection" [8, p. 179].

At the same time, Diana Farrell notes that Rustaveli does not mention the founder of the Neo- Platonic school, Plotin [4, pp. 51-52].

The connection between Rustaveli's worldview and Neo-Platonism discussed by the American writer is based on Shalva

Nutsubidze's position regarding Rustaveli, as mentioned by Farrell herself [4, p. 47].

It is noteworthy to claim that in modern Rustvelian studies the theory according to which Rustaveli's world view is fully based on Neo-Platonism has not gained many followers. However, Neo-Platonism is considered to be one of the philosophical sources for Rustaveli, albeit in its Christian interpretation, through Pseudo-Dionysius the Areopagite. It is also stated that, along with Christian theology, Rustaveli relied on Plato's and Aristotle's theories directly as well as through sources from late middle ages [10].

While summing up her work, Diana Farrell concludes that there is no visible direct influence of the troubadours and minnesängers of South-Western Europe on Rustaveli's philosophy. However, Neo-Platonism, which was the leading theory in Rustaveli's worldview, may have served as a common ground for all of them.

The researcher mentions that the models of the courtly love embodied both in Rustaveli's and William IX's works were created in similar social and political environments. Specifically, in Georgia as well as in the South of France there was a feudal society ruled by the woman.

As argued by the American author, the concept of love in *The Man in the Panther Skin* denotes more than the concept of courtly love. Rustaveli sees the lover in the image of the panther, which at the same time, is a symbolic embodiment of Tariel and Nestan's ardent love. Diana Farrell believes this to be a linking trait between the Georgian epic and Persian literature. The author concludes that *The Man in the Panther Skin* is a humanistic epic in which Western and Eastern literary elements co-exist.

The book by Diana Farrell is highly important as it carries the issues regarding Rustvelian studies into the international orbit. The author relies on the scientific literature of the second half of XX century dedicated to Rustavelian studies and, against this background, draws interesting conclusions regarding the connection of the epic by Rustaveli both to Oriental epic and Western courtly love. Her theory which states that the concept of love expressed in

the Georgian epic is closer to the Western courtly love than to the Oriental epic, is also of high importance.

The book "Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*" is an important acquisition for Rustvelian studies.

REFERENCES:

1. Beynen, G. K., "Shota Rustaveli and the Structure of Courtly Love", *The Court and Cultural Diversity*. D. S. Brewer, Cambridge 1997.

2. Capellanus, A., *The Art of Courtly Love*, Frederick Ungar, New York 1957.

3. Denomy, A. J., *Fin'amor: The Pure Love of the Troubadours*. 1945.

4. Farrell, D. E., *Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic "The Knight in the Panther Skin"*, University of Pittsburgh 2012.

5. Gurgani, Fakhr al-Din, *Visramiani: The Story of the Loves of Vis and Ramin*. (Oliver Wardrop). Royal Asiatic Society, London 1914.

6. Khintibidze, E., "Lancelot and Avtandil, *The Kartvelologist #9*, Tbilisi 2002.

7. Rustaveli, Sh., *The Knight in the Panther Skin*, (Trans. Katharine Vivian). Folio Society, London 1977.

8. Rustaveli, Sh., *The Lord of the Panther-skin*, (Trans. R. H. Stevenson), Albany 1977.

9. Rustaveli, Sh, The Man in the Panther Skin (edited by A. Shanidze and A. Baramidze). "Metsniereba", Tbilisi 1966 (in Georgian).

10. Khintibidze, E, *The World View of Rustaveli's "Vephkhistqaosani" (The Man in the Panther Skin)*, Tbilisi 2009 (in Georgian).

საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი" ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი" წელიწადში ორჯერ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (NN 1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი" (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი." დამაარსებელი და მთავარი რედაქტორია ელგუჯა ხინთიბიძე. 2011-2013 წლებში ჟურნალი ფინანსდება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, რუსთაველის ფონდის გრანტით.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

მთავარი რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; ბუაჩიძე გასტონ (ქართველოლოგი) – საფრანგეთი; დიმბორჯგინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) - ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) - იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; ნოცუნი პრშემისლავ (არქეოლოგია) - პოლონეთი; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) - კანადა; უტიე ბერნარ (მედიევისტიკა) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურღაია გაგა (ქართული ლიტერატურა) - იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარ-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) - გერმანია.

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს გამგეობა: ხინთიბიძე ელგუჯა, რუსიეშვილი მანანა, მელიქიძე თამარ, ჯავახიძე ირინა, გულიაშვილი სოფიო, ვარდოსანიძე ცირა.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ტელ.: 99532 2 29 08 33;
ფაქსი: 99532 2 25 25 01
ელფოსტა: kartvcentre@hotmail com:
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge

© kartvelologist
Fund for Kartvelian Studies,
13, Chavchavadze Ave., TSU
0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 99532 2 29 08 33
Fax: 99532 2 25 25 01
Email: kartvcentre@hotmail com:
kartvelologist@gmail.com
Website: kartvelologi.tsu.ge